

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელს
ბატონ კახაბერ ჩანგელიას**

განმარტებითი ბარათი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველადი ვერსია ამ ეტაპზე წარმოდგენილია **70500.0 ათასი ლარის** ოდენობით, რაც მიმდინარე წლის საწყისი ბიუჯეტის მოცულობას - **64450.0 ათას ლარს, 6050.0 ათასი ლარით** აღემატება.

შემოსულობები

როგორც ცნობილია, თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შემოსულობების ფორმირების ძირითად წყაროს წარმოადგენს საგადასახადო შემოსავლები, რომლის საპროგნოზო მაჩვენებლის ვერსია **საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2024 წლის 4 ოქტომბრის N04-03/74761** წერილის მიხედვით საორიენტაციოდ შეადგენს **54712.0 ათას ლარს**, აღნიშნული პარამეტრი მ/წლის შესაბამისი პერიოდისათვის დაშვებულ მაჩვენებელს - **50240.0 ათას ლარს, 4472.0 ათასი ლარით** აღემატება, რაც ძირითადად მხოლოდ ხელფასების ზრდისათვის არის საკმარისი.

სხვა შემოსავლები პროექტით წარმოდგენილია **6388.0 ათასი ლარის** ოდენობით, რაც მიმდინარე საფინანსო წელთან შედარებით იზრდება მხოლოდ **93.9 ათასი ლარით**, რამდენადაც ცალკეული სახეების სადადასახადო ბაზა და მოსალოდნელი შემოსავლები მეტი საშუალებას არ იძლევა.

შემოსულობების ნაწილში დელეგირებული საქმიანობებისთვის პროგნოზით გათვალისწინებულია **600.0 ათასი ლარი**.

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების ბაზა არ იძლევა **3500.0 ათასი ლარის** მეტი ოდენობით დაგეგმვის შესაძლებლობას.

საშემოსავლო ნაწილი ცალკეული გადასახადებისა და შემოსავლების, ასევე არაფინანსური აქტივების მიხედვით იხილეთ დანართში.

შემოადნიშნულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ბიუჯეტის გადასახდელების დაბალანსებისათვის გათვალისწინებულია ფინანსური დახმარება **5000.0 ათასი ლარის** ოდენობით.

გადასახდელები

2025 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის გადასახდელების პროექტით, გასული წლის შესაბამის პერიოდთან მატების თანხის - **6050.0 ათასი ლარის** ნახევარზე მეტი მოდის განათლების სფეროს და ძირითადად სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამაზე.

განათლების დარგის /კოდი 0400/ ფინანსური უზრუნველყოფა პროექტით წარმოდგენილია **16130.0 ათასი ლარის** ოდენობით, რაც მთლიანი ბიუჯეტის მოცულობის **22.9** პროცენტია. განათლების სფეროზე ძირითადია სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა, რომელიც წარმოდგენილია **14470.0 ათასი ლარის** ოდენობით. აღნიშნული პროგრამის ყველაზე დიდი მოცულობით ფინანსური უზრუნველყოფა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

აღსაზრდელო კონტიგენტი - **3976** აღსაზრდელი.

კვების ხარჯები განისაზღვრა **2862.7 ათასი ლარით** (2025 წლის **80 ლარიანი** მენიუს გათვალისწინებით, ნაცვლად 2024 წლის დასაწყისისთვის გათვალისწინებული **65 ლარისა**)

სამტატო და შტატგარეშე რიცხოვნობა **925** ერთეული.

სახელფასო ფონდი **10220.7 ათასი ლარი** - დაბალ ხელფასიან პერსონალზე ფიქსირებული **100 ლარის** და სხვა ადმინისტრაციულ პერსონალზე ხელფასის განაკვეთის 10%-იანი ზრდის გათვალისწინებით.

სხვა დანარჩენი ხარჯებისა და აქტივობებისათვის - კომუნალური, დაცვის, საოფისე, სათამაშოებისა და საჩუქრებისათვის, ტრანსპორტის, ახალი ბაღების (დარჩელის N1, ჭითაწყარის, რუხის, ქალაქის N5) ავეჯით აღჭურვის ხარჯები. მთლიანობაში 63 სკოლამდელი დაწესებულებისათვის განსაზღვრულია **1386.6 ათასი ლარი**.

განათლების სფეროს სხვა კოდებით გათვალისწინებულია **1200.0 ათასი ლარი**, სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამისათვის.

320.0 ათასი ლარი ბავშვებისა და ახალგაზრდობის შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამისათვის და **50.0 ათასი ლარი** შ. მესხიას სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობისათვის.

ბიუჯეტის ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია /კოდი 0200/ საპროექტო მაჩვენებლით მთლიანობაში წარმოდგენილია **16395.0 ათასი ლარის** მოცულობით.

აქედან **5000.0 ათასი ლარის** ოდენობით მუნიციპალური ტრანსპორტის პროგრამისათვის;

5500.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კეთილმოწყობის პროგრამისათვის;

1000.0 ათასი ლარი სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამისათვის;

930.0 ათასი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურისათვის;

100.0 ათასი ლარი წყლის სისტემების განვითარებისათვის,

800.0 ათასი ლარი გარე განათების ექსპლუატაციის ხარჯები;

1030.0 ათასი ლარი, რგვ და მგვ ფონდებიდან გამოყოფილი თანხების და სოფლის პროგრამის თანადაფინანსებისათვის.

ჯანდაცვა და სოციალური დაცვის /კოდი 0600/ ფინანსური უზრუნველყოფა მთლიანობაში წარმოდგენილია **4360.0 ათასი ლარის** მოცულობით, აქედან ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა წარმოდგენილია **1985.0 ათასი ლარის** ოდენობით, ა(ა)იპ **საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი-ს** დელეგირებული თანხის ჩათვლით.

ცალკეული სოციალური ქვეპროგრამების მიხედვით თანხების საპროექტო მაჩვენებელი და პროგრამების აღწერა თანდართულ ცხრილებში და პროგრამულ ბიუჯეტშია მოცემული.

დასუფთავების და გარემოს დაცვის დარგისთვის /კოდი 0300/ პროექტით გათვალისწინებულია **9325.0 ათასი ლარის** გამოყოფა.

აქედან ძირითადი **7000.0 ათასი ლარი** დასუფთავების პროგრამისათვის.

900.0 ათასი ლარი შპს „ANAKLIA GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობისათვის;

1200.0 ათასი ლარი ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამისათვის;

85.0 ათასი ლარი სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამისათვის;

100.0 ათასი ლარი პარკების, სკვერების და ბულვარის კეთილმოწყობისათვის.

7790.0 ათასი ლარის ოდენობით ფინანსური უზრუნველყოფა არის გათვალისწინებული **კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებებისათვის /კოდი 0500/**

აქედან **2150.0 ათასი ლარი** სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების ხელშეწყობისათვის, მათ შორის ძირითადი **1800.0 ათასი ლარი** სპორტის განვითარების პროგრამისათვის.

4830.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურის სფეროს განვითარებისათვის, მათ შორის:

1065.0 ათასი ლარი საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამისათვის;

1900.0 ათასი ლარი ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამისათვის;

1100.0 ათასი ლარი სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამისათვის;

700.0 ათასი ლარი ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებისათვის;

460.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია კულტურული ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ **საკრებულოს, მერიის და 53 ადმინისტრაციული ერთეულის** საქმიანობის უზრუნველყოფისათვის /კოდი 0101/ პროექტით პროექტით გათვალისწინებულია **12649.0 ათასი ლარი**.

მგფ- ისა და სხვა ვალდებულებების /კოდი 0104/ და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟებისათვის /კოდი 0105/ ამ ეტაპზე გათვალისწინებულია **3571.0 ათასი ლარის** გამოყოფა, თუნცა აღნიშნული ვალდებულებების თანხა მოითხოვს დაზუსტებას, რესურსების გამონახვით.

მთლიანი ბიუჯეტის მოცულობა **70500.0 ათასი ლარი** მუხლების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს:

10006.5 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურების ფონდი;

4282.8 ათასი ლარი - საქონელი და მომსახურება;

41862.0 ათასი ლარი - სუბსიდიები;

100.0 ათასი ლარი - გრანტები;

3439.4 ათასი ლარი - სოციალური უზრუნველყოფა;

2092.3 ათასი ლარი - სხვა ხარჯები;

3081.0 ათასი ლარი - ვალდებულებების კლება და პროცენტი;

5636.0 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდა.

მერია აგრძელებს მუშაობას ერთის მხრივ დამატებითი სახსრების მოძიებისათვის, როგორც ცენტრალური წყაროებიდან, ისე მუნიციპალიტეტის შემოსავლებიდან და მეორეს მხრივ გადასახდელების ნაწილში ხარჯების შესაძლო შემცირებისათვის.

მუნიციპალიტეტის მერია გამოთქვამს მზაობას თანდართული ბიუჯეტის პროექტის გარშემო წამოყენებული, შემოთავაზებული წინადადებებისა და შენიშვნების, მრჩეველთა საბჭოსთან ერთობლივად განსახილველად და ფინანსური რესურსების მიხედვით გასათვალისწინებლად.

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
დადგენილება №
2024 წლის
ქ. ზუგდიდი
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის
დამტკიცების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 91-ე მუხლის, საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 78-ე მუხლის და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის, 25-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

დამტკიცდეს თანდართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი თანახმად დანართისა.

მუხლი 2.

ამ დადგენილების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის №48 დადგენილება (www.matsne.gov.ge, 05/01/2024, სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 190020020.35.105.016704).

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი იანვრიდან.

საკრებულოს თავმჯდომარის
მოვალეობის შემსრულებელი:

კახა ჩანგელია

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტი

თავი I.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
I. შემოსავლები	93,651.2	21,824.6	71,826.6	66,500.0	0.0	66,500.0
გადასახადები	50,440.3	0.0	50,440.3	54,712.0	0.0	54,712.0
გრანტები	36,916.8	21,824.6	15,092.2	5,600.0	0.0	5,600.0
სხვა შემოსავლები	6,294.1	0.0	6,294.1	6,188.0	0.0	6,188.0
II. ხარჯები	60,016.7	2,389.7	57,627.0	62,624.0	0.0	62,624.0
შრომის ანაზღაურება	9,436.1	0.0	9,436.1	10,006.5	0.0	10,006.5
საქონელი და მომსახურება	7,579.0	1,778.7	5,800.3	4,282.8	0.0	4,282.8
პროცენტი	1,451.3	0.0	1,451.3	841.0	0.0	841.0
სუბსიდიები	35,020.9	0.0	35,020.9	41,862.0	0.0	41,862.0
გრანტები	109.1	0.0	109.1	100.0	0.0	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,525.1	0.0	3,525.1	3,439.4	0.0	3,439.4
სხვა ხარჯები	2,895.2	611.0	2,284.2	2,092.3	0.0	2,092.3
III. საოპერაციო სალდო	33,634.5	19,434.9	14,199.6	3,876.0	0.0	3,876.0
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	35,847.3	20,199.5	15,647.8	1,636.0	0.0	1,636.0
ზრდა	40,347.3	20,199.5	20,147.8	5,636.0	0.0	5,636.0
კლება	4,500.0	0.0	4,500.0	4,000.0	0.0	4,000.0
V. მთლიანი სალდო	-2,212.8	-764.6	-1,448.2	2,240.0	0.0	2,240.0

VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	-4,424.5	-764.6	-3,659.9	0.0	0.0	0.0
კლება	4,424.5	764.6	3,659.9	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	4,424.5	764.6	3,659.9	0.0	0.0	0.0
VII. ვალდებულებების ცვლილება	-2,211.7	0.0	-2,211.7	-2,240.0	0.0	-2,240.0
კლება	2,211.7	0.0	2,211.7	2,240.0	0.0	2,240.0
საშინაო	2,211.7	0.0	2,211.7	2,240.0	0.0	2,240.0
სესხები						
სხვა კრედიტორული დავალიანებები	-					
VIII. ბალანსი	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	98,151.2	21,824.6	76,326.6	70,500.0	0.0	70,500.0
შემოსავლები	93,651.2	21,824.6	71,826.6	66,500.0	0.0	66,500.0
არაფინანსური აქტივების კლება	4,500.0	0.0	4,500.0	4,000.0	0.0	4,000.0
გადასახდელები	102,575.7	22,589.2	79,986.5	70,500.0	0.0	70,500.0
ხარჯები	60,016.7	2,389.7	57,627.0	62,624.0	0.0	62,624.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	40,347.3	20,199.5	20,147.8	5,636.0	0.0	5,636.0
ვალდებულებების კლება	2,211.7	0.0	2,211.7	2,240.0	0.0	2,240.0
ნაშთის ცვლილება	-4424.5	-764.6	-3659.9	0.0	0.0	0.0

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 66500,0 ათასი ლარით:

დასახელება	ათას ლარში	
	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა

	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	93,651.2	21,824.6	71,826.6	66,500.0	0.0	66,500.0
გადასახადები	50,440.3	0.0	50,440.3	54,712.0	0.0	54,712.0
გრანტები	14,136.4	13,075.7	1,060.7	315.6	0.0	315.6
სხვა შემოსავლები	7,618.9	0.0	7,618.9	5,794.1	0.0	5,794.1

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 54712,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	50,440.3	0.0	50,440.3	54,712.0	0.0	54,712.0
დამატებითი ღირებულების გადასახადი	41,940.3		41,940.3	45,712.0		45,712.0
ქონების გადასახადი	8,500.0	0.0	8,500.0	9,000.0	0.0	9,000.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	6,300.0		6,300.0	6,520.0		6,520.0
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	90.0		90.0	100.0		100.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	130.0	0.0	130.0	130.0	0.0	130.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	680.0	0.0	680.0	750.0	0.0	750.0
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1,300.0	0.0	1,300.0	1,500.0	0.0	1,500.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 5600,0 ათასი ლარით:

ათას ლარში		
	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
გრანტები	36,916.8	5600,0
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	339.0	0.0
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	36,577.8	5,600.0
მიმდინარე	2,292.4	5,600.0
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	2,174.2	600.0
სპეციალური ტრანსფერი	0.0	5000,0
სხვა მიმდინარე გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	118.2	0,0
კაპიტალური	34,285.4	0,0
გრანტები ცენტრალური ბიუჯეტიდან	34,285.4	0,0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	34,285.4	0,0
სპეციალური ტრანსფერი	5,520.0	0,0
კაპიტალური ტრანსფერი	28,321.6	0,0
სხვა კაპიტალური დანიშნულების გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	443,8	0,0

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 6188,0 ათასი ლარით:

ათას ლარში		
დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	6,294.1	6,188.0
შემოსავლები საკუთრებიდან	1,170.0	940.0
პროცენტი	270.0	280.0
რენტა	900.0	660.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	1,491.0	1,350.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	1,301.0	1,160.0

სანებართვო მოსაკრებელი	390.0	200.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	1.0	0,0
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	210.0	210.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	700.0	750.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	190,0	190.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	3333,1	3538,0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	310,0	300.0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს **62624,0** ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2024 წლის გეგმა			2025 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	60,016.7	2,389.7	57,627.0	62,624.0	0.0	62,624.0
შრომის ანაზღაურება	9,436.1	0.0	9,436.1	10,006.5	0.0	10,006.5
საქონელი და მომსახურება	7,579.0	1,778.7	5,800.3	4,282.8	0.0	4,282.8
პროცენტები	1,451.3	0.0	1,451.3	841.0	0.0	841.0
სუბსიდიები	35,020.9	0.0	35,020.9	41,862.0	0.0	41,862.0
გრანტები	109.1	0.0	109.1	100.0	0.0	100.0
სოციალური უზრუნველყოფა	3,525.1	0.0	3,525.1	3,439.4	0.0	3,439.4
სხვა ხარჯები	2,895.2	611.0	2,284.2	2,092.3	0.0	2,092.3

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 1636,0 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა -5636,0 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება - 4000,0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	647,9	536,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	204,4	46,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	23,5	0,0
01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	420,0	490,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	38851,4	4395,0

02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	25477,2	780,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1319,4	1010,0
02 03	გარე განათება	100,0	100,0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	206,1	0,0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	1418,3	430,0
02 07	კეთილმოწყობა	1033,9	300,0
02 09	რგვ-დან მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	884,3	400,0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	6265,8	100,0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	5,5	10,0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	403,9	300,0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	266,5	65,0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1470,5	900,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	163,9	105,0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	17,9	0,0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	6,0	0,0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	40,0	5,0
03 05	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100,0	100,0
04 00	განათლება	152,6	200,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	102,6	100,0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	0,0	0,0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	50,0	100,0
04 04	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	0,0	0,0
04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	0,0	0,0
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	531,5	400,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	327,4	300,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	204,1	100,0
05 06	ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროგრამა	0,0	0,0

06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	0,0	0,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	0,0	0,0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	40347,3	5636,0

დასახელება	ათას ლარში	
	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	4500,0	4000,0
ძირითადი აქტივები	3500,0	2300,0
არასაცხოვრებელი შენობები	3460,0	2270,0
მანქანა დანადგარები და ინვენტარი	40,0	0,0
არაწარმოებული აქტივები :მ/შორის	1000,0	1700,0
მიწა	1000,0	1700,0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია
განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	ათას ლარში	
		2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
7.0 1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	13,755.2	13,770.0
7.0 1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	12,144.0	12,649.0
7.0 1.1.1	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	12,144.0	12,649.0
7.0.1.3	საერთო დანიშნულების მომსახურება	40.7	150.0
7.0.1.3.3	საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება	40.7	150.0
7.0.1.6	ვალთან დაკავშირებული ხარჯები	1,451.3	841.0

7.0.1.8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	119.2	130.0
7.0 3	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	800.0	490.0
7.0 4	ეკონომიკური საქმიანობა	48,262.4	15,305.0
7.04 2	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	1,418.3	430.0
7.0 4 5	ტრანსპორტი	29,716.6	5,700.0
7.0 4 5 1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	25,910.5	700.0
7.0 4 5 5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	3,806.1	5,000.0
7.047	ეკონომიკის სხვა დარგები	316.5	95.0
7.0 4 7 3	ტურიზმი	316.5	95.0
7.0 4 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	16,811.0	9,080.0
7.0 5	გარემოს დაცვა	8,570.0	9,325.0
7.0 5 1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	6,400.0	7,000.0
7.0 5 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა გარემოს დაცვის სფეროში	2,170.0	2,325.0
7.0 6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	2,166.1	1,090.0
7.0 6 1	ბინათმშენებლობა	240.0	240.0
7.0 6 4	გარე განათება	1,445.0	850.0
7.0 6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	481.1	0.0
7.0 7	ჯანმრთელობის დაცვა	2,145.0	1,985.0
7.0 7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	495.0	335.0
7.0 7 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	1,650.0	1,650.0
7.0 8	დასვენება, კულტურა და რელიგია	7,059.3	7,790.0
7.0 8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,482.0	1,950.0
7.0 8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	4,185.0	4,625.0
7.0.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	65.0	70.0
7.0 8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	135.0	135.0
7.0 8 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და დაცვის სფეროში	1,192.3	1,010.0
7.9	განათლება	14,556.7	16,130.0
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	11,230.0	14,470.0
7.0 9 6	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	1,065.0	1,200.0
7.0 9 8	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	2,261.7	460.0
7 10	სოციალური დაცვა	3,049.3	2,375.0
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	315.0	250.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	44.0	35.0
7 10 3	მარჩენალ დაკარგულთა სოციალური დაცვა	120.0	110.0

7 10 4	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	95.0	80.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	2,405.3	1,810.0
	სულ	100,364.0	68,260.0

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს 2240,0 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 3876,0 ათასი ლარით:

დასახელება	ათას ლარში	
	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	33634,5	3876,0
მთლიანი სალდო	2212,8	2240,0

დასახელება	2024 წლის გეგმა	2025 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	-4424,5	0.0
კლება	4424,5	0.0
ვალუტა და დეპოზიტი	8226,9	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	4424,5	0.0

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება განისაზღვროს 2240,0 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული წარმოადგენს სასესხო ვალდებულებათა დაფარვის თანხას, რომელიც სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან და საქართველოს მთავრობასთან რედაქტირებული კაპიტალური ინვესტიციების (საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაციის, ნაგავმზიდი მანქანებისა და კონტეინერების შეძენის, ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის რეაბილიტაციის, მუნიციპალური ავტოპარკის გაფართოების მიზნით) სასესხო ხელშეკრულებებით არის გათვალისწინებული. აღნიშნული სასესხო ვალდებულებების საწყისი ნაშთი 2024 წლის 1 იანვრისთვის გახლავთ 18953,1 ათასი ლარი, 2025 წელს სასესხო ვალდებულებებით გადასახდელი თანხა შეადგენს 2240,0 ათას ლარს, ხოლო საბოლოო ნაშთი 2025 წლის 31 დეკემბრისთვის იქნება 14975,5 ათასი ლარი.

დასახელება	ათას ლარში	
	2024 წელი	2025 წელი
ვალდებულებების ცვლილება	-2211,7	-2240,0
ზრდა		
საშინაო		
საგარეო		
კლება	2211,7	2240,0
საშინაო	2211,7	2240,0

თავი II.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 13. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს **16395,0** ათასი ლარი. ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	16,395.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	930.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	500.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	200.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	230.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,010.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	340.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	670.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	850.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	5,000.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	5,000.0
02 04 02	საზოგადოებრივი დანიშნულების მუნიციპალური ავტოპარკის განახლებისა და გაფართოების პროგრამა	0.0
02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	240.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	430.0
02 07	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	5,700.0
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა(მათ შორის მწვანე ბიუჯეტი 100.0 ათ.ლარი)	5,500.0
02 07 02	ადმინისტრაციული,საცხოვრებელი სახლების და მრავალბინიანი ეზოების კეთილმოწყობა	0.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა	200.0

02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0
02 09	რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	600.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	100.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	20.0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	400.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	20.0
02 15	საინვესტიციო პროექტების, დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	65.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1,000.0

პროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01		930,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		

მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ადაპტირებულია ქალაქის ქუჩების ნაწილი და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საზავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის.
--------------------	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		500.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (ორმული შეკეთების) სამუშაოები და მოსაცდელის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე არასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე №22 ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2025 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა, კეთილმოწყობილია მოსაცდელები; უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგირების მშენებლობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG),	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		

რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
მოსალოდნელი შედეგი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული და ახლად მოწყობილი საკომუნიკაციო ობიექტები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		230,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლებისა და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილება სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში, სატრანსპორტო საშუალებების დროული ,შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. მოწყობილია დასახლების აღმნიშვნელი აბრები კომფორტული გადაადგილება.		
	1.საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების შეძენა-მონტაჟი, 2. გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოები, 3. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შეძენა, 4. ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების შეძენა-მონტაჟი, ახალი საგზაო ნიშნების განთავსება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. 5.ზუგდიდის ადმ.საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (m2 და m3) კატეგორიების ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის, გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და ნებართვის რეგულირების წესის დამტკიცების დადგენილების ნიმუშის შემუშავება და წარდგენა საკრებულოში დასამტკიცებლად 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნების განახლება. 7. საპარკინგე სისტემის მოწესრიგება და მონიტორინგი. 8. ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობის და ტაბლოების შესყიდვაზე ტენდერის გამოსაცხადებლად დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების აღმნიშვნელი აბრები; მგზავრთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება; შემცირებული საცობები; გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02		1010,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ასევე სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების არსებული სისტემა და მოსახლეობა ნაწილი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		340,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს წყლის სტაბილური მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით.		

--	--

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		670,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 03		850,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---	----------------------------------

	02 04 01		5000,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ემსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; მგზავრების გადაყვანის შეღავათიან და კომფორტული პირობების შექმნას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	გადახდის ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა სრულად, ავტობუსების გაჩერების ადგილებზე სპეციალური ნიშნების დამონტაჟება. მძღოლებისა და კონტროლიორების სპეციალური ფორმების შეძენა განახლება წელიწადში ერთხელ.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 05		240,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამით, ამხანაგობების საერთო ქონებების ექსპლუატაციისა და განვითარების მიზნით, ბმა-ს მიერ წარმოდგენილი პროექტებით-რეაბილიტაციის, აღდგენის და მოწყობის სამუშაოების დაფინანსება-განხორციელება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	საცხოვრებელი კორპუსების საექსპლუატაციო ვადის გაზრდა; მოსახლეობისათვის უსაფრთხო და კომფორტული გარემოს შექმნა; მოწესრიგებული, რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ინფრასტრუქტურა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	
	02 06		430.0	
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ადმინისტრაციული ერთეულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის მხარდაჭერა. პროექტის კონკრეტული მიზნებია: • სოფლის შიდა გზების რეაბილიტაცია; • წყალმომარაგების სისტემების მოწყობა; • გარე განათების სისტემების მოწყობა; • სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია; • სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა-რეაბილიტაცია; • სკვერების და პარკების მოწყობა-რეაბილიტაცია. „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“ გათვალისწინებული თანხები მიიძღვრება ადმინისტრაციული ერთეულების პირველი რიგის მცირე ინფრასტრუქტურულ საჭიროებათა დასაფინანსებლად. გასული წლების პრაქტიკის გათვალისწინებით, პროგრამის ფარგლებში ხორციელდება სოფლის შიდა გზების (მოხრეშვა), გარე განათების, სკვერების, წყალმომარაგების სისტემების, სანიაღვრე არხების, სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება-მოწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სოფლის ინფრასტრუქტურის განვითარება

პროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი სივრცეების კეთილმოწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07		5700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; საზოგადოებრივი დანიშნულების ინფრასტრუქტურული სივრცეების მოწესრიგება და განვითარება; მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის მიმზიდველი გარემოს შექმნა, სადაც გათვალისწინებული იქნება შშმ პირთა, საბავშვო ეტლით მოსარგებლეთა, ბავშვების, ქალების და კაცების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა-პატრონობა; დაგეგმილია საზოგადოებრივი სივრცეების მოწესრიგება: პარკებისა და სკვერების მოწყობა/რეაბილიტაცია; განხორციელდება სხვადასხვა ინფრასტრუქტურული ობიექტების მოვლა-პატრონობა: სანიაღვრე არხების, შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა და სხვა. შშმ პირთათვის ფიზიკური ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაგეგმილია საზოგადოებრივი ობიექტების ადაპტირება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი		

	განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	მუნიციპალიტეტში მოწესრიგებულია საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტები		

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 01		5500,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „კეთილმოწყობის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და თვითმმართველი ერთეულის სარგებლობაში/საკუთრებაში არსებული ობიექტების კეთილმოწყობა და მოვლა. კერძოდ, გარე განათების ქსელის მოწყობა, არსებულის მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; სანიაღვრე ქსელების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; შადრევან-აუზების მოვლა, ექსპლოატაცია და რეაბილიტაცია; ტროტუარებისა და ბორდიურების კეთილმოწყობა და რეაბილიტაცია; გამწვანების ზოლების მოწყობა; ხეებისა და მცენარეების დარგვა, ჩანაცვლება და მოვლა-პატრონობა; შიდა სარგებლობის გზების, ხიდების, მიწისქვეშა გადასასვლელის, მდინარეთა ჯებირების და სხვა ნაგებობების მოწყობა, შეკეთება და მოვლა-პატრონობა; გზაჯვარედინების მარეგულირებელი შუქნიშნების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია; მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების და კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაცია; სადღესასწაულო დღეებში გაფორმების ღონისძიებების უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები უმწეო და სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის მიზნობრივი მომართვის საფუძველზე საცხოვრებელი შენობის მცირე შეკეთებითი სამუშაოების ჩატარება; მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „სასაფლაოების მოწყობისა და მოვლა-პატრონობის“ წესის შესაბამისად სამუშაოების ჩატარება. პროგრამის ფარგლებში, ასევე შეიქმნება არარეგისტრირებული კავშირები (ე.წ. ადგილობრივი განვითარების ჯგუფები), რომლებიც მუნიციპალიტეტს მიმართავენ გამწვანების პროექტებითა და სავარაუდო ხარჯთაღრიცხვებით, ხოლო მუნიციპალიტეტი, თავის მხრივ უზრუნველყოფს აღნიშნული პროექტების თანადაფინანსებას პროექტის საერთო ღირებულების 95 პროცენტით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების და მოვლა-პატრონობის ეფექტიანობის ამაღლება; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების გაუმჯობესებული იერსახე; ბუნების სტიქიისა და შესაძლო რთული მეტეოროლოგიური პირობების შედეგად მოსახლეობისათვის შესაძლო ზიანისა და მატერიალური ზარალის მიყენების შემცირებული რისკები; კეთილმოწყობილი და დასუფთავებული სასაფლაო მეურნეობა; მწვანე ბიუჯეტი ხელს შეუწყობს მოქალაქეების აქტიურ ჩართულობას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, რაც უზრუნველყოფს განხორციელებული პროექტების მდგრადობას (მოქალაქეებს შესძენს მათი ინიციატივით განხორციელებული პროექტებისადმი მესაკუთრეობის განცდას), ხოლო მეორე მხრივ, ქალაქის ტიპის დასახლებებისთვის დამახასიათებელ ურბანულ გარემოში მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ეკოლოგიურ მდგომარეობას.
--------------------	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 07 03		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონებრივი აქტივების კერძოდ კაპიტალური შენობებისა და ნაგებობების კეთილმოწყობა, რეაბილიტაცია და მოვლა-პატრონობა. აღნიშნულ შენობებში შშმ პირთათვის ადვილად შეღწევადობის უზრუნველსაყოფად შესაბამისი სამუშაოების ჩატარება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	ხარისხობრივი თვალსაზრისით გაუმჯობესებული მუნიციპალური აქტივები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 08		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „სამეგრელო-ზემო სვანეთის დანიშნულების ადგილის მართვის ორგანიზაცია“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ტურიზმის პოპულარიზაციისათვის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში არსებული მუნიციპალიტეტების მიერ ერთობლივი საქმიანობის განხორციელება: საინფორმაციო-სარეკლამო საშუალებების გამოყენება; ბუკლეტების დამზადება- გავრცელება; ტურისტული მომსახურების (გიდების, ექსკურსიამდლოების გადაადგილებისათვის სატრანსპორტო მომსახურების და სხვა) უზრუნველყოფა; რეგიონში ღირსშესანიშნავი ადგილების დათვალიერების ტურების შეთავაზება-მომსახურება; დონორებთან მუშაობა ფინანსური მხარდაჭერის (გრანტები) საკითხებზე.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		

მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული ღირსშესანიშნაობებისა და ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ცნობადობის ამაღლება; ადგილობრივი და უცხოელი ტურისტების, ვიზიტორებისა და დამსვენებლების გაზრდილი ოდენობა; ღონორების დაინტერესება მხარის ღირსშესანიშნაობებით.
--------------------	--

პროგრამის დასახელება	კოდი	რგგ-დან მეგ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 09		600,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის სახსრებით განხორციელდება ძირითადი მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 10		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსურ-მატერიალური საფუძვლების შექმნა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციის სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია დაფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	ლიკვიდირებულია სტიქიით გამოწვეული შედეგები და უზრუნველყოფილია დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენა-ფუნქციონირება		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 11		20.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ექსპერტიზა და სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოს საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის ექსპერტიზა, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა, შენობა-ნაგებობების და საინჟინრო კომუნიკაციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ექსპერტიზების მომზადება;		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია ინფრასტრუქტურული სამუშაოების ხარისხის და მოცულობის შესაბამისობის კონტროლი		

პროგრამის დასახელება	კოდი	საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 12		400,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი სხვადასხვა სახის პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია კაპიტალური სამშენებლო პროექტების შეუფერხებლად და ხარისხიანად განხორციელება;		

პროგრამის დასახელება	კოდი	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 13		20,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის ქონების მართვის განყოფილება		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომ გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება, მათ შორის სტრატეგიული ძირითადი აქტივების.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	უძრავი ქონების მართვისა და პრივატიზების ეფექტური პროცესის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული დამატებითი ქონების ზრდა, რომელიც ასახულია ბალანსზე.

პროგრამის დასახელება	კოდი	საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 15		65,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	1. მდგრადი ენერგეტიკისა და კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის (SECAP) მომზადებაში მონაწილეობის მიღება. აღნიშნული სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს, ევროკავშირის ინიციატივა „მერების შეთანხმება კლიმატისა და ენერგეტიკისთვის“ ფარგლებში მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულებების შესრულებას. 2. გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ადგილობრივ დონეზე დანერგვა, მისი მონიტორინგი და ანგარიშგება. 3. საერთაშორისო და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა. 4. მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება 2024-2027; 5. GIZ-ს პროექტი „მდგრადი ქალაქები საქართველოში“, კლიმატზე ორიენტირებული , თანამონაწილეობითი, ფინანსირებისთვის მზა, ინტეგრირებული ურბანული განვითარების პროექტების შემუშავებასა და განხორციელებაზე ურბანული ლაბორატორიების მეთოდოლოგიის დანერგვით. 6. ევროკავშირის პროექტი „ერთად მწვანე ქალაქებისთვის“ „Acting together for Greener Cities“.		
მოსალოდნელი შედეგი	• დონორების მიერ ორგანიზებულ საკოორდინაციო შეხვედრებში მონაწილეობა; • შექმნილი საინვესტიციო პორტფელი, იდენტიფიცირებული საინვესტიციო პოტენციალი.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სამოქალაქო ბიუჯეტი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	02 16		1000,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სამოქალაქო ბიუჯეტი არის პირდაპირი დემოკრატიის მექანიზმი, რომელიც ქმნის შესაძლებლობას მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირებისას გათვალისწინებულ იქნას საზოგადოებრივი ინტერესები. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საბიუჯეტო პროცესში ხელისუფლებისა და საზოგადოების ურთიერთქმედების ეფექტური სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეებს სთავაზობს თავად შეიმუშაონ კონკრეტულ დასახლებაში არსებული პრობლემის გადაჭრის გზები და რიგი პროცედურების გავლის შედეგად განსაზღვრონ პრიორიტეტული პროექტები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ადგილობრივი ხელისუფლებისა და მოსახლეობის ურთიერთთანამშრომლობა პრიორიტეტების განსაზღვრის საქმეში, უზრუნველყოფილია მოსახლეობის ჩართულობა საბიუჯეტო პროცესში და ქ. ზუგდიდში გაუმჯობესებულია საცხოვრებელი გარემო;		

მუხლი 14. დასუფთავება და გარემოს დაცვა

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 9325,0 ათასი ლარი. დასუფთავება და გარემოს დაცვის პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	დასახელება	ათას ლარში
		2025 წლის გეგმა
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	9,325.0
03 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	7,000.0
03 02	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS" ფინანსური ხელშეწყობა	900.0
03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	1,200.0
03 04	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	85.0
03 05	პარკების,სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	100.0
03 08	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან	40.0

პროგრამის დასახელება	კოდი	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	2024 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 01		7000,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ცენტრის პროგრამა, ძირითადი მიზანი და პრიორიტეტები: ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრის“ ძირითადი მიზანია: მუნიციპალური მყარი ნარჩენების მართვა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, როგორც ქალაქში, ასევე სასოფლო ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალ ქალაქში და 48 სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულში საჯარო და საზოგადოებრივი სარგებლობის ადგილების, შიდა გზების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, მოსახლეობის ყოველდღიური კონცენტრაციის ადგილების (ცენტრალური სუპერმარკეტის და სხვა დიდი კომერციული ობიექტების მიმდებარე ტერიტორიები), დაგვა - დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა - შეგროვება და დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე, ნარჩენების შეგროვება მოსახლეობიდან, კერძოდ: კარდაკარ - შემოვლით ქალაქის 480 ქუჩაზე მცხოვრები 8,8 ათასი კომლიდან და 48 სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრები 18 ათასი კომლიდან, ასევე კოლექტიური (კონტეინერული) მეთოდით შეგროვებული ნარჩენებისაგან 2653 კონტეინერის დაცლა-დატვირთვა სატრანსპორტო საშუალებებზე და ტრანსპორტირება ნაგავსაყრელში. მყარი ნარჩენების გატანა მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული 1220 - ზე მეტი ობიექტიდან. პროგრამის მიზანს წარმოადგენს ასევე ქალაქისა და მუყაოს სეპარირებული შეგროვების, დამუშავების და რეალიზაციის 2023 წელს მიღწეული მაჩვენებლის, კერძოდ, წარმოქმნილის 17%-ის გაზრდა 2025 წლისათვის - წარმოქმნილის 30%-მდე, ხოლო 2028 წლისათვის 60% -მდე; პლასტიკატის სეპარირება - რეციკლირების პროცესების დანერგვა 2025 წლისათვის წარმოქმნილის 5 – 10 % - მდე, 2028 წლისათვის კი 60%-მდე და ამ მხრივ არსებული რესურსების ცირკულარულ ეკონომიკაში ჩართვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		

მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი მუნიციპალური ნარჩენების სრულყოფილი, ეფექტიანი მართვა საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილს დამტკიცებული “ნარჩენების მართვის 2016 – 2030 წლების ეროვნული სტრატეგიის“, “ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმის“ და საკრებულოს მიერ 2022 წლის 23 დეკემბერს დამტკიცებული “ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წწ სამოქმედო გეგმით” განსაზღვრული პრიორიტეტების შესაბამისად. 2025-2028 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების დაფინანსების განხორციელების შედეგად: • მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდება ნარჩენების გარემოზე ზემოქმედების უარყოფითი შედეგები და გაუმჯობესდება ეკოლოგიური გარემო; • შეიქმნება საზოგადოების ინტერესებზე მორგებული ნარჩენების მართვის ეფექტიანი სისტემა; • მყარი ნარჩენების შეგროვების, განთავსებისა და სეპარირება - რეციკლირების პროგრამების განხორციელებით, გარემოზე და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაინერგება ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტები და შეიქმნება მოსახლეობისა და ეკოსისტემის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ოპერირების სისტემა; • როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქი და სოფლები, ბაღები და სკვერები, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა ტურისტული ობიექტები; • ნარჩენების გატანის სერვისი მიეწოდება ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების 100 პროცენტს, ხოლო სოფლის მოსახლეობის 95 პროცენტს; • ქაღალდისა და მუყაოს სეპარირებული შეგროვების, დამუშავების და რეალიზაციის 2023 წელს მიღწეული მაჩვენებელი, კერძოდ, წარმოქმნილის 17% - ი გაიზრდება 2025 წლისათვის 30 % - მდე, 2028 წლისათვის კი 60% - მდე; • პლასტიკატის სეპარირება-რეციკლირების პროცესი დაინერგება 2025 წლისათვის წარმოქმნილის 5 – 10 პროცენტამდე, 2028 წლისათვის კი 60 პროცენტამდე და ამ მხრივ არსებული რესურსები ჩაირთვება ცირკულარულ ეკონომიკაში; • უზრუნველყოფილი იქნება საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წწ გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება; • 20 %-ით გაუმჯობესდება ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

	• 2025– 2028 წლებში როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სრულყოფილი სისტემის დანერგვით, 40% - ით გაიზრდება მომსახურების მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი; • 2025–2028 წლებში მოსაკრებლების ამოღების გაზრდითა და ქაღალდისა და პლასტიკატის მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად შემცირდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირების მაჩვენებელი.
--	---

პროგრამის დასახელება	კოდი	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 02		900.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, განახლება; კერძოდ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ანაკლია-განმუხურის ბულვარის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის, კაფე-რესტორნის, ამფითეატრის, მინი-ფეხბურთის მოედნის, კალათბურთის მოედნის, ტენისის კორტის, ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნების მოვლა-პატრონობა; ინვესტირებისა და ვიზიტორებისთვის შესაბამისი თანამედროვე გარემო პირობების შექმნა. პროგრამის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში არსებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა, ამ კუთხით წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ ვეგეტაციის დაწყების (ადრე გაზაფხულზე) და ვეგეტაციის დასრულების პერიოდისთვის (გვიან შემოდგომაზე). მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება ხე-მცენარეების გამოკვება სხვადასხვა სასუქ-მინერალებით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	2025-2028 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად: 1. მკვეთრად გაუმჯობესდება და განახლდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა; 2. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი გახდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი; 3. კომპანიაში გაჩნდება დამატებითი საკუთარი შემოსულობები.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 03		1200,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ოთხმოცამდე გვარის მრავალი სახეობის ხე, ბუჩქი და მცენარე იზრდება, მათ შორის მაგნოლიის ექვსი სახეობა, სხვადასხვა სახეობის მუხა, ატლასისა და ჰიმალაის კედარი, კანარის ვერხვი, აზიის, მათ შორის ინდოეთის, იაპონიის, ხმელთაშუაზღვისპირეთის, ამერიკის და სხვა ადგილებიდან შემოტანილი რელიქტური და ენდემური მცენარეები. როგორც მდებარეობით, ასევე კლიმატური პირობებით ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი ერთ-ერთ საუკეთესო ბაზას წარმოადგენს ძვირფასი სუბტროპიკული მცენარეების ინტროდუქციის, კვლევისა და აკლიმატიზაციისათვის. პროგრამის მიზანია ზუგდიდის რეაბილიტირებული ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობა; მისი განვითარების ხელშეწყობა; ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღდგენა/შეკეთება; ისტორიულ წყაროებში მითითებული კამელიების, ჰორტენზიების და ბზის ხეივნების აღდგენა განვითარება, ოჯალეშისა და ოქროწვიმის ხეივნების მოწყობა; დენდრარიუმის მოწყობა 5 ჰექტარზე. არსებული ფლორის ახალი კოლექციებით გამდიდრება; მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა; ადგილობრივი მაცხოვრებლებისა და ტურისტებისათვის დასასვენებლად კომფორტული გარემოს შექმნა; სათბურში არსებული და ახალი სახეობების მცენარეთა ჩითილების გამოყვანა და გამრავლება; მცენარეთა სხვა-ფორმირება და კონსერვაცია; მავნებელ დაავადებებთან და მწერების საწინააღმდეგო ღონისძიებების ორგანიზება; ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე სპორტული, კულტურულ-შემეცნებითი, გასართობი, საგანმანათლებლო და სადღესასწაულო ინფრასტრუქტურის განვითარება; ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისთვის საჭირო ტექნიკისა და აღჭურვილობის შეძენა; სამეცნიერო ცენტრის შექმნის მიზნით საგანმანათლებლო და სამეცნიერო ბაზის ფორმირება; ჰერბარიუმის შექმნა; სამეცნიერო ექსპედიციების ორგანიზება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისთვის (მეტნაკლებად) დაბრუნებული ისტორიული იერსახე და ბოტანიკური ბაღებისათვის-21 საუკუნეში განსაზღვრული დღის წესრიგის შესრულება •ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება •ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამედროვე სტანდარტებზე მორგება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო დაწესებულებად ჩამოყალიბება •ზუგდიდის ბოტანიკური ბაღი, როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება •ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში მრავალფეროვანი სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 04		85,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი სოფლის მეურნეობის განვითარების პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; სოფლის მეურნეობის დარგში საინვესტიციო პროექტების განხორციელების ხელშეწყობა და დაინტერესებულ პირთა საჭირო ინფორმაციით უზრუნველყოფა; მელიორაციის სფეროში საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პროექტების ხელშეწყობა უფლებამოსილების ფარგლებში; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სათანადოდ მოდერნიზაციის ღონისძიებების განხორციელება; მეცხოველეობის დარგის მდგომარეობის მონიტორინგი; სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების, მომსახურების ცენტრების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაცია და დაინტერესებული უწყებებისთვის /პირებისთვის/ მიწოდება; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელება და ამ სფეროში დასაქმებული ან დასაქმების მსურველი ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობა; სოფლის-მეურნეობის დარგში დასაქმების მსურველთა ბაზის შექმნა, მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეროვნული ტრადიციებისა და გამოცდილების, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აგრარული პროექტების განხორციელების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვება, მათი სისტემატიზაცია და ანალიზი; მოსახლეობისთვის აგრარულ საკითხებზე საკონსულტაციო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა. პროგრამის მიზანია ასევე, მსხვილფეხა პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერების პოპულარიზაცია ფერმერებში, კერძოდ პროგრამის ფარგლებში მოხდება ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების საფასურის ფაქტიურად სრულად სუბსიდირება, ასევე დაინტერესებულ ფერმერებს საშუალება ექნებათ უფასო კონსულტაციისა და ტრენინგების პროგრამაში მიიღონ მონაწილეობა. პროგრამა ამავედროულად ითვალისწინებს „დაფნის ბადის მოწყობა“ -ს სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის, მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ცოდნის მიღება/ამაღლების და გრძელვადიან პერსპექტივაში სტაბილური შემოსავლების მიღების, მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით.
მოსალოდნელი შედეგი	მხარდაჭერილია სოფლის მეურნეობის განვითარება; შექმნილია სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურა; გაუმჯობესებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა; დაინტერესებული პირები ინფორმირებული არიან სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდას და ქმნის მეტ დოვლათს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების და ბუღვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 05		100.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შეძენა-მონტაჟი. დაგეგმილია ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, თეატრის ქუჩაზე, სკვერის მოწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		

(SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	03 08		40.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდება ქ. ზუგდიდისა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, მგლებისა და ტურების ბუნებრივი გარემოდან ამოღების, მღრღნელებისა და ინფექციის გადამტანი სხვა ცხოველებისგან ადამიანების დაცვის პრევენციული ღონისძიებები.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.		

მუხლი 15. განათლება

განათლების პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 16130,0 ათასი ლარი. განათლების პიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
04 00	განათლება	16130,0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	14470,0
04 02	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა რეაბილიტაცია	0,0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	1200,0
04 04	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	90,0
04 05	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	320,0
04 06	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	50,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	---	----------------------------------

	04 01	14470,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45-სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1053. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგიის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელო უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა; სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა; სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა; სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება; აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა; კვების ნორმის გაუმჯობესება; სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცული ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;	
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის	
მოსალოდნელი შედეგი	სწავლების ხარისხის ამაღლება; კვების ხარისხის ამაღლება; ბაღების აღჭურვა	

პროგრამის დასახელება	კოდი	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 03		1200,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლე		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება		

	თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების ლიტერატურის და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას. უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მარალპროფესიულ დონეზე სწავლებას და პოპულარიზაციას, (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართულ ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეჯღლოსო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე -ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 800-მდე მოზარდი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 75 თანამშრომელი, მათგან 34 პედაგოგია. ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელობის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს- ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა.ახალგაზრდებისა და მოზარდების მეტად გააქტიურება და დაინტერესება, განვითარება გაუმჯობესებული უნარ-ჩვევებით და შესაძლებლობებით, მათი როლის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნარების გამომჟღავნება პროექტების დაგეგმვასა და განახორციელებაში,წლის მანძილზე განხორციელებულ პროგრამებში ჩართული რაოდენობი გაზრდა, მათი შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებულ მოზარდთა რაოდენობის გაზრდა, საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლებისა და სოციალური აქტივობების ხელშეწყობა, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა.ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ინფრასტრუქტურის სრულყოფამ, სასწავლო გარემოს განახლებამ, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფამ და სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვამ განაპირობა ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ზრდა.

პროგრამის დასახელება	კოდი	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 04		90,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		

პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების/ლონისძიებების განხორციელებას. ეროვნულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენების და თარიღების აღნიშვნას, მუნიციპალიტეტის ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთა (მოსწავლეები, სტუდენტები) უნარების განვითარების მიზნით ბანაკების, კონფერენციების, სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას და ჩატარებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. სკოლამდელი აღზრდის სფეროს მხრდაჭერას.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მოსალოდნელი შედეგი	სწავლა/სწავლების გაზრდილი მოტივაცია; განათლების სფეროს წარმომადგენელთა კვალიფიკაციის და საზოგადოების შემეცნებითი უნარების განვითარება.

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 05		320,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძველთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შემოქმედებითი, აკადემიური უნარების მქონე განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვების დაფინანსება - სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად; მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე სტუდენტებისთვის მერის სტიპენდიის დანიშვნა; ფინანსური დახმარება ასევე გათვალისწინებული იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უცხოეთის აკრედიტებულ სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო და კერძო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;		

პროგრამის დასახელება	კოდი	შოთა მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	04 06		50,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული აკრედიტებული ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური ხელშეწყობა, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიმართულია აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შექმნილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შ.მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, ხოლო მოსალოდნელი შედეგია საუნივერსიტეტო ცხოვრების გააქტიურება.		

მუხლი 16. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი

კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 7790,0 ათასი ლარი. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რდაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7790,0
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	2150,0

05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1800,0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	150,0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	200,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4830,0
05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1900,0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80,0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	1065,0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	460,0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	70,0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135,0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	1100,0
05 02 08	ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა	20,0
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	80,0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	700,0
05 05	შ.დადიანის სახელობის სახ. დრამატული თეატრი ხელშეწყობის პროგრამა	30,0

პროგრამის დასახელება	კოდი	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01		2150,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება; ახალგაზრდული პოლიტიკის ხელშეწყობა; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; ახალგაზრდობის სულიერი და ფიზიკური ჰარმონიული განვითარება; სპორტული ტრადიციების დაცვა-გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის შენარჩუნება; სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია. პროგრამა მოიცავს 3 ქვეპროგრამას: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი, სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება, მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია.		

მოსალოდნელი შედეგი	ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1800,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება. ცენტრი ახორციელებს ისეთი სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების დაფინანსებას, როგორიცაა: სასკოლო სპორტული ოლიმპიადები - ოლიმპიადები ტარდება სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში; მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი სპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირის დაფინანსება; გასვლით ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების ფინანსური ხელშეწყობა; წარმატებული სპორტსმენების წახალისება, რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლის ჩემპიონის ტიტული ან გავიდნენ საპრიზო ადგილებზე; წარმატებული მწვრთნელების (რომელთა აღსაზრდელებმაც მოიპოვეს მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული) წახალისება; სპორტული სექციებისა და ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და სხვა.		
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარება სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 02		150,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული და ახალგაზრდულ -შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდული პროექტების განხორციელება და დაფინანსება. პროგრამა მოიცავს: სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარებას, დაფინანსებასა და ხელშეწყობას, მასობრივი სპორტის განვითარებას, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაციას, სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელებას, შშმ პირების ხელშეწყობასა და მათ სრულფასოვან ინტეგრაციას საზოგადოებაში, ახალგაზრდული საქმიანობის		

	მხარდაჭერას, ახალგაზრდულ პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციების პროექტების ფინანსურ მხარდაჭერას, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მხარდაჭერას, ახალგაზრდული თვითმმართველობების გაძლიერებასა და ახალგაზრდული სივრცეების მოწყობას, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდას გასართობ-შემეცნებით-სპორტულ აქტივობებში. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებას, ქალების ჩართვას სხვადასხვა აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობას, მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერას, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების განვითარებას, მათი მოტივაციის ამაღლებას, მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდას, ახალგაზრდების გართობა-დასვენების და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდას.
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ნიჭიერი ინტელექტუალური ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; სპეციალური საჭიროების მქონე შშმ ახალგაზრდების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა; ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ახალგაზრდებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა; ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და პროექტების მხარდაჭერა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 03		200,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, მეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია.		
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	რეაბილიტირებულია სპორტული ინფრასტრუქტურა და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო ახალგაზრდებისა და მოზარდი თაობის წვრთნისა და სპორტული მომზადებისათვის		

პროგრამის დასახელება	კოდი	კულტურის სფეროს განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02		4830,0

პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური.
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა და განვითარება; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების ხელშეწყობა; ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნება; შემოქმედებითი პროცესების წარმართვა; კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავება; ადამიანის სულიერი, ინტელექტუალური, მორალური და ემოციური განვითარების ხელშეწყობა. პროგრამა მოიცავს 7 ქვეპროგრამას.
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებისთვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა, კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა და ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა შემოქმედებითი კოლექტივების საქმიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 01		1900,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ სტრუქტურა შედგება: მიხეილ (მაცი) ხორავას სახ. სამხატვრო გალერეას, ადგ. მუზეუმებს და ჩხორიის სამოყვარულო თეატრის და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის აღორძინებას, ენთოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, განვითარებას და პოპულარიზაციას. ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობას, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენას და შენარჩუნებას. ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვას და მისი წარმომავლობისა კუთხური თავისებურებების (მომრავაობა, ილეოები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენას, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენას. ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვას, მუდმივად სხვადასხვა მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების გახსნას, რაც ხელ უწყობს სახვითი ხელოვნების განვითარებას. ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისადმი და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი		
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება; მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი საღამოების მოწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 02		80,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენას, მოვლა - შენახვას და სახელმწიფო დაცვის ქვეშ მოქცევას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების გამოცემას, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებების ორგანიზებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების სამიუზეო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია - გამოფენების ორგანიზებას, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია-ლაშქრობების მოწყობას, მოსწავლე -ახალგაზრდებში სამეცნიერო კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას და პოპულარიზაციას; საველე-არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების გზით არქეოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და აქტუალური პროცესების გაცნობას, ახალგაზრდებში პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომ ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა შეძლონ გამოცდილ არქეოლოგებთან ერთად აწარმოონ გათხრები, მოიპოვონ არქეოლოგიური მასალები და დაამუშაონ ისინი შესაბამისი წესით, რაც ხელს შეუწყობს არქეოლოგთა მომავალი თაობების ჩამოყალიბებას და ა.შ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებში საპროექტო წინადადებების წარდგენა და თანადაფინანსების მოპოვება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	მოსალოდნელია მრავალი ახალი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტის თუ არტეფაქტების გამოვლენა, მათი პოპულარიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ტურისტულად საინტერესო ობიექტების და ნიმუშების გამოვლენა და მიმზიდველი გარემოს შექმნა. გაიზრდება კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების დაცვის მექანიზმი. განადგურების პირას მყოფ ძეგლებს ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია. გამოვლინდება ახალი ობიექტები. გაიზრდება მათი ცნობადობა. ძეგლები ჩაერთვებიან სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტებში და ა.შ. მოხდება ძეგლების რევიტალიზება და კომერციალიზაცია ძეგლები ჩაერთვებიან სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტებში და ა.შ. მოხდება ძეგლების რევიტალიზება და კომერციალიზაცია		

პროგრამის დასახელება	კოდი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	----------------------------------

	05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	1065,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და 27 სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისგან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2024-2027 წლებში იზრუნებს მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციისა და საბიბლიოთეკო დოკუმენტების მიწოდების კუთხით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვე ავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებით მოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მკითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში; ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და შესაბამისად გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.		
მოსალოდნელი შედეგი	• ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნით დაინტერესება; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა; • თანამშრომლების საქმიანობის პროდუქტიულობის ზრდა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		460,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, მეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, კულტურის განყოფილება		

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი სადამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების სადამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა.
მოსალოდნელი შედეგი	დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		70,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობის და პროტოკოლის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემკერული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფორმაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა.		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		135,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, კულტურის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის N177 19.02.2014 წ. დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-ზედამხედველობის მიზნით სსიპ საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებას და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემდგომი ქმედითი ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა. სახალხო -რელიგიური დღესასწაულების მოწყობა და პოპულარიზება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება საკულტო - სარიტუალო შენობა ნაგებობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ხელი შეეწყობა მრევლისთვის ადაპტირებულ გარემოს. გაიზრდება ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლები ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		1100,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების განვითარების ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება ბავშვებისათვის მუსიკალური ხელოვნების საფუძვლების გაცნობას. მათი ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, მუსიკალური ხელოვნების სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებითი განვითარების ხელშეწყობას, მოზარდებში გარესამყაროს მხატვრული აღქმის უნარის ჩამოყალიბებას; გამომსახველობით საშუალებათა ტექნიკის განვითარებას, მოსწავლეთა ხელოვნების საფუძვლების ზიარებას. პროგრამა, ასევე უზრუნველყოფს მომავალი თაობების ცოდნის		

	გადრმავეებს, კულტურული მემკვიდრეობის შესწავლა-შენარჩუნების მიზნით საჭირო ღონისძიებების განხორციელებას. პროგრამაში ჩართულია განმახორციელებელი იურიდიული პირის შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: 1. № 1 სამუსიკო სკოლა (სკოლაში სწავლობს 183 მოსწავლე; სკოლაში დასაქმებულია 21 მასწავლებელი, მათ შორის 13 სრულ განაკვეთზე, ხოლო 8 ნახევარ განაკვეთზე.) 2. N2 სამუსიკო სკოლა (სკოლაში სწავლობს 133 მოსწავლე; სკოლაში დასაქმებულია 15 მასწავლებელი, მათ შორის 10 სრულ განაკვეთზე, ხოლო 5 ნახევარ განაკვეთზე.) 3. საგუნდო-სამუსიკო სკოლა (სკოლაში სწავლობს 168 მოსწავლე; სკოლაში დასაქმებულია 10 მასწავლებელი, მათ შორის 9 სრულ განაკვეთზე, ხოლო 1 ნახევარ განაკვეთზე.) 4. სამხატვრო სკოლა (სკოლაში სწავლობს 111 მოსწავლე; სკოლაში დასაქმებულია 6 მასწავლებელი, მათ შორის 3 სრულ განაკვეთზე, ხოლო 3 ნახევარ განაკვეთზე.) სახელოვნებო განათლების ხელშეწყობის პროგრამის მიზანია: მოსწავლეებში შემოქმედებითი მიდრეკილების განვითარება და კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნება. ამ სფეროში განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეების გამოვლენა; სიმღერის, ფოლკლორის, სხვადასხვა ინსტრუმენტებზე დაკვრის დარგებში კულტურული ღონისძიებების ჩატარება. მონაწილეობის მიღება როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო კონკურს - ფესტივალებში. ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება (საფორტეპიანო და საორკესტრო განყოფილებები, საგუნდო-სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ქართულ ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ფოლკლორული ჯგუფები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი). ამავე დროს პროგრამა მიზნად ისახავს მისცეს მოსწავლეებს დაწყებითი სამხატვრო განათლება, აზიაროს ხატვის ხელოვნების საფუძვლებს, გააცნოს და შეაყვაროს კულტურული მემკვიდრეობა და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები.
მოსალოდნელი შედეგი	სკოლის გარეშე სასწავლო პროგრამები გახდება ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის; სასწავლო დაწესებულება აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. გაუმჯობესდება სასწავლო პროცესი. გაიზრდება სკოლისგარეშე განათლების მიღებით დაინტერესებული მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლისგარეშე განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველ ოჯახთა შვილებისათვის.

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზებას, ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენზურთი, დოდი, მარულა) სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში) ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
----------------------------	---

პროგრამის დასახელება	კოდი	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 04		700,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდში“-1919.		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაბმელად საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის. საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკვიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყით. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზიომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება , მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე. გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყენენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია		

	ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დამატებულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობებს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.

პროგრამის დასახელება	კოდი	ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 05		30.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ს.ს.ი.პ. „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლო ტურნეებისა და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯების დაფინანსებას.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	- ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ცნობადობის ამაღლება; - საზოგადოების კულტურულ-თეატრალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება; თეატრის რეპერტუარის პოპულარიზაცია.		

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 4360,0 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიხედვით და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

პროგრამული კოდი	დასახელება	2025 წლის გეგმა
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4360,0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1985,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	335,0
06 01 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	1650,0
06 02	სოციალური დაცვა	2285,0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360,0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	40,0
06 02 03	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	80,0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	250,0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	110,0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინამშენებლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	35,0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	90,0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	130,0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	350,0
06 02 10	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	40,0
06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათბობის საშუალებებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამა	330,0

06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	30,0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში"	40,0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	400,0
06 03	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	90,0
06 03 01	სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების პროგრამა	38,0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3,0
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	49,0

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01		1985,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ჯანდაცვის განყოფილება; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. პროგრამის ფარგლებში 3 ქვეპროგრამა ხორციელდება, რომელიც მოიცავს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებებსა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	უზრუნველყოფილია სამედიცინო სერვისებზე ხელმისაწვდომობა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		335,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ჯანდაცვის მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სახელმწიფოს მიერ დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები, რომელიც		

	მიმდინარეობს ჯანდაცვის მინისტრის მიერ დამტკიცებული ეროვნული რეკომენდაციის (გაიდლაინის) შესაბამისად. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ინტეგრირებული პროგრამა ითვალისწინებს გადამდებ დაავადებათა გავრცელების პრევენციას ეპიდზედამხედველობის სისტემით, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვის, განხორციელების ხელშეწყობას საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფით, იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფას, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შეზღუდვას, პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდევლუციას დაავადების დიაგნოსტიკისა და პროფილაქტიკური მკურნალობისას, სანიტარული ღონისძიებების დაცვის ზედამხედველობას სკოლამდელ დაწესებულებებსა და სკოლებში. ჯანმრთელობის დაცვის ფარგლებში ფინანსდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ისეთი ღონისძიებები როგორცაა იმუნიზაცია, ეპიდზედამხედველობა, C ჰეპატიტი, აივ/შიდსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა და ა. შ.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	ინფექციური და არაინფექციური დაავადებების, მ/შ ტუბერკულოზის, აივ ინფექციის და C ჰეპატიტის ადრეული გამოვლენა, მკურნალობაში დროული ჩართვა, ელიმინაცია.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 03		1650.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური	
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/ თანადაფინანსება : 1. ძვირადღირებული გამოკვლევები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია - არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა, დაფინანსება წელიწადში ერთხელ; მოსარგებლებები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები, პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები, პირები რომელთა ზემოხსენებული მომსახურების ღირებულება 500 ლარი და მეტია. წელიწადში ერთხელ; ბ) კორონაროგრაფია - მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები,	

პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები) არაუმეტეს 1 000 ლარისა. სხვა დანარჩენი მოსარგებლეებისთვის - არაუმეტეს 500 ლარისა. წელიწადში ერთხელ;

გ) გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე და მასზე საექმო პირებისთვის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დაფინანსება სრულად, წელიწადში ერთხელ;

დ) PET/კტ კვლევის თანადაფინანსება-მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:

ა) ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონერები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ბ) ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ ქირურგიული ოპერაციის (შემდგომში ოპერაცია) ღირებულების ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში, თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ოპერაცია, რომლის თანაგადახდა პაციენტის მხრიდან არ აღემატება 500 ლარს, არ ფინანსდება (გარდა 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისა, რომლებსაც სარეაბილიტაციო ოპერაციული მკურნალობის თანაგადახდა 500 ლარამდე დაუფინანსდებათ სრულად). 500 (ხუთასი) ლარიდან - 2000 (ორი ათასი) არაუმეტეს 50 %-სა, 2000 (ორი ათასი)-ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი, 5000 (ხუთი ათასი) ლარი და ზევით -მაქსიმალური ლიმიტი 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს კომისიურად.

გ) მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამების ფარგლებში - დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი 1 000 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით);

3 მკირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება, რომელთა ერთეულის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი და მეტია - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის - 400 (ოთხასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები:

ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) შშმ პირები;

დ) ონკოლოგიური ავადმყოფები;

ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები;

4. 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია:

ა) აუტიზმის სპექტრის (F84.0; F84.9) დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება 150 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 18 საათისა. თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი - 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი;

ბ) სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება - შშმ და სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 100 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი- 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები დიაგნოზით:

	გ) დაუნის სინდრომი; დ) ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G-80.4; G 80.8 ; G -80.9); ე) სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2); ვ) განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0) - 5. 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება- სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი - 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ. . იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია და მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) მქონე 0-18 წლამდე და 18 წელს გადაცილებული შშმ პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა: ა) ცელიაკია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა. ბ) ფენილკეტონურია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა , ხოლო სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის ყოველთვიურად არაუმეტეს - 300 (სამასი) ლარისა. გ) 0-18 წლამდე პირებისთვის მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა. 7. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა: ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა 25- 70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებისთვის; ა) სამედიცინო მომსახურება მოიცავს: ა.ა) ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას; ა.ბ) პათოლოგიის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას; ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას; ა.დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობა ენდოკრინოლოგის მიერ; ბ) პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები: ბ.ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი; ბ.ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში; ბ.გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება; ბ.დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები; ბ.ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები; ბ.ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები; ბ.ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო; ბ.თ) კისრის ლიმფადენოპათია; ბ.ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება; ბ. კ) უნაყოფობა. 8. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება მაქსიმალური ლიმიტი 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ. 9. ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებებისა და სხვა თანხით უზრუნველყოფა - ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი. 10. კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი
--	--

	აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ქვეპროგრამის სრული ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი. 11. მვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა დაფინანსება 200 (ორასი) ლარით წელიწადში ერთხელ. 12. 0–18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა - მაქსიმალური ლიმიტი თითო მოსარგებლეზე არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.
გეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02			2285,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებასა და სოციალური დახმარებების გაწევას: მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო-სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან		

	კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 01			360,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა		
მოსალოდნელი შედეგი	კვებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის მოწყვლადი ჯგუფები; მზრუნველობამოკლებულთა სასადილოში ჩართვის მსურველთა მომლოდინეთა ბაზის შექმნა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო		

	მათთან გათანაბრებულ პირებს - 200 ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარება პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებზე ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილი სიისა ან/და მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლო რიცხვებში. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ან საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 300 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად, აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, თითოეულ ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
მოსალოდნელი შედეგი	ვეტერანებისა და მათი ოჯახების წევრების ფსიქოსო-სოციალური და ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 03		80,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მრავალშვილიანი და ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი დახმარებას, მარტოხელა მშობლების და დედ–მამით ობოლი ბავშვების ყოველთვიურ დახმარებას, ქალთა მიმართ ან/და ოჯახის ძალადობის მსხვერპლთა ფინანსურ მხარდაჭერას ან მოქმედ კრიზისულ ცენტრში განთავსებას. ბავშვების სოციალური დაცვის ერთჯერადი დახმარებები: მრავალშვილიანი ოჯახებისათვის- 18 წლამდე ასაკის 4 ბავშვზე – 200 ლარი; 5 ბავშვზე – 300 ლარი და ა.შ; პირველი– მეორე შვილის შეძენისას სოციალურად დაუცველ ოჯახებზე (სარეიტინგო ქულა 65001–ზე ნაკლები)– 200 ლარი; ნებისმიერი კატეგორიისთვის: ტყუპის შეძენისას – 500 ლარი ; დედ–მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის ყოველთვიური დახმარება 50 ლარის ოდენობით; ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება 100-800 ლარამდე ოდენობით (შემაკავებელი და დამცავი ორდერის მოქმედების პირობებში სასამართლოსა და ან/და ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის საკითხებზე მომუშავე უწყებათაშორისი კომისიის გადაწყვეტილებით) სტატუსის მოქმედების ვადის შესაბამისად; გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა, რომელიც ითვალისწინებს გენდერულ საკითხებთან დაკავსირებული ღონისძიებების მხარდაჭერას, თემატური ტრენინგების ჩატარებას და საინფორმაციო ბიულეტენების მომზადებას და მოსახლეობისათვის მიწოდებას გენდერული ცნობიერების მიზნით; „ქალთა ოთახის“ ხელშეწყობა		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების		

	ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა; მრავალშვილიანი ოჯახების, ობოლი და მზრუნველობამოკლებული ბავშვების, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერა; გენდერული თანასწორობის დაცვა; ქვეპროგრამის ფარგლებში ბენეფიციართა გაუმჯობესებული სოციალურ-მორალური მდგომარეობა და გარემოსთან რეინტეგრაცია.

პროგრამის დასახელება	კოდი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 04		250,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ფინანსურ მხარდაჭერას. 18 წლამდე ასაკის შშმ და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე ბავშვებისთვის ერთჯერადი ფულადი დახმარება 200 ლარის ოდენობით, გარდა მუნიციპალიტეტის დაფინანსებაზე მყოფი უწყვეტ პროგრამაში ჩართული ბავშვებისა. სმენა და მხედველობადაქვეითებული, მკვეთრად გამოხატული ხარისხის მქონე შშმ პირებს კომუნალური ხარჯების თანადაფინანსების მიზნით გაეწევათ ფულადი დახმარება 25-25 ლარის ოდენობით 4 თვის განმავლობაში. შშმ პირებს (მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე), სოციალურად დაუცველ ოჯახებს (სარეიტინგო ქულა 65001-ზე ნაკლები), რომლებსაც ჰყავთ მუდმივი მზრუნველი საჭიროების მქონე მწოლიარე ან ეტლით მოსარგებლე ავადმყოფი ისარგებლონ მომვლელის პროგრამის მხარდაჭერით, რომელიც ითვალისწინებს ზრუნვის განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთათვის მოვლის საზღაურის დაფინანსებას ყოველთვიურად 100 (ასი) ლარის ოდენობით.საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური გადაადგილების სოციალური სერვისი		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		
მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობის და განსაკუთრებული მოვლის საჭიროების მქონე პირთა სოციალური, ეკონომიური და მორალური მხარდაჭერა, გარემოსთან ადაპტირების შესაძლებლობის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 05		110,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს მარტოხელა მშობელთა და მარჩენალდაკარგული ოჯახების ფინანსურ მხარდაჭერას: მარჩენალდაკარგულ ოჯახს, რომელსაც ჰყავს 18 წლამდე შვილი ერთჯერადი ფულადი დახმარების სახით ეძლევა 200 ლარი წელიწადში. მარტოხელა მშობელს- 50 ლარი ყოველთვიურად.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG),	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		

რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	მარჩენალდაკარგულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა

პროგრამის დასახელება	კოდი	ხანდაზმულთა სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		35,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ 100 წელს გადაცილებულ პირთა ერთჯერად 500-ლარიან დახმარებას, მარტოხელა და მარტო მცხოვრებ ხანდაზმულთა შინმოვლას, სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) ადგილობრივ გარდაცვლილ ბენეფიციართა ოჯახისთვის ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით. ქვეპროგრამის ფარგლებში მოქმედებს ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მარტოხელა და მარტომცხოვრებ ხანდაზმულთა შინ მოვლის სერვისი: სპეციალურად ადაპტირებული მიკროავტობუსის საშუალებით ექიმით, მომვლელი ქალითა და მძღოლით დაკომპლექტებული მობილური ჯგუფი ადგილზე ახორციელებს ვიზიტებს და საჭიროების მიხედვით უწევს ხანდაზმულებს სხვადასხვა ყოფითი ხასიათის მომსახურებას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		
მოსალოდნელი შედეგი	ხანდაზმულთა და მარტოხელა მოხუცების ფსიქოსოციალური მხარდაჭერა, მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.		

პროგრამის დასახელება	კოდი	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 07		90,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	სადღესასწაულო დღეებში საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით, მე–2 მსოფლიო ომის მონაწილეების (ადგილობრივი და დევნილი), დედ-მამით ობოლ ბავშვების, მარტოხელა მშობლების, მრავალშვილიანი ოჯახების, 100 წელს გადაცილებული პირების, მზრუნველობამოკლებულთა სასადილოს და სოციალური საცხოვრისის ბენეფიციარებისთვის, ასევე, განსაკუთრებით შეჭირვებული ოჯახების მხარდაჭერა (შობა– ახალი წელი და აღდგომა) საკვები პროდუქტებით. შშმ პირთა და ხანდაზმულთა უფლებების დაცვის დღის აღსანიშნავი ღონისძიების ფინანსური მხარდაჭერა (14 ივნისი, 3 დეკემბერი, 1 ოქტომბერი).		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		

(SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	
მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო დღეებში ბენეფიციარებისათვის საზეიმო განწყობის შექმნა, მათი ფინანსური და მორალური მხარდაჭერა.

პროგრამის დასახელება	კოდი	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 08		130,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელ დაწესებულებებში ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამაში ჩართული ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული პაციენტების და პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული პაციენტების ტრანსპორტირების ხარჯების თანადაფინანსება, თითოეულს თვეში 100-150 (ასი-ასორმოცდაათი) ლარის ოდენობით ადმინისტრაციული ერთეულის სერვისის მიმწოდებელი ცენტრიდან დაშორების გათვალისწინებით. ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პერიტონეალური დიალიზის პროგრამაში ჩართული ბენეფიციარებისთვის, რომლებიც სერვისის მისაღებად გადაადგილებიან სხვა მუნიციპალიტეტის სამედიცინო ცენტრებში - ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება თვეში 200 (ორასი) ლარის ოდენობით. სოციალურად დაუცველი სტუდენტების (სარეიტინგო ქულით 65001-ზე ნაკლები), რომლებიც სწავლობენ მუნიციპალიტეტის საზღვრებს გარეთ, აკრედიტირებულ უმაღლეს სასწავლებლებში და პროფესიულ სასწავლებლებში, მგზავრობის ხარჯების ანაზღაურება წელიწადში ერთხელ 100 (ორასი) ლარის ოდენობით. სოციალური რეაბილიტაციის და ბავშვზე ზრუნვის სახელმწირო პროგრამა - დღის ცენტრების ქვეპროგრამაში ჩართული შშმ ბავშვების თანმხლებ პირთა ტრანსპორტირების თანადაფინანსება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლეების ფსიქოსოციალური მხარადჭერა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 09		350,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანს წარმოადგენს ხანძრის, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული და უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის		

	მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ფინანსური და მორალური თანადგომა. უსახლკაროდ დარჩენილთა ბინის ქირით უზრუნველყოფა. ხანძრის შედეგად დაზარალებული უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე) საცხოვრებელი სახლის დაზიანების ხარისხის მიხედვით, დიდთოვლობის, ქარბუქის, მიწისძვრის, წყალდიდობის და სხვა სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე გაიცემა ერთჯერადი დახმარება (3000 ლარამდე). მეწყერის შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე-500 ლარი ერთჯერადად დაზარალების 1- ლი კატეგორიის ხარისხის შემთხვევაში. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული, უსახლკაროდ დარჩენილი, ყველაზე მძიმე ეკონომიურ პირობებში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების (სარეიტინგო ქულა 65001-მდე), ძალადობის მსხვერპლთა, სახლდამწვართა, მეწყერის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილთა, ზრუნვის სისტემიდან გასული პირებისა და ყოფილი პატიმრების დახმარება ბინის ქირის საფასურის გადახდის მიზნით, ფინანსური მხარდაჭერა თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით ყოველთვიურად, შესაბამისი კომისიის გადაწყვეტილებით.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
მოსალოდნელი შედეგი	სხვადასხვა გარემოებებით უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნა, ფინანსური და მორალური თანადგომა.

პროგრამის დასახელება	კოდი	დევნილთა მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 10		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე (მარტოხელა დედები, მარტოხელა ხანდაზმულები; შშმ პირი; სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), ონკოლოგიური/ მძიმე დაავადების მქონე პირები და ა.შ.) დევნილი ოჯახების ერთჯერადი დახმარება 100 (ასი) ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		
მოსალოდნელი შედეგი	განსაკუთრებული საჭიროების მქონე დევნილი მოსახლეობის ფსიქოსოციალური მხარდაჭერა		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათვალისწინებით მხარდაჭერისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 11		330,0

პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს სოციალურად დაუცველი, განსაკუთრებით შეჭირვებულ პირობებში მყოფი ოჯახებისათვის კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას, ბუნებრივი აირის შეყვანას და კრიზისული პრობლემების მოსაგვარებლად ფინანსურ მხარდაჭერას. სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის (სარეიტინგო ქულა 35001-ზე ნაკლები) პროგრამა ითვალისწინებს კომუნალური ხარჯების თანადაფინანსებას 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ბუნებრივი აირის შეყვანას იმ ბენეფიციარებისათვის, რომელთა სარეიტინგო ქულა არ აღემატება 35000; განსაკუთრებით მძიმე სოციალური პირობების მქონე ოჯახების (65001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე პირები, მრავალშვილიანები, შშმ პირები, მარჩენალდაკარგულები, მარტოხელა მშობლები, მარტოხელა პენსიონრები, , ოჯახში ან/და ძალადობის მსხვერპლები და ა. შ) ფინანსური მხარდაჭერა წელიწადში ერთხელ 100-500 (ასი- ხუთასი)ლარის ფარგლებში., კომისიის გადაწყვეტილებით.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ყოფითი მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ფინანსური და მორალური მხარდაჭერა.

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 12		30,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა მიზნად ისახავს მოწყვლადი ჯგუფების (სოციალურად დაუცველი, შშმ, მრავალშვილიანი, ძალადობის მსხვერპლი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მარჩენალდაკარგული და ა. შ.) ჩართულობას პროექტებში, ასევე, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სოციალური საწარმოების განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი პროექტები შეირჩევა მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი შესაბამისი კომისიისა და დებულების მიხედვით. სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებებით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული პროექტების განხორციელების შედეგად ცალკეული კატეგორიის მოქალაქეთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური სფეროს სხვადასხვა მიმართულებებით, ადგილობრივი ხელისუფლებისა და სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ მოწოდებული პროექტების განხორციელების შედეგად მოწყვლადი ჯგუფებისა და ცალკეული კატეგორიის მოქალაქეების სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	პროგრამა „სოციალური საცხოვრისი კეთილგანწყობილ გარემოში“	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 13		40,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საცხოვრისში ჩასახლებული სოციალურად დაუცველი უსახლკარო ოჯახების, დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფას, მათი ყოფითი პირობების გაუმჯობესებას და კომუნალური გადასახადების თანადაფინანსებას 25-25 ლარის ოდენობით ოთხი თვის განმავლობაში. ასევე საცხოვრისის ბაზაზე ხანდაზმულთა დღის ცენტრის ფუნქციონირების ფინანსურ მხარდაჭერას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური საცხოვრისის ბენეფიციართა საყოფაცხოვრებო პირობების და მათი ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.		

პროგრამის დასახელება	კოდი	უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 14		400,0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს უსახლკარო, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მცირეფართიანი ინდივიდუალური სახლების მშენებლობას, ხოლო მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირებისათვის მინიმალური საცხოვრებელი პირობების შექმნის მიზნით ერთი თბილი ოთახის მოწყობას		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების ყოფითი პირობების გაუმჯობესება, ეფექტური ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.		

კოდი	პროგრამის დასახელება	ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 03			90,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილება	

პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების მხარდაჭერას, ოჯახების გაძლიერებას პროგრამებში ჩართვით და რეგულირებით სხვა უწყებებსა და ორგანიზაციებში, ბავშვის უფლებების დაცვის მიმართულებით სხვადასხვა ღონისძიების გატარებას, მოსახლეობის ინფორმირებულობას და ცნობიერების დონის ამაღლებას, სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეებში გასართობი ღონისძიებების დაგეგმვას, დღის ცენტრებთან თანამშრომლობას და ა. შ.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	პროგრამის მიზანია ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. სოციალური ინტეგრაციის ხელშეწყობა; პროგრამის მოსალოდნელი შედეგს წარმოადგენს ბავშვიანი ოჯახების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესების ხელშეწყობა და მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის ზრდა. ასევე, ბავშვებისა და ბავშვიანი ოჯახების გაზრდილი ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა და ნაწილობრივ გაუმჯობესებული ცხოვრების ხარისხი.

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 03 01		38,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი (შშმ, სსმ, დანაშაულის ან/და ძალადობის მსხვერპლი, კანონთან კონფლიქტში მყოფი, მშობელთა ზრუნვის გარეშე დარჩენილი ბავშვი, ზრუნვის სისტემიდან გასული, მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე, სოციალურად დაუცველი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობით და სხვა) ბავშვებისთვის ყოველთვიურ ფულად დახმარებას, თითოეულ ბავშვზე 50.0 ლ ოდენობით წლის ბოლომდე. აღნიშნული თანხა მოხმარდება საკვები პროდუქტების, ჰიგიენის საშუალებებისა და საკანცელარიო ნივთების შეძენას. ქვეპროგრამაში ოჯახების ჩართვა ხდება სოციალური მუშაკის ვიზიტის შემდეგ, ინტერდისციპლინური გუნდის გადაწყვეტილებით.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვების ყოფითი და მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, ეფექტური ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 03 03		3,0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეებში სხვადასხვა კატეგორიის ბავშვებისთვის საზოგადოებრივი განწყობის შექმნას და ამ მიზნით საჩუქრების შესყიდვას და გადაცემას, პერიოდულად საინფორმაციო ბუკლეტებისა და სხვა ბეჭდური მასალის მომზადებასა და გავრცელებას, საინფორმაციო შეხვედრების მოწყობას, მშობლებისთვის (წელიწადში ორჯერ) სატრენინგო მოდულების ორგანიზებას.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	ბავშვების ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა. მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების ქვეპროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 03 04		49,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი (სარეიტინგო ქულა 120 001-ზე ნაკლები) 18 წლამდე ასაკის განვითარების სხვადასხვა შეფერხების მქონე 15 ბავშვისთვის ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი საცურაო აუზის მომსახურების (aqua-თერაპია) დაფინანსებას ექიმ-ნევროლოგის რეკომენდაციის გათვალისწინებით; სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები) მრავალშვილიანი ოჯახების ბავშვების (6-18 წ) ინგლისური ენის შემსწავლელი წრეების (A1, A2, B1) დაფინანსება;		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი და სხვადასხვა პათოლოგიის მქონე ბავშვების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, ეფექტური ფსიქო-სოციალური მხარდაჭერა.		

18 მუხლი. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მანქანა დანადგარები და ინვენტარი	30.2		30.2	40.0		40.0	30.0	30.0	32.4	32.4	35.0	35.0	37.8	37.8
არაწარმოებული აქტივები	2,221.2	0.0	2,221.2	1,000.0	0.0	1,000.0	1,700.0	1,700.0	2,000.0	2,000.0	2,200.0	2,200.0	2,400.0	2,400.0
მიწა	2,221.2		2,221.2	1,000.0		1,000.0	1,700.0	1,700.0	2,000.0	2,000.0	2,200.0	2,200.0	2,400.0	2,400.0

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გადასახდელები

ორ ბ. კო დი	დასახელება	2023 წლის ფაქტი			2024 წლის დაზუსტებული გეგმა			2025 წლის გეგმა		2026 წლის პროგნ ოზი	2027 წლის პროგნოზი			2028 წლის პროგნოზი	
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის	სულ	მათ შორის
			სახე ლმწი ფო ბიუჯ ეტის ფონდ ებიდ ან გამოყ ოფი ლი ტრან სფერ ები	საკუთ არი შემოსა ვლები		სახე ლმწი ფო ბიუჯ ეტის ფონდ ებიდ ან გამოყ ოფი ლი ტრან სფერ ები	საკუ თარი შემოს ავლე ბი		საკუთ არი შემოსა ვლები		საკუთ არი შემოსა ვლები		საკუ თარი შემოს ავლე ბი		საკუთ არი შემოსა ვლები
	ზუგდიდის მუნიციპალიტეტი	83,181.5	20,892.1	62,289.4	102,575.7	22,589.2	79,986.5	70,500.0	70,500.0	74,035.7	74,035.7	79,593.4	79,593.4	85,773.2	85,773.2
01 00	მმართველობა და საერთო დანინშნულების ხარჯები	16,595.0	0.0	16,595.0	16,766.9	0.0	16,766.9	16,500.0	16,500.0	17,598.3	17,598.3	19,589.4	19,589.4	21,549.1	21,549.1

[illegible]

01 05	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო მეთვალყურეობის კამერების დამონტაჟება	1,055.0	0.0	1,055.0	800.0	0.0	800.0	490.0	490.0	490.0	490.0	490.0	490.0	490.0	490.0
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	32,450.0	18,127.5	14,322.5	50,428.5	20,522.9	29,905.6	16,395.0	16,395.0	16,855.0	16,855.0	18,195.0	18,195.0	19,695.0	19,695.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	12,409.9	11,458.1	951.8	26,075.5	11,058.4	15,017.1	930.0	930.0	930.0	930.0	1,330.0	1,330.0	1,680.0	1,680.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	11,940.9	11,458.1	482.8	25,906.3	11,058.4	14,847.9	500.0	500.0	500.0	500.0	800.0	800.0	1,000.0	1,000.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	212.1	0.0	212.1	4.2	0.0	4.2	200.0	200.0	200.0	200.0	250.0	250.0	350.0	350.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	256.9	0.0	256.9	165.0	0.0	165.0	230.0	230.0	230.0	230.0	280.0	280.0	330.0	330.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,205.0	467.1	737.9	1,319.4	544.9	774.5	1,010.0	1,010.0	1,120.0	1,120.0	1,300.0	1,300.0	1,600.0	1,600.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	616.0	293.3	322.7	352.7	102.7	250.0	340.0	340.0	450.0	450.0	600.0	600.0	800.0	800.0

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

[illegible]

04 07	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით	2,327.6	2,327.6	0.0	1,778.7	1,778.7	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	6,082.5	0.0	6,082.5	7,059.3	169.4	6,889.9	7,790.0	7,790.0	8,130.0	8,130.0	8,917.8	8,917.8	9,602.8	9,602.8
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	1,504.3	0.0	1,504.3	1,748.4	169.4	1,579.0	2,150.0	2,150.0	2,250.0	2,250.0	2,380.0	2,380.0	2,490.0	2,490.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,275.3	0.0	1,275.3	1,320.0	0.0	1,320.0	1,800.0	1,800.0	1,900.0	1,900.0	2,000.0	2,000.0	2,100.0	2,100.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	131.7	0.0	131.7	162.0	0.0	162.0	150.0	150.0	150.0	150.0	180.0	180.0	190.0	190.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	97.3	0.0	97.3	266.4	169.4	97.0	200.0	200.0	200.0	200.0	200.0	200.0	200.0	200.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	3,828.7	0.0	3,828.7	4,385.0	0.0	4,385.0	4,830.0	4,830.0	5,070.0	5,070.0	5,527.8	5,527.8	6,002.8	6,002.8

[illegible]

05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	579.1	0.0	579.1	570.0	0.0	570.0	700.0	700.0	700.0	700.0	900.0	900.0	1,000.0	1,000.0
05 05	თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	26.0	0.0	26.0	30.0	0.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0	30.0
05 06	ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროგრამა	64.4	0.0	64.4	245.9	0.0	245.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	5,639.5	437.0	5,202.5	5,194.3	118.2	5,076.1	4,360.0	4,360.0	4,560.0	4,560.0	5,703.5	5,703.5	5,903.5	5,903.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,994.9	0.0	1,994.9	2,145.0	0.0	2,145.0	1,985.0	1,985.0	2,185.0	2,185.0	2,535.0	2,535.0	2,735.0	2,735.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	485.2	0.0	485.2	495.0	0.0	495.0	335.0	335.0	335.0	335.0	335.0	335.0	335.0	335.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	10.0	0.0	10.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 03	სამედიცინო დახმარების პროგრამა	1,499.7	0.0	1,499.7	1,650.0	0.0	1,650.0	1,650.0	1,650.0	1,850.0	1,850.0	2,200.0	2,200.0	2,400.0	2,400.0
06 02	სოციალური დაცვა	3,591.2	437.0	3,154.2	2,979.3	118.2	2,861.1	2,285.0	2,285.0	2,285.0	2,285.0	3,057.6	3,057.6	3,057.6	3,057.6

06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	326.6	0.0	326.6	370.0	0.0	370.0	360.0	360.0	360.0	360.0	360.0	360.0	360.0	360.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	46.7	0.0	46.7	41.0	0.0	41.0	40.0	40.0	40.0	40.0	52.6	52.6	52.6	52.6
06 02 03	გენდერული თანასწოების, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	65.3	0.0	65.3	95.0	0.0	95.0	80.0	80.0	80.0	80.0	100.0	100.0	100.0	100.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	244.0	0.0	244.0	315.0	0.0	315.0	250.0	250.0	250.0	250.0	300.0	300.0	300.0	300.0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	94.3	0.0	94.3	120.0	0.0	120.0	110.0	110.0	110.0	110.0	160.0	160.0	160.0	160.0

06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	24.7	0.0	24.7	44.0	0.0	44.0	35.0	35.0	35.0	35.0	85.0	85.0	85.0	85.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	84.4	0.0	84.4	100.0	0.0	100.0	90.0	90.0	90.0	90.0	110.0	110.0	110.0	110.0
06 02 08	ტრანსპორტით შედავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	138.7	0.0	138.7	135.0	0.0	135.0	130.0	130.0	130.0	130.0	160.0	160.0	160.0	160.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	811.6	437.0	374.6	547.3	118.2	429.1	350.0	350.0	350.0	350.0	400.0	400.0	400.0	400.0
06 02 10	დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა	45.9	0.0	45.9	45.0	0.0	45.0	40.0	40.0	40.0	40.0	90.0	90.0	90.0	90.0

06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათვალისწინებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	305.6	0.0	305.6	292.0	0.0	292.0	330.0	330.0	330.0	330.0	380.0	380.0	380.0	380.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	22.7	0.0	22.7	45.0	0.0	45.0	30.0	30.0	30.0	30.0	80.0	80.0	80.0	80.0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	30.9	0.0	30.9	37.0	0.0	37.0	40.0	40.0	40.0	40.0	80.0	80.0	80.0	80.0

06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	1,349.8	0.0	1,349.8	793.0	0.0	793.0	400.0	400.0	400.0	400.0	700.0	700.0	700.0	700.0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	53.4	0.0	53.4	70.0	0.0	70.0	90.0	90.0	90.0	90.0	110.9	110.9	110.9	110.9
06 03 01	უკიდურეს სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა	27.9	0.0	27.9	33.0	0.0	33.0	38.0	38.0	38.0	38.0	45.0	45.0	45.0	45.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	2.8	0.0	2.8	3.0	0.0	3.0	3.0	3.0	3.0	3.0	5.9	5.9	5.9	5.9
06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ- გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა	22.7	0.0	22.7	34.0	0.0	34.0	49.0	49.0	49.0	49.0	60.0	60.0	60.0	60.0

2.2 გასული და მიმდინარე წლის ბიუჯეტების შესრულება

2.2 გასული 2022 წლის და მიმდინარე 2024 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულება

2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანალიზი

ცნობილია, რომ მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა 2022 წლის 28 დეკემბერს N44 დადგენილებით და ის თავდაპირველად განისაზღვრა 57882,0 ათასი ლარის ოდენობით. შემდეგ საფინანსო წლის განმავლობაში, მასში საკრებულოს ნორმატიულ-სამართლებრივი აქტებით შეტანილ იქნა გარკვეული ცვლილებები, რომელიც ეხებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტებს სახით გამოყოფილი ფინანსური რესურსების, 2023 საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის ნაშთის სახით არსებული ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებით დაუტვირთავი თავისუფალი თანხის, გასულ წელს საქართველოს მაკროეკონომიკური განვითარების შედეგებიდან გამომდინარე მუნიციპალიტეტის წილობრივი შემოსავლების ნომინალურ (ფულადი) გამოხატულობაში მატებასთან დაკავშირებით საკუთრივი ბიუჯეტის გაზრდილი პარამეტრების და განხორციელებული შიდა სხვა ცვლილებების ბიუჯეტში ასახვას. აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, დაზუსტების შედეგად მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის მოცულობამ მთლიანობაში შეადგინა 86012,7 ათასი ლარი, წინა წელთან ბიუჯეტთან შედარებით 28130.8 ათასი ლარით მეტი. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ 2023 წლის ბიუჯეტის მთლიან მოცულობაში საკუთარი ბიუჯეტის სახსრები შეადგენს 63900,8 ათას ლარს, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები 22112,0 ათას ლარს.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური შედეგები იძლევა შემდეგ სურათს:

ბიუჯეტის შემოსულობები

2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების შესრულებაში შეიქმნა გარკვეული პრობლემები, რაც რიგმა არგუმენტირებულმა მიზეზებმა განაპრობა, მათ შორის ერთის მხრივ 2023 წლის მეორე ნახევრიდან მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირება შეწყვიტა სათამაშო ბიზნესმა - ტოტალიზატორმა, რის გამო ბიუჯეტს მნიშვნელოვანი შემოსავლები დააკლდა და მეორეს მხრივ ვერ შემდგარი აუქციონების გამო ვერ იქნა შესრულებული პრივატიზაციიდან მისაღები შემოსავლების გეგმა.

ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, მიუხედავად სახელმწიფოს მიერ ფინანსური დახმარების გამოყოფისა, 2023 წლის პროგნოზირებული შემოსავლის - 74085.9 ათასი ლარის ფაქტიური შესრულება დაფიქსირდა 73740,3 ათასი ლარი ანუ 99,5 პროცენტი, თანხობრივად 345.6 ათასი ლარით ნაკლები.

აქვე შევნიშნავთ, რომ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 25 დეკემბრის განკარგულების საფუძველზე საბანკო-სახაზინო ოპერაციებით 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობებში აისახა 3600.0 ათასი ლარი, 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების გათვალისწინებით, რომელიც, როგორც თქვენთვის ცნობილია, საკრებულოს დადგენილებით ასახული იქნა 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით.

2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ანალიზურ ჭრილში, ანუ კონკრეტული სახეების მიხედვით, ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

ა) გადასახადები (დღგ, ქონების გადასახადი) პროგნოზირებული იყო 46923,2 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 46908.8 ათასი ლარი.

გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების საერთო თანხიდან ბიუჯეტში შემოსულია:

- დამატებითი ღირებულების გადასახადი 38564,5 ათასი ლარი, (გეგმა-პროგნოზი 38623.2 ათასი ლარი);
- ქონების გადასახადი - 8344,3 ათასი ლარი, ანუ პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებელზე 44,3 ათასი ლარით მეტი.

ბ) სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, რენტა, ჯარიმები, სანქციები და საურავები, არაკლასიფიცირებული ტრანსფერი) პროგნოზირებული იყო 6118,9 ათასი ლარის ოდენობით შესრულებამ შეადგინა 5855,6 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლებიდან ძირითადი სახეების მიხედვით ბიუჯეტში შემოსულია:

- 659,3 ათასი ლარი - შემოსავლები საკუთრებიდან (მათ შორის 187,8 ათასი ლარი ბიუჯეტის დროებით თავისუფალი სახსრების დეპოზიტზე განთავსების შედეგად მიღებული პროცენტის თანხა); 471,5 ათასი ლარი - რენტა (აქედან 206,4 ათასი ლარი - მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის; 265.1 ათასი ლარი - შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა) გადაცემიდან;
- 2334,7 ათასი ლარი - საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, აქედან 2222,5 ათასი ლარი ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები (მათ შორის: სანებართვო მოსაკრებელი -197,6 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი - 1340,3 ათასი ლარი; მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების 683,8 ათასი ლარი.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების მონაცემებით დასუფთავების მოსაკრებელიდან მიღებული შემოსავლები ხასიათდება ზრდის ტენდენციით, რასაც ცხადყოფს უკანასკნელი სამი წლის მაჩვენებელიც, კერძოდ: აღნიშნული მოსაკრებელი ბიუჯეტში შემოსულია 2021 წელს - 493,9 ათასი ლარი; 2022 წელს - 575,3 ათასი ლარი; 2023 წელს - 683,8 ათასი ლარი. დასუფთავების მოსაკრებლის ბიუჯეტში მობილიზების კუთხით ზუგდიდის მუნიციპალიტეტი მნიშვნელოვნად უსწრებს პოტენციურად თავის ტოლ გორის მუნიციპალიტეტს და საქართველოს სხვა მსხვილ თვითმმართველ ერთეულებს; აგრეთვე მიღებულია 112,2 ათასი ლარი არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება (შემოსავალი შენობებისა და ნაგებობების იჯარით ან მართვაში გადაცემიდან);

- 2414,5 ათასი ლარი - შემოსავალი ჯარიმებიდან, სანქციებიდან და საურავებიდან, აქედან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო -2096,1 ათასი ლარი ნიშანდობლივია რომ, საგზაო უსაფრთხოების მიზნით ე. წ. „ჭკვიანი კამერების“ დაყენების შედეგად მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმებიდან შემოსავლები მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაგალითად აღნიშნული შემოსავლები შეადგენდა: 2021 წელს - 1093,7 ათას ლარს, 2022 წელს - 1437.9 ათას ლარს, 2023 წელს კი - 2096,1 ათას ლარს. ჩვენ არაერთხელ აღგვინიშნავს, ჯარიმებიდან შემოსავლების მიღება არ წარმოადგენს მერიის თვითმიზანს, მაგრამ ფაქტია, რომ ის ხელს უწყობს დისციპლინის განმტკიცებას და მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფას; ამასთან შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან მიღებულია - 318,5 ათასი ლარი;
- ტრანსფერები რომელებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 447,1 ათასი ლარი (მათ შორის: შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 286,1 ათასი ლარი; წინა წელს გამოუყენებელი და დაბრუნებული საბიუჯეტო სახსრები - 45,0 ათასი ლარი; სხვა დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები - 116,0 ათასი ლარი).

არაფინანსური აქტივების კლებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა - პროგნოზი განსაზღვრული იყო 3700,0 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 2426,1 ათასი ლარი. ამ სახეში გეგმა-პროგნოზის შეუსრულებლობა ძირითადად გაპირობებულია რიგ უძრავ ქონებასთან დაკავშირებით (შენობა-ნაგებობი, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები) მერიის მიერ გამოცხადებული არშემდგარი და ჩაშლილი ქონების საპრივატიზებო კონკურსებით.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მისაღები გრანტების ოდენობა 2023 წელს განსაზღვრული იყო სულ 21043,8 ათასი ლარით, ფაქტიურად მიღებული იქნა 24575,9 ათასი ლარი. აქედან 3600,0 ათას ლარს შეადგენს მთავრობის განკარგულებით, მუნიციპალიტეტისათვის 2024 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსულობების დასაბალანსებლად სპეციალური ტრანსფერის სახით

გამოყოფილი თანხა, რომელიც ბიუჯეტში ჩაირიცხა 2023 საფინანსო წლის დასრულებამდე და სახაზინო ანგარიშზე ასახვა ჰპოვა 29 დეკემბერს.

გამოყოფილი გრანტების საერთო თანხის ფარგლებში კაპიტალური ტრანსფერის ოდენობა პროგნოზირებული იყო 14871,8 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურად მიღებულია 14816,8 ათასი ლარი, ანუ აღნიშნული ტრანსფერი პრაქტიკულად ათვისებულია.

ბიუჯეტის გადასახდელები

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი საწყის ეტაპზე განისაზღვრა 57882.0 ათასი ლარის ოდენობით.

წლის განმავლობაში რიგ გარემოებათა გათვალისწინებით საჭირო გახდა 11 ცვლილების შეტანა, რის შემდეგმ წლის ბოლოსთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანმა მოცულობამ შეადგინა 86012.8 ათასი ლარი, წლის დასაწყისში არსებული ნაშთების გათვალისწინებით.

2023 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების ნაშთების გარდა აისახა შემდეგი თანხები:

1. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2475 განკარგულებით (მასში შესული ცვლილებით) გამოყოფილი 9567.5 ათასი ლარი, მათ შორის 6368.5 ათასი ლარი გზების რეაბილიტაციისათვის, 83.5 ათასი ლარი წყალმომარაგების რეაბილიტაციისათვის და 290.0 ათასი ლარი ქალაქ ზუგდიდის „კოლხეთის“ და ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულებში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობისათვის.
2. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2476 განკარგულებით გამოყოფილი 948.0 ათასი ლარი „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის განხორციელებისათვის“.
3. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის N115 და N116 განკარგულებებით სტიქიური მოვლენების სალიკვიდაციოდ გამოყოფილი 4477.0 ათასი ლარი.
4. საქართველოს მთავრობის 2023 წლის N147 განკარგულებით გამოყოფილი საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისათვის გამოყოფილი 2077.0 ათასი ლარი.
5. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის N2472 განკარგულების და 2023 წლის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე, დაგეგმილი ევროკულტურის გრანტის ნაწილი 228.0 ათასი ლარი.

6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 17 მარტის N545 განკარგულებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტზე საჯარო ფინანსების მართვის რეფორმის ფარგლებში გრანტის სახით გამოყოფილი 560.0 ათასი ლარი.
7. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 აპრილის N761 განკარგულებით გამოყოფილი ზუგდიდის მუნიციპალიტეტისათვის წინა წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გადაცემული სახსრებით სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებისას წარმოქმნილი ეკონომიის თავისუფალი თანხა, ჯამში 560.0 ათასი ლარი.
8. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 9 ივნისის N1085 განკარგულებით, მგზავრთა გადაყვანის უზრუნველყოფის მიზნით ავტობუსების შესაძენად გამოყოფილი 274.8 ათასი ლარი.
9. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 15 სექტემბრის N1640 განკარგულებით, ნაგავმზიდების შეძენის მიზნით 1585 ათასი ლარი.

ნიმანდობლივია, რომ 2023 წლის დასაწყისში არსებული ნაშთი მთლიანობაში შეადგენდა 8278,3 ათას ლარს, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრების ნაშთი იყო 53337.6 ათასი ლარი, ხოლო საკუთრივი ბიუჯეტის სახსრების ნაშთი 2940,7 ათასი ლარი. ამასთან 2024 წლის დასაწყისისათვის სახსრების ნაშთმა შეადგინა სულ 1263.4 ათასი ლარი ანუ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ნაშთმა 1,203.4 ათასი , ლარი აქედან 2024 წლის ბიუჯეტით დაგეგმვას დაექვემდებარა 763.2 ათასი ლარი, ხოლო დანარჩენი თანხიდან 171.0 ათასი ლარის ოდენობით ეკონომიებით თავისუფალი ნაშთის ხელახალი პროექტებისთვის გაცოცხლებაზე მასალები წარდგენილია ინფრასტრუქტურისა და ფინანსთა სამინისტროში, ხოლო რიგი თანხები ექვემდებარება ბიუჯეტში დაბრუნებას.

რაც შეეხება ადგილობრივ ბიუჯეტს, ამავე ბიუჯეტის სახსრებით არგუმენტირებული მიზეზების გამო ნაშთად აისახა მხოლოდ 59,9 ათასი ლარი, ისიც ევროკულტურის გრანტით მოპოვებული თანხა. ადგილობრივი ბიუჯეტით 2023 წელს აღებული ზოგიერთი ვალდებულებათა გასტუმრება ვერ მოხერხდა, რაც გათვალისწინებულ იქნა 2024 წლის ბიუჯეტით.

2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების გეგმა-პროგნოზი მთლიანობაში განსაზღვრული იყო 86012.7 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 83181.5 ათასი ლარი, რაც პროგნოზირებული გადასახდელების 96,7 პროცენტს შეადგენს.

აქვე შევნიშნავთ, რომ შესაბამისი მაჩვენებელი გადასახდელების შესრულებისა 2022 წელს იყო 94,7 პროცენტი, ამდენად 2023 წელს აღნიშნული შესრულების პროცენტული მაჩვენებელი, (მიუხედავად პრივატიზაციიდან მისაღები შემოსულობების ვერ შემდგარი აუქციონების შედეგად არასრულად მიღებისა) ორი პროცენტით გაუმჯობესდა, რაც თანხობრივად 1720.3 ათას ლარს შეადგენს.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება ცალკეული დარგებისა და სფეროების მიხედვით გამოიხატა შემდეგ მაჩვენებელში:

მთელი ბიუჯეტის 39 პროცენტი თანხით 32450.0 ათასი ლარი მიმართულია ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაციის დარგით /კოდი 0200/.

გადასახდელები 17 პროცენტით, თანხით 14106.1 ათასი ლარის ოდენობით წარმოდგენილია განათლების სფერო /კოდი 0400/;

მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებზე მიიმართა 16595.0 ათასი ლარი ანუ მთლიანი გადასახდელების 19,9% კოდი 01 00. ამასთან აღნიშნულ კოდის ქვეკოდით აღირიცხება მგფ-ისა და სხვა ვალდებულებათა დაფარვის თანხა (რომელიც ინფრასტრუქტურის პროექტის განხორციელებისათვის გრძელვადიან ვალდებულებათა გასტუმრებას ხმარდება) და მან შეადგინა 4262,6 ათასი ლარი ანუ მმართველობისა და საერთო დანიშნულების მთლიანი ხარჯების მესამედი.

ბიუჯეტის გადასახდელებში 8308,4 ათასი ლარი ანუ 10 პროცენტი მიიმართა გარემოს დაცვისა და დასუფთავების კოდით.

კულტურის სფეროს დარგით მთლიანობაში გამოიყო 6082,5 ათასი ლარი ანუ 7.3 პროცენტი.

სოციალური და ჯანდაცვის სფეროზე მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დარგის პროგრამები ძირითადად ხორციელდება სახელმწიფო, ცენტრალიზებული თანხებით თვითმმართველობის მიერ შესაბამისი კოდით (06 00) მიიმართა 5639,5 ათასი ლარი. ამასთან, გარდა ამ კოდისა სოციალური პროგრამები თავსებადია და აღირიცხება სხვა დარგის ქვეპროგრამებით.

ასე მაგალითად შშმ პირთა უფასო მგზავრობა ხორციელდება შპს მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ და თვითმმართველობა სუბსიდირებას უკეთებს შესაბამის დარგსა და სამსახურს.

ასევე მობილური გადაადგილების ავტომაქსების შენახვა ხორციელდება შპს მუნიციპალური ტრანსპორტის მეშვეობით ბიუჯეტის ხარჯებით.

რაც შეეხება სოციალური და ჯანდაცვის დელეგირებულ ფუნქციებს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა სავსებით არასაკმარისია იმ დელეგირებულ უფლებამოსილებათა (გარდა ექსკლუზიურისა) ჯეროვნად განსახორციელებლად, რომელიც მუნიციპალიტეტებმა უნდა განახორციელოს. აღნიშნულთან დაკავშირებით მერიას მომზადებული აქვს მასალები საკითხის დასაყენებლად, ამ მიმართულებით სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხების გამოყოფის თაობაზე.

ცალკეული დარგების, განხორციელებული პროექტების და მხარჯავი სუბიექტების მიხედვით საბიუჯეტო თანხების განკარგვა იძლევა შემდეგ სურათს:

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

აღნიშნულ სფეროზე მოდის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებათა მნიშვნელოვანი ნაწილი, ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის დარგით (კაპიტალური პროექტები) 2023 წელს მიიმართა სულ 21 619.7 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 17 694.1 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 3 925.6 ათასი ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურას განვითარებას მთლიანობაში მოხმარდა 12 153.0 ათასი ლარი, აქედან 11 458.1 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

აღნიშნული დაფინანსების წყაროთი განხორციელებულია სხვადასხვა თანხობრივი მოცულობის შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- №22 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 105.1 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულებში, მეუნარგიას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 70.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დაზიანებული საავტომობილო გზების საფარის რეაბილიტაციისთვის ინერტული მასალების შესყიდვა-მიწოდება - 80.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის უჩაშონას ადმინისტრაციულ ერთეულში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 33.5 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო (ორმული შეკეთება) სამუშაოები - 193.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 917.4 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრამდე გზის რეაბილიტაცია (IV ეტაპი) - 529.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზიდან სასაფლაომდე მისასვლელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 670.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქიაჩელის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 574.4 ათასი ლარი;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კოსტავას ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 593.7 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის განმუხურის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძის, ც. დადიანის და კ. გამსახურდიას ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის რეაბილიტაცია - 654.5 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 059.4 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სობოგას უბანში (II ეტაპი) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 136.7 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულში, ი. მეუნარგიას ქუჩის (საფირცხელაო-სამელიოს უბანი) საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 30.5 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ინგირის ადმინისტრაციულ ერთეულში ჭავჭავაძის და დადიანის ქუჩებზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 129.5 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალაბასთუმნის ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 565.6 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამაქაცარიოს უბანში, წმ. გიორგის სახელობის ეკლესიამდე მისასვლელი საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 680.0 ათასი ლარი;
-
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჩხოუშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჭავჭავაძისა და დადიანის ქუჩების გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 406.5 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოგებაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია - 273.5 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფირცხალავას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 374.2 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნარაზენის (საპერტიოს უბანი, კ. გამსახურდიას, კ. სერგიას და მაცხოვრის ქუჩები), ყულიშკარის (გამარჯვების უბანი) და ოქტომბერის (საზარქუოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 2 536.8 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (მეორე ეტაპი) სამუშაოები - 325. 0 ათასი ლარი;
 - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოხუხუოს უბანში, საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 3.7 ათასი ლარი;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინემის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ჯუმის ნაპირიდან წყალდიდობის პერიოდში გადმოსული წყლის გამტარ ნაგებობათა კომპლექსის სამშენებლო სამუშაოები - 132.4 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, გრიგოლ რობაქიძის ქ. №23-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის ეზოში საცალფეხო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 5.0 ათასი ლარი;
- ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საშენგელიოს უბანში, ცოტნე დადიანის ქუჩაზე დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 39.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე და ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდო-საგაბუნიოს უბანში ბეჟას ღელეზე არსებული დაზიანებული ხიდ-ბოგირების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 31.7 ათასი ლარი.

წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 1 205.1 ათასი ლარი, აქედან 467.1 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 738.0 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის (ზედაპირული წყლის ტუმბოს, გამანაწილებელი კარადისა და მაკომპლექტებული მოწყობილობების შეძენა-მონტაჟი) მოწყობა - 23.2 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, სათოლორაიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 198.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საანთიოს უბანში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 101.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის (ბაღმარანის უბანი) და ნარაზენის (საბეჭვაიოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები - 58.4 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ალერტკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკანკიოს უბანში წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 47.8 ათასი ლარი.
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხერგიანის ქუჩაზე წყალმომარაგების სისტემის მოწყობის სამუშაოები - 187.1 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიტაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.4 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თეთრი გიორგის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 33.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ცისკარიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 27.9 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, კოსტავას ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 229.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბორჯომის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 15.0 ათასი ლარი;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საფარჯიკოს უბანში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 61.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტი ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბაღმარანის უბანში თამარ მეფის ქ. ჩიხში მონოლითური რკ/ზ კიუვეტისა და გზის საფარის ზედაპირიდან წყალგადამყვანი რკ/ზ ცხაურიანი არხების მოწყობის სამუშაოები - 33.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში ლომონოსოვის და გრიბოედოვის ქუჩებზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 82.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯაიას ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 91.2 ათასი ლარი.

გარე განათების მოწყობაზე მიიმართა 96.4 ათასი ლარი (განხორციელდა ქ. ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩაზე გარე განათების მოწყობის სამუშაოები და ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ყოფილი მეფრინველეობის დასახლებამდე მისასვლელ საავტომობილო გზაზე გარე-განათების მოწყობის სამუშაოები), 2023 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოხმარებული გარე განათების ასანაზღაურებლად მიიმართა 1 336.8 ათასი ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიმართა 1 627.8 ათასი ლარი, აქედან 1 159.2 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 468.6 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობაზე გახარჯულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 700.4 ათასი ლარი, განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაწულუკუს ადმინისტრაციულ ერთეულში, 23-ე ქუჩის N95 კორპუსის N1 და N2 ეზოების კეთილმოწყობა – 97.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N1 და N3-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობა - 73.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, სანკტ-პეტერბურგის ქუჩა N25-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა - 109.9 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. N41-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 84.1 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. N40/1-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 150.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჯანაშიას ქ. N9-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 110.1 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. N39-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 75.0 ათასი ლარი.

რგვ-დან და მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე მიიმართა 1 168.1 ათასი ლარი;

საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 261.5 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიიმართა 3 993.0 ათასი ლარი, აქედან 3909.4 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები. განხორციელებულია შემდეგი პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული საავტომობილო გზების საფარის რეაბილიტაციისათვის (მოხრეშვისათვის) ინერტული მასალების შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - ადგილზე მიწოდებით) – 83.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩიდან კოსტავას ქუჩის გადაკვეთამდე რკ/ზეტონის სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 362.2 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯახოს უბანში, სასაფლაომდე მისასვლელი დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 124.5 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ტაბიძის ქუჩაზე გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 98.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 466.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჭავჭავაძის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 90.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქუჩა N41/1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 84.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის მარცხენა ფლანგის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 30.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუსთაველის ქუჩაზე მცხოვრები ონერ თარბაიას საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 14.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის დიდინემის ადმინისტრაციულ ერთეულში, მდინარე ჯუმზე საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 474.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თამარ მეფის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 601.1 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კიროვის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკორკელიოს უბანში, მ. მესხის ქუჩაზე, მურთაზ ხურცილავას სახლის წინ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 419.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, კ. გამსახურდიას ქუჩა N213-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 73.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ჩიქოვანის ქ. №40, ჯანაშიას ქ. №9, ჯანაშიას ქ. №25, ქუჯის, ქ. №10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 64.7 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქალაქ ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯამბულ ნაჭყებიას სახლთან ნაპირსამაგრი გაბიონის მოწყობის სამუშაოები - 16.6 ათასი ლარი;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საქოჩოს უბანში დაზიანებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 34.1 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარებაოს და სათირქიოს უბნებში დაზიანებული ხიდების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 131.1 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, გიორგი ბრწყინვალეს ქ. N43-ის მიმდებარედ ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 90.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, დუტუ მეგრელის ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები - 16.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფლის ცენტრის მიმდებარედ, ეკლესიამდე მისასვლელ გზაზე დაზიანებული ცენტრალური საავტომობილო ხიდის საყრდენი კედლების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 37.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაომდე მისასვლელ გზაზე ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 52.5 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, გრიშაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 37.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის, ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე სინწაზე 120 გრძ. მეტრი ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 111.7 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, საროგაოს უბანში ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 50.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სანაჭყებიოს უბანში ხიდის მოწყობის სამუშაოები - 53.7 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას და თბილისის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები 10.5 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბეტონის გზაზე მეწყერ საწინააღმდეგო სამუშაოები - 165.5 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, კობახიძის ქუჩაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 13.8 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბასთუმანი-მენჯის დამაკავშირებელ გზაზე დაზიანებული ცენტრალური ხიდის საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 57.4 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასაფლაომდე მისასვლელი გზის დამეწყრილი მონაკვეთის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 110.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების (ხიდ ბოგირები, მილხიდები) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 14.6 ათასი ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტის პროგრამით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 414.4 ათასი ლარი, განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში, სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული პარკების, სკვერების და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა თანამდევი ექსპერტიზით - 12.0 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, სოხუმის და პუშკინის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 43.1 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თავისუფლების ქუჩის I შესახვევი N5-ში, ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები - 27.0 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თაბუკაშვილის ქუჩა N4-ში მდებარე საბავშვო გასართობი მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 19.7 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ბესარიონ ჯანაშიას N10-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 40.9 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, თამარ მეფის და გორგასლის ქუჩების კვეთაზე, ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე პარკირების ადგილის და სკვერის მოწყობის სამუშაოები - 35.6 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, შოთა რუსთაველის ქუჩა N46-ის მიმდებარედ, თბილისისა და შოთა რუსთაველის ქუჩების კვეთაზე არსებული სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 53.6 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ჯორჯიაშვილის ქუჩა N1-ში ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის სამუშაოები - 32.0 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ბესარიონ ჯანაშიას ქუჩა N10ა-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის შიდა ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 56.2 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ქ. ზუგდიდის ადმინისტრაციულ ერთეულებში (სამოქალაქო ბიუჯეტის ფარგლებში), სხვადასხვა ლოკაციაზე არსებული სკვერების, სანიაღვრე არხების, სპორტული მოედნების და ღობის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა - 20.5 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა N12-ში ეთნოკულტურული პარკის მოწყობის სამუშაოები - 13.4 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში კობახიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 40.2 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში ლომთათიძის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის, თბილისის ქუჩაზე №43-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის ეზოში საბავშვო მოედნის და სათამაშო ატრაქციონის მოწყობის და ლევან მე-2 დადიანის ქუჩაზე №4 და №6 კორპუსების ეზოსთან სკვერის ტერიტორიაზე ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშაოები - 20.0 ათასი ლარი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრის მიერ 2023 საფინანსო წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის მიმართულებით.

გასულ საბიუჯეტო წელს აღნიშნული მხარჯავი სუბიექტისთვის გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 4788.0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 4761.9 ათასი ლარი, ანუ ასიგნებანი მთლიანობაში პრაქტიკულად ათვისებულია. ამასთან ცენტრს მიღებული აქვს საკუთარი ფულადი შემოსავალი 71.4 ათასი ლარი.

ცენტრის საბიუჯეტო ასიგნებები და საკუთარი სახსრები, მისი ფუნქციური დანიშნულებისა და მიზნების მიღწევისათვის მიმართული იქნა შემდეგ ღონისძიებებსა და პრაქტიკულ სამუშაოებზე, კონკრეტულად: 2934.5 ათასი ლარი შრომის ანაზღაურებაზე; 514.6 ათასი ლარი ოფისის ხარჯი; 535.5 ათასი ლარი ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის, მოვლა-შენახვის ხარჯების ანაზღაურებაზე; 57.5 ათასი ლარი სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე; არაფინანსური აქტივების ზრდას (ძირითადი მატერიალური სახის ქონება) მოხმარდა თითქმის 268.0 ათასი ლარი. აქედან გაიხარჯა შესაბამისად: 90.0 ათასი ლარი 2 სატვირთო ავტომობილის, 22.8 ათასი ლარი სამსახურებრივი საჭიროებისთვის 1 მსუბუქი ავტომობილის, 24.4 ათასი ლარი ძვირადღირებული სამუშაო იარაღების, 32.4 ათასი ლარი ძელსკამების (45ც), 44.2 ათასი ლარი ხე-მცენარეების შეძენა-შესყიდვასა და სხვა დანიშნულების მიმდინარე ხარჯების ანაზღაურებაზე.

რაც შეეხება ცენტრის მიერ გაწეულ პრაქტიკულ სამუშაოებს, ის 2023 წლის განმავლობაში სისტემატურად ახორციელებდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების დიდი მოცულობის ელექტროქსელის მოვლას, ექსპლოატაციასა და რეაბილიტაციას, მის გამართულ ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საჭირო ღონისძიებებს.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პერიოდულად მიმდინარეობდა წყლის მიწოდების სისტემების აღდგენა-რეაბილიტაციის, წყალსაქაჩი ტუმბოებისა და ტუმბოს-ძრავების აღდგენა-შეკეთების, შადრევნების მოვლა-პატრონობის და ტექნიკური მომსახურების სამუშაოები; ასევე მიმდინარეობდა სანიაღვრე არხების ამოწმენდის, ზღვის სანაპირო ზოლის დასუფთავება-მოწესრიგების, მდინარეების კალაპოტის ინერტული მასისგან გაწმენდის პრაქტიკული სამუშაოები.

2023 წელს აგრეთვე ხორციელდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ობიექტების (ქალაქის ცენტრალური ბულვარის, პარკების, სკვერების, მწვანე ნარგავების, დეკორატიული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობის, გადაბერებული და გამხმარი ხეების გადაბელვისა და ფიზიკურად ამოღების (მოჭრის) კაპიტალური სამუშაოები.

გასულ 2023 წელს სათანადო ყურადღება ეთმობოდა მუნიციპალიტეტში, როგორც ქ. ზუგდიდის, ისე სასოფლო ადმინისტრაციულ ერთეულებში არსებული სასაფლაოების მოწყობის, მოვლა-პატრონობის და მოწესრიგების ღონისძიებების გატარებას, რომელიც ხორციელდებოდა კეთილმოწყობის ცენტრის შესაბამისი შიდა დანაყოფის მიერ. გასულ წელს მოქალაქეთა მოთხოვნის შესაბამისად გაცემულია 4545კვმ მიწის ნაკვეთი, აქედან მომსახურების საფასურის სახით მიღებულია თითქმის 54,0 ათასი ლარი.

„კეთილმოწყობის მართვის ცენტრი“, წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში, უწყვეტად, ყოველდღიურ რეჟიმში ახორციელებდა კეთილმოწყობით და გარკვეული სახის ინფრასტრუქტურულ ღონისძიებებს და სამუშაოებს. ცენტრის ტექნიკურ და მუშა პერსონალს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულება, შრომის კანონმდებლობის მოთხოვნის დაცვით, სისტემატურად უწევთ არასამუშაო პერიოდებშიც (დასვენების და უქმე დღეები), რომელიც განპირობებულია ხშირ შემთხვევაში გადაუდებლად აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებით.

შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ 2023 წელს გაწეული მუშაობა წინამორბედ წლებთან შედარებით ხასიათდება გაუმჯობესებული მონაცემებით, რაც გამოიხატება იმაში, რომ ამაღლდა მგზავრთა მომსახურების ხარისხი, ავტოპარკის ტექნიკური მზადყოფნის კოეფიციენტის ხარისხობრივი მაჩვენებელი, ავტოტრანსპორტის მოვლა-პატრონობის და ექსპლოატაციის მდგომარეობა. ყოველივე ეს დადებითად აისახა მუშაობის პრაქტიკულ მაჩვენებლებშიც, კერძოდ:

ყოველდღე მუნიციპალიტეტის შიდა მარშრუტებზე (31 მარშრუტი) ოპერირებს 38-39 ავტობუსი, კეთდება 258 ბრუნის, ანუ 8500 კილომეტრი და საშუალოდ გადაყავთ 9000 მგზავრი. აღსანიშნავია, რომ გასულ წელს მუნიციპალური ავტოტრანსპორტი სულ მოემსახურა 3039979 მგზავრს.

შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ში შედარებით უკეთესი მაჩვენებლები აღინიშნა საერთო ფინანსური მონაცემების კუთხითაც. გასულ წელს ამ მეწარმე სუბიექტის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 4905.5 ათასი ლარი, აქედან სუბსიდიის ხვედრითი წილი იყო 3080.0 ათასი ლარი, ხოლო საკუთარი შემოსავლის-1825.0 ათასი ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტის მიერ 2023 წელს მიღებული მთლიანი ფულადი შემოსავლები 2022 წელთან შედარებით თითქმის 168.0 ათასი ლარის მეტობით დაფიქსირდა. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამავე მეწარმე სუბიექტის საკუთარი ფულადი შემოსავალი 2023 წელს, წინა წელთან შედარებით გარკვეული ოდენობით (134.9 ათასი ლარი) შემცირდა, რაც სხვა მიზეზებთან ერთად განაპირობა იმ გარემოებამ, რომ მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და აღმასრულებელი ორგანოს საერთო ინიციატივით „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს დაკისრებული აქვს მოსახლეობის ცალკეული, სოციალურად დაუცველი და სუსტი ეკონომიკური პირობების მქონე ბენეფიციარების და ზოგიერთი სხვა კატეგორიის მოქალაქეების უფასო ან შეღავათიანი მგზავრობის უზრუნველყოფა. ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან: შშმ პირები, ვეტერანები, ე.წ. უფასო სასაბიჯო ბენეფიციარები, სიღარიბის ზღვარზე მყოფი პირები, ბავშვების მასწავლებლები, სკოლის 10 წლამდე მოსწავლეები და მგზავრობის 50%-იანი შეღავათით მოსარგებლე სკოლის უფროსკლასელი მოსწავლეები; ასევე 50%-იანი შეღავათის მქონე სტუდენტები, „საპატიო ზუგდიდელი“-ს სტატუსის მქონე ადამიანები.

ზემოთხსენებული გარემოება, რა თქმა უნდა გარკვეულ გავლენას ახდენს და იწვევს აღნიშნული სუბიექტის საკუთარი შემოსავლების შემცირებას; მაგალითად, 2023 წელს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ გადაყვანილია ყველა სახის შეღავათის მქონე 551 ათასზე მეტი მგზავრი და აქედან მის შემოსავალს დააკლდა 303.2 ათასი ლარი.

შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“-ს მიერ 2023 წელს ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებანი (სუბსიდია) და საკუთარი შემოსავლები ძირითადად მიმართული იქნა: 2172.8 ათასი ლარი თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებაზე (ხელფასი); 1855.6 ათასი ლარი საწვავზე; 521.4 ათასი ლარი ავტობუსების ტექნიკურ მომსახურებაზე; 25.6 ათასი ლარი - კომუნალურ მოსახურებაზე; 21.8 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე; 24.3 ათასი ლარი - ავტოტრანსპორტის დაზღვევის ხარჯებზე; 16.5 ათასი ლარი სამეურნეო საქონლის შესყიდვაზე და სხვა სახის მიმდინარე ხარჯების ანაზღაურებაზე.

2023 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით გამოკვეთილი გარკვეული პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“ 2024 წელს საჭიროებს დამატებით მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების მოზილიზებას, რაც განპირობებულია, როგორც გარე ფაქტორების გავლენით (საწვავ-საპოხი მასალების საბაზრო ფასების მკვეთრი ზრდა, ავტოპარკის სტაციონალური ტექნიკური მომსახურების გაძვირება, მოძველებული ავტომანქანების ხშირი კაპიტალური რემონტის საჭიროება), ისე საკუთარი ფულადი შემოსავლების მკვეთრად გაზრდის უზრუნველყოფისთვის გატარებული ჯერ კიდევ არასკმარისი ღონისძიებებით.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2023 წელს დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 8,308.4 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 8323.9 ათასი ლარი), აქედან 6,345.4 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავები“-ს ცენტრი. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ ათვისებული თანხიდან 4,464.1 ათასი ლარი მიმართულ იქნა შრომის ანაზღაურებაზე.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად შესრულებული სამუშაოები და პროგრამის განხორციელების ინდიკატორული მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგ მონაცემებში:

1. 2023 წელს მყარი ნარჩენების გატანის მომსახურების სერვისი მიეწოდებოდა ქალაქში 480 ქუჩაზე მცხოვრებ 13 113 ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100% -ს; 48 სასოფლო - ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90 %; ეკონომიკის სექტორის 1220 - ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს;
2. 2023 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 29,3 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, 3,5 ათასი ტონით მეტი წინა წელთან შედარებით. ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 28,1 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, ხოლო 206 ტონა (ქალაქი და მუყაო) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას და რეციკლირებას;
3. ქალაქის ტერიტორიიდან გაზიდულია 20,4 ათასი ტონა მუნიციპალური ნარჩენი, 3,4 ათასი ტონით მეტი წინა წელთან შედარებით, ყოველდღიურად ქალაქიდან გაიზიდებოდა საშუალოდ 55 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი;
4. სოფლის ადმინისტრაციული ერთეულებიდან გაზიდულია 8,9 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი, 100 ტონით მეტი წინა წელთან შედარებით;
5. სულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან ნაგავსაყრელში ყოველდღიურად გაიზიდებოდა 80,0 ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი;
6. საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის ხელშეწყობით, ნარჩენების მართვის ახალი ხუთწლიანი გეგმის შესაბამისად მუნიციპალიტეტში გასული წლის თებერვლის თვიდან დაიწყო ქალაქისა და მუყაოს სეპარირება - რეციკლირების საპილოტე პროგრამის განხორციელება, რომელსაც ოპერირებას ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით უწევს ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“;
7. 2023 წელს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე როგორც ზემოთ იყო აღნიშნული შეგროვებული იქნა 29,3 ათასი ტონა ანუ დაახლოებით 101 500 მ3 მყარი ნარჩენი, საიდანაც ნაგავსაყრელში გაზიდულია 89940 მ3, ხოლო დაახლოებით 11 560 მ3 ანუ 206 ტონა ქალაქი და მუყაო სეპარირებულია. ეს პირველი შემთხვევაა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მყარი ნარჩენების მართვის ისტორიაში, როდესაც შეგროვებული მყარი ნარჩენი მთლიანად არ იქნა გაზიდული ნაგავსაყრელში და 206 ტონა ქალაქისა და მუყაოს დაწნეხილი ნედლეული დაბრუნდა ცირკულარულ ეკონომიკაში, კერძოდ დაწნეხილი 206 ტონიდან რეალიზებული იქნა 187,9 ტონა რითაც ნაკლები ზარალი მიაღწა გარემოს, ხოლო ადგილობრივმა ბიუჯეტმა მიიღო 39,9 ათასი ლარის დამატებითი ფულადი შემოსავალი;
8. 2024 წლისათვის დაგეგმილია პლასტმასის ნარჩენების სეპარირებული შეგროვებისა და რეციკლირების ანალოგიური პროგრამის დაწყება, რაც აგრეთვე დიდი ნაბიჯია გარემოს დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლაში და ჩნდება ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების დამატებითი წყარო;

9. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ქალაქსა და სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში ყოველდღიურად საშუალოდ დაგვა-აკრეფის მეთოდით სუფთავდებოდა 45,7 ჰექტარი ფართობი. მათ შორის ქალაქის ტერიტორიაზე 31,1 ჰექტარი, სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში კი 14,6 ჰექტარი; გარდა ამისა, ხელით აკრეფის წესით სუფთავდებოდა ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრები, მთავარი გზების გზისპირები და ტროტუარები, მასობრივი თავშეყრის ადგილები, ბაღები და სკვერები. სისტემატიურად ზღვის ამონაყარისაგან იწმინდებოდა 8 – 9 ჰექტარი ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი; სულ ხელით აკრეფის წესით მუნიციპალიტეტში სუფთავდებოდა 30 ჰექტარი ფართობი;
10. ყოველდღიურად ხორციელდებოდა სოფლის 48 ადმინისტრაციული ერთეულის ცენტრების, ცენტრამდე მისასვლელი გზებისა და ქალაქში შემოსასვლელი და გასასვლელი ტრასების მყარი ნარჩენებისაგან ხელით აკრეფის წესით გაწმენდა;
11. მუნიციპალიტეტში მთლიანად არის ლიკვიდირებული სტიქიური ნაგავსაყრელები;
12. 30 % - ით განახლდა ცენტრის მატერიალურ - ტექნიკური ბაზა. 2023 წელს მიღებული იქნა 2550 ნაგავშემკრები კონტეინერი და 16 ერთეული სხვადასხვა სახის სპეცტექნიკა;
13. 11% - ით გაიზარდა 1.1 მ3 მოცულობის ურნებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი და შეადგინა 34%, რამაც მკვეთრად გააუმჯობესა მოსახლეობისა და ეკონომიკის სექტორის მომსახურეობის მაჩვენებელი და გარემოს ეკოლოგიური დაბინძურების წინააღმდეგ ბრძოლის ხარისხი;
14. კადრების ობტიმიზაციის შედეგად, შესასრულებელი სამუშაოებისა და ტექნიკის რაოდენობის ერთეულით გაზრდის მიუხედავად, ცენტრში დასაქმებულთა რიცხვი წინა წელთან შედარებით შემცირდა 31 ერთეულით.
15. ცენტრში დასაქმებულთა საშუალო თვიური ანაზღაურება გაიზარდა 10% - ით.
16. მთავრობის დადგენილების შესაბამისად განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლის მომზადებას საკურორტო სეზონისათვის. ახლად მიღებული ტექნიკის გამოყენებით სრულად იქნა წესრიგში მოყვანილი საკურორტო ინფრასტრუქტურა. ზღვის ამონაყარისაგან სისტემატიურად იწმინდებოდა მუნიციპალიტეტის ზღვის სანაპირო ზოლის მთლიანი პერიმეტრი.
17. ააიპ., ზუგდიდდასუფთავების ცენტრი “ აქტიურად მართავდა ღონისძიებებს მყარი ნარჩენების მართვის საკითხებში მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით. 2023 წელს გაიმართა 11 სხვადასხვა მასიური ხასიათის გარემოსდაცვითი ღონისძიება და მასალები ამის შესახებ სისტემატიურად ქვეყნდებოდა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში და სოციალურ ქსელში;
18. ააიპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“ 2017 წლიდან ღებულობს მონაწილეობას რესპუბლიკურ კონკურსში „ყველაზე სუფთა რეგიონი“ და მისი 7 გზის გამარჯვებულია.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 03 02) გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 725.0 ათასი ლარი, რაც სრულად ათვისებულია. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი მიიმართა: 350.3 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 52.4 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებაზე. ამასთან თანხები გაიხარჯა შემდეგ ძირითად კაპიტალურ და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორიცაა:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასკვნის) საფუძველზე ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით;
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მიწის საფარის მოვლა-პატრონობა;
- ანაკლიის ქვიშის ფრენბურთის მოედნების მოვლა-პატრონობის მიზნით დაიყარა კვარციტული ქვიშა;
- ანაკლია-განმუხურის სანაპიროსა და მიმდებარე ტერიტორიის მოთიბვის სამუშაოები ჩატარდა შვიდჯერ;
- ანაკლია-განმუხურის ბულვარის სეზონის გახსნასთან დაკავშირებით ამფითეატრი სცენის ეფექტებით, განათების მოწყობილობით და გახმოვანების აპარატურით აღიჭურვა;
- ანაკლიის ბულვარის შესასვლელთან დამონტაჟდა ელ. რეგულირებადი შლაგბაუმი;
- ჩატარდა განმუხურის ამფითეატრის დაზიანებული მიწის კარ-ფანჯრების სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ჩატარდა ქვიშის მოედნების შემზღუდავი კედლის აღდგენითი სამუშაოები;
- შეძენილ იქნა საბორდიურედ 500 ძირი ლიგუსტრუმი;
- განხორციელდა არსებული ხუთი მსუბუქი კონსტრუქციის სავაჭრო ობიექტის (ჯიხურის) აღდგენითი სარეაბილიტაციო სამუშაოები;
- ანაკლიის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა მანათობელი ასოები „მე მიყვარს ანაკლია“;

რაც შეეხება საკუთარი სახსრებით განხორციელებულ პროექტებს, მათ შორის აღსანიშნავია, რომ ჩატარდა ანაკლიის სანაპირო ბულვარისა და განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის წყალარინების სისტემის მოწყობის სამუშაოები.

ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღის მიერ, რომელიც არის ამავე ბაღის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელი, 2023 წელს ჩატარებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები და მთელი რიგი მიზნობრივ-თემატური ღონისძიებები.

ზემოთაღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 2023 წელს გამოეყო ასიგნება 1030.4 ათასი ლარი, რომელიც ხარჯების ძირითადი მუხლების მიხედვით შემდეგნაირად მიიმართა: 958.6 ათასი ლარი მოხმარდა მუშაკთა შრომის ანაზღაურებას; 49.6 ათასი ლარი გაიხარჯა საქონლისა და მომსახურების შესყიდვაზე, მათ შორის 38.6 ათასი ლარი ოფისის, 6.4 ათასი ლარი ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე. არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გახარჯული იქნა 11.0 ათასი ლარი (საბავშვო ატრაქციონის შეძენა).

ბოტანიკურ ბაღში მომსახურების ფასიანი ტარიფების დაწესებისა და ამოქმედების შედეგად, 2023 წელს მკვეთრად გაიზარდა მისი საკუთარი ფულადი შემოსავლები. ერთჯერადი ბილეთების და აბონიმენტების რეალიზაციიდან მიღებულმა ფულადმა შემოსავლებმა გასულ წელს შეადგინა 171.9 ათასი ლარი, ხოლო მთლიანმა საკუთარმა შემოსავლებმა 210.6 ათასი ლარი.

გასულ წელს ბაღის საკუთარი შემოსავლებიდან გაწეული საკასო ხარჯი შეადგენს 209.2 ათას ლარს, რომელიც ძირითადად მოხმარდა საქონლისა და მომსახურების შესყიდვას და არაფინანსური აქტივების ზრდას.

უნდა აღინიშნოს, რომ ა(ა)იპ ბოტანიკური ბაღის მიერ 2023 საბიუჯეტო წელს ათვისებული ასიგნებანი მისი ფუნქციური დანიშნულებიდან გამომდინარე, გამოყენებული იქნა მუშაობის ძირითადი მიმართულებების მიხედვით:

ა) კულტურული მემკვიდრეობის და ეკოგანათლების მიმართულებით მიმდინარე წლის 26, 27 და 28 აპრილს ისტორიული ბაღების ევროპული მარშრუტის მე-6 ყოველწლიურ ფორუმში, რომელიც იტალიის ქალაქ ფლორენციაში ჩატარდა, მონაწილეობა მიიღეს ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის სპეციალისტებმა; ფორუმზე დასწრების მიზანი იყო 2024 წელს მე-7 ფორუმის საქართველოში, მათ შორის 2 დღიანი განრიგით, გაზაფხულზე, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში ჩატარება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ასოციაციაში გაწევრიანებული 32 ევროპული ქვეყნის 47 ისტორიული ბოტანიკური ბაღის წარმომადგენელი.

ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტი - „ჩვენ და გარემო“. პროექტში მონაწილეობა მიიღო 10 საჯარო სკოლის 250-მა მოსწავლემ და პედაგოგ-მასწავლებელმა.

26-28 აპრილს ზუგდიდის ბოტანიკურმა ბაღმა უმასპინძლა ისტორიული ევროპული ბაღების კვირეულს, კვირეულის ფარგლებში ჩატარდა რიგი თემატური ღონისძიება, მოეწყო კულტურული და საგანმანათლებლო ექსკურსია ბოტანიკური ბაღის არტეფაქტების საგამოფენო სივრცეში. აღსანიშნავია, რომ კვირეულის ფარგლებში ბოტანიკურმა ბაღმა 3000 ვიზიტორს უმასპინძლა;

ბ) ბაღის ისტორიისა და არქეოლოგიის კუთხით: ბაღის Facebook -სა და ვებგვერდზე პერიოდულად ქვეყნდება ბოტანიკური ბაღის ისტორიისა და არქეოლოგიის საზოგადოებისათვის უცნობი და საინტერესო დეტალები. სოციალური მედიის საშუალებით ხდება საზოგადოების ინფორმირება ბაღში არსებულ მცენარეთა იშვიათობისა და უნიკულობის შესახებ. ბაღი პარტნიორებთან ერთად აქტიურად არის ჩართული რეგიონში ეთნობოტანიკური კულტურების კონსერვაციასა და პოპულარიზაციაში;

გ) თანამშრომლობისა და პარტნიორობის მიმართულებით ბოტანიკურ ბაღს დამყარებული აქვს მჭიდრო ურთიერთობები საქართველოს და უცხოეთის სამეცნიერო, კვლევით და უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებთან, რომელიც უკავშირდება თანამშრომლობასა და გამოცდილებათა განზოგადებას ეკოლოგიური განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის, გარემოსდაცვით და ბიომრავალფეროვნების თანამედროვე აქტუალურ საკითხებს;

დ) მცენარეთა კოლექციის მრავალფეროვნებისა და მოვლის ხაზით ბაღში განხორციელდა ბალახოვან-ყვავილოვან, ბუჩქოვან და ხე-მერქნოვან მცენარეთა გამრავლება; შეძენილი იქნა 165 სხვადასხვა მცენარის ნერგი, დაირგა 25380-ზე მეტი ძირი ჩითილი. ბაღში მოეწყო და აღდგა ორი ისტორიული მნიშვნელობის ხეივანი - ჭადრების და რცხილების. შესრულებულია ოთხ ათეულზე მეტი პრაქტიკული ხასიათის სამუშაო, რომელიც ეხება აგროტექნიკური და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარებას, მერქნიან და ბალახოვან მცენარეთა სანერგეების და ორანჟერიების მოწყობას, სხვადასხვა სახეობის მცენარეთა ნერგებისა და ჩითილების გამოყვანას, ბაღის ფლორისა და ფაუნის დაცვის, მოვლა-პატრონობის და ზედამხედველობის განხორციელებულ აქტივობებს.

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განსახორციელებლად გათვალისწინებული 96.0 ათასი ლარი პრაქტიკულად სრულად ათვისებულია (ფაქტიური შესრულება შეადგენს: 95.2 ათას ლარს). პროგრამის ფარგლებში დაფნის ბაღების მოწყობის მიმართულებით შესაბამისი კომისიის მუშაობის შედეგად გამოვლენილ 64 ბენეფიციარს გადაეცა 500-500 ცალი დაფნის ნერგი.

პროგრამის ეგიდით გასულ წელს შეიქმნა მუნიციპალიტეტის ერთიანი ელექტრონული პლატფორმა „აგრარული რუკა“ (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების, მართვის გეოსაინფორმაციო სისტემა), რომელიც კარტოგრაფიულ პლატფორმაზე წარმოაჩენს მუნიციპალიტეტის ყველა ძირითად აგრარულ მახასიათებლებს, სადაც პერმანენტულად განთავსდება ისტორიულ წყაროებზე დაფუძნებული და თანამედროვე პერიოდში მოპოვებული განახლებადი ინფორმაციები. ამავდროულად ჩატარებულია ნიადაგის ლაბორატორიული კვლევები 21 ადმინისტრაციულ ერთეულში.

თხილის წარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მარტი/აპრილის თვეში შესაბამისი განყოფილება ჩაერთო მეთხილეების რეგისტრაციის პროცესში, რეგისტრაციაზე გატარებულ იქნა 1000-მდე ბენეფიციარი, რამოდენიმე ასეულ ბენეფიციარს გამოვლენილ ხარვეზებზე გაუწია კონსულტაცია, შუამდგომლობა და სხვა სახის პრაქტიკული დახმარებები.

მუნიციპალიტეტის მასშტაბით აქტიურად მიმდინარეობდა აზიური ფაროსანას საწინააღმდეგო ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს კოორდინირებულად სამუშაო პროცესების წარმართვას.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების კეთილმოწყობის კუთხით (კოდი 03 05) 2023 წელს გახარჯულია 84.0 ათასი ლარი, რაც უტოლდება გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებულ მაჩვენებელს.

გარემოს დაცვის პროგრამის ფარგლებში 2023 საფინანსო წელს ტარდებოდა გარკვეული სახის პრაქტიკული ღონისძიებები მუნიციპალიტეტის ტერიტორიის და მოსახლეობის მღრღნელებისგან და უზედამხედველო, საფრთხის შემცველი მოხეტიალე ცხოველებისგან დაცვის მიზნით. ამ დანიშნულებით გასულ წელს გამოიყო და ათვისებული იქნა 28.4 ათასი ლარი.

განათლება

მუნიციპალიტეტში 2023 წელს განათლების დარგის დაფინანსებისთვის 12 თვეში სუბსიდიის მოცულობა განისაზღვრა 14247,0 ათასი ლარით (მათ შორის ბიუჯეტის საკუთარი სახსრებით 11895,6 ათასი ლარი), საკასო შესრულებამ შეადგინა 14106,1 ათასი ლარი. აღნიშნული საბიუჯეტო ასიგნებიდან 10088,8 ათასი ლარი ანუ 72%-ი მიიმართა განათლების კუთხით მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებაზე. ამ დარგში 2023 წლის გაწეული მუშაობა მიზნად ისახავდა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლებას, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარებას, აღსაზრდელთა დადგენილი სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფას, აღმზრდელ პედაგოგთა და მომსახურეთა შრომისა და ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას.

ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრის საქმიანობა წლის განვლილ პერიოდში მიმართული იყო ბავშვთა სკოლამდელი აღზრდის დონის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის გაუმჯობესების, აღსაზრდელთა დადგენილი მაღალხარისხიანი კვებით უზრუნველყოფისათვის, რომელიც უკავშირდება ამჟამად მუნიციპალიტეტში მოქმედი 63 საბავშვო დაწესებულების (ბაღი) ფუნქციონირებას.

ზემოაღნიშნული ცენტრის მიერ, 2023 წლის 12 თვეში ათვისებული თანხა (10035,1 ათასი ლარი) ძირითადად მოხმარდა: 7281.9 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას; 2526,8 ათასი ლარი საქონელსა და მომსახურებას, მათ შორის 224,8 ათასი ლარი - შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებას, 1055,1 ათასი ლარი - კვების ხარჯებს, 886,6 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებს, 346,5 ათასი ლარი - „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-ს; 195,6 ათასი ლარი მოხმარდა არაფინანსური აქტივების (ქონებრივი მატერიალური საშუალებები) ზრდას.

სუბსიდიის გარკვეული ნაწილი მიიმართა სარემონტო, სარეაბილიტაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე, კერძოდ:

რიყის საბავშვო ბაღში განხორციელდა სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოები (გაიხარჯა - 80.7 ათასი ლარი); N1 საბავშვო ბაღში სრულად განხორციელდა სარეაბილიტაციო სამუშაოები დანიის ლტოლვილთა საბჭოს მხარდაჭერით, რომელიც აღიჭურვა 42.0 ათასი ლარის ღირებულების ინვენტარ-მოწყობილობით.

განხორციელდა N16 საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია, რომელიც აღიჭურვილი იქნა მოპოვებული გრანტით ორგანიზაცია „საერთაშორისო მართმადიდებლური ქრისტიანული მოწყალება“-ს მიერ, სულ მოპოვებული გრანტმა შეადგენა 124.1 ათას ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე შენობის (საბავშვო ბაღი) სარემონტო-სარეკონსტრუქციო სამუშაოები - 15.0 ათასი ლარი.

2023 წელს გადამზადდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების თანამშრომელთა „აღმზრდელ პედაგოგთა პროფესიული განვითარების ტრენინგ-მოდული“-ს მიხედვით 150 აღმზრდელი. 66 საათიანი ტრენინგ-კურსის დასასრულს, მონაწილეებს ჩაუტარდათ ტესტირება, რომლის წარმატებით ჩაბარების შედეგად მათ გადაეცათ სერტიფიკატები, რომელსაც ორგანიზებას უწევდა ტენდერში გამარჯვებული აკ.წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი. რომლის სახელმწიფო ღირებულებამ შეადგინა 37.5 ათასი ლარი.

მოსწავლე - ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამის დაფინანსებისათვის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე“, 12 თვეში გამოიყო 1006.7 ათასი ლარი. აღნიშნულ პერიოდში მიღებული აქვს საკუთარი სახსრები 55.6 ათასი ლარი.

გამოყოფილი თანხები მიიღმართა საბიუჯეტო ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით: 759.6 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 217.0 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე; 29.8 ათასი ლარი - შტატგარეშე მოსამსახურეთა ანაზღაურებაზე; 35.4 ათასი ლარი - ოფისის ხარჯებზე; 151.7 ათასი ლარი - სხვა დანარჩენ საქონელსა და მომსახურებაზე; 8.5 ათასი ლარი - არაფინანსური აქტივების ზრდაზე.

უნდა აღინიშნოს, რომ „მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის“-ს მიერ აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, 12 თვის მონაცემებით ჩატარებულია და მის ბაზაზე მოქმედ მოსწავლეთა შემოქმედებით კოლექტივებს მთლიანობაში მონაწილეობა მიღებული აქვთ 100-ზე მეტი სასწავლო, შემეცნებითი, საგანმანათლებლო, მუსიკალურ-მხატვრული ხასიათის ადგილობრივი და რესპუბლიკური მასშტაბის ღონისძიებებში. რაც აღინიშნა სასახლის აღსაზრდელთა მიერ მიღწეული თვალსაჩინო წარმატებებითა და მოპოვებული მაღალი შედეგებით. მათ შორის უნდა გამოიყოს ზოგიერთი აქტივობა კერძოდ:

- მუსიკალურ-თეატრალური სტუდიის ანსამბლ „გინცის“ სოლისტმა ნინო ჯაიანმა მონაწილეობა მიიღო შემოქმედებითი გაერთიანება „ფორტუნა 97“-ის კონკურსში, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა;
- სასახლის ანსამბლი „გინცი“ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ლას-ვეგასში გამართულ ხელოვნების-საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში „Golden Dream“ გრან პრის მფლობელი გახდა;
- ვოკალურმა ანსამბლმა „რეტრო“ ბულგარეთში, ქ. ვარნაში საერთაშორისო კონკურსში „სლავიანსკი ვენეც 2023“ მონაწილეობა მიიღო, სადაც უმაღლესი ჯილდო გრან-პრი და ტურალის პრიზი მოიპოვა;
- მუსიკალური ბენდი ზუგდიდის ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ვარნაში გამართულ ფესტივალ-კონკურსზე „WONDERLAND FROM VARNA WITH LOVE“ 2023 გრან-პრის მფლობელი და ფესტივალის გამარჯვებული გახდა;
- სასახლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა „ქართული“ ოზურგეთში გამართულ გურიის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალში - „ჩვენ მშვიდობა“ მონაწილეობა მიიღო. ანსამბლს მიენიჭა ლაურეატის წოდება.
- სასახლის ვოკალური ანსამბლის "რეტრო" სოლისტი ნანო ხასაია მონაწილეობდა მცხეთობის დღესასწაულისადმი მიძღვნილ ფესტივალზე "მცხეთა საქართველოს გულია", სადაც "მშვიდობის, მეგობრობის და სიყვარულის" მთავარი პრიზი მოიპოვა;
- მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში ჩატარდა „ხელოვნების კვირეული“.
- სასახლეში „ნინელი ჭითანავას სახელობის ხელოვნების რიგით II ფესტივალი“ გაიმართა.

საგანმანათლებლო-შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამისთვის 12 თვეში გათვალისწინებული 83.3 ათასი ლარიდან გახარჯულია 82.4 ათასი ლარი.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბავშვებისა და ახალგაზრდების შესაძლებლობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამული კოდით 2023 წელს გათვალისწინებული 305.0 ათასი ლარიდან გახარჯულია 298,3 ათასი ლარი, რომელიც მიიღმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე, საბუნებისმეტყველო, ტექნიკურ, ჰუმანიტარულ და ტექნოლოგიურ სფეროებში განსაკუთრებული შესაძლებლობების და მიღწევების მქონე ბავშვებისა და ახალგაზრდებისთვის ფულადი ჯილდოს გასაცემად, არაფორმალური განათლებისა და პროფესიული შესაძლებლობების განვითარების ფინანსური ხელშეწყობისთვის.

„ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 23 იანვრის N147 განკარგულების შესაბამისად განხორციელდა საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა დელეგირებული თანხებით, (მოსწავლეთა ტანსპორტირება) რომელშიც ჩართული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 40 (ორმოცი) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აფხაზეთის 5 (ხუთი) საჯარო სკოლის 4892 (ოთხიათას რვაას ოთხმოცდათორმეტი) მოსწავლე. აღნიშნული მომსახურების ღირებულება შეადგენდა 2351,6 ათას ლარს, ფაქტიურად გახარჯულია 2327,6 ათასი ლარი.

სსიპ შ.მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტის თანადაფინანსება - 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, კერძოდ თანადაფინანსების თანხა მოხმარდა სტუდენტთა საერთო საცხოვრებლის რეაბილიტაციას.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2023 წელს ასიგნებანი გეგმა-პროგნოზით განსაზღვრული იყო 6445,4 ათასი ლარის ოდენობით, საკასო (ფაქტიური) შესრულებამ შეადგინა 6082,5 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან: მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი, მიიმართა 1275,3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1281,8 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 816,5 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 71,0 ათასი ლარი; მივლინების ხარჯებისთვის - 60,0 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისთვის - 36,5 ათასი ლარი; კვებაზე - 59,1 ათასი ლარი.

2023 წლის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 80-მდე საერთაშორისო, რესპუბლიკურ და ადგილობრივ სპორტის 20-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, კიკბოქსინგი, ტაეკვანდო, ჯადრაკი, მხატვრული ტანვარჯიში, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, სამბო, თავისუფალი ჯიდაობა, კარატე-დო; აგრეთვე მასობრივი სპორტული ღონისძიებებში: ქვიშის ფრენბურთი, მინი-ფეხბურთი, მარულა და სხვა.

ზუგდიდში ჩატარდა 20-მდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადა, რომელიც მოიცავს სპორტის რვა სახეობას: კალათბურთი (3X3), ხელბურთი, მინი-ფეხბურთი, გეზრბენი, მაგიდის ჩოგბურთი, ბადმინტონი, ფრენბურთი, მხიარული სტარტები. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 48 საჯარო და კერძო სკოლის 2000-ზე მეტმა სკოლის მოსწავლემ.

2023 წელს სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 111 სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა 28 ზუგდიდელმა სპორტსმენმა, მათგან აღსანიშნავია:

1. უტა ფონიავა - ევროპის ჩემპიონი სპორტულ კარატეში (კვიპროსი, ევროპის ჩემპიონატი სპორტულ კარატეში);
2. ირაკლი ვეკუა - მსოფლიო ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის - (ალბანეთი, მსოფლიო ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში);
3. დიმიტრი აბრალავა - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. (ბულგარეთი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში);
4. ირაკლი ვეკუა - ევროპის ჩემპიონი ახალგაზრდებს შორის. (ბულგარეთი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში);
5. გოგა ჯაჯვანი - ვერცხლის პრიზიორი (ბულგარეთი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში);
6. ნიკა ჯიქია - ვერცხლის პრიზიორი (ბულგარეთი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში);
7. ნიკოლოზ ესართია - ვერცხლის პრიზიორი (ბულგარეთი, ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში);
8. ნათია გადელია - ევროპის ჩემპიონი. (რუმინეთი, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში);
9. ნიკოლოზ ესართია - ვერცხლის პრიზიორი (რუმინეთი, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდებს შორის ძალოსნობაში);
10. თათია ბუკია - ევროპის ვიცე ჩემპიონი ახალგაზრდებში (ერევანი, ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკ მოკრივეთა შორის შორის);
11. ნიკა ბერაია - მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (იაპონია, მსოფლიო ჩემპიონატი კუდოში);
12. დიმიტრი ბერაია - მსოფლიოს ბრინჯაოს პრიზიორი (იაპონია, მსოფლიო ჩემპიონატი კუდოში);
13. ნიკოლოზ ალშიბაია - ევროპის ჩემპიონატის პრიზიორი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის (ისრაელი, ევროპის ჩემპიონატი ჭიდაობა სამბოში ახალგაზრდებს შორის);
14. სანდრო ქომეთიანი - მსოფლიო ჩემპიონი (მსოფლიო ჩემპიონატი კიკბოქსინგში);
15. ზურაბ ბახტაძე - მსოფლიო ჩემპიონი (მსოფლიო ჩემპიონატი კიკბოქსინგში);

საქართველოს პირველობებზე თავი გამოიჩინა 90-მდე ზუგდიდელმა სპორტსმენმა, ხოლო გუნდურ პირველობაზე ზუგდიდის ძალოსანთა ნაკრები გუნდი საქართველოს ჩემპიონი გახდა ჭაბუკებს შორის, ზუგდიდის U14-წლამდე გოგონათა გუნდი მე-3 ადგილზე გავიდა, ხოლო ზუგდიდის U12 წლამდე ნაკრებმა გუნდმა Jr. NBA- ს ეგიდით გამართულ საქართველოს პირველობაზე პირველი ადგილი დაიკავა. ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“ გახდა საქართველოს ჩემპიონი.

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება, გათვალისწინებული იყო 146.5 ათასი ლარი, აქედან გახარჯულია 131.7 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, მათ შორისაა ახალგაზრდული მედია-კავშირი“-ს ორგანიზებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო პროექტის: „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“-ს ფარგლებში, სპორტულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზების მომსახურება; ზუგდიდის სამოყვარულო ფეხბურთის გუნდის „მეგრის“ მონაწილეობა „MASTER LEAGUE“-ს ჩემპიონატში; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების კურსდამთავრებულთათვის „ბოლო ზართან“ დაკავშირებული გასართობი ღონისძიების გამართვა, ქართული მუსიკალური ჯგუფის „KILLAGES“ მონაწილეობით; ახალგაზრდობის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიისა და ახალგაზრდული

სათათბიროს ორგანიზებით დადიანების ისტორიულ-არქიტექტურული კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიაზე გასართობი ღონისძიების ჩატარება ჯგუფ „4D MONSTER LOBSTERS“-ისა და DJ TS მონაწილეობით. ასევე ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ახალგაზრდებისთვის ახალგაზრდული პროექტების დაფინანსების და თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა შვიდი პროექტი.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დასაფინანსებლად 2023 წელს გაიხარჯა 838.9 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წიგნადი ფონდი შეივსო 1024 წიგნით, აქედან 423 წიგნი შესყიდულ იქნა ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის მიერ, 601 წიგნი კი საჩუქრად იქნა მიღებული.

საბიბლიოთეკო ცენტრის მიერ 2023 წლის განმავლობაში მკითხველთა წიგნით და საინფორმაციო მომსახურების კუთხით გაწეული მუშაობის რაოდენობრივი მაჩვენებლები გამოიხატა შემდეგ ციფრობრივ მონაცემებში:

- მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა - 13202;
- წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემა - 76806;
- დამსწრეთა რაოდენობა - 120530.

საანგარიშო პერიოდში ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია დათო ტურაშვილის წიგნის „ხალდე-ლაჰილ“ და აბესალომ ტულუშის წიგნის – „ნარკვევები ზუგდიდის ისტორიიდან“ პრეზენტაცია; 3-დან 8 ივლისის ჩათვლით ჩატარებული საზაფხულო სკოლა „ბიბლიოზაფხული“, რომლის ფარგლებშიც განხორციელდა შემდეგი აქტივობები: ბიბლიოტური, „სახალისო მათემატიკა“, „ლიტერატურის საათი“, „ხატვის სამყაროში“, „საუბარი საყვარელ წიგნებზე“, „ვისაუბროთ ინგლისურად“, გალობის გაკვეთილი, სასცენო მეტყველების მასტერკლასი, საუბრები რელიგიაზე, საუბარი ბავშვთა უფლებებზე, ფილმის ჩვენებები, სამაგიდო თამაშები.

19-20 ოქტომბერს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის ინიციატივით პროექტის – „ბიბლიოთეკა ბიბლიოთეკებისათვის“ ფარგლებში ჩატარდა ორდღიანი რეგიონალური კონფერენცია, კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს სამეგრელო-ზემო სვანეთის შვიდი მუნიციპალიტეტის (ფოთი, აბაშა, მარტვილი, სენაკი, ხობი, ჩხოროწყუ, წალენჯიხა) ცენტრალური ბიბლიოთეკების ხელმძღვანელებმა და ბიბლიოთეკარებმა. კონფერენციაში სტუმრის სტატუსით მონაწილეობა მიიღეს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენლებმა.

ამასთან, სისტემატურად ტარდებოდა შეხვედრები, ფილმების ჩვენებები, წიგნების პრეზენტაციები, მწერლების საიუბილეო თარიღებთან დაკავშირებით საღამოები.

სსიპ შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის დანიშნულებით 2023 წლის განმავლობაში პროგნოზირებული იყო ასიგნების გამოყოფა 30.0 ათასი ლარის ოდენობით, რაც აღნიშნული სუბიექტის მიერ სრულად ვერ იქნა ათვისებული (ფაქტიური შესრულების მონაცემი: 26.0 ათასი ლარი).

აღნიშნული თანხით თეატრმა დადგა სპექტაკლი „ყვავილები ელჯერნონისთვის“; ანაზღაურდა საგასტროლო ხარჯები თბილისის საერთაშორისო თეატრალურ ფესტივალზე; დაფინანსდა გასტროლები ქალაქ თბილისში შოთა რუსთაველის სახელობის და ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრებში, ასევე - სვანეთში.

მუნიციპალიტეტის მრავალფეროვან კულტურულ ცხოვრებაში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია ხელოვნებისა და კულტურული მიმართულების სეგმენტს, „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს“.

გასულ 2023 წელს აღნიშნული პროგრამის განხორციელებაზე გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 1404,8 ათასი ლარის ასიგნებათა გამოყოფა, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 1402.7 ათასი ლარი. აქედან ასიგნებათა ძირითადი ნაწილი მიმართულია ხელოვნებითა და შემოქმედებითი საქმიანობით დაკავებულ მუშაკთა, ანსამბლებისა და სახელოვნებო ჯგუფებში დასაქმებულთა, ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე, რომელმაც შეადგინა 858,5 ათასი ლარი; აგრეთვე თანხები გახარჯულია საქონელსა და მომსახურებაზე (181,5 ათასი ლარი), ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის მოვლა-შენახვაზე (20.4 ათასი ლარი), ოფისის შენახვაზე (20.9 ათასი ლარი). ცენტრის არაფინანსური აქტივების ზრდას მოხმარდა 20.2 ათასი ლარი.

ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის პროფილი, მისი ფუნქცია-დანიშნულებიდან გამომდინარე, მრავალფეროვანია და მოიცავს კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის მრავალ სფეროსა და ჟანრს. აღნიშნული მიმართულებით 2023 წელს ცენტრის მიერ ჩატარებულია როგორც მუნიციპალიტეტის, ისე საქართველოს მასშტაბით 43 კულტურული სახელოვნებო ღონისძიება, მათ შორის უნდა გამოიყოს რამდენიმე მნიშვნელოვანი აქტივობა, კერძოდ:

- მიმდინარე წლის 8 იანვარს გაიმართა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ის აღსაყდრებიდან 45 წლისა და დაბადებიდან 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საუბილეო საღამო;
- 31 იანვარს გაიმართა ცენტრის ცნობილი ფოლკლორული ანსამბლ „ჩელას“ პირველი აუდიო დისკის პრეზენტაცია. გამოფენილ იქნა ანსამბლ ჩელას შემოქმედებითი მოღვაწეობის 45 წლიანი ისტორიის ამსახველი ფოტოარქივი;
- 1-2 მარტს აშშ-ში, ატლანტის ქალაქ შუვარჰილში ჩატარებული ქართული კულტურის მე-2 ყოვლეწლიურ ფესტივალზე „ქართული სული 2023“ ცენტრის სამხატვრო გალერეის თანამშრომლის რეწვის ოსტატის მარინა ქარდავას თექვის ნამუშევრების გამოფენა მოეწყო. შემოქმედებითი ნამუშევრის ავტორი კი ფესტივალის სპეციალური დიპლომით დაჯილდოვდა.
- ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა“ და ცნობილი მანქანების რეჟო ბულის სახელობის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „ჩელა“ მონაწილეობდა ქ. თბილისში „წისქვილის ჯგუფი“-ს მიერ დაგეგმილ ღონისძიებაზე - „ქართული კუთხეების ფესტივალი“ და ა(ა)იპ კულტურის ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ აფხაზეთის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებაზე, რომელიც გაიმართა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში;
- ჩატარდა ცენტრის ქორეოგრაფიული ანსამბლი „ცისკარის“ და პოლონეთის ქ. ხოჟუვის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის ანსამბლ „ნა-შლაკუს“-ს ერთობლივი კონცერტი;
- ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა“ მიწვეული იყო და მონაწილეობა მიიღო საბერძნეთში, კუნძულ ლეფკადაზე ჩატარებულ ფოლკლორის 61-ე საერთაშორისო ფესტივალში;

- ცენტრის მიერ ორგანიზებული იქნა და 2023 წლის ივლისში ქ. ზუგდიდში ჩატარდა ცნობილი ზუგდიდელი ლოტბარისა და ხელოვანის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის საერთაშორისო ფესტივალი;
- ცენტრის ინიციატივითა და ორგანიზებით, 2023 წლის სექტემბრტში ჩატარდა „ზუგდიდის კლასიკური მუსიკის ფესტივალი“. ფესტივალზე ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი საქართველოს და საზღვარგარეთის საოპერო-მუსიკალური სახელოვნებო ცენტრების საერთაშორისო არენაზე აღიარებული ხელოვნების ოსტატები.
- 30 დეკემბერს ჩატარდა ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის ქორეოგრაფთა კავშირის, ხელოვნებისა და ტურიზმის განვითარების ცენტრი „ოდიში“-ს ერთობლივი პროექტი ხელოვნების მე-8 ფესტივალი- „სახალწლო მეჯლისი“. ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა გალა კონცერტი და მოეწყო ხელოვნების მოღვაწე ადამიანების დაჯილდოება „ხელოვანი 2023“.

კულტურის მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც ხორციელდება მერის შესაბამისი პირველადი სტრუქტურული ერთეულის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, გასულ საფინანსო წელს პროგნოზირებული იყო 63.4 ათასი ლარის გამოყოფა, და ის მთლიანად არის ათვისებული. გამოყოფილი თანხები მიიმართა კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციის, ამ სფეროში მოსახლეობის ფართო ფენების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლების, შემეცნებით-საგანმანათლებლო ღონისძიებების დასაფინანსებლად, მათ შორის უნდა გამოიყოს ზოგიერთი კონკრეტული აქტივობა როგორცაა:

- მოსწავლე ახალგაზრდებში კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზების მიზნით ჩატარებული სამეცნიერო თემატური კონკურსი „ნორჩი მკვლევარი 2023“. სამეცნიერო კონფერენცია მოეწყო თემაზე: „ქრისტეს გზა ჩვენი ევროპული არჩევანი“, რომელიც მიემდგვნა საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 და ათონის ივერიის მონასტრის აშენებიდან 1040 წლისთავს.
- საგანმანათლებლო-შემეცნებითი პროექტის „ზუგდიდის არქეოლოგია“-შექმნა, რომელიც ითვალისწინებს ვიდეო ლექციების კურსს კულტურული მემკვიდრეობის აქტუალურ თემებზე;
- მუნიციპალიტეტის ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში განხორციელებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის ე.წ „ცაიშის სამაროვნის“ ტერიტორიის სავსე არქეოლოგიურ კვლევა-ძიება, რომლის ფარგლებში აღმოჩენილი ახალი არქეოლოგიური ძეგლები და არტეფაქტები მუდმივი მფლობელობის მიზნით გადაეცა ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურულ მუზეუმს;
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში ჩატარებული კავკასიის ხალხთა V საერთაშორისო ლიტერატურულ-ფოლკლორული სამდღიანი ფესტივალი „ანაკლია 2023“. ღონისძიების ფარგლებში ჩატარდა საერთო კავკასიური პოეზიის, ლიტერატურის, ფოლკლორის ნიმუშების პრეზენტაცია.

მერიის კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის კულტურის განყოფილება, 12 თვეში პროგნოზირებული იყო 568.1 ათასი ლარი, გახარჯულია 418.3 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებზე. მათ შორისაა, „ზუგდიდობა 2023“, უკვე ტრადიციად ქცეული დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება „მარტის თვეა შენი“. მიმდინარე წელს აღნიშნული ღონისძიება მიემდგვნა ცნობილ კომპოზიტორსა და შემსრულებელს ინოლა გურგულიას. პროექტი სახელწოდებით, „დედაჩვენი-ინოლა“ მისი ოჯახის წევრებისა და ჯგუფის „ჯორჯიან სიქსი“ მონაწილეობით გაიმართა. ასევე მნიშვნელოვანია პირველი ქართული რეფერენდუმისა და საქართველოს პირველი პრეზიდენტის დაბადების დღე-31 მარტი, რომელიც ცენტრალურ ბიბლიოთეკაში საჯარო ლექციით აღინიშნა. ტრადიციულად, აფხაზეთობას მიემდგვნა ღონისძიება-კონცერტი, რომელიც კულტურის განყოფილების ინიციატივით მოსწავლე-

ახალგაზრდობის განვითარების სასახლის დარბაზში ჩატარდა. სახელობითი ვარსკვლავის გახსნა ყოველთვის ღირსშესანიშნავი მოვლენაა მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. პირველად ჩვენი ქალაქის ისტორიაში, სახელობითი ვარსკვლავის გახსნა იზეიმა საბავშვო ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „იმედი“. მასშტაბურად აღინიშნა ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე -1 ივნისი ბოტანიკურ ბაღში. ასევე, გაიმართა ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის 155 წლის იუბილესთან დაკავშირებით გამართული სპექტაკლის და ჩხორიის სამოყვარულო თეატრის სპექტაკლის პრემიერები.

ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად 2023 წელს გათვალისწინებული იყო 228.0 ათასი ლარი, საიდანაც ათვისებულია 64.4 ათასი ლარი. თანხები მიიმართა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „EU4Culture“ ფარგლებში ზუგდიდის კულტურის განვითარების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის მიზნებისთვის გამოცხადებულ კონკურსში „ზუგდიდის შემოქმედებითი სივრცეებისა და კლასტერების განვითარება და შემოქმედებითი თანამშრომლობის ხელშეწყობა“ გამარჯვებული პროექტების წარმატებით განხორციელებისთვის, ასევე ინტერაქტიული დაფის (smart board), პორტატული კომპიუტერის (ლეპტოპის) და „მეგრული ხალხური ზღაპრების“ (გამომცემლები: კორნელი დანელია და აპოლონ ცანავა, თბილისი, 1991 წელი) მეგრულ ენაზე 50 (ორმოცდაათი) ეგზემპლარი აუდიო წიგნის სახით გამოცემის უზრუნველსაყოფად გახმავანებისა და „CD“ პრინტაბელურ კომპაქტდისკებზე ჩაწერის მომსახურების ანაზღაურების მიზნით.

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლების გაერთიანება, რომელიც საკუთრივ ფუნქციონირებს N1 და N2 სამუსიკო სკოლების, სამუსიკო-საგუნდო სკოლის და სამხატვრო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე. აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 12 თვეში ათვისებული აქვს (საკასო შესრულება) 913,2 ათასი ლარი. ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 725,1 ათასი ლარი - ძირითად მომსახურება და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, ხოლო 126,5 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; 4.0 - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება-ს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 105,2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

12 თვეში როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრებთან მათი ჩართულობით ჩატარებულია და განხორციელებულია 40-მდე აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსამბლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა როგორც საქართველოს, ისე საერთაშორისო მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და კონკურს ფესტივალებზე მიღწეული განსაკუთრებით მაღალი შედეგებისათვის ჯილდოს სახით მოიპოვეს არაერთი მედალი, დიპლომი, სიგელი, და ლაურეატის წოდებები, კერძოდ:

- 2023 წლის 12 მაისს ქ. თბილისში, ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში, საქართველოს საგუნდო საზოგადოების ორგანიზებით, ჩატარდა ბავშვთა და ახალგაზრდული საგუნდო კოლექტივების VII ეროვნული კონკურსის მეორე ფინალური ტური და მასში მონაწილეობა მიიღეს საგუნდო-სამუსიკო სკოლის უმცროს და უფროს კლასელთა აკადემიურმა გუნდებმა. აღსანიშნავია, რომ უმცროსკლასელთა გუნდმა მოიპოვა ოქროს მედალი, პირველი ადგილი და ლაურეატის წოდება, ხოლო უფროსკლასელთა გუნდს მიენიჭა მეორე ადგილი, ვერცხლის მედალი და ლაურეატის წოდება.

- 2023 წლის 21 მაისს, ქალაქ სენაკში, ხელოვნების აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა რიგით X საუბილეო სენაკის „დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს ხელოვნების ფესტივალი 2023“, სადაც მონაწილეობდა საგუნდო-სამუსიკო სკოლის 22 მოსწავლე, აქედან 20 გახდა

საპატიო დიპლომის მფლობელი, ხოლო 2 მოსწავლე დაჯილდოვდა სიგელით. აღსანიშნავია, ის რომ ერთ-ერთი გახდა ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიანტი.

- 2023 წლის 28 მაისს „იპოვე შენი ვარსკლავი“-ს გალა კონცერტის ფარგლებში № 1 სამუსიკო სკოლის 8 მოსწავლე დაჯილდოვდა: ოთხი ოქროს მედლითა და ოთხი ვერცხლის მედლით.

- 2023 წლის 4 ივნისს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მ.ორაგველიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში საქართველოს ხელოვნების აკადემიისა და მუსიკის აკადემიის ორგანიზებით ჩატარდა კარლ ჩერნის სახელობის პირველი კონკურსი, მონაწილეობა მიიღეს საგუნდო-სამუსიკო სკოლის ფორტეპიანოს მოსწავლეებმა. ერთ-ერთმა აიღო პირველი პრემია და მიიღო ლაურეატის წოდება, ხოლო მეორემ მეორე პრემია, მიენიჭა ლაურეატის წოდება და გახდა ხელოვნების აკადემიის სტიპენდიანტი.

- 2023 წლის 26 ივნისს ქალაქ ბათუმში, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში ჩატარდა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა, კონკურს-ფესტივალის გალა-კონცერტი „რონდო-კლასიკა“, სადაც მონაწილეობა მიიღო საგუნდო-სამუსიკო სკოლის ორმა მოსწავლემ და მიენიჭათ დიპლომები და პრემია.

- ქალაქ ბათუმში საქართველოს კულტურისა და ტურიზმის განვითარების ასოციაციის საერთაშორისო კონკურს-ფესტივალში „ოქროს საწმისი“, მონაწილეობდა 13 მოსწავლე. ფესტივალის ფარგლებში 28 ივნისს გალა კონცერტზე ხუთი მოსწავლე დაჯილდოვდა პირველი საპრიზო კატეგორიის დიპლომით, ექვსი მოსწავლე მეორე საპრიზო კატეგორიის დიპლომით და ერთი მოსწავლე მესამე საპრიზო კატეგორიის დიპლომით.

- ქალაქ ბორჯომში, ქართული ფოლკლორისა და კლასიკური მუსიკის განვითარების კავშირი „ჰარმონიას“ ორგანიზებით ჩატარდა კლასიკური მუსიკის ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებელთა III საერთაშორისო კონკურსი, სადაც მონაწილეობდა დარე ცინდელიანი, რომელმაც მოიპვა II ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

- თბილისის პროფკავშირების კულტურის ცენტრში 2023 წლის 24 ნოემბერს ჩატარდა არტ-ფესტივალი „გახდი ოსკაროსანი“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ და მთავარი პრიზიც დაიმსახურეს კამერულმა ორკესტრმა „ამადეუსი“ და კლასიკური გიტარის ტრიომ და კვარტეტმა.

- ქალაქ ბათუმში ხელოვნების საერთაშორისო სატელევიზიო კონკურს-ფესტივალი „TV-100“ ჩატარდა 2023 წლის 27 ნოემბერს, სადაც პირველი ადგილი მოიპოვა ფოლკლორულმა ანსამბლმა „ლილემ“.

რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის დანიშნულებით 2023 წელს გამოიყო 135.0 ათასი ლარი რომელიც მთლიანობაში მიმართული იქნა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატის სახელობის საკათედრო ტაძრის სამშენებლო და ნარაზენის ხარების სახელობის და ჯიხაშკარის ეკლესიების სარემონტო სამუშაოების დასაფინანსებლად.

ტელერადიომაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის კუთხით, 2023 წელს ფაქტობრივი საჭიროებიდან გამომდინარე ათვისებულია 57.2 ათასი ლარი.

საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ დაფინანსებისთვის 12 თვეში პროგნოზირებული იყო 80.0 ათასი ლარი რომელიც სრულად არის ათვისებული და მიმართულია შემდეგი მიზნების მისაღწევად: საცხენოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზება და ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებული ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობის შეჯიბრებებში მონაწილეობა.

„ქართული ფეხბურთის განვითარების“ ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 2023 წელს გამოიყო 580.0 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის სპორტული გეგმიური ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა.

ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისთვის 2023 წელს გათვალისწინებული იყო საბიუჯეტო ასიგნებათა გამოყოფა 5896,6 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ შეადგინა 5639,5 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიძღრათა:

ა) მუნიციპალიტეტზე დელეგირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის დაფინანსების კუთხით, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, ათვისებულია 485,2 ათასი ლარი, რაც პრაქტიკულად უტოლდება გასულ წელს პროგნოზირებულ მაჩვენებელს.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ მითითებული პროგრამის ფარგლებში, ცენტრის საკუთარი ძალებით შესრულებული და ჩატარებულია სხვადასხვა სახის მნიშვნელოვანი სამუშაო და ღონისძიება, რომელიც მოიცავს სასწრაფო და რუტინული დამუშავების საფუძველზე ინფექციურ დაავადებათა დარეგისტრირების, ინფექციურ დაავადებებზე („ც“, „ბ“ ჰეპატიტი, „აივ-ინფექცია“), ასევე დედათა და ბავშვთა ჯამრთელობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა გამოკვლევის, გეგმიური პროფილაქტიკური აცრების, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში სკრინინგის და პარაზიტოლოგიურ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევის, საქართველოს მთავრობის ცნობილი N 975 განკარგულების შესაბამისად კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციაზე სავალდებულო შემოწმებას დაქვემდებარებულ პრიორიტეტულ პირებზე ტესტირების ჩატარების, კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივი დანიშნულების სხვადასხვა სფეროს ობიექტებზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელების ღონისძიებებს და სხვა არსებითი მნიშვნელობის საკითხებს. ყოველივე ეს გამოიხატა მუშაობის შემდეგ მაჩვენებლებში, კერძოდ: დარეგისტრირებულ იქნა ინფექციური დაავადებების 14071 შემთხვევა, ამ კუთხით გამოკვლეული იქნა 657 ორსული; იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჩატარდა 74 მონიტორინგი 29 საექიმო ამბულატორიასა და 2 სამედიცინო დაწესებულებაში; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 19441 გეგმიური აცრა; კორონავირუსით გამოწვეულ ინფექციაზე ტესტირება ჩატარდა 9040 ბენეფიციარს და გამოვლენილი იქნა 73 კოვიდინფიცირებული პირი.

ინფექციის კონტროლის ღონისძიებების მიმდინარეობაზე ზედამხედველობის მიზნით სტომატოლოგიურ კაბინეტებში განხორციელდა 59 მონიტორინგი, საბავშვო ბაღებში 167 მონიტორინგი; სხვადასხვა ინფექციებზე სკრინინგი ჩატარდა 11653 ბენეფიციარს; პარაზიტულ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევა ჩატარდა საბავშვო ბაღების 3494 აღსაზრდელს;

ზედამხედველობისა და მონიტორინგის კუთხით ცენტრმა გასულ წელს განახორციელა შესაბამისი ღონისძიებანი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე, მათ შორის მონიტორინგი ჩატარდა 91 ბიზნესოპერატორს.

ბ) მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში 2023 წელს ერთობლივად გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 5338,4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 5090,9 ათასი ლარი. პროგნოზირებული თანხის სრული ოდენობით აუთვისებლობა (სხვაობამ შეადგინა 248,0 ათასი ლარი) განაპირობა იმ გარემოებამ, რომ სოციალური დაცვის მრავალრიცხოვანი პროგრამების მიხედვით, წლის ბოლო პერიოდისთვის რიცხული მცირე-მცირე მოცულობის ფულადი ნაშთები საფინანსო წლის ფარგლებში სხვადასხვა მიზეზის გამო მთლიანად ვერ იქნა ამოწურული.

ცალკე აღებული სოციალური პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში, 2023 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან ათვისებული და გახარჯული იქნა 3154,2 ათასი ლარი, რომელსაც ემატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამიყოფილი სპეციალური ტრანსფერის თანხა 437,0 ათასი ლარი, რაც მიიმართა სტიქიის შედეგად მუნიციპალიტეტში მცხოვრები მოქალაქეებისათვის მიყენებული მატერიალური ზიანის ასანაზღაურებლად.

სოციალური დაცვის სფეროსთვის გამოყოფილი ასიგნება (3154,2 ათასი ლარი) გადანაწილდა შემდეგ პროგრამებსა და ქვეპროგრამებზე:

- 326,6 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 725 ბენეფიციარმა. ქვეპროგრამების დაფინანსება მიიმართა: ა) 284,4 ათასი ლარი- 300 სოციალურად დაუცველი მოქალაქის კვებაზე უფასო სასადილოში; ბ) 42,2 ათასი ლარი - სოფლად მცხოვრები უკიდურესად შეჭირვებული 425 ოჯახის დახმარებისათვის (საკვები პროდუქტების ნაკრები);
- 44.6 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 30 ბენეფიციარმა;
- 65.3 ათასი ლარი - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 218 ბენეფიციარმა;
- 244,0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 704 ბენეფიციარმა. ამ პროგრამის ფარგლებში გასულ წელს 1 ივნისიდან ამოქმედდა ახალი ქვეპროგრამა - თავისუფალი გადაადგილების სოციალური სერვისი, რითაც შესაძლებელი ხდება საჭიროების მქონე პირთა ინდივიდუალური მობილობა. გასულ წელს განხორციელდა სხვადასხვა მიმართულებით 557 გასვლა და სერვისით ისარგებლა 110-მა ბენეფიციარმა;
- 94.4 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლების სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 350 ბენეფიციარმა;
- 23.7 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა სულ 142 ბენეფიციარმა;
- 84,4 ათასი ლარი - სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე, რომელიც გაიხარჯა აღდგომის და ახალი წლის დღესასწაულებთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულების და უკიდურესად შეჭირვებული მოქალაქეების სასაჩუქრე პაკეტებისათვის, ისარგებლა 550 ბენეფიციარმა;
- 128.7 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 144 ბენეფიციარმა;
- 374.6 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე, ისარგებლა 234 ბენეფიციარმა;

- 45.9 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 459 ბენეფიციარმა;
- 305.6 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე, ისარგებლა 1338 ბენეფიციარმა;
- 22.7 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ფიზიკური პირების მიერ წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსების პროგრამაზე; დაფინანსდა 5 პროექტი, რომლებშიც ჩართული იყო 109 მოქალაქე;
- 30.9 ათასი ლარი - პროგრამაზე „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“, ისარგებლა 29 ბენეფიციარმა;
- 1349.8 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაზე; აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 39 ოჯახი, გასულ წელს აშენდა 19 ე.წ სოციალური სახლი. ამასთან დასრულდა ქვეპროგრამაში - „ერთი თბილი ოთახი“ ჩართული 20 ოჯახის საცხოვრებელი სახლების სარემონტო სამუშაოები.

ჯანდაცვის ხაზით, სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 1540,5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 1499,7 ათასი ლარი, რითაც გამოყოფილი ასიგნებანი პრაქტიკულად ათვისებულია, რომელიც მიიმართა აღნიშნული პროგრამის შესაბამისი ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, კერძოდ:

- 185.6 ათასი ლარი - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონოგრაფია) თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 766 ბენეფიციარმა);
- 30.2 ათასი ლარი - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 32 ბენეფიციარმა)
- 167,1 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 261 მოქალაქემ;
- 237.0 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 1300 მოქალაქემ;
- 534.3 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე (ჩართულია 130 ბავშვი);
- 104.6 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 274 ბავშვმა;
- 4.9 ათასი ლარი - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 11 ბენეფიციარმა;
- 48,9 ათასი ლარი-იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე (ჩართულია 11 მოქალაქე);
- 77,0 ათასი ლარი-ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 1033 მოქალაქემ;
- 2,4 ათასი ლარი-განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციპიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 12 ბენეფიციარმა;
- 14,5 ათასი ლარი- ბინაზე მყოფი პალატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა საჭიროებისთვის თანხის უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე (პროგრამაში ჩართულია 12 მოქალაქე);
- 15,6 ათასი ლარი-კოხლეარული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (111-1V) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის პროცესორის ღირებულების თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 2 ბენეფიციარმა);

- 77,6 ათასი ლარი-მვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 338 ბენეფიციარმა);
უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ხსენებული პროგრამებისა და ქვეპროგრამების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სახსრებით დაფინანსების გარდა, ადგილობრივი მოსახლეობისა და იმულებით დევნილი პირების ჯამრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების სახელმწიფოს ცენტრალიზებული სახსრებით დაფინანსების მიზნით, 2023 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯამრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წინაშე მუნიციპალიტეტის მერის შუამდგომლობა გაეწია 302 სხვადასხვა საჭიროების მქონე პირს.
ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2023 წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. აღნიშნული პროგრამის დანიშნულებით ბიუჯეტიდან ათვისებულია 53,4 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა 197 ბენეფიციარის სხვადასხვა სახის საჭიროებებზე და გადანაწილდა შემდეგნაირად:
- 27,9 ათასი ლარი-სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 21 ოჯახის 48 ბენეფიციარმა;
- 2,8 ათასი ლარი-ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე, რომელშიც ჩართული იყო 120 ბავშვი;
- 10,5 ათასი ლარი-ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე;
- 12,2 ათასი ლარი-სპორტულ-გამაჯანსაღებელი წრის (აქვა-თერაპია) დაფინანსებაზე, ისარგებლა 7 ბენეფიციარმა.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები

მმართველობისა და საერთო დანიშნულების ხარჯებისათვის 2023 წელს პროგნოზირებული იყო 16595,0 ათასი ლარის გამოყოფა, რომელიც საფინანსო წლის განმავლობაში მთლიანად ათვისებულია.

- ✓ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისათვის მიიმართა 10856,7 ათასი ლარი, მათ შორის:
 - საკრებულოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე 2000,3 ათასი ლარი;
 - მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის 8856,4 ათასი ლარი;
 - სარეზერვო ფონდიდან გამოიყო ... ათასი ლარი (ამ ფონდიდან თანხების გამოყოფის, მიზნობრიონისა და ათვისების შესახებ ინფორმაცია წინამდებარე განმარტებით ბარათს თან ერთვის - დანართი N1).
- ✓ თავდაცვითუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის სფეროს დაფინანსებამ, რომელიც ხორციელდებოდა მერიის შესაბამისი უფლებამოსილი სამსახურის მიერ, საკასო მაჩვენებლის მიხედვით შეადგინა 348,1 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები მოხმარდა წვევამდელთა აღრიცხვაზე აყვანის, გაწვევასთან დაკავშირებით წვევამდელების ტრანსპორტირების და სხვა ორგანიზაციულ-ტექნიკური სახის ხარჯების ანაზღაურებას.

- ✓ მუნიციპალიტეტის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მოწყობა - მონტაჟის კუთხით ათვისებულია 1055,0 ათასი ლარი;
- ✓ მგფ-დან და მთავრობისგან, მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად წინა წლებში აღებული სასეხო ვალდებულების თანხა, რომელიც შეადგენდა 4262,6 ათას ლარს, გრაფიკის მიხედვით დაფარულია სრულად.

მუნიციპალიტეტის 2023 წლის გადასახდელების შესრულება კონკრეტული მუხლების მიხედვით მოიცავს შემდეგ ფინანსურ პარამეტრებს, კერძოდ: გადასახდელების საკასო შესრულების საერთო თანხიდან (83181,5 ათასი ლარი), ხარჯები შეადგენს 57447,3 ათას ლარს, აქედან:

- შრომის ანაზღაურება - 8644,9 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 7170,8 ათასი ლარი;
- პროცენტი - 1822,3 ათასი ლარი;
- სუბსიდიები - 32255,7 ათასი ლარი;
- გრანტები - 62,3 ათასი ლარი;
- სოციალური უზრუნველყოფა - 3105,4 ათასი ლარი;
- სხვა ხარჯები - 4385,9 ათასი ლარი.

გარდა ამისა არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა - 23293,9 ათასი ლარი; ვალდებულებების კლება დაფიქსირდა 2440,3 ათასი ლარის ოდენობით.

გასულ 2023 საფინანსო წელს ბიუჯეტის ხარჯების ცალკეული მუხლების მიხედვით ფულადი სახსრების ზეგეგმიურ ხარჯვას (გადამეტებას) ადგილი არ ჰქონია.

წინამდებარე განმარტებით ბარათში ასახული 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის მაჩვენებლები და საბიუჯეტო ტენდენციები ცხადყოფენ, რომ მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოს, საბიუჯეტო სახსრების განკარგვაზე პასუხისმგებელი მერიის სტრუქტურულ ერთეულებს, იურიდიულ პირებს დიდი მოცულობის სერიოზული მუშაობა აქვთ ჩატარებული მუნიციპალიტეტის რთული და მრავალწახნაგოვანი საფინანსო-საბიუჯეტო საქმიანობის ყველა სფეროსა და დარგის მიმართულებით.

2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულება

საქართველოს საბიუჯეტო კანონმდებლობის შესაბამისად ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 29 დეკემბრის N48 დადგენილებით. ბიუჯეტის მოცულობა თავდაპირველად განისაზღვრა 64 500 ათასი ლარით. მიმდინარე საფინანსო წლის განვლილ 9 თვეში საკრებულოს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით მასში შეტანილი იქნა გარკვეული ცვლილებები, რომელიც ეხებოდა ახალი საბიუჯეტო წლის დასაწყისისათვის ნაშთის სახით არსებული, ვალდებულებათა ქვეშ მყოფი და ვალდებულებით დაუტვირთავი თანხების, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მუნიციპალიტეტისთვის გრანტების სახით გამოყოფილი ფულადი სახსრების და შიდა საბიუჯეტო ცვლილებების ადგილობრივ ბიუჯეტში ასახვას. ამ ფაქტორების გავლენის შედეგად მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მოცულობამ 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 101 865,9 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების, შემოსავლებისა და გადასახდელების შესრულების ფინანსური პარამეტრები ხასიათდება შემდეგი მაჩვენებლებით:

ბიუჯეტის შემოსულობები

მუნიციპალიტეტის 2024 წლის 9 თვის შემოსულობების გეგმა-პროგნოზი ნაზარდი ჯამით განისაზღვრა 82 452,3 ათასი ლარის ოდენობით, საკასო შესრულებამ კი შეადგინა 64 183,4 ათასი ლარი (77,8%-ი).

მთლიანი შემოსავლების 9 თვის გეგმა-პროგნოზი შეადგენს 80 252,3 ათას ლარს, შესრულების საკასო მაჩვენებელია 63 503,9 ათასი ლარი (79,1%-ი).

ბიუჯეტის შემოსულობებისა და შესაბამისად მთლიანობაში შემოსავლების პროგნოზირებული მაჩვენებლების შეუსრულებლობა ძირითადად გამოწვეულია იმ მიზეზებით, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებებით მუნიციპალიტეტისთვის გრანტების სახით გამოყოფილი ტრანსფერის თანხები ბიუჯეტის შესრულების მიმოხილვისთვის განსაზღვრულ პერიოდში (9 თვე) ადგილობრივ ბიუჯეტს სრული ოდენობით არ აქვს მიღებული.

აღსანიშნავია, რომ განვლილ 9 თვეში მუნიციპალიტეტს მთავრობის განკარგულებებით გრანტის სახით სულ გამოეყო 36 207 ათასი ლარი, აქედან საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“, სანიაღვრე არხების მოწყობის, წყალმომარაგების, მრავალბინიანი სახლების ეზოების კეთილმოწყობა-რეაბილიტაციის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროექტების დანიშნულებით გამოყოფილმა კაპიტალურმა ტრანსფერებმა შეადგინა 33 128 ათასი ლარი. აღნიშნული ტრანსფერები, გარდა

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამისა“ (948,0 ათასი ლარი), მთლიანად გამოყოფილი იქნა ივლისის და აგვისტოს თვეში და ბიუჯეტშიც აისახა ამავე პერიოდში. რა თქმა უნდა ასეთ შემჭიდროებულ ვადებში ასეთი ძალზე დიდი მოცულობის თანხების სრულად ათვისება, კანონით გათვალისწინებული მრავალი პროცედურის აუცილებელი შესრულების გარემოების გათვალისწინებით, პრაქტიკულად შეუძლებელი იყო.

რაც შეეხება ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების შესრულებას, ის გამოიხატება შემდეგ მაჩვენებელში: გეგმა-პროგნოზი შეადგენს 58 896,1 ათას ლარს, ხოლო საკასო შესრულებაა 48486,2 ათასი ლარი (82,3%), რაც გრანტების სახით ადგილობრივი ბიუჯეტისთვის გამოყოფილი ტრანსფერის თანხების არასრულად მიღების ფაქტორით გამოწვეული მიზეზის გარდა, აგრეთვე განპირობებულია „სხვა შემოსავლების“ კატეგორიას მიკუთვნებული საბიუჯეტო ფულადი სახსრებიდან მისაღები შემოსავლების გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული მაჩვენებლების მეტ-ნაკლებად შეუსრულებლობით.

ბიუჯეტის შემოსავლების შესრულება ძირითადი სახეების მიხედვით იძლევა შემდეგ სურათს:

- საგადასახადო შემოსავლების (დამატებითი ღირებულების გადასახადი, ქონების გადასახადი) შესრულებამ ერთობლივად შეადგინა 38 629,9 ათასი ლარი, (გეგმა-პროგნოზი -39 497,2 ათასი ლარი), რაც გეგმა-პროგნოზის 98%-ია. უნდა ითქვას, რომ 2024 წლის გეგმასთან მიმართებით 9 თვეში საგადასახადო შემოსავლების თანაბარზომიერად დაგეგმვის შემთხვევაში, საგადასახადო შემოსავლების 9 თვის გეგმა-პროგნოზი (რომლის ფინანსური პარამეტრი იქნებოდა 37 327,0 ათასი ლარი) გადაჭარბებითაა შესრულებული.

გადასახადებიდან ბიუჯეტში შემოსავლები ცალკეული სახეების მიხედვით შემოსულია:

- დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ) 31 396,7 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 31 670,7 ათასი ლარი);
- ქონების გადასახადი 7 233,2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 7 826,5 ათასი ლარი).

სხვა შემოსავლები (შემოსავლები საკუთრებიდან, ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები, საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია, სანქციები, ჯარიმები და საურავები, ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული) ბიუჯეტში შემოსულია 3 962,3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 4 625,1 ათასი ლარი).

სხვა შემოსავლები განვლილ 9 თვეში ბიუჯეტს ძირითადი სახეების მიხედვით მიღებული აქვს:

- შემოსავლები საკუთრებიდან - 626,9 ათასი ლარი, აქედან პროცენტები-197,5 ათასი ლარი; რენტა-429,4 ათასი ლარი (მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის 183,1 ათასი ლარი; შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან 246,3 ათასი ლარი);
- საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 886,2 ათასი ლარი;
- ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები-786,2 ათასი ლარი (მათ შორის სანებართვო მოსაკრებელი 82,0 ათასი ლარი; სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი 157,5 ათასი ლარი; ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის 546,7 ათასი ლარი);
- არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება-100,0 ათასი ლარი;
- ჯარიმები, სანქციები და საურავები-2 275,8 ათასი ლარი (მათ შორის საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის გამო 2 020,4 ათასი ლარი; შემოსავლები სხვა დანარჩენი ჯარიმებიდან 227,8 ათასი ლარი; ტრანსფერები, რომელიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული 173,4 ათასი ლარი;

შემოსავალი ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოდან 105,4 ათასი ლარი; დანარჩენი არაკლასიფიცირებული შემოსავლები 65,9 ათასი ლარი და სხვა);

- არაფინანსური აქტივების კლებიდან განვლილ 9 თვეში ბიუჯეტში შემოსულია თითქმის 680,0 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 2 200,0 ათასი ლარი). საპროგნოზო მაჩვენებლის შეუსრულებლობა მნიშვნელოვან წილად განპირობებულია მერიის მიერ გამოცხადებული, მაგრამ მეტ წილად ჩაშლილი და არ შემდგარი აუქციონებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ქონების პრივატიზაციის პროცესის მართვის ნაკლები ეფექტურობით.

გრანტები, რომელიც მოიცავს ერთობლივად სახელმწიფო ბიუჯეტიდან და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მისაღებ თანხებს, 9 თვეში პროგნოზირებული იყო 36 032,7 ათასი ლარის ოდენობით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 20 911,7 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ განვლილ 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილია ძალიან დიდ თანხობრივი ოდენობის ტრანსფერები, რომლის უდიდესი ნაწილი კაპიტალური ტრანსფერებია. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მთავრობის მიერ კაპიტალური ტრანსფერების ცენტრალიზებულად გამოყოფა, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ჩარიცხვა, ტენდერების ორგანიზება და პროექტების განხორციელება მოიცავს რთულ და მრავალჯერად პროცედურებს, გრანტების გეგმა-პროგნოზის შეუსრულებლობას ძირითადად აქვს ობიექტური ახსნა, რის შესახებაც წინამდებარე განმარტებითი ბარათის გრანტების მიმოხილვის ნაწილში კონკრეტულად არის მიზეზების შესახებ ნათქვამი.

ბიუჯეტის გადასახდელები

მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული საწყისი ბიუჯეტის მოცულობამ, როგორც ეს უკვე იყო აღნიშნული, მიმდინარე წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 101 865,9 ათასი ლარი, მათ შორის საკუთარი ბიუჯეტის მოცულობა შეადგენს 79 744,9 ათას ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მუნიციპალიტეტის საწყისი ბიუჯეტის მოცულობა გაიზარდა 37 365,9 ათასი ლარით ანუ 57,9%-ით. აქედან 4 425,4 ათასი ლარი არის წლის დასაწყისში არსებული მთლიანი ნაშთის თანხა, მათ შორის 3 600,0 ათასი ლარი 2024 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის დასაბალანსებლად გამოყოფილი ფინანსური რესურსი, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ფულადი სახსრების ნაშთი იყო 764,4 ათასი ლარი, საკუთარი ბიუჯეტის სახსრების ნაშთი კი 59,9 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ მუნიციპალიტეტის გადასახდელების ფინანსური პარამეტრები წინა წლებთან შედარებით განსაკუთრებულად დიდი მასშტაბებით გაიზარდა და 9 თვეში მისი გეგმა-პროგნოზი შეადგენს 86 877,0 ათას ლარს, საკასო შესრულების მაჩვენებელია 62 976,8 ათასი ლარი. მონაცემები ცხადყოფს, რომ გადასახდელების უდიდესი ნაწილი მოდის ინფრასტრუქტურის სფეროზე.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციის კუთხით მიმდინარე წლის 9 თვეში მიიმართა სულ 25 782,9 ათასი ლარი, მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით 14 058,7 ათასი ლარი და ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით 11 724,2 ათასი ლარი (რაც შეეხება კანონის მიხედვით ინფრასტრუქტურის სფეროს კატეგორიას მიკუთვნებულ, მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირებს (ა(ა)იპ, შპს), მათ მიერ გაწეული მუშაობის შედეგების მიმოხილვა მოცემულია წინამდებარე განმარტებითი ბარათის ქვემო შესაბამის ნაწილში).

ინფრასტრუქტურის დარგით საბიუჯეტო სახსრები გადანაწილდა შემდეგ ნაირად: საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარებას მთლიანობაში მოხმარდა 11 257.2 ათასი ლარი, აქედან 10 678.4 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები.

აღნიშნული დაფინანსების წყაროთი განხორციელებულია სხვადასხვა თანხობრივი მოცულობის შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- №22 ზონაში არსებული საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთების (მოვლა-შენახვის) და ზამთრის შენახვის სამუშაოები, ასევე სტიქიური მოვლენების შედეგების ლიკვიდაციისას, აღნიშნული ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები - 82.7 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, გზის საფარის სარეაბილიტაციო (მოხრეშვა) სამუშაოები - 189.0 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო (ორმული შეკეთება) სამუშაოები - 297.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ფირცხალავას ქუჩაზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 23.3 ათასი ლარი;
- ნარაზენის (საპერტიოს უბანში), ყულიშკარის (გამარჯვების უბანი) და ოქტომბერის (საზარქუოს უბანი) ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 579.5 ათასი ლარი;
- დიდინემის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნაკალის უბანში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო (მეორე ეტაპი) სამუშაოები - 935.1 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში, რუხის და ახალბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სინწიდან სოფლის ცენტრამდე საავტომობილო გზის, ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯუმი-ახალსოფლის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის (ცაბამის, ყაზბეგის და ჯიქიას ქუჩები) - სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 118.3 ათასი ლარი;
- ჭკადუაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სამანიოს, სანაჭყებოს და ჯინჯოლავების უბანში საავტომობილო გზის, ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, საფიფიოს უბანში საავტომობილო გზის, რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, რიყე-ზედაეწერის დამაკავშირებელი საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 929.1 ათასი ლარი;
- ორულუს, ცაცხვის და ხეცერას ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 023.1 ათასი ლარი;
- კახათის, ინგირის და ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 140.0 ათასი ლარი;

- ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საავტომობილო გზის (მეოთხე ეტაპი), შამგონას და კოკის (ნალიმას უბანი) ადმინისტრაციული ერთეულების დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ზუგდიდი - წალენჯიხის ცენტრალური გზიდან, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საზღვრამდე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 978.6 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში საავტომობილო გზების (აღმართები) სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 632.1 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ზაქარაიას ქუჩაზე და თაბუკაშვილის ქუჩის II ჩიხში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 100.6 ათასი ლარი;
- ორსანტიას ადმინისტრაციულ ერთეულში, კ. გამსახურდიას, ზუგდიდის, ენგურის და თამარ მეფის ქუჩებზე საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 60.0 ათასი ლარი;
- დარჩელის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლადო ასათიანის ქუჩაზე საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 75.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის I შესახვევის, ნუცუბიძის, კიევის, ჩემინავას, სპეციალისტების III შესახვევის, იპოლიტე ხვიჩიას, მარჯანიშვილის, გუბაზ მეფის, იონა მეუნარგიას და აკ. წერეთლის ქუჩის მე-4 შესახვევში საავტომობილო გზის საფარის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 1 089.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, კობახიძის ქუჩაზე არსებული ხიდის მოაჯირის მოწყობის სამუშაოები - 3.9 ათასი ლარი.

წყლისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობა-რეაბილიტაციაზე გახარჯულია 522.9 ათასი ლარი, აქედან 218.0 ათას ლარს შეადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 304.9 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები. განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულში, სათოლორაიოს უბანში ჭაბურღილის ექსპლოატაციასთან დაკავშირებით სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9.9 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცისკარიშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები - 61.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარამიას ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოებში სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები - 188.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, კეკელიძის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 9.4 ათასი ლარი;
- ანაკლიის ადმინისტრაციულ ერთეულში, შოთა რუსთაველის ქუჩაზე ხიდ-ბოგირისა და ცხაურების მოწყობის სამუშაოები - 6.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, შალვა ქირიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოები - 218.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ოდიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, გელა ღურწყაიას ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 29.0 ათასი ლარი.

გარე განათების მოწყობაზე მიიღმართა 98.2 ათასი ლარი (ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, დ. აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების სისტემის მოწყობის სამუშაოები).

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით განხორციელებულ სამუშაოებზე მიიღმართა 736.3 ათასი ათასი ლარი, აქედან 621.0 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები, ხოლო 115.3 ათას ლარს - ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრები.

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელების მიზნით გახარჯულია - 241.8 ათასი ლარი. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები - 218,4 ათასი ლარი. დაფინანსდა შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბუკიას ქუჩა N30 და N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 153.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქუჩის ქუჩა N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები - 64.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, შალვა დადიანის ქ. №33-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარედ დასასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები - 23.4 ათასი ლარი.

რგვ-დან და მგვ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსებაზე მიიმართა 793.0 ათასი ლარი;

საექსპერტო მომსახურებასა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე გახარჯულია 312.5 ათასი ლარი;

სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებებზე სულ მიიმართა 3 041.2 ათასი ლარი, აქედან 2 955.9 ათას ლარს შეადგენს, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილ სახსრებს. განხორციელებულია შემდეგი პროექტები:

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, სტიქიის შედეგად დაზიანებული ობიექტების სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების შესყიდვა თანამდევი ექსპერტიზებით - 61.3 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში, დაზიანებული საავტომობილო გზების საფარის რეაბილიტაციისათვის (მოხრეშვისათვის) ინერტული მასალების შესყიდვა (თანმდევი მომსახურებით - ადგილზე მიწოდებით) - 4.0 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ც. დადიანის ქ. N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ლიფტის შახტის დაზიანებული სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 3.8 ათასი ლარი;
- დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში მდინარე ჯუმზე არსებული საავტომობილო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 392.7 ათასი ლარი;
- ოქტომბრის ადმინისტრაციულ ერთეულში, გამსახურდიას და თბილისის ქუჩების დამაკავშირებელი ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 18.7 ათასი ლარი;
- ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბეტონის გზაზე მეწყერ საწინააღმდეგო სამუშაოები - 39.6 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, კობახიძის ქუჩაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 74.6 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, აბასთუმანი-მენჯის დამაკავშირებელ გზაზე დაზიანებული ცენტრალური ხიდის საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 18.5 ათასი ლარი;
- ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, გელა ჯანჯღავას საცხოვრებელი სახლის მიმდებარედ ნაპირსამაგრის მოწყობის და ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცისკარიშვილის ქუჩაზე დაზიანებული საყრდენი კედლის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 74.6 ათასი ლარი;

- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, სხულუხიას ქუჩაზე ხიდ-ბოგირის მოწყობის, ბაშის ადმინისტრაციულ ერთეულში დაზიანებულ ხიდ-ბოგირზე საყრდენი კედლის მოწყობის, დიდინეძის ადმინისტრაციულ ერთეულში, აღმაშენებლის მე-3 ჩიხში, რკ.ბეტონის 6 მეტრიანი დ1000მმ მილ-ხიდების მოწყობის, კოკის ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით შონიას სახლის წინ, სანიაღვრე არხის რეაბილიტაციის, ორსანტიის ადმინისტრაციულ ერთეულებში, არიადინა ეხვას სახლ-კართან, რკინა-ბეტონის მილხიდის რეკონსტრუქციის, ქვემო კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში სანიაღვრე არხის მოწესრიგების, ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ვაჟა ფშაველას ქუჩაზე, ხიდ-ბოგირის (4-მეტრიანი ცხაურით) მოწყობის და ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში რკინა-ბეტონის დ1000მმ მილხიდის მოწყობის სამუშაოები - 18.1 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, გრიშაშვილის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 27.8 ათასი ლარი;
- შამაღელას ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. სკაიაზე არსებული ხიდის და ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო და მდ. სკაიაზე, შამაღელა-აბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის და ხიდ-ბოგირის მოწყობის სამუშაოები - 313.5 ათასი ლარი;
- ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, სვანების უბანში და თბილისის ქუჩაზე ხიდ-ბოგირების მოწყობის სამუშაოები - 64.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ზვიად გამსახურდიას გამზირი N38-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 33.8 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხუბულავას ქუჩაზე, მდ. ჩხოუშზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 48.2 ათასი ლარი;
- ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ღელე ბეჟასღალზე ნაპირსამაგრის სარეაბილიტაციო, ზედაეწერის ადმინისტრაციულ ერთეულში, სათორდიოს უბანში, სასაფლაომდე მისასვლელი ხიდ-ბოგირის და ხიდის სარეაბილიტაციო და ჩხორიას ადმინისტრაციულ ერთეულში, ღელე ბეჟასღალზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 117.9 ათასი ლარი;
- ოფაჩხაფუს ადმინისტრაციულ ერთეულში, ოფაჩხაფუ-ნარაზენის დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის და ნარაზენის ადმინისტრაციულ ერთეულში, ნარაზენი-საჯიჯაოს დამაკავშირებელ საავტომობილო გზაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 118.9 ათასი ლარი;
- ჯუმის ადმინისტრაციულ ერთეულში საჯიქიოს უბანში არსებული საავტომობილო ხიდის რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობის და სადარასელიოს უბანში, საფეხმავლო ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 161.1 ათასი ლარი;
- რუხის ადმინისტრაციულ ერთეულში მდ. რუხისწყალზე ნაპირსამაგრის მოწყობის და რუხი-ახალაბასთუმნის დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მოწყობის სამუშაოები - 148.3 ათასი ლარი;
- აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ცენტრალური გზის ნაპირსამაგრის მოწყობის (2 ლოკაციაზე) და ურთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ქორთუას ქუჩაზე, გზის გასწვრივ ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 192.7 ათასი ლარი;
- ცაიშის ადმინისტრაციულ ერთეულში, საკაკულიოს უბანში ხიდ-ბოგირის მოწყობის, როლანდ გვათუას სახლთან ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციო, მამუკა დაგარგულიას სახლთან არსებული ხიდის სარეაბილიტაციო და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, რჩეულიშვილის ქუჩაზე არსებული სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 158.8 ათასი ლარი;

- ქაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბარათაშვილის ქუჩაზე საავტომობილო გზის ნაპირსამაგრის (2 ლოკაცია), ცენტრალური გზის რეაბილიტაციის და ნაპირსამაგრის (2 ლოკაცია) მოწყობის და ქაქვინჯი-ხოზის დამაკავშირებელ გზაზე ნაპირსამაგრის მოწყობის სამუშაოები - 455.2 ათასი ლარი;
- ჭითაწყარის ადმინისტრაციულ ერთეულში, მშვიდობის ქუჩა N8-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 47.6 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N1-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 70.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N5-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 65.4 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 65.3 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ბუკიას ქუჩა N30-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 35.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, თამარ მეფის ქუჩა N35-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 69.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ლევან II დადიანის ქუჩა N2-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 72.2 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდში, ლევან II დადიანის ქუჩა N4-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 68.3 ათასი ლარი.

სამოქალაქო ბიუჯეტის და მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამებით განხორციელებულ პროექტებზე გახარჯულია 736.1 ათასი ლარი, განხორციელებულია შემდეგი ინფრასტრუქტურული პროექტები:

- ქალაქ ზუგდიდში, 25 დეკემბრის ქუჩაზე №15-ში ჭიშკრისა და ღობის მოწყობის სამუშაოები - 29.0 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ბუკიას ქუჩაზე №5-ში "ჩვენი ეზო" სკვერის მოწყობის სამუშაოები - 40.8 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში რევაზ თაბუკაშვილის ქუჩის მე-4 შესახვევში სკვერის მოწყობის სამუშაოები - 40.9 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში კობახიძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 100.8 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში ლომთათიძის ქუჩაზე ბავშვთა გასართობი მოედნის მოწყობის, თბილისის ქუჩაზე №43-ში მდებარე მე-13 საბავშვო ბაღის ეზოში საბავშვო მოედნის და სათამაშო ატრაქციონის მოწყობის და ლევან მე-2 დადიანის ქუჩაზე №4 და №6 კორპუსების ეზოსთან სკვერის ტერიტორიაზე ბავშვთა სათამაშო მოედნის მოწყობის სამუშაოები - 105.4 ათასი ლარი;
- ქალაქ ზუგდიდში, ჯანაშიას ქუჩა N12-ში ეთნოკულტურული პარკის მოწყობის სამუშაოები - 60.5 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჩიტაძის ქუჩაზე სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 166.7 ათასი ლარი;
- ქ. ზუგდიდის ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ხელოვნებისა და კულტურის ცენტრის ეზოს შემოღობვის სამუშაოები - 179.6 ათასი ლარი;
- დიდინეძის კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში, კუკავების უბანში სანიაღვრე არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები - 10.7 ათასი ლარი;
- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნაცატუს ადმინისტრაციულ ერთეულის, სათოლორაიოს უბნის წყალმომარაგებისათვის ჭაბურღილის ტუმბოსა და ტუმბოსთვის განკუთვნილი ელექტრო სადენის შესყიდვა - 1.7 ათასი ლარი.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების პროგრამის ფარგლებში (კოდი 02 05) დაფინანსდა ამხანაგობების მიერ წარმოდგენილი 17 პროექტი, რომელთა ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 160.0 ათასი ლარი. განხორციელდა შემდეგი მიკრო და საშუალო მასშტაბის პროექტები და კაპიტალური სამუშაოები:

1. საცხოვრებელი კორპუსების სადარბაზოების რეაბილიტაცია (კაპიტალური სამუშაოები) -5;
2. საცხოვრებელი სახლების სადარბაზოების რეაბილიტაცია (რკინის კარების მონტაჟი) -1;
3. საცხოვრებელი სახლის ფასადის რეაბილიტაცია - 1;
4. საცხოვრებელი სახლის სახურავის ბრტყელი გადახურვის რეაბილიტაცია -1;
5. რეგულირებადი შლანგბაუმის მოწყობა-1;
6. გარე საკანალიზაციო სისტემის რეაბილიტაცია -4;
7. საცხოვრებელი სახლის წყალსაწრეტი მილების სრული რეაბილიტაცია -1.

გარე განათების მოწყობისა და ექსპლოატაციის დანიშნულებით 9 თვეში სულ გაიხარჯა 1021.2 ათასი ლარი (გარე განათების მოწყობაში იგულისხმება შესრულებული კაპიტალური სამუშაოების შედეგად შექმნილი ძირითადი აქტივები ანუ განათების ახალი ქსელი, ხოლო ექსპლოატაციაში - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელების ელექტროენერგიით მომსახურების ღირებულება).

ზემოთ აღნიშნული თანხიდან გარე განათების მოწყობას მოხმარდა 98,2 ათასი ლარი, ხოლო გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებას 923,0 ათასი ლარი.

საგზაო ნიშნების მოწყობისა და უსაფრთხოების პროგრამის დასაფინანსებლად მიმდინარე წელს გათვალისწინებულია 250.0 ათასი ლარი. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში შესრულდა გარკვეული სამუშაოები, კერძოდ: განთავსდა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერები (ე.წ. „ბორცვები“) ქ. ზუგდიდის კოსტავას, ბორჯომის, სიჭინავას, თაბუკაშვილის, ღურჭკაიას, ნიკოლაძის ქუჩებზე, აგრეთვე მუნიციპალიტეტის რიყის ადმინისტრაციულ ერთეულში. საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები გათვალისწინებულია სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებშიც.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში პერიოდულად ხდება საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნების დამატება განახლება. წლის ბოლომდე დამატებით გათვალისწინებულია საგზაო ნიშნების შეძენა-მონტაჟი, საავტომობილო გზების ჰორიზონტალური და თემატური მონიშვნითი სამუშაოები, მოძრაობის სიჩქარის იძულებით შემცირებისათვის სიჩქარის შეზღუდავი ბარიერების შეძენა, ავტომობილების პარკირების მოწყობის პრაქტიკული სამუშაოების ჩატარება.

მიწის საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების სამუშაოების მომსახურების (ბიუჯეტის კოდი 0213) დანიშნულებით 9 თვეში ათვისებულია 4,2 ათასი ლარი.

მუნიციპალური ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით აუდიტორული დასკვნებისა და საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზების შედგენის მომსახურების შესყიდვის განსახორციელებლად ჩატარებულია გარკვეული სახის სამუშაოები, კერძოდ:

მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი და მოძრავი ქონების საწყისი წლიური საფასურის განსაზღვრის, ასევე საბაზრო და საბალანსო ღირებულების დადგენისათვის აუდიტორული დასკვნების მომზადებაზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებულია ერთი ხელშეკრულება და მომზადებულია 11 ობიექტის აუდიტორული დასკვნა.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მიწის ნაკვეთების, მათზე განთავსებული შენობა-ნაგებობების, არასაცხოვრებელი ფართების და ხაზოვანი ნაგებობების საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი და შიდა აზომვითი ნახაზების მომზადებაზე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული იქნა ერთი ხელშეკრულება და მომზადდა 15 ობიექტის აზომვითი ნახაზი.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა ხელი შეუწყო უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესის განხორციელებას, მაგალითად:

მიმდინარე წლის თებერვლის თვეში ელექტრონული აუქციონის ფორმით პრივატიზებული იქნა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ზუგდიდის კ. გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 970 კვმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, რომლის საწყისი საპრივატიზებო საფასური შეადგენდა 80.0 ათას ლარს, ფაქტიურმა შემოსულობამ ბიუჯეტში კი შეადგინა 161.0 ათასი ლარი.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ქონების პრივატიზებასთან დაკავშირებით, ელექტრონული აუქციონი გამოცხადდა მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ 11 ობიექტზე; აუქციონზე გატანილი ქონების დიდი ნაწილი პრივატიზებულია და ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულობამ შეადგინა 301,3 ათასი ლარი.

საინვესტიციო პროექტების და დონორებთან ურთიერთობის პროგრამით (ბიუჯეტის კოდი 02 15) 9 თვეში გამოყოფილია ასიგნება 17.3 ათასი ლარი.

გარდა საბიუჯეტო ასიგნებით გათვალისწინებული ღონისძიებებისა, განვლილ 9 თვეში ჩატარებულია რიგი აქტივობები:

- 2024 წლის იანვრის თვეში გაიმართა პროექტის - „ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება საქართველოში“ (დონორი შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლის სააგენტო) პრეზენტაცია. აღნიშნულ პროექტში ზუგდიდი არჩეულია 10 საპილოტე მუნიციპალიტეტთან ერთად და 4 წლის განმავლობაში, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორების ჩართულობით იმუშავებს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გამოწვევებსა და შესაძლებლობებზე;
- 2024 წლის თებერვლის თვეში აშშ-ის განვითარების სააგენტოს -USAID-ის - „ძლიერი სოფლის პროგრამის“ ფარგლებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასთან გაფორმდა ურთიერთგაგების მემორანდუმი.
- 2024 წლის მარტის თვეში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით გაიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიასა და USAID-ის „ძლიერი სოფლის პროგრამა“-ს შორის თანამშრომლების ჩარჩოებში მუნიციპალიტეტის სამუშაო ჯგუფის შეხვედრა, რომელიც შეიმუშავებს საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტს, რომლის შემუშავება განხორციელდება საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის ჩართულობით საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის N764 განკარგულების შესაბამისად.
- მიმდინარე წლის 16 მარტს შემუშავდა და გაიგზავნა განაცხადი (ევროკავშირის პრეზიდენტის ადრესატით) „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ინფრასტრუქტურის ფიზიკური აღნუსხვის კონკურში.
- 2024 წლის 22 მარტს განხორციელდა სასწავლო ვიზიტი ქალაქ ქუთაისში. ვიზიტის მიზანი იყო ქალაქ ქუთაისის გამოცდილების გაზიარება მყარი ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით.

- 2024 წლის 26 მარტს „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს პროექტის ფარგლებში გამოცხადებული ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსში მუნიციპალიტეტის განაცხადი-„2024-20242“ შერჩეულ იქნა დასაფინანსებლად.

მუნიციპალური ტრანსპორტი ინფრასტრუქტურის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მხრჯავი სუბიექტია, რომლის ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განმახორციელებელია შპს „მუნიციპალური ტრანსპორტი“.

აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოეყო სუბსიდია 2750,5 ათასი ლარი, მიღებული აქვს საკუთარი შემოსავალი 1391,2 ათასი ლარი და მთლიანობაში მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 4141,8 ათასი ლარი. მიღებული შემოსავლების თანხა მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად როგორიცაა:

- შრომის ანაზღაურება -1786,7 ათასი ლარი;
- ავტომობილის საწვავი- 1294,6 ათასი ლარი;
- ავტობუსების ტექნიკური მომსახურება და სათადარიგო ნაწილების შეძენა 776.4 ათასი ლარი.
- ოფისის ხარჯი -36,5 ათასი ლარი და სხვა.

უნდა აღინიშნოს რომ „მუნიციპალური ტრანსპორტის“ მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში გარკვეული მუშაობა აქვს ჩატარებული ავტოპარკის საექსპლუატაციო ტექნიკური მაჩვენებლების და მგზავრთა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღსანიშნავია, რომ ხსენებული ავტოტრანსპორტის ავტობუსები ემსახურებიან 32 მარშრუტს, დღის განმავლობაში გადაჰყავთ 10000 მგზავრი, ასრულებენ 260 ბრუნს, რაც ნიშნავს დღეში 9000 კილომეტრის, ხოლო თვეში 255 000 კილომეტრის გარბენს.

მუნიციპალურ ტრანსპორტს, ბოლო დროს ავტოპარკის ტექნიკური და მომსახურების ხარისხის მაჩვენებლის გარკვეულწილად გაუმჯობესების მიუხედავად, ჯერ კიდევ გააჩნია პრობლემები, რომელიც პირველ რიგში უკავშირდება ნორმალური ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად საჭირო ფინანსური ბაზის შექმნას და საკუთარი ფულადი შემოსავლების მაქსიმალურად გაზრდის ღონისძიებების გატარებას, ვინაიდან აღნიშნული პრობლემის არსებობა საგრძნობლად აფერხებენ მის სტაბილურ ფუნქციონირებას. ამას ცხადყოფს ისიც, რომ მუნიციპალური ავტოტრანსპორტს მ.წ 1 ოქტომბრის მდგომარეობით ერიცხება კრედიტორული დავალიანება 716,1 ათასი ლარი.

ა(ა)იპ კეთილმოწყობის მართვის ცენტრს 9 თვეში ბიუჯეტიდან გამოეყო და ათვისებულია 3555.2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 3995.9 ათასი ლარი), ხოლო საკუთარი შემოსავლები მიღებული აქვს 49.7 ათასი ლარი. ცენტრის მიერ სუბსიდიიდან და საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული თანხები მიიმართა შემდეგი ძირითადი სახის ხარჯების ასანაზღაურებლად როგორიცაა:

- შრომის ანაზღაურება - 2453,0 ათასი ლარი;
- ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა - 331.2 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის რემონტი და სათადარიგო ნაწილების შეძენა -191.4 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯი - 372,8 ათასი ლარი;
- საქონელი და მომსახურება - 39.1 ათასი ლარი.

ამასთან არაფინანსური აქტივების ზრდას (სხვადასხვა დანიშნულების ძეგლ-კამების შეძენა) მოხმარდა 45.1 ათასი ლარი.

უნდა აღინიშნოს, რომ ცენტრის მიერ სუბსიდიის და საკუთარი შემოსავლების თანხებით განხორციელებულია რიგი პრაქტიკული და ტექნიკური ხასიათის სამუშაოები:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სისტემატურად მიმდინარეობს სანიაღვრე არხების, მდინარეების კალაპოტის ამოწმენდის სამუშაოები. ხორციელდება ქალაქის პარკების, მწვანე გაზონების, ბულვარის გაწვანების, დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის, მერქიანი ხეების გადაბელვის და გამხმარი ხეების მოჭრა-აღდგენასთან დაკავშირებული პრაქტიკული ღონისძიებები. ამასთან სისტემატურ რეჟიმში ხდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ძალიან დიდი მასშტაბის მქონე გარე ელექტრო განათების ქსელის ექსპლოატაცია-რეაბილიტაციასთან და გამართული ფუნქციონრების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული სამუშაოები.

აგრეთვე გარკვეული ყურადღება ეთმობოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასაფლაოების ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, კეთილმოწყობის და მოვლა-პატრონობის ღონისძიებების ჩატარებას:

წლის განვლილ პერიოდში მოქალაქეთა მოთხოვნის საფუძველზე გაცემულია 177 სასაფლაო მიწის ნაკვეთი, საიდანაც მიწის სარგებლობის და მომსახურების მოსაკრებელი ბიუჯეტში შემოსულია 49.6 ათასი ლარი, ხოლო კანონის მიხედვით უფასოდ გაცემულია 156 მ/კვ სასაფლაოს მიწის ფართობი.

კეთილმოწყობის კუთხით პერიოდულად ტარდება სასაფლაოების კეთილმოწყობითი, მოსასვლელი გზების მოწესრიგების, ტერიტორიის შემოღობვითი, ავარიული და გამხმარი ხეების მოჭრის, ასევე ხე-მცენარეების, გადაბელვის, ტერიტორიის ეკალბარდისგან გაწმენდა-გასუფთავების სამუშაოები.

ცენტრის ძალებით, მიმდინარე წლის ბოლომდე დარჩენილ პერიოდშიც, ყოველდღიურ რეჟიმში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის და მოვლა-პატრონობის პრაქტიკული ღონისძიებები.

დასუფთავება და გარემოს დაცვა

2024 წლის სამ კვარტალში დასუფთავებისა და გარემოს დაცვის პრიორიტეტის დაფინანსებაზე მიმართულ იქნა 6,625.9 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 6,745.7 ათასი ლარი), აქედან 5,074.3 ათასი ლარი მოდის დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის მუნიციპალური პროგრამის დაფინანსებაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „ზუგდიდდასუფთავების ცენტრი“. ბიუჯეტის ასიგნებიდან ცენტრის მიერ 3,709.1 ათასი ლარი მიმართულ იქნა შრომის ანაზღაურებაზე.

ადგილობრივი ბიუჯეტიდან 2024 წლის 9 თვეში მიღებული სახსრების ეფექტურად ხარჯვისა და დაგეგმილი პროგრამების შესრულების შედეგად, მუნიციპალიტეტში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსახლეობასა და საჯარო სივრცეებში სისუფთავის ხარისხი. ნაგავშემკრები კონტეინერების და მომსახურე ტექნიკის რაოდენობის ზრდის შედეგად, გაიზარდა როგორც ქალაქის, ისე სოფლის მოსახლეობისათვის და ეკონომიკის სექტორისათვის სერვისის მიწოდების ჯერადობა და მომსახურეობის ხარისხი. ქალაქის და სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების საჯარო სივრცეების და ცალკეული ქუჩების ინტენსიური დასუფთავებისა და მორწყვის შედეგად, მუნიციპალიტეტში მკვეთრად შემცირდა დანაგვიანების მაჩვენებელი, უფრო მიმზიდველი და სუფთა გახდა ქალაქი, სოფლები ანაკლია - განმუხურის ზღვის სანაპირო ზოლი და სხვადასხვა ტურისტული მიზიდულობის მქონე ობიექტი.

ეფექტურად ხორციელდება ქაღალდისა და მუყაოს ნარჩენების სეპარირება - რეციკლირების პროცესი, პროგრამის განხორციელების შედეგად გადამუშავდა 19.5 ათასი კუბურ მეტრზე მეტი ქაღალდი და მუყაო.

სეპარირების მაჩვენებლები მზარდი მონაცემებით ხასიათდება და მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად იზრდება ადგილობრივი შემოსავლები, კერძოდ 2024 წლის 9 თვეში სეპარირებული და რეალიზებული იქნა 160 ტონა ქაღალდი და მუყაო, თითქმის 2-ჯერ მეტი 2023 წლის 9 თვესთან შედარებით და მიღებულ იქნა 47.6 ათასი ლარის ფულადი შემოსავალი.

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის შედეგად შესრულებული სამუშაოები და პროგრამის განხორციელების ინდიკატორული მაჩვენებლები გამოიხატება შემდეგ მონაცემებში:

19. 2024 წლის განვლილ 9 თვეში მყარი ნარჩენების გატანის მომსახურეობის სერვისი მიეწოდებოდა ქალაქში 480 ქუჩაზე მცხოვრებ 13 113 ოჯახს, ანუ ქალაქის მოსახლეობის 100%-ს; სოფლის 48 ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ 16 385 კომლს, ანუ სოფლის მოსახლეობის 90%-ს; ეკონომიკის სექტორის 1220-ზე მეტ კომერციულ, ინსტიტუციურ და ინდუსტრიულ ობიექტს;

20. 2024 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შეგროვებულია 22232 ტონა მუნიციპალური ნარჩენი, 500 ტონით მეტი წინა წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით. ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებულია 22058 ტონა მუნიციპალური ნარჩენი, ხოლო 174 ტონა ნარჩენი (ქაღალდი და მუყაო, დაახლოებით 9744 მ3) დაექვემდებარა სეპარირებულ შეგროვებას და დაწნხვას;

21. ქალაქის ტერიტორიის მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან ნაგავსაყრელში გაზიდულია 15.7 ათასი ტონა ნარჩენი;

22. სოფლის ადმინისტრაციული ერთეულების მოსახლეობიდან და ეკონომიკის სექტორის კომერციული, ინსტიტუციური და ინდუსტრიული ობიექტებიდან გაზიდულია 15.7 ათასი ტონა საყოფაცხოვრებო ნარჩენი.

გარემოს დაცვის სფეროში შემავალი მხარჯავი სუბიექტის შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსურ ხელშეწყობაზე (პროგრამული კოდი 03 02) გეგმა-პროგნოზით 2024 წლის სამ კვარტალში განსაზღვრული იყო 655.0 ათასი ლარი, ათვისებულია 630.5 ათასი ლარი. სუბსიდირებული თანხების ძირითადი ნაწილი

მიიმართა: 359.3 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 61.6 ათასი ლარი - მოხმარებული ელექტროენერგიის ღირებულების ანაზღაურებაზე. ამასთან თანხები გაიხარჯა შემდეგ ძირითად კაპიტალურ და სამეურნეო დანიშნულების ღონისძიებებზე, როგორცაა:

- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული გამწვანების ზოლის ფიტოსანიტარული მონიტორინგი და მონიტორინგის შედეგად გაცემული რეკომენდაციის (შუალედური დასკვნის) საფუძველზე ხე-მცენარეების შეწამვლა და ნიადაგის გაჯერება მინერალური სასუქებით;
- განმუხურის სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარის განახლება
- ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ქვიშის სტადიონებისა და სხვა ინფრასტრუქტურის მოსაწესრიგებლად შეძენილ იქნა კვარციტული ქვიშა;
- რეაბილიტირებულ იქნა ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ელექტროსისტემა;
- ანაკლია-განმუხურის ბულვარის სანაპირო ზოლზე არსებული ოთხი კაპიტალური კაფის, განმუხურის კაფე-რესტორნის დაზიანებული მინის კარის და განმუხურის ამფითეატრის დაზიანებული მინების შესაცვლელად შეძენილ იქნა ორმაგი მინაპაკეტი ნაწრობი და სარკისებრი მინები;
- განმუხურის ბულვარის ტერიტორიაზე დამონტაჟდა მანათობელი ასოები „მე მიყვარს განმუხური“.

ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 9 თვის მონაცემებით შესრულებულია მნიშვნელოვანი სამუშაოები და ჩატარებულია რიგი თემატური აქტივობები.

განვლილ 9 თვეში ა(ა)იპ “ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს”, რომელიც არის ზემოთხსენებული პროგრამის განმახორციელებელი, გამოეყო ასიგნება 847.1 ათასი ლარი ადნომხულ პერიოდში განხორციელდა საკასო ხარჯი 845.9 ათასი ლარის ოდენობით. გამოყოფილი ასიგნება მიიმართა შემდეგი ძირითადი ხარჯების ასანაზღაურებლად 799.0 ათასი ლარი მოხმარდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას; 5.8 ათასი ლარი გაცემულ იქნა სოციალური დახმარება, ამასთან 17.9 ათასი ლარი მოხმარდა საქონელი და მომსახურეობას; 5.4 ათასი ლარი წარმომადგენლობით ხარჯებს, 12.0 ათასი ლარი სხვა დანაჩენი საქონელი და მომსახურებას, ხოლო 5.6 ათასი ლარი არაფინანსური აქტივების ზრდას.

2024 წლის 9 თვეში ბოტანიკური ბაღის საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 192.8 ათასი ლარი. ადნომხულ პერიოდზე განხორციელდა საკასო ხარჯი 153.2 ათასი ლარის ოდენობით. აქედან 115.1 ათასი ლარი გაიხარჯა საქონელი და მომსახურების მუხლით, ხოლო 38.0 ათასი ლარი- არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით.

ბოტანიკური ბაღის ძალებით განვლილ 9 თვეში ჩატარებულია რიგი აქტივობები და პრაქტიკული ღონისძიებები მუშაობის ძირითადი მიმართულებებით მიხედვით:

კულტურული მემკვიდრეობის, ეკო-განათლების, ტურიზმისა და მარკეტინგის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

2024 წლის 1 იანვრიდან 30 ივნისის ჩათვლით ბოტანიკურმა ბაღმა ღია და დახურულ სივრცეში უმასპინძლა სხვადასხვა აქტივობას და ღონისძიებას, მათ შორის:

- ✓ ბოტანიკური ბაღის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა საქართველო - საბერძნეთის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის პლეიოფის ფინალური ჩვენება.
- ✓ დედამიწის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით ახალგაზრდებს ჩაუტარდათ მასტერკლასი მცენარეების ჩარგვასთან დაკავშირებით და ჩუტარდათ ლექცია დედამიწაზე მწვანე საფარის მნიშვნელობაზე.

- ✓ ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით ჩატარდა ისტორიული ევროპული ბაღების დღისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ღონისძიება.
- ✓ ჩატარდა ბოტანიკური ბაღის და მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის ერთობლივი პროექტი „ფოტომართონი 2024“.
- ✓ ბოტანიკური ბაღის ორგანიზებით ჩატარდა ისტორიული ევროპული ბაღების მე-7 ყოველწლიური საერთშორისო ფორუმი, სადაც მონაწილეობა მიიღო

ევროპული ქვეყნის 31 წამომადგენელმა.

- ✓ მერიის ორგანიზებით მოეწყო ესეების კონკურსში გამარჯვებულების დაჯილდოვება.
- ✓ ბოტანიკური ბაღის ღია სივრცეში ჩატარდა ნეკა სებისკვერადის და დათო ნოზაძის დუეტის კონცერტი.
- ✓ ბაღში ჩატარდა რაულ ჩილაჩავას საღამო, ღონისძიებას 120 სტუმარი ესწრებოდა.
- ✓ ბოტანიკურ ბაღში ჩატარდა შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის სამეცნიერო კონფერენცია და კურსდამთავრებულთა გაცილებით

ღონისძიება, რომელსაც 500-მდე სტუმარი ესწრებოდა.

- ✓ სოციალური მედიის საშუალებით პერიოდულად ხდებოდა საზოგადოების ინფორმირება ბაღში მიმდინარე სამუშაოების შესახებ.

მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელებული აქტივობები:

ბოტანიკურ ბაღში მცენარეთა კოლექციის გამრავალფეროვნებისა და მოვლის მიზნით განხორციელდა ბალახოვან-ყვავილოვან, ბუჩქოვან და ხე-მერქნოვან მცენარეთა გამრავლება, კოლექციის გაზრდა, ინვენტარიზაცია-პასპორტიზაცია, მცენარეთა დაცვა და ყვავილების რეალიზაცია. მათ შორის:

- ✓ ბაღს უსასყიდლოდ გადაეცა **592** ნერგი, მათ შორის: ხე-მცენარე 224 ძირი, ბუჩქი 188 ძირი, ბალახოვან-ყვავილოვანი 180 ძირი;
- ✓ ბოტანიკური ბაღის მიერ გამოყვანილ იქნა სულ ბალახოვან-ყვავილოვანი მცენარის **8085** ძირი ჩითილი;
- ✓ დაკალმებულია სულ **30250** კალამი, მათ შორის ხე-მცენარის 270 კალამი, ბუჩქის 9625 კალამი. ასევე ბაღის ტერიტორიაზე მოეწყო 4 ყვავილნარი: საქართველოს დროშის ფორმის ყვავილნარი; ბაღში არსებულ ე.წ. ნახევარკუნძულზე მოეწყო საყვავილე, სადაც დაირგო 856 ძირი ბეგონიას ჩითილი, რომელიც ადგილობრივი ძაღლების იქნა გამოყვანილი; ბაღის ხელოვნური ტბის კუნძულზე მოეწყო წრიული ფორმის საყვავილე, სადაც დაირგო 600 ც სხვადასხვა ფერის ბეგონიას ჩითილი (ადგილობრივი ძაღლებით გამოყვანილი) და ხელოვნური ტბის კუნძულზე მოეწყო წრიული ფორმის საყვავილე. ჯამში მოხდა 23 ყვავილნარის აღდგენა.

დენდროლოგიის ხაზით:

- ✓ სულ ეტიკეტირებულია 1500-მდე ხე და ბუჩქი.
- ✓ 2024 წელს სულ გაციფრულებულია 5220 ხე და ბუჩქი.
- ✓ ჩატარდა მავნებელ-დავადეების საწინააღმდეგო ღონისძიებები.

სამეცნიერო მიმართულება: ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის თანამშრომლების მიერ გამოქვეყნდა 2 სამეცნიერო ნაშრომი, კერძოდ ავსტრიაში (ვენა) და დანიაში (კოპენჰაგენი).

ბოტანიკური ბაღის მოვლა-პატრონობისა და ზედამხედველობის ფარგლებში, განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაოები:

- ყოველდღიურ რეჟიმში მიმდინარეობს ბაღის ტერიტორიის, შენობა-ნაგებობებისა დასუფთავება;
- ბაღის ტერიტორიაზე გამოიცვალა გარე განათების 295 ნათურა , აქედან მაღალი ნათების - 50, ხოლო დაბალი ნათების - 245 ერთეული;

- პერიოდულად ხორციელდება ბოტანიკურ ბაღში სტიქიური მოვლენის შედეგად წაქცეული მცენარეების მოჭრა, მიმდინარეობს ბაღში არსებული სამუშაო ტექნიკის შეკეთება-განახლება;
- ბაღის ორივე შესასვლელ მხარეს დამონტაჟებული იქნა რკინის კონსტრუქციისგან დამზადებული დამატებითი კარები, რომლებიც იცავს ბაღს თავშესაფრის გარეშე დარჩენილი ცხოველებისგან. ბაღში ასევე განახლდა სასიარულო ბილიკები, ადმინისტრაციის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ სავალ ბილიკებზე დაიყარა დაახლოებით 20 ტონა ქვა-ღორღი.
- ამ ეტაპზე მიმდინარეობს და მალე დასრულდება ბაღის სკამების რესტავრაცია (შეკეთება-შეღებვა).

სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე 2024 წლის ცხრა თვეში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 72.8 ათასი ლარი, აქედან ათვისებულ იქნა 52.9 ათასი ლარი. პროგრამის ფარგლებში განთავსებულ იქნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მართვის გეოსაინფორმაციო სისტემა (MMGS) Amazon Web Service (AWS); პროგრამის - „მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის (ფურების) ხელოვნური განაყოფიერება“ ფარგლებში მოხდა ფერმერთა საკუთრებაში არსებულ მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის ხელოვნური განაყოფიერება, ასევე აღნიშნული პროგრამის საინფორმაციო მხარდაჭერის მიზნით შესყიდულ იქნა ბუკლეტები ღონისძიების ფარგლებში - „ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობა“, ამოქმედდა შესაბამისი კაპიტალური სარდაფი; ხოლო პროგრამაზე: „ნიადაგის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევა“ - ამჟამად მიმდინარეობს შესრულებული სამუშაოს საბოლოო მიღება-ჩაბარების პროცედურები; ღონისძიების - „დაფნის ბაღის მოწყობის ხელშეწყობა კეთილშობილი დაფნის ნერგის კომპონენტი“ ფარგლებში, შესაბამისი კომისიის მიერ გამოვლენილია გამარჯვებული ბენეფიციარები, რომლებსაც მიმდინარე წლის ნოემბრის თვეში დაურიგდებათ ჯამში 20 000 ძირი დაფნის ნერგი.

განვლილ ცხრა თვეში, გარემოს დაცვის სფეროს მიკუთვნებული პროგრამის ფარგლებში გარკვეული მუშაობა ტარდებოდა მუნიციპალიტეტის ტერიტორიისა და მოსახლეობის მღრღნელებისა და მოხეტიალე უზედაძეველო ცხოველებისგან დაცვის მიზნით. ამ დანიშნულებით სამ კვარტალში პროგნოზირებული იყო 29.0 ათასი ლარის გამოყოფა, ფაქტიური საჭიროებიდან გამომდინარე კი ათვისებულია 22.2 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტში **განათლების დარგით** საბიუჯეტო ასიგნების მოცულობა 9 თვეში განისაზღვრა 11419.7 ათასი ლარით, საკასო შესრულებამ შეადგინა 10552.8 ათასი ლარი, რაც თითქმის უტოლდება პროგნოზირებულ მაჩვენებელს.

ზემოაღნიშნული საბიუჯეტო ასიგნების საკასო შესრულების თანხიდან 8327.1 ათასი ლარი ანუ 79 %-ზე მეტი მიიძარტა განათლების კუთხით ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი პრიორიტეტის -**„სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამი“-ს** დაფინანსებაზე, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი.

ზემოთ ხსენებული ცენტრის მიერ 9 თვეში გაწეულია გარკვეული მუშაობა ბავშვთა სკოლამდელი განათლების და აღზრდის ხარისხის ამაღლების, სკოლამდელ დაწესებულებათა მატერიალური ბაზის და შიდა ინფრასტრუქტურის განვითარების, ნორჩი აღსაზრდელების სრულფასოვანი კვებით უზრუნველყოფის, აღმზრდელთა - პედაგოგთა და მომსახურე პერსონალის შრომის და მატერიალური პირობების გაუმჯობესებისათვის. ყოველივე ეს დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში მოქმედი 6 საბავშვო ბაღის ნორმალურ და გამართულ ფუნქციონირებასთან.

ცენტრის მიერ განვლილ 9 თვეში სუბსიდიის სახით საბიუჯეტო თანხები მიიძარტა ხარჯების შემდეგი ძირითადი მუხლების მიხედვით, კერძოდ იგი მოხმარდა:

- 6192.2 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებას;

- 1825.4 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებას;
- 286.6 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს;
- 388.8 ათასი ლარი - ოფისის ხარჯების ანაზღაურებას;
- 693.9 ათასი ლარი - ბავშვთა კონტიგენტის კვებით მომსახურებას;
- 287.2 ათასი ლარი სხვა დარჩენ საქონელსა დამომსახურებას.

უნდა აღინიშნოს, რომ 2024 საფინანსო წელს გრძელდებოდა სკოლამდელ საადმზრდელო დაწესებულებათა საბიუჯეტო ქსელში დასაქმებულ მოსამსახურეთა სახელფასო ანაზღაურების ზრდის ტენდენცია, რაც გამოიხატა იმაში, რომ საბავშვო ბაღებში პერსონალის თანადებობრივი სარგო გაიზარდა ფიქსირებული 100 (ასობით) ლარის ოდენობით, ხოლო ცენტრის ადმინისტრაციის თანამშრომელთა ხელფასი 10%-ით.

„მოსწავლე-ახალგაზრდობის სკოლისგარეშე სწავლისა და განვითარების პროგრამა“, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლე, მოიცავს სკოლისგარეშე მრავალპროფილიან საადმზრდელო-საგანმანათლებლო და შემოქმედებით მიმართულებას, რომელიც მოზარდებს, ახალგაზრდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებაში, შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში, ლიტერატურისა და ხელოვნების მიღწევების ათვისებაში, პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვაში.

ზემოთ აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს მიმდინარე წლის 9 თვეში ბიუჯეტიდან სუბსიდიის სახით გამოეყო ასიგნება 800.0 ათასი ლარი. ამავე პერიოდში მიღებულ აქვს საკუთარი შემოსავლები (სწავლის ქირა, დარბაზის ქირა, სხვა ფულადი სახსრები) 30.0 ათასი ლარი.

აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის მიერ ბიუჯეტიდან გამოყოფილი სუბსიდია თანხობრივად მიიმართა:

623.5 ათასი ლარი - შრომის ანაზღაურებაზე; 104.3 ათასი ლარი - საქონელსა და მომსახურებაზე; 11.4 ათასი ლარი - ოფისის ხარჯების ანაზღაურებაზე; 73.5 ათასი ლარი - სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე.

ზემოთხსენებული პროგრამის საბიუჯეტო დაფინანსების ფარგლებში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიერ ჩატარებულია და მის ბაზაზე შექმნილ მოზარდებისა და ახალგაზრდების სასწავლო-შემოქმედებით კოლექტივებსა და ჯგუფებს განვლილ 9 თვეში მონაწილეობა მიღებული აქვთ ადგილობრივ და ქვეყნურ დონეზე მასშტაბით გამართულ მთელ რიგ მუსიკალურ, მხატვრულ, შემოქმედებით და სახელოვნებო აქტივობებში რაც აღინიშნა სასახლის აღსაზრდელთა მიერ მიღწეულ თვალსაჩინო წარმატებებითა და მაღალი შედეგებით, მათ შორის უნდა გამოიყოს:

- სასახლის სტუდია „რიბირაბოს“ აღსაზრდელებმა მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდული თვითშემოქმედებითი ფოლკლორული და საესტრადო ჯგუფების ფესტივალში „არტ-ფესტი 2024. „სტუდიის ხელმძღვანელებს, პედაგოგებსა და აღსაზრდელებს დიპლომები და სპეციალური პრიზები გადაეცათ.

- სტუდია „რიბირაბოს“ აღსაზრდელები მონაწილეობდნენ ქ. თბილისში, საესტრადო სიმღერების ფესტივალში, მოიპოვეს საპრიზო ადგილები და საგზურ ჩეხეთის ფესტივალში.

- სტუდია „რიბირაბოს“ სოლისტები და ანსამბლ „გინცის“ ტრიო მონაწილეობდა ჩეხეთში გამართულ საერთაშორისო მუსიკალურ კონკურსში, რომელიც დაფინანსებული იყო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ. ტრიომ მოიპოვა უმაღლესი ჯილდო გრანპრი, ინდივიდუალურმა შემსრულებლებმა მოიპოვეს საპრიზო ადგილები.

- სასახლის ანსამბლმა „რეტრო“ მონაწილეობა მიიღო ხელოვნების საერთაშორისო კონკურსში „PRAGUE STAZTS 2024“, ანსამბლმა დაიკავა რამდენიმე საპრიზო ადგილი და ლაურეატის წოდება დაიმსახურა;

- სასახლის შემოქმედებითმა ჯგუფებმა მონაწილეობა მიიღეს ორგანიზაცია „ხელები მშვიდობისათვის“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით (EU4DIALOGUE) განხორციელებული პროექტის „ქალები და ბავშვები-კრეატივი და მშვიდობა“ დახურვის ოფიციალურ ღონისძიებაში;
- სასახლის ანსამბლმა „მტრედები“ მონაწილეობა მიიღო ქალაქ ფოთში, კოლხურ-ლაზური ფოლკლორული სიმღერისა და ცეკვის ფესტივალ-კონკურსში. ანსამბლმა ლაურეატის წოდება დაიმსახურა;
- სასახლის ანსამბლმა „ყილოშტყებამი“ მონაწილეობა მიიღო ქ. ბათუმში, საერთაშორისო ახალგაზრდული საქველმოქმედო ცენტრის „არტ-ფესტის“ მიერ ორგანიზებულ ფესტივალში. ანსამბლს გადაეცა მადლობის სიგელი და შოთა რუსთაველის სახელობის ჯილდო.
- თანამედროვე ცეკვების სტუდია „Dance Dynasty“ მონაწილეობდა საერთაშორისო ფესტივალში „Wonderland“, რომელიც ჩატარდა ბათუმში. დაიკავა პირველი ადგილი და დაჯილდოვდა სპეციალური პრიზით.

ბავშვების და ახალგაზრდების შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამით 9 თვეში გათვალისწინებული 278.5 ათასი ლარიდან გახარჯულია 223.4 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მერის სტიპენდიანტების დაფინანსებაზე და წარმატებული ახალგაზრდების ერთჯერად ფინანსურ ხელშეწყობაზე.

მერიის განათლების, პროფილის შესაბამისი სტრუქტურული ერთეული „ზოგიერთი მუნიციპალიტეტისთვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 15 იანვრის N53 განკარგულების შესაბამისად ახორციელებს საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამის დელეგირებული თანხებით, რომელიც მოიცავს სასკოლო დაწესებულებების მოსწავლეთა ტრანსპორტირებით უზრუნველყოფას.

მასში ჩართულია მუნიციპალიტეტის 39 (ოცდაცხრამეტი) და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული აფხაზეთის 5 (ხუთი) საჯარო სკოლის 402 (ოთხიათასოცდაშვიდი) მოსწავლე.

მიმდინარე წლის 9 თვეში აღნიშნული მომსახურების ასანაზღაურებლად ჯამში გახარჯულია 1178,5 ათასი ლარი.

სსიპ შ.მესხიას სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ფინანსური ხელშეწყობის მიმართულებით განხორციელდა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტის თანადაფინანსება - 50 000 (ოცდაათი ათასი) ლარის ოდენობით, კერძოდ თანადაფინანსების თანხა აღნიშნული უნივერსიტეტის საკუთარ სახსრებთან ერთად მოხმარდა სასწავლო კორპუსის რეაბილიტაციას.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

კულტურის, რელიგიის, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების დასაფინანსებლად განვლილ ცხრა თვეში მთლიანობაში ასიგნებანი განსაზღვრული იყო 5,536.5 ათასი ლარით, ფაქტიურმა საკასო შესრულებამ შეადგინა 5,171.5 ათასი ლარი, რომელიც გადანაწილდა კონკრეტულ პროგრამებს შორის. აქედან სპორტის განვითარების ხელშეწყობის პროგრამაზე, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ „სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი“ მიიმართა 992.8 ათასი ლარი (გეგმიური პროგნოზი 1029.0 ათასი ლარი), რომელიც ძირითადი მუხლების მიხედვით გაიხარჯა: შრომის ანაზღაურებაზე 687.8 ათასი ლარი; შტატგარეშე მუშაკთა შრომის ანაზღაურებაზე - 74.4 ათასი ლარი; ოფისის ხარჯებისთვის - 24.7 ათასი ლარი; კვებაზე - 38.7 ათასი ლარი და სხვა.

2024 წლის ცხრა თვის განმავლობაში ზუგდიდელმა სპორტსმენებმა მონაწილეობა მიიღეს 15 საერთაშორისო, 60-მდე რესპუბლიკურ, რეგიონალურ და ადგილობრივ სპორტის 10-მდე სახეობის ტურნირში, მათ შორის: ძალოსნობა, კრივი, კიკბოქსინგი, ტაეკვანდო, ჭადრაკი, ხელბურთი, კალათბურთი, ძიუდო, თავისუფალი ჭიდაობა, სპორტული კარატე, კუდო.

ზუგდიდში ჩატარდა 17-მდე სპორტული ღონისძიება, მათ შორის სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური თამაშები, რომელიც მოიცავს სპორტის რვა სახეობას. აღნიშნულ ღონისძიებებში მონაწილეობა მიიღო ზუგდიდის მუნიციპალიტეტის 6 საჯარო და კერძო სკოლის 70-მა მოსწავლემ.

ზუგდიდელი კალათბურთელი გოგონები (U14) საქართველოს ვიცე-ჩემპიონები გახდნენ; ზუგდიდელი ძალოსნები (U17) საქართველოს ჩემპიონები გახდნენ გუნდურ ჩათვლაში; ამპუტანტ ფეხბურთელთა გუნდი „ოდიში“ საქართველოს თასის მფლობელი გახდა.

2024 წლის ცხრა თვეში სპორტის სხვადასხვა სახეობებში ჩემპიონი და პრიზიორი გახდა 70-ზე მეტი სპორტსმენი. მათგან მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატებზე თავი გამოიჩინა 20-მა ზუგდიდელმა სპორტსმენმა, მათგან აღსანიშნავია:

16. უტა ფონიავა - ევროპის ჩემპიონი სპორტულ კარატეში (თბილისი, ევროპის ჩემპიონატი სპორტულ კარატეში);
17. ანდრია სხულუხია - ევროპის ჩემპიონი (მალტა, ევროპის ჩემპიონატი კუდოში);
18. საბა მარკელია - ევროპის ჩემპიონი (მალტა, ევროპის ჩემპიონატი კუდოში);
19. გუკა ხუბუტია - ევროპის ჩემპიონი (მალტა, ევროპის ჩემპიონატი კუდოში);
20. ანდრო ზუხბაია - ევროპის ჩემპიონი (მალტა, ევროპის ჩემპიონატი კუდოში);
21. ნიკო კონჯარია - ევროპის ახალგაზრდული ლიგის გამარჯვებული (არაბეთი, სპორტული კარატე);
22. თათია ბუკია - ვერცხლის მედალი (საბერძნეთი, საერთაშორისო ტურნირი ახალგაზრდა მოკრივეთა შორის);
23. ლადო გაბისონია - საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული კიკბოქსინგში (ჩინეთი);
24. ნიკა ბიგვავა - საერთაშორისო ტურნირი პროფესიონალ მოკრივეთა შორის, პირველი ადგილი (ჰოლანდია);
25. ირაკლი ვეკუა - მსოფლიო ჩემპიონი ძალოსნობაში U17 (პერუ, მსოფლიო ჩემპიონატი), ევროპის ჩემპიონი ძალოსნობაში U17 (საბერძნეთი, ევროპის ჩემპიონატი);
26. ლევან დარასელია - ევროპის ჩემპიონი კუდოში (დიდები) (იტალია, ევროპის ჩემპიონატი);
27. დავით ქირია - საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული კიკბოქსინგში (იტალია).

სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება, 2024 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული იყო 102.5 ათასი ლარი, აქედან გახარჯულია 87.6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა სხვადასხვა სახის ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე, მათგან აღსანიშნავია ახალგაზრდული მედია-კავშირი“-ს ორგანიზებით შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საყოველთაო

პროექტის: „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქიაა“-ს ფარგლებში, სპორტულ-გასართობი ღონისძიებების ორგანიზება ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში. ასევე ახალგაზრდული პროექტების დაფინანსებისა და თანადაფინანსების პროგრამით განხორციელდა ოთხი პროექტი, ესენია:

- ა(ა)იპ საქართველოს შემეცნებითი ცენტრი -„ყულიშკარის ახალგაზრდული სივრცე უკეთესი მომავლისთვის“;
- ა(ა)იპ „რ.ე.ს.ე 2023“-ს პროექტი -„სპორტული ფესტივალი“;
- ა(ა)იპ სამეგრელოს სკაუტების საერთაშორისო ცენტრი“-ს პროექტი „ავატარი 2023“;
- ა(ა)იპ მთავარი თაობა“-ს პროექტი „რიყეობა 2024“.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა მუნიციპალიტეტის კულტურის სფეროს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტია, რომელსაც ახორციელებს ა(ა)იპ „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“.

ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის 2024 წლის 9 თვის მდგომარეობით დაზუსტებული გეგმა განისაზღვრა 1221.5 ათასი ლარით, რაც მთლიანად ათვისებულია. ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მიმართულ იქნა რიგი ძირითადი სახის ხარჯების ასანაზღაურებლად, კერძოდ::

- **შრომის ანაზღაურება 968.9 ათასი ლარი.**
- **საქონელი და მომსახურება 245.7 ათასი ლარი აქედან,**
- **შტატგარეშეთა შრომის ანაზღაურება 5.8 ათასი ლარი.**
- **მივლინება ქვეყნის გარეთ 6.1ათასი ლარი.**
- **ოფისის ხარჯი 13.0 ათასი ლარი**

რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯი 9.5 ათასი ლარი.

ტრანსპორტის მოვლა-შენახვის ხარჯი 12.9 ათასი ლარი (აქედან, საწვავის ხარჯი 3.1 ათასი ლარი; ტანსპორტის დაქირავების ხარჯი 9.9 ათასი ლარი)

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების ხარჯი 198.3 ათასი ლარი.

ა.ი.პ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „ხელოვნების და კულტურის განვითარების ცენტრი“-ს საკუთარი შემოსავლის წყაროს წარმოადგენს, ცენტრისთვის უზუფრუქტით გადმოცემული უძრავი ქონების დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი. კერძოდ, სამხატვრო გალერეას, სარეპეტიციო და საკონცერტო დარბაზის დაქირავებიდან მიღებული შემოსავალი.

2024 წლისთვის საკუთარი შემოსავალი დაიგეგმა 30,0 ათასი ლარის ოდენობით.

2024 წლის 9 თვეში შემოსავალი საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 20,7 ათასი ლარს, ხოლო საკასო შესრულება საკუთარი სახსრებიდან შეადგენს 12,8 ათას ლარს.

2024 წელს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრს დაგეგმილი აქვს ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სხვადასხვა პროექტები და ღონისძიებები, 1 ოქტომბრის მდგომარეობით კი ცენტრის მიერ განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტებია:

1. პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის IV საერთაშორისო ფესტივალი, ფესტივალი ეძღვნებოდა უდიდესი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას 100 წლის იუბილეს.
2. 1 სექტემბერს ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის ორგანიზებითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით, დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის საჯარო სივრცეში ჩატარდა ზუგდიდის კლასიკური მუსიკის III ფესტივალი.
3. 19 ივლისიდან 27 ივლისის ჩთვლით ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრის რეზო ბულიას სახ. ქორეოგრაფიული ანსამბლი „ჩელა“-ს გასტროლი იყო თურქეთის რესპუბლიკის ქ.დენიზლში.

აგრეთვე განვილილ 9 თვეში ცენტრის ძალებით ჩატარებულია სხვა ფორმატისა და ჟანრის 10-მდე ღირსახსოვარი კულტურული ღონისძიება, რომლის მონაწილე ინდივიდების, მუსიკალური ჯგუფებისა და კოლექტივების სახელოვნებო ოსტატობა აღინიშნა სხვადასხვა პრიზებით, დიპლომებითა და სიგელებით.

კულტურის მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომელიც ხორციელდება მერიის შესაბამის სტრუქტურული ერთეულის ძეგლთა დაცვის განყოფილების მიერ, 9 თვეში ათვისებულია 17.7 ათასი ლარი. გამოყოფილი თანხები მიიმართა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული უძრავი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ძეგლების აღრიცხვის, გაციფრულებისა და კარტოგრაფირების მიზნით სამიებო-სადაზვერვო ექსპედიციის ორგანიზებაზე და სხვადასხვა საგანმანათლებლო და შემეცნებით ღონისძიებებში გამარჯვებული მოსწავლე ახალგაზრდების დასაჯილდოებლად საჩუქრად გადასაცემი წიგნების შესასყიდად.

ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრის დასაფინანსებლად 2024 წლის ცხრა თვეში გაიხარჯა 707.3 ათასი ლარი.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში წიგნადი ფონდი შეივსო 1062 წიგნით, რომელთა ღირებულებაა 10,685.47 ლარი.

საბიბლიოთეკო ცენტრის მიერ 2024 წლის პირველ ნახევარში მკითხველთა წიგნით და საინფორმაციო მომსახურების კუთხით გაწეული მუშაობის რაოდენობრივ მაჩვენებლები გამოიხატა შემდეგ ციფრობრივ მონაცემებში:

- მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა - 6180;
- წიგნადი ფონდისა და ინფორმაციის გაცემა - 23286;
- დამსწრეთა რაოდენობა - 98360.

ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი ცენტრალურ ბიბლიოთეკასთან, სასოფლო და საქალაქო ბიბლიოთეკა-ფილიალებთან და მის დაქვემდებარებაში არსებულ „ამერიკულ კუთხე“-სთან ერთად ახორციელებდა სხვადასხვა პროექტებსა და ღონისძიებებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია:

1. შეხვედრა გერმანელ მწერალ კონსტანცე ჯონისთან, რომელიც 1997 წლიდან თავისუფალი მწერალია, ამზადებს სამოგზაურო რეპორტაჟებს გერმანიის საზოგადოებრივი რადიომაუწყებლისათვის და საერთო გერმანული რადიოკომპანიისათვის, წერს საბავშვო ლიტერატურას, ლიბრეტოებს ოპერებისათვის და სცენარებს ფილმებისთვის;

2. ავსტრიელი მწერლის ბარონ არტურ გუნდაკარ ფონ ზუტნერის ნაშრომის - „კავკასიის შვილების“ პრეზენტაცია. წიგნის მთარგმნელმა ფილოსოფიის დოქტორმა გერმანიაში მოღვაწე პროფესორმა, თამაზ გვენეტაძემ, წარმოდგენილი პრეზენტაციისა და წიგნში შესული მოთხრობების ფონზე ისაუბრა არტურ ზუტნერის შემოქმედებაში ასახული მეცხრამეტე საუკუნის საქართველოს ყოფა-ცხოვრების დეტალებზე. ღონისძიებას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორი კონსტანტინე გამსახურდია და მისი მოადგილე მირიან ხოსიტაშვილი;

3. პოეტ გიორგი გულუას ერთ წიგნად აკინძული ორი გამოცემის პრეზენტაცია;

4. დანი ადამელიას წიგნის - „ზღაპარი მაგიის გარეშე“ პრეზენტაცია;

5. ბიბლიოთეკასთან არსებული წიგნის მოყვარული ახალგაზრდების საზოგადოება B612-ის წევრებმა გამართეს სხვადასხვა აქტივობები: ფილმის ჩვენება და განხილვა ლიტერატურული გარდერობი, მელომანი, თეატრალური ეტიუდები;

6. 24 თებერვალს იაპონელმა იროჰა კიოჰარამ, ბელგიელმა ლაურა ლამბრემ და კოსტა-რიკელმა მონიკა ჩავარირამ ზუგდიდელ ახალგაზრდებს გაუზიარეს თავიანთი მოხალისეობრივი გამოცდილება, წარადგინეს პრეზენტაციები ბრაზილიურ და იაპონურ კულტურაზე;

7. საჯაროდ კითხვის მსოფლიო დღე ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში მრავალფეროვანი აქტივობებით აღინიშნა;

8. 26 აპრილს ხუთი სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალის ორგანიზებით ჯიხაშკარის ბიბლიოთეკის ბაზაზე განხორციელდა ერთობლივი პროექტი - ფოლკლორული სადამო. ჯიხაშკარის, ყულიშკარის, ჭაქვინჯის, ახალსოფლის, რიყის მკითხველებმა წაიკითხეს ლექსები, ამონარიდები წიგნებიდან, შეასრულეს მუსიკალური და ქორეოგრაფიული ნომრები.

9. 17-18 აგვისტოს ზუგდიდის ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ჩატარდა პროექტი - „ლაზური წიგნიერების დღეები“. პროექტის ფარგლებში ზუგდიდს ესტუმრნენ როგორც სარფელი ლაზები, ისე თურქეთში მოქმედი ლაზური ენისა და კულტურის სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები და დამოუკიდებლად მომუშავე პირები, რომლებიც ზრუნავენ ლაზური ენის გადარჩენაზე, გამოსცემენ სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურას, ქმნიან მუსიკას.

მერიის კულტურული ღონისძიებების დაფინანსებისთვის, რომლის განმახორციელებელია მერიის კულტურის განყოფილება, 9 თვეში პროგნოზირებული იყო 357 ათასი ლარი, გახარჯულია 347,2 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა საახალწლო და საშობაო, ქალთა დღის („მარტის თვეა შენი“), ჩხორიის სამოყვარულო თეატრის სპექტაკლის „ჯაყოს ხიზნები“, ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლების „ანდერძი“ და „ყოველი წლი თებერვალში“ პრემიერების, ვლადიკლავის დღესასწაულის, ზუგდიდის საპატო მოქალაქისა და საპატო ზუგდიდელის წოდების მინიჭებასთან დაკავშირებულ ღონისძიებების ორგანიზებასა და ჩატარებაზე.

რელიგიის ფინანსური ხელშეწყობის დანიშნულებით 9 თვეში გახარჯულია 135,0 ათასი ლარი რომელიც მოხმარდა ზუგდიდის ივერიის ყოვლადწმინდ ღვთისმშობლის სახელობის მამათა სამონასტრო კომპლექსის და რუხის წმინდა ნიკოლოზის სახელობის ეკლესიის სამშენებლო - სარემონტო სამუშაოების მომსახურების შესყიდვას.

ტელერადიომაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის კუთხით, 9 თვეში ფაქტობრივად გახარჯულია 41,7 ათასი ლარი.

სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კულტურის სფეროს სხვა მუნიციპალურ პროგრამებს შორის, რომლის განმახორციელებელია ა(ა)იპ **სახელოვნებო სკოლების გაერთიანება**, რომელიც საკუთრივ ფუნქციონირებს N1 და N2 სამუსიკო სკოლების, სამუსიკო-საგუნდო სკოლის და სამხატვრო სკოლის სტრუქტურული ერთეულების ბაზაზე. აღნიშნულ მხარჯავ სუბიექტს 9 თვეში ათვისებული აქვს (საკასო შესრულება) 791,4 ათასი ლარი ათვისებული თანხები ძირითადად მოხმარდა: 636,7 ათასი ლარი - მომსახურეთა და შემოქმედებითი პედაგოგიური საქმიანობით დაკავებული მუშაკების შრომის ანაზღაურებას, ხოლო 99,8 ათასი ლარი - შტატგარეშე მუშაკთა ხელფასებს; გაერთიანების საკუთარმა შემოსავალმა შეადგინა 40,9 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა მიმდინარე საოპერაციო ხარჯების ანაზღაურებაზე.

9 თვეში როგორც სახელოვნებო სკოლების გაერთიანების, ისე საქართველოს მუსიკალურ-სახელოვნებო ცენტრებთან მათი ჩართულობით ჩატარებული და განხორციელებულია 34-მდე აქტივობა და პროექტი. აღნიშნულ აქტივობებსა და პროექტებში მონაწილე სახელოვნებო სკოლების მუსიკალურმა ანსამბლებმა და გუნდებმა, შემოქმედებითმა ჯგუფებმა მუსიკალურ-შემოქმედებით კონკურსებზე და კონკურს ფესტივალებზე მიაღწიეს თვალსაჩინო წარმატებებს, კერძოდ:

- 2024 წლის 19 მარტს, წყალტუბოს მუნიციპალიტეტში ჩატარდა ი.ს. ბახის სახელობის მე-7 ეროვნული კონკურსი, სადაც საგუნდო-სამუსიკო სკოლის შვიდი მოსწავლემ ლაურეატის წოდება დაიმსახურა.
- 2024 წლის 24-30 მარტს ჩატარდა კლასიკური მუსიკის მე-17 ეროვნული კონკურს-ფესტივალი „მომავალი ვარსკვლავები“, რომელშიც წარმატებით მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2024 წლის 27-31 მარტის ჩათვლით ჩატარდა ბავშვთა და მოზარდთა მე-16 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდნენ სახელოვნებო სკოლების გაერთიანების სამუსიკო სკოლები.
- 2024 წლის 12 მაისს ქალაქ თბილისში, ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, გაიმართა ბავშვთა და მოზარდთა მე-16 რესპუბლიკური კონკურს-ფესტივალი „იპოვე შენი ვარსკვლავი“-ს გალა კონცერტი. N1,N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო და საორკესტრო მიმართულებით აღსაზრდელებს მიენიჭათ უმაღლესი ჯილდოები, გადაეცათ საპატო დიპლომები.
- 2024 წლის 28 მაისს ქალაქ ქუთაისში, საქართველოს მუსიკოსთა გაერთიანების ორგანიზებით გაიმართა ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსი ფესტივალი „რონდო-კლასიკა“. კონკურსში წარმატებით მონაწილეობდნენ N2 სამუსიკო და საგუნდო-სამუსიკო სკოლების საფორტეპიანო მიმართულებით აღსაზრდელები.

- 2024 წლის 22-27 ივნისს სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ინიციატივითა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ფინანსური მხარდაჭერით, სამხატვრო სკოლის 4 მოსწავლე, „N STUDIA“-ს ორგანიზებით იმყოფებოდა ესპანეთის საერთაშორისო ფესტივალზე. ქალაქ კალილელაში აღსაზრდელებმა გამოფინეს თავიანთი საუკეთესო ნამუშევრები, მონაწილეობა მიიღეს პლენერებში. ჟიურის გადაწყვეტილებით ზუგდიდელ ბავშვებს გადაეცათ სპეციალური პრიზი, მედლები და დიპლომები.
- 2024 წლის 25 სექტემბერს, სენაკის მუნიციპალიტეტში, გაიმართა „სენაკის არტ-ფესტივალი“, საგუნდო -სამუსიკო სკოლის ორი მოსწავლე დაჯილდოვდა ვალერიან შიუკაშვილის სტიპენდიით.

საცხენოსნო კლუბ „ხარებას“ დაფინანსებისთვის 9 თვეში პროგნოზირებული იყო 60.0 ათასი ლარი, რომელიც სრულად არის ათვისებული და მიმართულია შემდეგ მიზნების მისაღწევად: საცხენოსნო სპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზება და ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებული ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობის შეჯიბრებებში მონაწილეობა.

„ქართული ფეხბურთის განვითარების“ ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში 9 თვეში გახარჯულია 445,7 ათასი ლარი, რომელიც მთლიანად მიმართული იქნა აღნიშნული მხარჯავი სუბიექტის სპორტული კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებების დასაფინანსებლად.

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სფერო

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამებისათვის განვლილ 9 თვეში პროგნოზირებული იყო 3599,4 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 2907,4 ათასი ლარი.

ბიუჯეტიდან გამოყოფილი ასიგნებანი ჯანდაცვის და სოციალურ სფეროს მიკუთვნებული პროგრამების მიხედვით მიიმართა:

ა) ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის 9 თვის პერიოდში, პროგრამულ კოდზე 060101-საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება მუნიციპალური ბიუჯეტით შესრულდა 390,0 ათასი ლარის სამუშაოები.

შემდეგი კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

- შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 242,9 ათასი ლარი.
თანამდებობრივი სარგო — 230,2 ათასი ლარი;

პრემია/ჯილდო - 12,7 ათასი ლარი;

- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 123,2 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის 9 თვის პერიოდში საკუთარი სახსრების ბიუჯეტით (პროგრამული კოდი 060101) შესრულდა 45,5 ათასი ლარის სამუშაოები შემდეგი კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

- შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 13,3 ათასი ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 17,1 ათასი ლარი.
- მივლინება 0,1 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები 12,8 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 2,1 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცენტრის ძალებით 9 თვეში შესრულებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები, რომელიც მოიცავს სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში ინფექციურ დაავადებათა დარეგისტრირების, ინფექციურ დაავადებებზე („ც“, „პეპატიტი, „აივ-ინფექცია“), ასევე „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა გამოკვლევის, გეგმიური პროფილაქტიკური აცრების, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში სკრინინგის და პარაზიტოლოგიურ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევის კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელების ღონისძიებებს.

საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 8 639 აცრა. მ.შ.გეგმიური 80200. ბცქ ვაქცინაცია ჩაუტარდა 493 ახალშობილს;

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2024 წლის 9 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 593,5 ათასი ლარის და გაცემული იქნა 557,3 ათასი ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა მონიტორინგი 94 საბავშვო ბაღში, მათ შორის 18 კერძო ბაღში. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევები შესახებ ეცნობა ა.ა.ი.პ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 39 კაბინეტში.

პირველად ჯანდაცვაში C- ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის პროგრამის ფარგლებში ოჯახის ექიმების, სამედიცინო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჯამურად სკრინინგი ჩატარდა 5 910 ბენეფიციარს, მათ შორის სკრინინგ დადებითი 156 შემთხვევა გამოვლინდა, საგულდაგულოდ ჩატარდათ კონფირმაციული კვლევა.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა პირველ კვარტალში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩატარდა 151 ბიზნესოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 96 შემთხვევაში, არასრულად 55-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია.

2024 წელს 9 თვის განმავლობაში ცენტრში შემოვიდა ჯამში 191 კორესპონდენცია დავალებების შესასრულებლად, შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე ინფორმაციის სახით მისაღებად, ამავე პერიოდში ცენტრში მომზადდა და გადაიგზავნა 197 წერილი.

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მუნიციპალური პროგრამის 060101 კოდით შეასრულა 390,0 ათასი ლარის, ხოლო საკუთარი სახსრებით 45,5 ათასი ლარის სამუშაოები.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის 9 თვის პერიოდში, პროგრამულ კოდზე 060101- საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება მუნიციპალური ბიუჯეტით შესრულდა **390,0 ათასი** ლარის სამუშაოები.

შემდეგი კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

- შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება - 242,9 ათასი ლარი.
თანამდებობრივი სარგო — 230,2 ათასი ლარი;
პრემია/ჯილდო - 12,7 ათასი ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება - 123,2 ათასი ლარი.

ა(ა)იპ „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს 2024 წლის 9 თვის პერიოდში საკუთარი სახსრების ბიუჯეტით (პროგრამული კოდი 060101) შესრულდა **45,5 ათასი** ლარის სამუშაოები შემდეგი კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით:

- შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 13,3 ათასი ლარი;
- შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 17,1 ათასი ლარი.
- მივლინება 0,1 ათასი ლარი;
- ოფისის ხარჯები 12,8 ათასი ლარი;
- ტრანსპორტის ექსპლუატაციისა და მოვლა შენახვის ხარჯები 2,1 ათასი ლარი.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ცენტრის ძალებით 9 თვეში შესრულებულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული სამუშაოები, რომელიც მოიცავს სასწრაფო და რუტინული შეტყობინების საფუძველზე ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში ინფექციურ დაავადებათა დარეგისტრირების, ინფექციურ დაავადებებზე („ც“, „ს“, ჰეპატიტი, „აივ-ინფექცია“), ასევე „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ორსულთა გამოკვლევის, გეგმიური პროფილაქტიკურ აცრების, პირველადი ჯანდაცვის დონეზე ინტეგრირებული პროგრამის ფარგლებში სკრინინგის და პარაზიტოლოგიურ დაავადებებზე ლაბორატორიული კვლევის კანონმდებლობის შესაბამისად საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე ზედამხედველობისა და მონიტორინგის განხორციელების ღონისძიებებს.

საანგარიშგებო პერიოდში ზუგდიდის ტერიტორიაზე სულ განხორციელდა 8 639 აცრა. მ.შ.გეგმიური 80200. ბცქ ვაქცინაცია ჩაუტარდა 493 ახალშობილს;

სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ცენტრში 2024 წლის 9 თვის პერიოდში მიღებულ იქნა 593,5 ათასი ლარის და გაცემული იქნა 557,3 ათასი ლარის ვაქცინები, სტრატეგიული შრატები, სწრაფი მარტივი ტესტები სახარჯი მასალით.

2024 წლის 9 თვის განმავლობაში ჩატარებული იქნა მონიტორინგი 94 საბავშვო ბაღში, მათ შორის 18 კერძო ბაღში. მონიტორინგის დროს სახელმწიფო საბავშვო ბაღში გამოვლენილი დარღვევები შესახებ ეცნობა ა. (ა). ი. პ. სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს ზომების მისაღებად.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სტომატოლოგიური სერვისის მიმწოდებლებში ინფექციის კონტროლის ღონისძიებებზე ზედამხედველობა განხორციელდა 39 კაბინეტში.

პირველად ჯანდაცვაში C- ჰეპატიტის, აივ შიდსის და ტუბერკულოზის ადრეული გამოვლენის პროგრამის ფარგლებში ოჯახის ექიმების, სამედიცინო დაწესებულებების და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჯამურად სკრინინგი ჩაუტარდა 5 910 ბენეფიციარს, მათ შორის სკრინინგ დადებითი 156 შემთხვევა გამოვლინდა, საგულდაგულოდ ჩაუტარდათ კონფირმაციული კვლევა.

ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა პირველ კვარტალში განახორციელა ზედამხედველობა და მონიტორინგი ზუგდიდის ტერიტორიაზე მდებარე საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტებზე საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად: მონიტორინგი ჩაუტარდა 151 ბიზნესოპერატორს. რეგულაციების მოთხოვნები სრულად იყო დაცული 96 შემთხვევაში, არასრულად 55-ში, მათ მიეცათ გონივრული ვადა მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, გადამოწმებით მდგომარეობა ნაწილობრივ გამოსწორებულია.

2024 წელს 9 თვის განმავლობაში ცენტრში შემოვიდა ჯამში 191 კორესპონდენცია დავალებების შესასრულებლად, შესაბამისი ღონისძიებების ჩასატარებლად, ასევე ინფორმაციის სახით მისაღებად, ამავე პერიოდში ცენტრში მომზადდა და გადაიგზავნა 197 წერილი.

ზუგდიდის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრმა მუნიციპალური პროგრამის 060101 კოდით შეასრულა 390,0 ათასი ლარის, ხოლო საკუთარი სახსრებით 45,5 ათასი ლარის სამუშაოები.

ბ) მუნიციპალიტეტის სოციალური და ჯანდაცვის პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში 2024 წლის 9 თვეში ერთობლივად გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 3182.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 2517.4 ათასი ლარი. პროგნოზირებული მაჩვენებლის მთლიანობაში შეუსრულებლობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ამ სფეროს მრავალრიცხოვანი ქვეპროგრამების მიხედვით მესამე კვარტალის ბოლოს რიცხული გარკვეული ოდენობის ფულადი ნაშთები სხვადასხვა მიზეზების გამო მთლიანად ვერ იქნა ათვისებული.

ცალკე აღებული სოციალური სფეროს ქვეპროგრამების ფარგლებში, ბიუჯეტიდან 9 თვეში ათვისებულია 1433,2 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი 1965,4 ათასი ლარი).

სოციალური დაცვის სფეროსათვის გამოყოფილი (ათვისებული) ასიგნება (1433,2 ათასი ლარი) გადანაწილდა შემდეგ პროგრამებზე:

- 193,1 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამაზე, რომლითაც საანგარიშო პერიოდში ისარგებლა 300 ბენეფიციარმა.
- 33,6 ათასი ლარი - ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 20 ბენეფიციარმა;
- 41,8 ათასი ლარი - ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამაზე, რომლითაც ისარგებლა 158 ბენეფიციარმა (თითოეულს 200 ლარის ოდენობით).
- 174,0 ათასი ლარი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 634 ბენეფიციარმა (ქალი-336, კაცი-298) აღნიშნული თანხა მიიმართა: ა) 29,8 ათასი ლარი-შეზღუდული შესაძლებლობისა და მძიმე ქრონიკული ავადმყოფობის მქონე 149 ბავშვის ფინანსური მხარდაჭერისთვის (თითოეული 200 ლარის ოდენობით);
- ბ) 29,3 ათასი ლარი-შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 299 პირის კომუნალური გადასახადებისთვის (თითოეულს 25-25 ლარი ოთხი თვის განმავლობაში);
- გ) 111,6 ათასი ლარი-განსაკუთრებული ზრუნვის საჭიროების მქონე შშმ პირისა და ხანდაზმულის მომვლელისათვის (ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობით);
- დ) 3,3 ათასი ლარი-სმენადაქვეითებული 36 პირის კომუნალური გადასახადებისთვის (თითოეულს 25-25 ლარი ოთხი თვის განმავლობაში).
- 72,5 ათასი ლარი - მარტოხელა მშობლების სოციალური დაცვის პროგრამაზე, ისარგებლა 290 ბენეფიციარმა;
- 18,7 ათასი ლარი - ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა სულ 42 ბენეფიციარმა (ქალი-29, კაცი-13);
- 39,6 ათასი ლარი- სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამაზე აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით მრავალშვილიანი ოჯახების, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე ვეტერანების, დედ-მამით ობოლი ბავშვების, მარტოხელა მშობლების, 100 წელს გადაცილებული ხანდაზმულებისათვის;
- 84,5 ათასი ლარი - ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამაზე, ისარგებლა 122 ბენეფიციარმა;
- 351,1 ათასი ლარი - სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამაზე, ისარგებლა 246 ბენეფიციარმა;
- 27,8 ათასი ლარი - დევნილთა მხარდაჭერის პროგრამაზე, ისარგებლა 278 ბენეფიციარმა;
- 246,6 ათასი ლარი - სოციალურად დაუცველი ოჯახების გათბობის საშუალებით უზრუნველყოფისა და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების ფინანსური დახმარების პროგრამაზე, ისარგებლა 1067 ბენეფიციარმა;

- 18,0 ათასი ლარი - პროგრამაზე „სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში“, ისარგებლა 29 ბენეფიციარმა;
- 131,9 ათასი ლარი - უსახლკარო და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამაზე; აღნიშნულ პროგრამაში ჩართული იყო 19 ოჯახი.

ჯანდაცვის ხაზით, სამედიცინო დახმარების პროგრამის ფარგლებში გეგმა-პროგნოზით გათვალისწინებული იყო 1160,0 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო შესრულებამ შეადგინა 1047,6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა ქვეპროგრამების დაფინანსებაზე, კერძოდ:

- 173,8 ათასი ლარი - ძვირადღირებული გამოკვლევების (კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია, კორონოგრაფია) თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 712 ბენეფიციარმა);
- 26,9 ათასი ლარი - კორონოგრაფიის დაფინანსებაზე, ისარგებლა 20 მოქალაქემ;
- 17,9 ათასი ლარი - PET/კტ კვლევის თანადაფინანსებაზე (ისარგებლა 20 ბენეფიციარმა);
- 101,9 ათასი ლარი - სამედიცინო მომსახურების (ქირურგიული ოპერაცია) თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 162 მოქალაქემ;
- 135,0 ათასი ლარი - ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 728 მოქალაქემ;
- 380,8 ათასი ლარი - აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე 0-18 წლამდე ბავშვთა აბილიტაციის ქვეპროგრამაზე (ჩართულია 150 ბავშვი);
- 91,9 ათასი ლარი - სხვადასხვა სახის გონებრივი ჩამორჩენილობისა და ქცევითი აშლილობის მქონე 0-18 წლამდე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 239 ბავშვმა;
- 2,5 ათასი ლარი - 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსებაზე. ისარგებლა 5 ბენეფიციარმა;
- 17,0 ათასი ლარი-იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია, მუკოვისციდოზი) მქონე პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფაზე (ჩართულია 9 მოქალაქე);
- 2,2 ათასი ლარი - განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების თანადაფინანსებაზე, ისარგებლა 11 ბენეფიციარმა;
- 15,8 ათასი ლარი- ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებების და სხვა საჭიროებისთვის თანხით უზრუნველყოფის ქვეპროგრამაზე (პროგრამაში ჩართულია 18 მოქალაქე);
- 1,2 ათასი ლარი - კოხლერული ინპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის სმენადაქვეითებული, ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვებია სასმენი აპარატის პროცესორის დამხმარე საშუალებების დაფინანსება/თანადაფინანსება, ისარგებლა 2 მოქალაქემ;
- 7,5 ათასი ლარი - ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 135 მოქალაქემ;
- 68,2 ათასი ლარი-ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამაზე (ისარგებლა 341 ბენეფიციარმა);

ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, 2024 წელს ჩატარებულია გარკვეული მუშაობა. აღნიშნული პროგრამის დანიშნულებით ბიუჯეტიდან ათვისებულია 9 თვეში 36,6 ათასი ლარი, რომელიც მიიმართა 293 ბენეფიციარის სხვადასხვა სახის საჭიროებებზე და გადანაწილდა შემდეგნაირად:

- 17,8 ათასი ლარი-სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ბავშვის მატერიალური დახმარების ქვეპროგრამაზე, ისარგებლა 24 ოჯახის 55 ბენეფიციარმა;
- 2,5 ათასი ლარი-ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის ქვეპროგრამაზე, რომელშიც ჩართული იყო 205 ბავშვი;

- 8,9 ათასი ლარი-ინგლისური ენის შემსწავლელი წრის დაფინანსებაზე, ჩართული იყო 25 მოსწავლე.

მიმდინარე წლის განვლილ პერიოდში მერიის შესაბამისი სამსახურის მიერ ჩატარებულია აქტიური მუშაობა მოწყვლადი ბავშვიანი ოჯახების გაძლიერების კუთხით. საანგარიშო პერიოდში სოციალური მუშაკების მიერ განხორციელდა 50 ვიზიტი, რომლის შედეგადაც ოჯახები ჩართულ იქნა შესაბამის მუნიციპალურ პროგრამაში, ასევე განხორციელდა რამდენიმე მათგანის გადამისამართება სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში.

მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯების საკასო შესრულებამ შეადგინა 11,936.3 ათასი ლარი (გეგმა-პროგნოზი - 13,001.0 ათასი ლარი).

- წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფისთვის მიიმართა 8,626.2 ათასი ლარი, მათ შორის:
 - საკრებულოს საქმიანობის ფინანსურ უზრუნველყოფაზე - 1,500.6 ათასი ლარი;
 - მერიის სამსახურების და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების დაფინანსებისათვის - 7,125.6 ათასი ლარი;
 - სარეზერვო ფონდიდან გამოიყო - 97.1 ათასი ლარი.
- მგფ-დან და საქართველოს მთავრობისგან მუნიციპალიტეტის მიერ აღებული სასესიო ვადებულებების დაფარვაზე მიიმართა - 2,904.3 ათასი ლარი.
- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების მოწყობა-დამონტაჟებისა და მომსახურების ღონისძიებების დაფინანსებაზე - 331.8 ათასი ლარი.

მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების შესრულება სინთეზურად, ცალკეული მუხლების მიხედვით ხასიათდება შემდეგი პარამეტრებით:

გადასახდელების ფაქტიური მაჩვენებლიდან (62,976.8 ათასი ლარი) ხარჯები შეადგენს 43,758.3 ათას ლარს, აქედან:

- შრომის ანაზღაურება - 6,796.2
- საქონელი და მომსახურება - 5,161.1
- პროცენტი - 1,044.2
- სუბსიდიები - 26,611.0
- გრანტები - 106.8
- სოციალური უზრუნველყოფა - 2,286.8
- სხვა ხარჯები - 1,752.2

მიმდინარე წლის განვლილ 9 თვეში არაფინანსური აქტივების ზრდამ შეადგინა 17,358.4 ათასი ლარი.

ფინანსური ვალდებულებების კლება შეადგენს 1,860.1 ათას ლარს.

ხარჯების ცალკეულ მუხლებთან მიმართებაში საბიუჯეტო სახსრების გადამეტებას (ზეგეგმიურ ხარჯვას) ადგილი არ აქვს.

თავი III.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტები და პროგრამები

2024 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტში მიმდინარეობდა სხვადასხვა აქტივობები, მათ შორის განხორციელდა მოსახლეობის გამოკითხვა, ჩატარდა სხვადასხვა კვლევები, სამოქალაქო საბჭოსთან და სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან გაიმართა შეხვედრები. შემუშავდა 2025 – 2028 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმა, ჩამოყალიბდა მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითადი მიმართულებები და გამოიკვეთა ბიუჯეტში გასათვალისწინებელი პრიორიტეტები და პროგრამები. მუნიციპალიტეტის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- ❖ ინფრასტრუქტურა;
- ❖ დასუფთავება და გარემოს დაცვა;
- ❖ განათლება;
- ❖ კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი;
- ❖ ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- ❖ წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია

მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა რეაბილიტაცია, წყლის სისტემების, გარე განათების ქსელის განვითარება და მუნიციპალიტეტში

სხვა აუცილებელი კეთილმოწყობის ღონისძიებების დაფინანსება. პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება როგორც ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, ასევე, არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
02 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	16,395.0	16,855.0	18,195.0	19,695.0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	930.0	930.0	1,330.0	1,680.0
02 01 01	გზების მშენებლობა რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა	500.0	500.0	800.0	1,000.0
02 01 02	ხიდების მშენებლობა რეაბილიტაცია	200.0	200.0	250.0	350.0
02 01 03	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	230.0	230.0	280.0	330.0
02 02	წყლის სისტემის განვითარება	1,010.0	1,120.0	1,300.0	1,600.0
02 02 01	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	340.0	450.0	600.0	800.0
02 02 02	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	670.0	670.0	700.0	800.0
02 03	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	850.0	900.0	1,050.0	1,050.0
02 04	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	5,000.0	5,300.0	5,600.0	6,000.0
02 04 01	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	5,000.0	5,300.0	5,600.0	6,000.0

02 05	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	240.0	240.0	250.0	250.0
02 06	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	430.0	430.0	430.0	430.0
02 07	კეთილმოწყობა	5,700.0	5,700.0	6,000.0	6,350.0
02 07 01	მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებათა უზრუნველყოფის პროგრამა	5,500.0	5,500.0	5,800.0	6,100.0
02 07 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების კეთილმოწყობა და შეძენა	200.0	200.0	200.0	250.0
02 08	სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის პოპულარიზებისკენ მიმართული აქტივობების კოორდინირება	30.0	30.0	30.0	30.0
02 09	რგფ-დან მგფ-დან განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	600.0	600.0	600.0	700.0
02 10	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა	100.0	100.0	100.0	100.0
02 11	სამშენებლო ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები	20.0	20.0	20.0	20.0
02 12	საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის ხარჯი	400.0	400.0	400.0	400.0
02 13	მიწების საკადასტრო ნახაზების შედგენის და ქონების შეფასების ხარჯები	20.0	20.0	20.0	20.0

02 15	საინვესტიციო პროექტების,დონორებთან ურთიერთობის და ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	65.0	65.0	65.0	65.0
02 16	სამოქალაქო ბიუჯეტი	1,000.0	1,000.0	1,000.0	1,000.0

პროგრამის დასახელება	კოდი		საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში	
	02 01			930.0	4870.0	
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია გზების და ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება					
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება, ადაპტირებულია ქალაქის ქუჩების ნაწილი და შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი ფიზიკური გარემო შშმ პირთა და საბავშვო ეტლით მოსარგებლეთათვის.					
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება; მოხრეშვა) გზების რაოდენობა	20-მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნე	10%	არ შემდგარი ტენდერი

				ბა		
	2	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება) გზის საფარის რაოდენობა	10 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	არ შემდგარი ტენდერები
	3	რეაბილიტირებული ხრეშოვანი გზის საფარის რაოდენობა	80 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	არშემდგარი ტენდერები
	4	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, მილხიდების, ხიდბოგირების და ბოგირების რაოდენობა	1	1	50%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა- შენახვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 01		500.0	2800.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული და ავარიული მონაკვეთების და მოსაცდელეების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური შეკეთების (ორმული შეკეთების) სამუშაოები და მოსაცდელეების მშენებლობა-რეაბილიტაცია. ასევე არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია, ადმინისტრაციულ ერთეულებში პრობლემური აღმართების რეაბილიტაცია. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს, ზუგდიდის, სენაკის, ხობის, წალენჯიხის და ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტს შორის შეთანხმების საფუძველზე №22 ზონის მიმდებარედ, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში შემავალი ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მიმდინარე შეკეთებასთან დაკავშირებული სამუშაოები. გარდა ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებისა 2025 წელს გაგრძელდება რეგიონული განვითარების ფონდით დასაფინანსებელი პროექტების განხორციელება.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესებულია საგზაო ინფრასტრუქტურა, უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტში არსებული გზების მოვლა-პატრონობა და გახანგრძლივებულია გზების ექსპლუატაციის ვადა; უზრუნველყოფილია მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;			

	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
№					
1	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება; მოხრეშვა) გზების რეაოდენობა	20-მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	არშემდგარი ტენდერები
2	რეაბილიტირებული (ორმული შეკეთება) გზის საფარის	10 000 მ ² -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	არშემდგარი ტენდერები

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი		ფართობი				
	3	რეაბილიტირებული ხრემოვანი გზის საფარის ფართობი	80 000 მ ² - მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხიდების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 02		200.0	1000.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული ხიდების რეაბილიტაცია, ახალი ხიდებისა და ხიდ-ბოგიერების მშენებლობა. დაგეგმილია აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში, ჯახუთის უბანში საავტომობილო ხიდის მშენებლობა.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი შედეგი	ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწესრიგებული და ახლად მოწყობილია საკომუნიკაციო ობიექტები, რაც ხელს უწყობს მოსახლეობის შეუფერხებელ, კომფორტულ და უსაფრთხო გადაადგილებას.			

		ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბ ათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	№					

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალი და რეაბილიტირებული ხიდების, მილხიდების, ხიდბოგირების და ბოგირების რაოდენობა	1	1	50%	არშემდგარი ტენდერები
---	---	--	---	---	-----	-------------------------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 01 03		230.0	1070.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ეკონომიკური პოლიტიკისა და მუნიციპალური სერვისების სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	საგზაო მოძრაობის ორგანიზება ფეხით მოსიარულეთა და სატრანსპორტო საშუალებების უსაფრთხო გადაადგილებისათვის. მოსწავლეთა და სკოლამდელი ასაკის ბავშვების, მშობლებისა და მასწავლებლების ფეხით უსაფრთხო გადაადგილება სკოლების და საბავშვო ბაღების მისასვლელ მონაკვეთებში, სატრანსპორტო საშუალებების დროული ,შეუფერხებელი და უსაფრთხო გადაადგილება. მოწყობილია დასახლების აღმნიშვნელი აბრები კომფორტული გადაადგილება. 1.საგზაო ნიშნებისა და შუქნიშნების შეძენა-მონტაჟი, 2. გზების ჰორიზონტალური და ვერტიკალური მონიშვნის სამუშაოები, 3. სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების შეძენა, 4. ვიდუო-სამეთვალყურეო კამერების შეძენა-მონტაჟი, ახალი საგზაო ნიშნების განთავსება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში. 5.ზუგდიდის ადმ.საზღვრებში ადგილობრივი საქალაქო და საგარეუბნო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის (m2 და m3) კატეგორიების ნებართვის მაძიებელთა კონკურსში მონაწილეობის, მასში გამარჯვებულის, გამოვლენის, ნებართვის მოქმედების ვადის, სანებართვო პირობების ნებართვის გაცემის ფასის გადახდის და ნებართვის რეგულირების წესის დამტკიცების დადგენილების ნიმუშის შემუშავება და წარდგენა საკრებულოში დასამტკიცებლად 6. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებზე საგზაო ნიშნებისა და ჰორიზონტალური მონიშვნების განახლება. 7. საპარკინგე სისტემის მოწესრიგება და მონიტორინგი. 8. ავტობუსების გაჩერებებზე მოსაცდელების მოწყობის და ტაბლოების შესყიდვაზე ტენდერის გამოსაცხადებლად დოკუმენტაციის მომზადება და წარდგენა.			

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
მოსალოდნელი შედეგი	ავტოტრანსპორტის შეუფერხებელი მოძრაობა; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახელების აღმნიშვნელი აბრები; მგზავრთა გაუმჯობესებული და უსაფრთხო გადაადგილება; შემცირებული საცობები; გაუმჯობესებული მუნიციპალური სერვისები.

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
მოწესრიგებული გზაჯვარედინები	8-მდე	10-მდე	12-მდე	15-მდე	15 -მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. მოწესრიგებული და სატრანსპორტო ნაკადის კომფორტული გადაადგილება	სატრანსპორტო ნაკადის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება
ხმოვანი და ადაპტირებული მუქნიშნები	0	1	1	3	5	შშმ პირებისათვის უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა	
გზებზე განთავსებული საგზაო ნიშნები	70-მდე	100-მდე	130-მდე	150-მდე	2000-მდე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასება ის მაჩვენებელი
ჰორიზონტალური მონიშვნის ფართობი	7222 კვ.მ	15000კვ.მ	20000 კვ.მ	20000 კვ.მ	23000 კვ.მ	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება. მოწესრიგებული და სატრანსპორტო ნაკადის კომფორტული გადაადგილება	სატრანსპორტო ნაკადის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება
გზებზე განთავსებული სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი	55	60	70	80	90	სიჩქარის შეზღუდვა დასახლებულ პუნქტებში ასევე ბაღებსა და სკოლების მიმდებარე ტერიტორიებზე	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება
ხმოვანი და ადაპტირებული შუქნიშნები	1	1	1	3	5	შშმ პირებისათვის უსაფრთხოდ გადაადგილების ხელშეწყობა	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

პროგრამის დასახელება	კოდი		წყლის სისტემის განვითარება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში		2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში	
	02 02			1,010.0		5030.0	
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური						
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა. პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. ასევე სანიაღვრე არხების მოწყობასა და რეაბილიტაციას.						
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა						
მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში გამართულად ფუნქციონირებს წყალმომარაგების არსებული სისტემა და მოსახლეობა ნაწილი უზრუნველყოფილია სასმელი წყლით. გამართულად ფუნქციონირებს სანიაღვრე სისტემები.						
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები	
	1	რეაბილიტირებული და ახალი წყლის მაგისტრალის გრძივი მეტრი	1000 გრძ/მ	1500 გრძ/მ	10%	არ შემდგარი ტენდერი	
	2	მოწესრიგებული სანიაღვრე არხების საერთო სიგრძე	800 გრძ/მ	1340 გრძ/მ	30%	არ შემდგარი ტენდერები	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 01		340.0	2190.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყლის სისტემების სრულ რეაბილიტაციას და ახლის მოწყობას. მათ შორის, პრიორიტეტულია მოსახლეობის ტექნიკური წყლით უზრუნველყოფა წლის ნებისმიერ პერიოდში. პროგრამა ხორციელდება მუნიციპალიტეტში შემავალ ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში. პროგრამის მიზანია: - მუნიციპალიტეტის ყველა დასახლებაში არსებობედეს წყლის სტაბილური მიწოდება; - მუნიციპალიტეტის ყველა ოჯახს გააჩნდეს შეუფერხებელი წვდომა და იღებდეს წყალს; - წყლის სისტემების ექსპლოატაცია მიმდინარეობდეს უწყვეტ რეჟიმში და წარმოქმნილი გაუმართაობები აღმოფხვრილი იქნას დროულად. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: აბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში წყალმომარაგების სისტემის მოწყობა; ჯიხაშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, წყალმომარაგების სისტემის მოწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი შედეგი	მოწესრიგებული, განახლებული და ახლადმოწყობილია წყალგაყვანილობის ქსელი და ტექნიკურად გამართული წყალმომარაგების სისტემის საშუალებით მოსახლეობა უზრუნველყოფილია სანიტარული ნორმების შესაბამისი უსაფრთხო წყლით			

		ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი	ცდომილების	შესაძლო რისკები
--	--	--------------------	----------------------	------------	------------	-----------------

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№			მაჩვენებელი	ალბათობა (%/აღწერა)	
	1	რეაბილიტირებული და ახალი წყლის მაგისტრალის გრძივი მეტრი	3000- გრძ/მეტრამდე	7000- გრძ/მეტრამდე	10%	არშემდგარი ტენდერები

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 02 02		670.0	2840.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის სანიაღვრე ქსელის გაფართოება და გამტარუნარიანობის გაუმჯობესება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული სანიაღვრე და წყალსაწრეტი არხების რეაბილიტაცია, ასევე ახალი წყალსაწრეტი არხების და ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა. დაგეგმილია ქალაქ ზუგდიდის მაცხოვრისკარის ადმინისტრაციულ ერთეულში, თბილისის ქუჩაზე და კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, ბესიკის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გამტარუნარიანი სანიაღვრე ქსელი და მოსახლეობისთვის შექმნილია უსაფრთხო საცხოვრებელი პირობები			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
--	---	--------------------	----------------------	---------------------------	--------------------------------------	-----------------

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახლადმოწყობილი სანიაღვრე არხების რაოდენობა	3	2	30%	არშემდგარი ტენდერები
	2	ახლადმოწყობილი სანიაღვრე არხების გრძივი მეტრი	1340 გრძ/მ	1235 გრძ/მ	30%	არშემდგარი ტენდერები

პროგრამის დასახელება	კოდი	გარე განათების მოწყობა-რეაბილიტაცია	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 03		850.0	3850.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობის სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის ქუჩების განათება. ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადახდა, მუნიციპალიტეტის გზებზე და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის რიყეს ადმინისტრაციულ ერთეულში, დავით აღმაშენებლის ქუჩაზე გარე განათების მოწყობა			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება			
მოსალოდნელი შედეგი	მოწყობილია გარე განათების ქსელი და შექმნილია პირობები ღამის საათებში მოსახლეობის (ქალების, ბავშვების, ხანდაზმული და შშმ პირთა) უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილებისთვის.			

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ახალი გარე განათების ქსელის რაოდენობა	1 ობიექტი	1 ობიექტი	20%	არშემდგარი ტენდერები

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტრანსპორტის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	02 04 01		5,000.0	21900.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს „ზუგდიდის მუნიციპალური ტრანსპორტი“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	მუნიციპალური ტრანსპორტის ფინანსური ხელშეწყობა ემსახურება ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური გამართულობის უზრუნველყოფას; მგზავრების გადაყვანის შეღავათიან და კომფორტული პირობების შექმნას.			
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და ოცდაშვიდი სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისაგან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2024-2027 წლებში იზრუნებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური დონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვეავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებითმოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში, ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.			

მოსალოდნელი შედეგი	• ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; • მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ზუგდიდის ისტორიით, კულტურით, განათლებით, ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველების ხელშეწყობა, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა.
--------------------	--

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	წიგნითა და ინფორმაციით სარგებლობის რაოდენობა	66000-მდე მოსარგებლე	80000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა
	2	მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა	3000-მდე	4000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 04		460.0	2220.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი, ჩვენი ქალაქის დამსახურებული ქალბატონების დაფასების მიზნით დედის და ქალთა საერთაშორისო დღე „მარტის თვეა შენი ...“, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ლიტერატურულ საღამოები, ცნობილი ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, „აფხაზეთობა“, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დახვრეტილ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, ზუგდიდელ მწერალთა და შემოქმედთა ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით საგამომცემლო(ლიტერატურული) საქმიანობის დაფინანსება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე, სახელოვანი ზუგდიდელი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“, ზუგდიდობა, საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭება, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები..
მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვანების საღამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგი: დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	კულტურულ- შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ 40-მდე ყოველწლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	კორონავირუსის პანდემია
	2	დაფინანსებული პროექტების მაჩვენებელი.	საშუალოდ წლიურად 5 პროექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მომართვიანობის ნაკლებობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 05		70.0	320.6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ადმინისტრაციული სამსახური			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფომრაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა.			
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე			
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე;			

მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინ ფრასტრუქტურული პროექტების და სხვა ღონისძიებების გაშუქების დონე	ყოველდღიურად შუქდება ყველა სიახლე და მიეწოდება ინფორმაცია მოქალაქეებს	საბაზისო მაჩვენებელ ის შენარჩუნებ ა	3%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	2	მაცნეზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების ოდენობა	აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო აქტი ქვეყნდება მაცნეზე, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა	საბაზისო მაჩვენებელ ის შენარჩუნებ ა	2%	გაუთვალისწინებელი გარემოება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 06		135.0	540.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის N177 19.02.2014 წ. დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-ზედამხედველობის მიზნით სსიპ საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებას და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემდგომი ქმედითი რონისძიებების განხორციელებას.პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა. სახალხო -რელიგიური დღესასწაულების მოწყობა და პოპულარიზება.			
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება საკულტო - სარიტუალო შენობა ნაგებობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ხელი შეეწყობა მრევლისთვის ადაპტირებულ გარემოს. გაიზრდება ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება.			

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალაშენებული და რეაბილიტირებული ეკლესია-მონასტრები და სხვა რელიგიური დანიშნულების ექსპლოატაციაში შესული შენობა-ნაგებობების რაოდენობა;	საშუალოდ 1 წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	20%	გაუთვალისწინ ებელი გარემოება

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025- 2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 07		1,100.0	4750.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი		ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება (საფორტეპიანო და საორგესტრო განყოფილებები, საგუნდო-სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ქართულ ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ფოლკლორული ჯგუფები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი) სკოლის გარეშე საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ხელოვნების მიღწევების ათვისებისთვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია (საფორტეპიანო და საორგესტრო განყოფილება, საგუნდო-სამუსიკო განათლება, ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, სახვითი ხელოვნება); მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის; მოსწავლეები აზიაროს მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს; მოსწავლეებს გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; კონკურსების, ფესტივალებისა და ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე; სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, გამოფენების, შეხვედრების, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსების, ექსპედიციების, საქველმოქმედო აქციების ჩატარება; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში კონცერტების გამართვა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქის მოზარდთა დამეგობრების მიზნით; მოზარდებში ეროვნული კულტურის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა ერების კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება; მოზარდთა აქტიური ჩართულობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში;		
მოსალოდნელი შედეგი		სკოლის გარეშე სასწავლო პროგრამები გახდება ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის; სასწავლო დაწესებულება ალიკურდება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. გაუმჯობესდება სასწავლო პროცესი. გაიზრდება სკოლისგარეშე განათლების მიღებით დაინტერესებული მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლისგარეშე განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველ ოჯახთა შვილებისათვის.		

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
N1 სამუსიკო სკოლა						მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია	მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა
N2 სამუსიკო სკოლა							
საგუნდო-სამუსიკო სკოლა							
სამხატვრო სკოლა							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
ჩატარებული ლონისძიებების რაოდენობა						გაიზარდოს გაერთიანების მიერ ორგანიზებული კულტურული აქტივობების რაოდენობა	ზარისხოვრივი
სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა						მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი მსურველისთვის კულტურულ ცხოვრებაში ჩართვისა	ზარისხოვრივი

პროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025- 2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 02 08		20.0	80.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (ძეგლთა დაცვის განყოფილება)		
პროგრამის აღწერა და მიზანი		ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ზუგდიდის, როგორც ისტორიულ - კულტურული ცენტრის პოზიციონირებას. ტურისტული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას. დადიანების მუზეუმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლებას. შემოქმედებითი ნაშრომების პუბლიკაციას. ზუგდიდის მუზეუმზე საინფორმაციო გზამკვლევი მეგზურისა და მონოგრაფიული გამოცემების მომზადებას.		
მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული სამუზეუმო კომპლექსის ფინანსური ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმში დაცული არტეფაქტების საზოგადოების ფართო ფენისთვის გაცნობა. დადიანების სასახლეთა საგანძურის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება		

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 03		80.0	320.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“			
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზებას, ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენბურთი, დოდი, მარულა) სპრტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში) ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.			

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.
----------------------------	---

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	საცხენოსნო კლუბ „ხარება“-ს სერვისით მოსარგებლე ახალგაზრდების, მოზარდებისა და საცხენოსნო სპორტის მოყვარულ ადამიანთა ოდენობა	საშუალოდ 100-მდე პირი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	ადამიანთა მომართვ იანობა
	2	სხვადასხვა ღონისძიებებში მოპოვებული პრიზების ოდენობა	10-მდე პრიზი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	ცხენებისა და მხედრების მომზადების დონე

პროგრამის დასახელება	კოდი	ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 04		700.0	3300.0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“		
პროგრამის აღწერა		სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაზრდელად საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენტათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა საძირკვიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყოთ. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზმომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება , მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის		

	ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყვნენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მასშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვაავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობებს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მასშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვაავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.

პროგრამის დასახელება	კოდი	ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	2025წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	05 05		30.0	120.0
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური			
პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ს.ს.ი.პ. „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლე ტურნეებისა და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯების დაფინანსებას.			
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	- ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ცნობადობის ამაღლება; - საზოგადოების კულტურულ-თეატრალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება; - თეატრის რეპერტუარის პოპულარიზაცია.			

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ასევე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისა და ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი პროგრამების/ღონისძიებების განხორციელებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისგან.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი	2026 წლის პროგნოზი	2027 წლის პროგნოზი	2028 წლის პროგნოზი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,360.0	4,560.0	5,703.5	5,903.5
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,985.0	2,185.0	2,535.0	2,735.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	335.0	335.0	335.0	335.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	0.0	0.0	0.0	0.0
06 01 03	სამედიცინო დახმარების პროგრამა	1,650.0	1,850.0	2,200.0	2,400.0
06 02	სოციალური დაცვა	2,285.0	2,285.0	3,057.6	3,057.6
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360.0	360.0	360.0	360.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	40.0	40.0	52.6	52.6

06 02 03	გენდერული თანასწოების, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	80.0	80.0	100.0	100.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	250.0	250.0	300.0	300.0
06 02 05	მარტოხელა შშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	110.0	110.0	160.0	160.0
06 02 06	ხანდაზმულთა,მარტოხელა მოხუცების შინმოვლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	35.0	35.0	85.0	85.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	90.0	90.0	110.0	110.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	130.0	130.0	160.0	160.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	350.0	350.0	400.0	400.0
06 02 10	დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა	40.0	40.0	90.0	90.0

06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათხოვის საშუალებებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	330.0	330.0	380.0	380.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	30.0	30.0	80.0	80.0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	40.0	40.0	80.0	80.0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	400.0	400.0	700.0	700.0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	90.0	90.0	110.9	110.9
06 03 01	უკიდურეს სიღარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა	38.0	38.0	45.0	45.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3.0	3.0	5.9	5.9

06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა	49.0	49.0	60.0	60.0
----------	--	------	------	------	------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლების დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		335.0	1340.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები:			
	1.1 პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა;			
	1.3 დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1.4 ლაბორატორიული სინჯის აღება;			
	2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	2.1 იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;			
	2.2 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით;			
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	2.3 მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება ელექტრონულ პროგრამაში;			
	2.4 იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება;			

2.5 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით;

3. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა:

3.1 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში (ეპიდემიოლოგის ზედამხედველობის ქვეშ დაგეგმვა,

მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან);

3.2 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის რგოლზე დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

3.4 „ცივ ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3.5 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშის მომზადება.

3.6 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა / დადგენა:

4.1 წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით.

4.2 გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში.

5. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები

5.1 წყალსატევებში გამზუზიის გავრცელება.

5.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.

6. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა:

6.1 სხვა პარაზიტული და ჰელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

7. სანიტარული ღონისძიებები

7.1 საგანმანათლებლო, საადმინისტრაციო და საგანმანათლებლო საადმინისტრაციო დაწესებულებებში სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა

	7.2 საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა 7.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება; 2. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმირება; 3. შესაბამისი სამსახურების ინფორმირება; 4. სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციის და განხორციელების ხელშეწყობა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა- ეპიდზედამხედველობა; ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, ინფექციური და არაინფექციური დაავადებების შემცირება პრევენციის გზით; საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა; სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების გავრცელების წინააღმდეგ პრევენციული სამუშაოების ჩატარება;

შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგი ული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
იმუნიზაციის მოცვის გაზრდილი მაჩვენებელი	80 %	83 %	88 %	93 %	95 %	იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება	ვაქცინირებულ პირთა პროცენტული რაოდენობა
ანტირაბიული მომსახურების შედეგად დაკბენილ- დადორბლილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა ნულოვანი	100 %	100 %	100 %	100 %	100%	დაკბენილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა გამორიცხვა	ანტირაბიული მომსახურებით მოსარგებლე პირთა პროცენტული რაოდენობა

მაჩვენებელი							
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგი ული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
იმუნიზაციის მოცვის გაზრდილი მაჩვენებელი	75 %	80 %	85 %	90 %	95 %	იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა პროცენტული რაოდენობა.
გრიპის, გრიპის მაგვარი და მწვავე რესპირაციული დაავადებების გავრცელების შემცირება.						ვირუსის გავრცელების პრევენცია	
გადამდები დაავადებების ძირითადი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ სანდო ინფორმაციის არსებობა.						ინფორმაციის ხელმისაწვდ ომობა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლის დაფინანსება ათას ლარში
			1,650.0	8100.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა		პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/ თანადაფინანსება : 1. ძვირადღირებული გამოკვლევები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია - არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა, დაფინანსება წელიწადში ერთხელ; მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები, პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები, პირები რომელთა ზემოხსენებული მომსახურების ღირებულება 500 ლარი და მეტია. წელიწადში ერთხელ; ბ) კორონაროგრაფია - მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები, პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები) არაუმეტეს 1 000 ლარისა. სხვა დანარჩენი მოსარგებლეებისთვის - არაუმეტეს 500 ლარისა. წელიწადში ერთხელ; გ) გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე და მასზე საექმო პირებისთვის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დაფინანსება სრულად, წელიწადში ერთხელ;		

დ) PET/კტ კვლევის თანადაფინანსება-მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:

ა) ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ბ) ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ ქირურგიული ოპერაციის (შემდგომში ოპერაცია) ღირებულების ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში, თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ოპერაცია, რომლის თანაგადახდა პაციენტის მხრიდან არ აღემატება 500 ლარს, არ ფინანსდება (გარდა 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისა, რომლებსაც სარეაბილიტაციო ოპერაციული მკურნალობის თანაგადახდა 500 ლარამდე დაუფინანსდებათ სრულად). 500 (ხუთასი) ლარიდან - 2000 (ორი ათასი) არაუმეტეს 50 %-სა, 2000 (ორი ათასი)-ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი, 5000 (ხუთი ათასი) ლარი და ზევით -მაქსიმალური ლიმიტი 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს კომისიურად.

გ) მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამების ფარგლებში - დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი 1 000 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით);

3 ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება, რომელთა ერთეულის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი და მეტია - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის - 400 (ოთხასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები:

ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) შშმ პირები;

დ) ონკოლოგიური ავადმყოფები;

ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები;

4 . 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია:

ა) აუტიზმის სპექტრის (F84.0; F84.9) დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება 150 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 18 საათისა. თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი - 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი;

ბ) სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება - შშმ და სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 100 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი- 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები დიაგნოზით:

გ) დაუნის სინდრომი;

დ) ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G- 80.4; G 80.8 ; G -80.9);

ე) სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2);

ვ) განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0) -

5. 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება- სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი - 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

. იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია და მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) მქონე 0-18 წლამდე და 18 წელს გადაცილებული შშმ პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა:

ა) ცელიაკია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა.

ბ) ფენილკეტონურია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა , ხოლო სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის ყოველთვიურად არაუმეტეს - 300 (სამასი) ლარისა.

გ) 0-18 წლამდე პირებისთვის მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

7. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა:

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა 25- 70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებისთვის;

ა) სამედიცინო მომსახურება მოიცავს:

- ა.ა) ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
- ა.ბ) პათოლოგიის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
- ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას;
- ა.დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობა ენდოკრინოლოგის მიერ;
- ბ) პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:
- ბ.ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი;
- ბ.ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში;
- ბ.გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება;
- ბ.დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები;
- ბ.ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები;
- ბ.ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები;
- ბ.ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო;
- ბ.თ) კისრის ლიმფადენოპათია;
- ბ.ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;
- ბ. კ) უნაყოფობა.

8. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება მაქსიმალური ლიმიტი 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

9. ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებებისა და სხვა თანხით უზრუნველყოფა - ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

10. კოხლერული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ქვეპროგრამის სრული ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.

11. ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა დაფინანსება 200 (ორასი) ლარით წელიწადში ერთხელ.

	12. 0–18 წლამდე კოხლერული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა - მაქსიმალური ლიმიტი თითო მოსარგებლეზე არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივ და დევნილ) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბა ზ ისო	20 25	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
მოსახლეობის ჯანმრთელობის გამუჯობესებული ხარისხი	4927	4919	5248	5308	5458	მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბა ზ ისო	20 25	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი

დაავადების ადრეულ ეტაპზე დიაგნოსტირებული მოსახლეობა (კომპიუტერული და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, PET/კტ კვლევა)	1001	1000	1050	1050	1050	დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და დროული მკურნალობა	მოსარგებლეთა რაოდენობა
სტაციონარული სმედიცინო მომსახურებისთვის ხარჯების გასაწევად ფინანსურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა	279	300	350	350	350	სტაციონარული სმედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	მოსარგებლეთა რაოდენობა

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლის დაფინანსება ათას ლარებში			
06 02			2,285.0	10685.2			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება					
პროგრამის აღწერა როგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებასა და სოციალური დახმარებების გაწევას: მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას							
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა					
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.					
შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებების მაჩვენებელი
გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების	5071	5200	5200	5200	5200	საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების	მოსარგებლეთა რაოდენობა

ცალკეული კატეგორიის სოციალური პრობები.						გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენე ბელი
გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პრობები.	5071	5200	5200	5200	5200	საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პრობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლის დაფინანსება ათას ლარში				
06 02 01			360.0	1440.0				
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება						
ქვეპროგრამისაღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ფსიქო-სოციალურ მხარდაჭერას. სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა ცხელი სადილით უზრუნველყოფას დღეში ერთხელ. სასადილოს ბენეფიციარები შეიძლება იყვნენ სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირებული პირები, მარტოხელა, უმუშევარი პენსიონერები, შშმ პირები და სხვა (300 ბენეფიციარი). აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე პირები (შშმ პირები, მარტო მცხოვრები მოხუცები და ა.შ) მიიღებენ საკვები პროდუქტებით დახმარებას ერთჯერადად წლის განმავლობაში.						
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა						
შეფასების ინდიკატორები								
საბოლოო შედეგი (OUTCOME)		2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კვებით უზრუნველყოფილი მოწყვლადი ჯგუფები		725	725	725	725	725	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო საკვებით უზრუნველყოფა	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)		2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
უფასო სასადილოს სერვისის მეშვეობით კვებით უზრუნველყოფილი მოწყვლადი ჯგუფები		300	300	300	300	300	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის უფასო საკვებით	ბენეფიციართა რაოდენობა

						უზრუნველყოფა	
ზამთრის თვეებში, საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფილი სოფელში მცხოვრები განსაკუთრებით მძიმე სოციალური და ეკონომიური პირობების მქონე ოჯახები.	425	425	425	425	425	ზამთრის პერიოდში, შეჭირვებული ოჯახების საკვები პროდუქტით უზრუნველყოფა	სერვისით მოსარგებლე ოჯახების რაოდენობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლის დაფინანსება ათას ლარებში			
060202			40.0	185.2			
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვის განყოფილება					
ქვეპროგრამის აღწერა		ქვეპროგრამა ითვალისწინებს ომის ვეტერანთა ოჯახების ხელშეწყობას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეთა ერთჯერად ფულად დახმარებას 500 ლარის ოდენობით, ხოლო მათთან გათანაბრებულ პირებს - 200 ლარის ოდენობით ფაშიზმზე გამარჯვების დღის – 9 მაისის დღესასწაულთან დაკავშირებით. ასევე, ყოველთვიურად 200 ლარიანი დახმარება პენსიაზე დანამატის სახით სამამულო ომის მონაწილე ვეტერანებზე ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს მიერ წარმოდგენილი სიისა ან/და მოქალაქის პირადი განცხადების საფუძველზე; ა(ა)იპ „ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ზუგდიდის ვეტერანთა კავშირი“-ს ფინანსურ უზრუნველყოფას ამავე კავშირის თავმჯდომარის მომართვის საფუძველზე ყოველი თვის ბოლო რიცხვებში. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანის ან საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილე ვეტერანების დაკრძალვის ხარჯების თანადაფინანსება 300 ლარის ოდენობით. ყოველწლიურად, აგვისტოს თვეში, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის ბრძოლაში დაღუპული, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა, თითოეულ ოჯახზე 1000 ლარის ოდენობით წელიწადში ერთხელ.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა					
შეფასების ინდიკატორები							
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი

ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი ვეტერანები	31	30-მდე	30-მდე	30-მდე	30-მდე	ვეტერანები სსოციალუ რი მხარდაჭერა	ბენეფიციართა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	2026	2027	2028	სტრატეგი ული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებ ელი
9 მაისთან დაკავშირებით, ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანები და მათთან გათანაბრებული პირები	10	8	8	6	6	9 მაისთან დაკავშირებ ით მე-2 მსოფლიო ომის ვეტერანები ს და მათთან გათანაბრებ ული პირების ფსიქო- სოციალურ ი მხარდაჭერა	ბენეფიციართა რაოდენობა
ფინანსურად მხარდაჭერილი გარდაცვლილი ვეტერანის ოჯახები	15	17	17	17	17	გარდაცვლი ლი ვეტერანის ოჯახის მორალური და ფინანსური მხარდაჭერა	ოჯახების რაოდენობა
ფსიქო-სოციალურად მხარდაჭერილი 2008 წლის	3	3	3	3	3	2008 წლის აგვისტოს ომში	მოსარგებლეთა რაოდენობა

აგვისტოს ომში დაღუპულთა ოჯახები						დაღუპული ოჯახების ფსიქო- სოციალურ ი მხარდაჭერა	
------------------------------------	--	--	--	--	--	---	--

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების გაძლიერების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში	2025-2028 წლის დაფინანსება ათას ლარებში
060203			80.0	360.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
- მყარი ნარჩენების შეგროვების, განთავსებისა და სეპარირება - რეციკლირების პროგრამების განხორციელებით, გარემოზე და ადამიანებზე უარყოფითი ზემოქმედების შემცირების მიზნით, მუნიციპალიტეტში დაინერგება ნარჩენების მართვის მაღალი სტანდარტები და შეიქმნება მოსახლეობისა და ეკოსისტემის უსაფრთხოების ნორმების შესაბამისი ოპერირების სისტემა;
- როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, სანიტარულად და ჰიგიენურად მიმზიდველი გახდება ქალაქი და სოფლები, ბაღები და სკვერები, ზღვის სანაპირო ზოლი და სხვა ტურისტული ობიექტები;
- ნარჩენების გატანის სერვისი მიეწოდება ქალაქის მოსახლეობისა და ინფრასტრუქტურული ობიექტების 100 პროცენტს, ხოლო სოფლის მოსახლეობის 95 პროცენტს;
- ქალაქისა და მუყაოს სეპარირებული შეგროვების, დამუშავების და რეალიზაციის 2023 წელს მიღწეული მაჩვენებელი, კერძოდ, წარმოქმნილის 17% - ი გაიზრდება 2025 წლისათვის 30 % - მდე, 2028 წლისათვის კი 60% - მდე;
- პლასტიკატის სეპარირება-რეციკლირების პროცესი დაინერგება 2025 წლისათვის წარმოქმნილის 5 – 10 პროცენტამდე, 2028 წლისათვის კი 60 პროცენტამდე და ამ მხრივ არსებული რესურსები ჩაირთვება ცირკულარულ ეკონომიკაში;
- უზრუნველყოფილი იქნება საკრებულოს მიერ დამტკიცებული მუნიციპალური ნარჩენების მართვის 2023 – 2027 წწ გეგმით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების შესრულება;
- 20 %-ით გაუმჯობესდება ცენტრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;
- 2025– 2028 წლებში როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორიდან ნარჩენების მართვის ხარჯების ამოღების სრულყოფილი სისტემის დანერგვით, 40% - ით გაიზრდება მომსახურეობის მოსაკრებლის ამოღების მაჩვენებელი;
- 2025–2028 წლებში მოსაკრებლების ამოღების გაზრდითა და ქალაქისა და პლასტიკატის მეორადი ნედლეულის რეალიზაციის შედეგად შემცირდება ადგილობრივი ბიუჯეტიდან სუბსიდირების მაჩვენებელი.

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 წ. საბაზისო	2025	სტრატეგ იული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებ ელი % საბაზისო სთან / სტრატეგი ულ მიზანთან
1. მუნიციპალიტეტის ტერიტორია (ჰა)	66 200	66 200	x	x
2. მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მომსახურეობით უზრუნველყოფა (%)	96	96	96	100/100
მათ შორის: ქალაქის მოსახლეობის(%)	100	100	100	100/100
სოფლის მოსახლეობის(%)	95	95	95	100/100
3. ეკონომიკური სექტორის მომსახურეობით უზრუნველყოფა (%)	100	100	100	100/100
4. შეგროვებული მყარი ნარჩენების რაოდენობა (ტონა)	28 500-მდე	28 500-მდე	29 000-მდე	102/100
5. ყოველდღიურად დასუფთავებული ტერიტორიები ჰექტარი)	76-მდე	91-მდე	100-მდე	132/100
მათ შორის ზღვის სანაპირო ზოლი (ჰექტარი)	6	8	10	167/100
6. დასუფთავებული ცენტრალური და სასოფლო ჭუჩები (კილომეტრი)	620-მდე	640-მდე	700-მდე	112,9/100
7. მორწყული და გარეცხილი ქალაქის ცენტრალური ჭუჩები (ჭუჩა)	13-მდე	15-მდე	17-მდე	131/100
8. მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლება (%)	30-მდე	20-მდე	40-მდე	+10%
9. ნარჩენების შემკრები კონტეინერების რაოდენობა (ცალი)	2653	3 653-მდე	7336-მდე	210/76
10. დახურული ტიპის ნაგავმზიდების რაოდენობა (ცალი)	18	19-მდე	25-მდე	111/80
11. კონტეინერებზე მოთხოვნის უზრუნველყოფის მაჩვენებელი (%)	36	37-მდე	-	+40%
12. რეციკლირების მინიმალური მაჩვენებლების მიღწევა:				
წარმოქმნილი ქაღალდისა და მუყაოსი % / ტონა	17%/240	30%/428	60%/855	+43%/100

-ქაღალდისა და მუყაოს დაპრესილი მოცულობა (ტონა)	240	428	825	+585/100
-წარმოქმნილი პლასტიკატისა (% / ტონა)	5%/100	10%/200	60%/1218	100%
-პლასტიკატის დაპრესილი მოცულობა(ტონა)	100	200	1218	100%
13. შემოსავლები ქაღალდისა და მუყაოს რეციკლირებიდან (ათასი ლარი)	50.9-მდე	90.7-მდე	181,3-მდე	+130.4 ათ.ლარი/ ანუ +356%
14. შემოსავლები პლასტიკატის რეციკლირებიდან (ათასი ლარი)	20.0-მდე	40.0-მდე	243.6-მდე	+223.6 ათ.ლ./100%
15. მოსაკრებლების ამოღების მაჩვენებლები	750,0-მდე	775.0-მდე	850,0-მდე	+100 ათ. ლ./100%

პროგრამის დასახელება	კოდი 03 02	შპს „ANAKLIA-GANMUKHURI RESORTS“-ის ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 900.0
პროგრამის განმახორციელებელი	შპს "ANAKLIA-GANMUKHURIS RESORTS"		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიისა და მასზე განთავსებული ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, მოვლა-პატრონობა, განახლება; კერძოდ: სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის, ანაკლია-განმუხურის ბულვარის დამაკავშირებელი საფეხმავლო ხიდის, კაფე-რესტორნის, ამფითეატრის, მინი-ფეხბურთის მოედნის, კალათბურთის მოედნის, ტენისის კორტის, ქვიშის ფრენბურთისა და ქვიშის ფეხბურთის მოედნების მოვლა-პატრონობა; ინვესტორებისა და ვიზიტორებისთვის შესაბამისი თანამედროვე გარემო-პირობების შექმნა. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის ფეხბურთის მოედნის მინდვრის საფარს ყოველწლიურად უტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ, რომლის დასკვნის საფუძველზე ხდება კვარციტული ქვიშითა და სხვადასხვა მინერალური სასუქებით ნიადაგის გაჯერება სპეციალური ტექნიკის საშუალებით, რის შემდგომაც ხდება მინდვრის საფარის დატკეპვნა 17 ტონიანი სატკეპნი ტრაქტორის საშუალებით. ასევე, სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებულ ქვიშის ფეხბურთისა და ფრენბურთის მოედნებზე ტარდება, გაფხვიერების მიზნით, მოფარცხვითი სამუშაოები. პროგრამის მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში არსებული ხე-მცენარეების მოვლა-პატრონობა. ამ კუთხით წლის განმავლობაში ორჯერ ტარდება ფიტოსანიტარული მონიტორინგი მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ ვეგეტაციის დაწყებისა (აღრე გაზაფხულზე) და ვეგეტაციის დასრულების პერიოდისთვის (გვიან შემოდგომაზე). მცენარეთა ბიოლოგიური დაცვის ცენტრის მიერ გაცემული საექსპერტო დასკვნის საფუძველზე ხდება ხე-მცენარეების გამოკვება სხვადასხვა სასუქ-მინერალებით. ამასთან, კომპანიას დაწესებული აქვს მუშაობა 2025 – 2028 წლების გეგმის შესადგენად, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნება ახალი პროექტების განხორციელება, როგორიცაა: 1. განმუხურის კაფე-რესტორნის ინტერიერისა და მიმდებარე ტერიტორიის მოწყობის პროექტირება; 2. განმუხურის ბულვარის პარკში ფეხით მოსიარულეთა გასასვლელი ბილიკების მოწესრიგება; 3. სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე პლაჟზე შ.შ.მ. პირებისთვის პანდუსის, საპირფარეშოს, გასახდელისა და წყლის გადასავლები სივრცის მოწყობა; 4. ამფითეატრთან მისასვლელი ტერიტორიისა და მინა-პაკეტების დაზიანებული ნაწილის შეცვლა და მოწესრიგება;		

	5. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის მიმდებარე ტერიტორიის ღობის განახლება და ტერიტორიის დახაზვა ავტოსადგომისთვის; 6. განმუხურისა და ანაკლიის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე საბავშვო მოედნის მოწყობა; 7. ამფითეატრში დიჯეის მოსასვენებელი ოთახების მოწყობა; 8. ამფითეატრში კაფე-ბარის მოწყობის პროექტირება; 9. სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის სტადიონის დამცავი ღობის რეაბილიტაცია; 10. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ვიდეო-სათვალთვალო კამერების მონტაჟი. 11. ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყოფილი 45 ლოკაციის მოწყობა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 9 - მდგრადი ინფრასტრუქტურის შექმნა, ინკლუზიური და განვითარებული ინდუსტრიალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობა მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
მოსალოდნელი შედეგი	2025-2028 წლებში დაგეგმილი პრიორიტეტების განხორციელების შედეგად: 1. მკვეთრად გაუმჯობესდება და განახლდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურა; 2. როგორც ადგილობრივი მოსახლეობისათვის, ასევე ტურისტებისა და მუნიციპალიტეტის სტუმრებისათვის დასუფთავებული, განახლებული და მიმზიდველი გახდება ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარი; კომპანიაში გაჩნდება დამატებითი საკუთარი შემოსულობები.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე მდებარე, მოვლილი 16 ერთეული	მოვლილია 16 ობიექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	0%	

		ინფრასტრუქტურული ობიექტი				
	2	ანაკლია-განმუხურის სანაპირო ბულვარის ტერიტორიაზე გამწვანების ზოლში მოვლილი 2018 ძირი ხე-მცენარე	1040 კილოგრამი სასუქ-მინერალის შეტანა მოხდა წელს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	გაუთვალისწინებული შემთხვევები
	3	სპორტულ- გამაჯანსაღებელი კომპლექსის - ფეხბურთის მოედნის მოვლილი მინდვრის საფარი	315 კილოგრამი სასუქი და 22 მ ³ კვარციტული ქვიშის შეტანა მოხდა წელს	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	გაუთვალისწინებული შემთხვევები

პროგრამის დასახელება	კოდი 03 03	ბოტანიკური ბაღის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,200.0
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ „ბოტანიკური ბაღების მართვის ცენტრი“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში არსებული მცენარეთა მოვლა, კოლექციების ახალი სახეობებით გამდიდრება, ისტორიული მნიშვნელობის ხეივნების აღგენა, მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა, სამეცნიერო, საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება. ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება, მცენარეთა კოლექციების გამრავალფეროვნება. ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმის (7-10წელი) მომზადება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბება. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის დაბრუნებულია ისტორიული იერსახე და ამავდროულად ბაღი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება და მისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის როგორც რეკრეაციული და ტურისტული ობიექტის განვითარება, მცენარეთა კოლექციების გამრავალფეროვნება. ✓ ზუგდიდის ბოტანიკური ბაღის განვითარების გეგმის (7-10წელი) მომზადება, სამეცნიერო-კვლევით და საგანმანათლებლო ცენტრად ჩამოყალიბება. ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის დაბრუნებულია ისტორიული იერსახე და ამავდროულად ბაღი შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს.		

შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღს დაუბრუნდა ისტორიული იერსახე და შენარჩუნდა როგორც ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი	20%	20%	ზუგდიდის ბოტანიკური ბაღისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნება დამისი როგორც, ეროვნული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის შენარჩუნება	100%

პროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 85.0
	03 04		
პროგრამის განმახორციელებელი	ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები მოიცავს მელიორაციის სფეროში საქართველოს მთავრობის და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი პროექტების ხელშეწყობას უფლებამოსილების ფარგლებში; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის სათანადოდ მოდერნიზაციის მიზნით სათანადო ღონისძიებების განხორციელებას; მეცხოველეობის დარგის მდგომარეობის მონიტორინგს; სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი, შესანახი ინფრასტრუქტურის, სასოფლო-სამეურნეო მანქანა-დანადგარების, მომსახურების ცენტრების და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების შესახებ ინფორმაციის კონსოლიდაციას და დაინტერესებული უწყებებისთვის /პირებისთვის/ მიწოდებას; სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგში პროდუქტიულობის გაზრდის ღონისძიებების განხორციელებასა და ამ სფეროში დასაქმებული ან დასაქმების მსურველი ადამიანების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; სოფლის-მეურნეობის დარგში დასაქმების მსურველთა ბაზის შექმნას, მათი დასაქმების ხელშეწყობის მიზნით; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ეროვნული ტრადიციებისა და გამოცდილების, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით აგრარული პროექტების განხორციელების ხელშეწყობას; მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის მდგომარეობის სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას, მათ სისტემატიზაციასა და ანალიზს; მოსახლეობისთვის აგრარულ საკითხებზე საკონსულტაციო საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას;		
	ასევე სოციალურად დაუცველ ოჯახს, რომელსაც გააჩნია საკუთრებაში მიწის ნაკვეთი 0.05- 0.1 ჰა, სურვილი აქვს დაეუფლოს ცოდნას აგრარული მიმართულებით და იგი მოახმაროს საკუთარი ოჯახის კეთილდღეობას, მუნიციპალიტეტი დაეხმარება დაახლოებით 0.05-0.1 ჰა-ზე მოაწყოს დაფნის ბაღი 300-500 ნერგის უზრუნველყოფით, ხოლო შემდგომ სრული მოსავლის მიღებამდე დაეხმარება ყოველწლიურ აგროტექნიკურ სამუშაოებზე რეკომონდაციებით.		
	ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანი გამოყენების მიზნით მიზანშეწონილია ადგილობრივი მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი გახდეს ინფორმაცია ყველა ტიპის ნიადაგის, მათ შორის მწირი, მლაშე, დაჭაობებული, ბიცობი, მჟავე და ძლიერ დატენიანებულ ნიადაგების სწორ და რაციონალურ გამოყენებაზე, რაც არის სოფლის მეურნეობის და საერთოდ ეკონომიკის დინამიკური განვითარების საფუძველი. ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით აუცილებელია შესაბამისი კვლევების ჩატარება და მუნიციპალიტეტის მასშტაბით ინფორმაციის დატანა მუნიციპალიტეტის „აგრარული რუკის“ ელექტრონულ პლატფორმაზე, რომელიც იქნება გზამკვლევი სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის მსურველთათვის, რათა მათ სწორად განსაზღვრონ ადგილმდებარეობა ნიადაგის ნაყოფიერების მიხედვით და შესაბამისად შეარჩიონ სასოფლო სამეურნეო კულტურები. ამ მიზნით მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში რამოდენიმე ლოკაციაზე ჩატარდება ნიადაგის შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევები.		

თანამედროვე ეპოქაში მნიშვნელოვანია სოფლის მეურნეობაში დასაქმებული პირებისთვის სწორი აგროტექნიკური მიდგომების, თანამედროვე ტექნოლოგიების სწავლება, მათი პრაქტიკაში დანერგვა და შესაბამისად ამ მიმართულებით კვალიფიციური ექსპერტებისგან რეკომენდაციების მიღება. პროგრამის ფარგლებში უზრუნველყოფილი იქნება აქტუალური თემების შერჩევა, დარგობრივი მიმართულებით კვალიფიციური ექსპერტების მოწვევა და ტრენინგ/სემინარების ჩატარება, როგორც თეორიულ ისე პრაქტიკულ (საველე) პირობებში. ასევე საინფორმაციო შეხვედრებისას აუცილებელია ბუკლეტების დამზადება და გავრცელება საზოგადოების უკეთესი ინფორმირებისთვის.

საქართველოს მასშტაბით, წლის განმავლობაში, ტარდება სხვადასხვა ღონისძიებები/ფესტივალები, სადაც მეწარმე ფერმერებისთვის მნიშვნელოვანია მონაწილეობის მიღება პოტენციური მყიდველების მოძიების და მომხმარებელთან უშუალო კომუნიკაციის დამყარების მიზნით. გამომდინარე ზემოთთქმულიდან მოხდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოღვაწე მეწარმე/ფერმერების ფესტივალებზე მონაწილეობისთვის საჭირო ფინანსური ხარჯების (მონაწილეობის საფასური ან ტრანსპორტირება ან სხვა) ანაზღაურების მიზნით ფინანსური მხარდაჭერის გაწევა.

დღეისათვის საქონლის ჯიშთა გაუმჯობესების ერთ-ერთი თანამედროვე და სწრაფი მეთოდი არის ხელოვნური განაყოფიერება, ფერმერს საშუალება აქვს აირჩიოს სასურველი მერმეული ჯიშის გენეტიკური მასალა პირუტყვის ფიზიკური პარამეტრების, წველადობის მაჩვენებლის, გეოგრაფიული მდგომარეობის, რელიეფის და სხვა მისთვის საჭირო მახასიათებლების მიხედვით. პროგრამის ფარგლებში მოხდება ხელოვნური განაყოფიერების მომსახურების საფასურის ფაქტიურად სრულად სუბსიდირება.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების, მართვის გეოსაინფორმაციო სისტემაში (აგრარული რუკა) განახლდება ინფორმაციები და მოხდება სხვადასხვა კულტურების საკადასტრო მონაცემების დატანა. აღნიშნული გეოსაინფორმაციო სისტემის (cloud web services) ინტერნეტ ღრუბელში განთავსების უზრუნველსაყოფად მოხდება ყოველთვიური სააბონენტო გადასახდელის გადახდა.

პროგრამა ითვალისწინებს ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფისა და ვიტრინა-მაცივრის მოწყობას, რაც ხელს შეუწყობს ქალ ფერმერს შექმნას ყველის დავარგებისთვის საუკეთესო პირობები სტაბილური შემოსავლის უზრუნველსაყოფად, ტურისტული ლოკაციის შესაქმნელად.

სახელწიფოს მიერ შესრულებული სამუშაოების გარდა მნიშვნელოვანია აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ჩართულობა, რაც გამოიხატება კუთვნილ მიწის ნაკვეთებში მექანიკური ხაფანგების განთავსებით. მუნიციპალიტეტი გეგმავს მოსახლეობის ხელშეწყობას აზიური ფაროსანას წინააღმდეგ მექანიკურად ბრძოლისთვის საჭირო მასალების შესყიდვის გზით.

პროგრამის ფარგლებში ზუგდიდში ერთ-ერთი წარმატებული საწარმოს ტერიტორიაზე ჩატარდება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში ეკონომიკური აქტივობების პრეზენტაციები, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა/გაყიდვა და დასაქმების ხელშეწყობის ფორუმი, სადაც მონაწილეობას მიიღებენ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მასშტაბით მოქმედი ბიზნეს-ოპერატორები, პოტენციური ინვესტორები და სხვა კერძო თუ

	საჯარო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებსაც აქვთ დაინტერესებული პირების დასაქმების სურვილი და შესაძლებლობა.
მოსალოდნელი შედეგი	მხარდაჭერილია სოფლის მეურნეობის განვითარება; შექმნილია სასურსათო პროდუქტების გადამამუშავებელი და შესანახი ინფრასტრუქტურა; გაუმჯობესებულია სოციალურად დაუცველი ოჯახების მატერიალური მდგომარეობა; დაინტერესებული პირები ინფორმირებული არიან სოფლის მეურნეობის დარგში საქმიანობის სწორად დაგეგმვასა და გასატარებელ ღონისძიებებზე, რაც იწვევს სასოფლო-სამეურნეო საქმიანობიდან შემოსავლების ზრდას და ქმნის მეტ დოვლათს ადგილობრივი მოსახლეობისთვის.

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
დაფნის ბაღების მოწყობა 300-მდე ბენეფიციარის ფარგლებში	60-მდე ბენეფიციარის ფარგლებში დაფნის ბაღის მოწყობა (300-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	70-მდე ბენეფიციარის დაფნის ბაღის მოწყობა (300-500 ნერგის შესყიდვა და დარიგება)	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სტაბილური შემოსავლების უზრუნველყოფა	ბაღის მოწყობა, ნერგების შესყიდვა დარიგება
მუნიციპალიტეტის ყველა ადმინისტრაციულ ერთეულში რამოდენიმე ლოკაციაზე წიადაგის	76-მდე ლოკაციაზე კვლევები	25-მდე ლოკაციაზე კვლევები	ყველა დაინტერესებული პირის ინფორმირებულობის უზრუნველყოფა, დასკვნა/რეკომენდაციები	კუთვნილ მიწის ნაკვეთებზე აგროტექნიკური ღონისძიებების უკეთესად დაგეგმვა

შემადგენლობის ლაბორატორიული კვლევების ჩატარება				
დარგობრივი მიმართულებით რამოდენიმე ათეული ფერმერის გადამზადება, შესაბამისი შეხვედრების ორგანიზება და საინფორმაციო ბუკლეტების დამზადება/გავრცე ლება	100-მდე ფერმერის გადამზადება	100-მდე ფერმერის გადამზადება	გამოცდილების მიღება და თანამედროვე ტექნოლოგიების გაზიარება	გადამზადებული ბენეფიციარების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებელი
სხვადასხვა ფესტივალზე /ღონისძიებაზე ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, 65-მდე მეწარმის მხარდაჭერა ტრანსპორტირების, მონაწილეობაზე საფასურის გადახდის ან სხვა მიმართულებით	10-მდე მეწარმის მხარდაჭერა	10-მდე მეწარმის მხარდაჭერა	ადგილობრივის ნაწარმის პოპულარიზაცია, ახალი ბაზრების პოვნა	მეტი რეალიზებული ადგილობრივი პროდუქცია
რძის მცირე და საშუალო მწარმოებელი ფერმერების მდგრადობის ამაღლება, ხელოვნური განაყოფიერების 1700-მდე პროცედურის თანადაფინანსება	300-მდე ერთელი პროცედურის თანადაფინანს ება	350-მდე ერთელი პროცედურის თანადაფინანსება	მეწველი საქონლის ჯიშობრივი გაუმჯობესება და პროდუქტიურობის ამაღლება	ფერმერების შემოსავლების ზრდა

აგრარულ რუკაზე ახალი საკადასტრო მონაცემების დატანა	მუნიციპალიტეტის ნიადაგების , მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის შექმნა	საკადასტრო ფენის განახლება	დაინტერესებული პირების ინფორმირებულობა	ადგილობრივი ფერმერებისთვის და პოტენციური ინვესტორების გზამკვლევი ბაზის შექმნა
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ნიადაგების მართვის გეოსაინფორმაციო სისტემის <u>Amazon</u> <u>Web Services (AWS)</u> <u>ღრუბელში</u> <u>განთავსებაზე</u> <u>სააბონენტო</u> <u>გადასახდელი</u>	სააბონენტო გადასახდელი	სააბონენტო გადასახდელი	ხარისხი და მაღალი საიმედოობა	სისტემაში შეუფერხებელი მუშაობა
ყველის შესანახი და დასავარგებელი სარდაფის მოწყობა 3 ლოკაციაზე	ერთ ლოკაციაზე სარდაფის მოწყობა, შესამამისი კომისიის მიერ შერჩეული ქალი ფერმერის საკარმიდამო ეზოში	ლოკაციაზე სარდაფის მოწყობა, შესამამისი კომისიის მიერ შერჩეული ქალი ფერმერის საკარმიდამო ეზო	ქალი ფერმერების გამდლიერება, შრომის გამარტივება, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება, ტურისტული ლოკაციის შექმნა	ევროპული ხარისხის ყველის წარმოების ზრდა, ხარისხიანი პროდუქტის რეალიზაციის ზრდა, ტურისტების ზრდა
ყველის შესანახი და დასავარგებელი სივრცის (ვიტრინა მაცივრის შესყიდვა) მოწყობა 2 ლოკაციაზე	ერთ ლოკაციაზე სივრცის მოწყობა, შესამამისი კომისიის მიერ შერჩეული ქალისთვის	ერთ ლოკაციაზე სივრცის მოწყობა, შესამამისი კომისიის მიერ შერჩეული ქალისთვის მაცივრის გადაცემაგადაცემა	ქალი ფერმერების გამდლიერება, შრომის გამარტივება, პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესება, ტურისტული ლოკაციის შექმნა	ევროპული ხარისხის ყველის წარმოების ზრდა, ხარისხიანი პროდუქტის რეალიზაციის ზრდა, ტურისტების ზრდა

	მაცივრის გადაცემაგადა ცემა			
ადგილობრივი მოსახლეობისთვის ფაროსანას წინააღმდეგ მექანიკურად ბრძოლისთვის საჭირო მასალების (ზეწარი და სხვა) შესყიდვა	მოსახლეობის ჩართულობა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებში ი	მოსახლეობის ჩართულობა აზიური ფაროსანას წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებებშიგადაცე მაგადაცემა	აზიური ფაროსანას შემცირება, რაც აისახება ს/სამეურნეო პროდუქციის ხარისხსა და ფასში	ს/სამეურნეო პროდუქტის ხარისხის გაუმჯობესებით ფასების ზრდის უზრუნველყოფა
„აწარმოე საქართველოში“- თან თანამონაწილეობი თ დასაქმების ფორუმის მოწყობა , რაც ხელს უწყობს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის კომუნიკაციას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, ზუგდიდის ეკონომიკის გაცნობას დარგობრივ ჭრილში	ფორუმი ითვალისწინე ბს დამსაქმებლებ ის მოწვევას, საინფორმაცი ო პანელების მოწყობას პრეზენტაციებ ისთვის, ადგილობრივ ი ნაწარმის გამოფენა/გაყი დვას და სხვა ღონისძიებებს	ფორუმი ითვალისწინებს დამსაქმებლების მოწვევას, საინფორმაციო პანელების მოწყობას პრეზენტაციებისთვის, ადგილობრივი ნაწარმის გამოფენა/გაყიდვას და სხვა ღონისძიებებს	მეტი დასაქმება, ინფორმირებულობა დარგობრივ ჭრილში, გარკვეული ანგარიშვალდებულება კერძო და საჯარო ორგანიზაციების მიერ	დასაქმებულთ რიცხოვნების ზრდა, პროგრამებზე ინფორმირების ზრდა, პრაქტიკულად დასაქმებული ადამიანები ზრდა

პროგრამის დასახელება	კოდი	პარკების, სკვერების და ბულვარის რეკონსტრუქციისა და კეთილმოწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 100.0
	03 05		
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური და ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ეკოლოგიური გარემოსა და ლანდშაფტური იერსახის გაუმჯობესება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ახალი სკვერებისა და პარკების მშენებლობა-რეაბილიტაცია, სკვერებსა და პარკებში ქვაფენილების რეაბილიტაცია, დეკორატიული სანათების შეძენა-მონტაჟი. დაგეგმილია ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკვერის მოწყობა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის.		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ახალი კეთილმოწყობილი პარკების, სკვერების და მოედნების რაოდენობა	1 ობიექტი	2 ობიექტი	50%	არშემდგარი ტენდერი
	2	მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა	1500-მდე ადამიანი	3000-მდე ადამიანი	50%	არშემდგარი ტენდერი

პროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალური ტერიტორიის და მოსახლეობის დაცვის ღონისძიებები მღრღნელებისა და სხვა ცხოველებისგან	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 40.0
	03 08		
პროგრამის განმახორციელებელი	ზედამხედველობისა და ინსპექტირების სამსახურის რეაგირებისა და მონიტორინგის განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით განხორციელდება ქ. ზუგდიდსა და მუნიციპალიტეტის სხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მაწანწალა ძაღლების თავშესაფარში გადაყვანა, მგლებისა და ტურების ბუნებრივი გარემოდან ამოღების, მღრღნელებისა და ინფექციის გადამტანი სხვა ცხოველებისგან ადამიანების დაცვის პრევენციული ღონისძიებები.		

გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება
მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიიდან გაყვანილი მაწანწალა ძაღლების რაოდენობა	250-მდე ერთეული	წლიურად 350-400-მდე ერთეული	5%	დაგეგმილზე ნაკლები მომართვიანობა
	2	გარემოდან ამოღებული მგლების რაოდენობა	15 -მდე ერთეული ;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	დაგეგმილზე ნაკლები მომართვიანობა

განათლება

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებით და ზოგად განათლებასთან ერთად მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო გაზრდილი ასიგნებების გამოყოფა, ამ სფეროს მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და პედაგოგ- აღმზრდელთა ხარისხობრივი შემადგენლობის სრულყოფა.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
04 00	განათლება	16,130.0
04 01	სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	14,470.0
04 03	სკოლისგარეშე სწავლისა და სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	1,200.0
04 04	საჯარო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	90.0
04 05	განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა	320.0
04 06	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა	50.0

კოდი	პროგრამის დასახელება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 14,470.0	
04 01		სკოლამდელი აღზრდის ხელშეწყობის პროგრამა	
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი	
პროგრამის აღწერა და მიზანი	✓ სწავლების ხარისხის ამაღლება; ✓ კვების ხარისხის ამაღლება ✓ ბაღების აღჭურვა	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 63 საბავშვო ბაღი; მათგან 18 - ქალაქში, ხოლო 45-სოფლის ტერიტორიულ ერთეულებში, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)იპ სკოლამდელ სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრი. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 1053. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამის (მეთოდოლოგის) დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამის მიზანია ბავშვების ოპტიმალური ზრდისა და განვითარების უზრუნველსაყოფად შესაფერისი გარემოს შექმნა, რაც გულისხმობს სტანდარტის შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცულ სანიტარულ ჰიგიენური ნორმებს. ასევე ქვეპროგრამა მოიცავს ახალი მაღალი ხარისხის აღჭურვილობის შეძენა/მონტაჟს. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა; სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა; სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება; აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა; ბაღების აღჭურვა სტანდარტების შესაბამისად და კვების ნორმის	

	✓ ✓ ბალების ადმინისტრირება	გაუმჯობესება; სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცული ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა		მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის
მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები სკოლამდელი ასაკის ბავშვების შესაფერისი უნარჩვევებით უზრუნველყოფა; სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა; სკოლამდელი ასაკი ბავშვების სკოლისთვის მზაობა; სააღმზრდელო პროცესის გაუმჯობესება; აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება; ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემოს შექმნა; კვების ნორმის გაუმჯობესება; სტანდარტების შესაბამისი უსაფრთხო გარემოსა და დაცული ჰიგიენური ნორმების უზრუნველყოფა; დაწესებულებების გამართული ფუნქციონირება;

შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
სკოლისთვის მზადყოფი ბავშვების რაოდენობა		3467	5000	რაოდენობრივი
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
სერტიფიცირებული აღმზრდელების პროცენტული რაოდენობა (%)		150	1033	ხარისხობრივი
კვების ორგანიზებისა და რაციონის კვებითი ღირებულების ნორმა (კალორაჟი)		1057	1200	რაოდენობრივი

კოდი 04 03	პროგრამის დასახელება ა	სკოლისგარეშე სწავლისა და ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,200.0
პროგრამის განმახორციელებელ ისამსახური	ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლე წარმოადგენს სკოლისგარეშე, მრავალპროფილიან სააღმზრდელო-საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც მოზარდებს ეხმარება თავისუფალი დროის სწორად ორგანიზებასა და შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენაში. უზრუნველყოფს პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას, მეცნიერების ლიტერატურის და ხელოვნების მიღწევების ათვისებისათვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვას საყმაწვილო ჟურნალისტიკის განვითარებას. უზრუნველყოფს ხელოვნების სხვადასხვა დარგის მარალპროფესიულ დონეზე სწავლებას და პოპულარიზაციას, (ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, ქართულ ხალხური ქორეოგრაფია, საყმაწვილო თეატრი, სამეჯლოსო-სპორტული და თანამედროვე ცეკვები, ბალეტი პანტომიმა, დრამატული სტუდია). სასახლეში ტარდება სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციები, ინტელექტუალურ-შემეცნებითი თამაშობები, ვიქტორინები, სხვადასხვა ტიპის საგანმანათლებლო პროექტები, თემატური გამოფენები, შეხვედრები, ლაშქრობები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, სხვა საგნობრივი კონკურსები, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსები, ექსპედიციები, საქველმოქმედო აქციები, მოსწავლე - ახალგაზრდობის დღეები. წრეებსა და სტუდიებში გაერთიანებულია 800-მდე მოზარდი, მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს ემსახურება 75 თანამშრომელი, მათგან 34 პედაგოგია. ყოველწლიურად მოსწავლეთა სასახლის აღსაზრდელობისათვის არაერთი საინტერესო პროექტი ხორციელდება, სასახლის მხატვრული კოლექტივები წარმატებით მონაწილეობენ როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის		
მოსალოდნელი შედეგი	მოზარდებისა და ახალგაზრდების ხელშეწყობა.ახალგაზრდობისა და მოზარდების მეტად გააქტიურება და დაინტერესება, განვითარება გაუმჯობესებული უნარ-ჩვევებით და შესაძლებლობებით, მათი როლის გაზრდა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, უნარების გამომუშავება პროექტების დაგეგმვასა და განხორციელებაში,წლის მანძილზე განხორციელებულ		

	პროგრამებში ჩართული რაოდენობი გაზრდა, მათი შესაძლებლობების ხელშეწყობა, წარმატებულ მოზარდთა რაოდენობის გაზრდა, საჯარო სკოლის მოსწავლეთა განათლებისა და სოციალური აქტივობების ხელშეწყობა, ახალგაზრდების პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. ზუგდიდის მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში ინფრასტრუქტურის სრულყოფამ, სასწავლო გარემოს განახლებამ, ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფამ და სასწავლო პროცესში სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვამ განაპირობა ბენეფიციართა მნიშვნელოვანი ზრდა.
--	--

შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზ ისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
წრების (ჯგუფები) რაოდენობა	18	23	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	ბენეფიციარების გაზრდა და მათი თავისუფალი დროის გონივრული წარმართვა
ინტელექტუალური კლუბები	2	3	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
საყმაწვილო თეატრი , თოჯინების თეატრი, დრამატული თეატრი, პანტომიმა, გამომეტყველებითი	5	6	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სტუდია, ვოკალური ანსამბლები, ფოლკლორული ანსამბლები და გუნდი	5	6	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ქორეოგრაფიული ანსამბლები	3	3	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
სამეჯლისო-სპორტული და თანამედროვე ცეკვების ანსამბლები	2	2	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
არტ-შემოქმედებითი ჯგუფი	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ტექნიკური წრე	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	
ლოგოპედი	1	1	საბაზისო მაჩვენებლის ზრდა	

პროგრამის დასახელება	კოდი	საგანმანათლებლო-შემეცნებითი ლონისძიებების დაფინანსება/თანადაფინანსების პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 90.0
	04 04		
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს საზოგადოებრივი და არაფორმალური განათლების მიმართულებით საგანმანათლებლო - შემეცნებითი პროექტების/ლონისძიებების განხორციელებას.ეროვნულ სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის მოვლენების და თარიღების აღნიშვნას,მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების პედაგოგიური პერსონალის პროფესიული განვითარებისკენ მიმართული ღონისძიებების დაგეგმვას, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. განათლების დაწესებულებების წარმომადგენელთა(მოსწავლეები,სტუდენტები) უნარების განვითარების მიზნით ბანაკების, კონფერენციების, სასწავლო-შემეცნებითი ტურების ორგანიზებას და ჩატარებას, როგორც ქვეყნის შიგნით,ასევე მის ფარგლებს გარეთ.სკოლამდელი აღზრდის სფეროს მხრდაჭერას.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია სკოლამდელი, სასკოლო, პროფესიული, უმაღლესი განათლების სფეროს მხარდაჭერა, განათლების მიმართულებით სახელმწიფო პოლიტიკის განმახორციელებელ ორგანოებთან თანამშრომლობით, მუნიციპალიტეტის საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების და მათი პედაგოგების,ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სტუდენტების და აკადემიური პერსონალის საგანმანათლებლო/შემეცნებითი უნარების განვითარება, ხოლო მოსალოდნელი შედეგია სწავლა/სწავლების გაზრდილი მოტივაცია,განათლების სფეროს წარმომადგენელთა კვალიფიკაციის და საზოგადოების შემეცნებითი უნარების განვითარება.		

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ლონისძიებების რაოდენობა	10-ზე მეტი	საშუალოდ წლიურად 40-მდე	20 %	არშემდგარი ტენდერი, ხელშეკრულებ ის პირობების დარღვევა

პროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვების და ახალგაზრდების	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
----------------------	------	----------------------------	----------------------------------

	04 05	შესაძლებლობის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	320.0
პროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილება		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული იქნება შემოქმედებითი, აკადემიური უნარების მქონე განსაკუთრებული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვების დაფინანსება - სხვადასხვა კონკურსებში, კონფერენციებში, სიმპოზიუმებში მონაწილეობის მისაღებად; მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მქონე სტუდენტებისთვის მერის სტიპენდიის დანიშვნა; ფინანსური დახმარება ასევე გათვალისწინებული იქნება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული უცხოეთის აკრედიტებულ სასწავლებელში ჩარიცხული სტუდენტებისთვის. პროგრამით გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საჯარო და კერძო სკოლების მედალოსანი კურსდამთავრებულების დაჯილდოება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდების მოტივაციის ამაღლება; განსაკუთრებული შესაძლებლობის მქონე ახალგაზრდების შემოქმედებითი საქმიანობის გაზრდა და განვითარება; წარმატებული ახალგაზრდების გამოვლენა და ამ კონტიგენტის სისტემატური ზრდა; ახალგაზრდების მეტი აქტიურობა საგანმანათლებლო და საზოგადოებრივ საქმიანობაში;		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	მერის სტიპენდიანტი სტუდენტების რაოდენობა	წლიურად 100- ზე მეტი;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
	2	ერთჯერადი ფინანსური დახმარების მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა	წლიურად- 90- ზე მეტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
	3	უცხოეთის ქვეყნების უმაღლეს ან სხვა ტიპის სასწავლებელში სწავლა დაფინანსებული ახალგაზრდების ოდენობა	წლიურად - 70- მდე .	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	15%	სტუდენტების მომართვიანობა
პროგრამის დასახელება	კოდი	შ. მესხია სახელობის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ხელშეწყობის პროგრამა			2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 50.0	
	04 06					
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია					
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არსებული აკრედიტებული ერთადერთი სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ფინანსური ხელშეწყობა, რომელიც ახორციელებს როგორც პროფესიულ, ასევე საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს. გამოყოფილი ფინანსური რესურსი მიმართულია აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტური აქტივობების, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის, აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციის ამაღლების, დაწესებულების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების და სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად შექმნილი პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსებისათვის.					
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება პროგრამა	მიზანი 4 - ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასათვის					
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია შ.მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, ხოლო მოსალოდნელი შედეგია საუნივერსიტეტო ცხოვრების გააქტიურება.					

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	უნივერსიტეტის მდგრადი განვითარება, სტუდენტური ცხოვრების გაუმჯობესება, ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა უნივერსიტეტის, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება.	უნივერსიტეტის მონაწილეობით განხორციელებუ ლი აქტივობები.	საბაზისო მაჩვენებელის შენარჩუნება ან ზრდა	5%	სტუდენტთა კონტიგენტის ნაკლებობა.

კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ამ ტრადიციების ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე ერთ–ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება.

შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა, ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით ხდება საჭირო ღონისძიებების ორგანიზაციულ-ფინანსური მხარდაჭერა.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
05 00	კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	7,790.0
05 01	სპორტისა და ახალგაზრდული პროგრამების განვითარების ხელშეწყობა	2,150.0
05 01 01	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	1,800.0
05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	150.0
05 01 03	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია	200.0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	4,830.0

05 02 01	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	1,900.0
05 02 02	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	80.0
05 02 03	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	1,065.0
05 02 04	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	460.0
05 02 05	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	70.0
05 02 06	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	135.0
05 02 07	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	1,100.0
05 03	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	80.0
05 04	ქართული ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა	700.0
05 05	თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	30.0

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ცენტრი	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში
	05 01 01		1,800.0

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ სპორტულ დაწესებულებათა მართვის ცენტრი
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის განხორციელების მიზანს წარმოადგენს მუნიციპალიტეტში სპორტის განვითარება. ცენტრი ახორციელებს ისეთი სპორტული ღონისძიებებისა და აქტივობების დაფინანსებას, როგორიცაა: სასკოლო სპორტული ოლიმპიადები - ოლიმპიადები ტარდება სკოლებს შორის სპორტის სხვადასხვა სახეობებში; მუნიციპალიტეტში ჩასატარებელი სპორტის სხვადასხვა სახეობის ტურნირის დაფინანსება; გასვლით ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების ფინანსური ხელშეწყობა; წარმატებული სპორტსმენების წახალისება, რომლებმაც მოიპოვეს საქართველოს, ევროპისა და მსოფლის ჩემპიონის ტიტული ან გავიდნენ საპრიზო ადგილებზე; წარმატებული მწვრთნელების (რომელთა აღსაზრდელებმაც მოიპოვეს მსოფლიოს, ევროპისა და საქართველოს ჩემპიონის ტიტული) წახალისება; სპორტული სექციებისა და ადმინისტრაციის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით აღჭურვა და სხვა.
მოსალოდნელი შედეგი	სპორტის განვითარება; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია; მატერიალური და ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სპორტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ახალგაზრდობის სულიერად და ფიზიკურად ჰარმონიულად განვითარება სპორტული ტრადიციების დაცვა, გაღრმავება, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობა.

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებზე გამარჯვებული პრიზიორი სპორტსმენების რაოდენობა	100	წლიურად საშუალოდ 150- მდე	10%	სპორტსმენთა მომზადების დონე
	2	სპორტულ სექციებში მოვარჯიშე სპორტსმენთა რაოდენობა	1532	2000-მდე	5%	მოქალაქეთა მომართვიანობ ა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 05 01 02	სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 150.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სპორტული და ახალგაზრდულ -შემეცნებითი ღონისძიებების დაფინანსების კუთხით მთავარ მიმართულებას წარმოადგენს სპორტის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება და განხორციელების კოორდინაცია, ახალგაზრდებში არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, ახალგაზრდული პროექტების განხორციელება და დაფინანსება. პროგრამა მოიცავს : სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება, დაფინანსება და ხელშეწყობა, მასობრივი სპორტის განვითარება, სპორტის ეროვნული სახეობების დანერგვა-პოპულარიზაცია. სპორტულ-გამაჯანსაღებელი პროექტების განხორციელება, შშმ პირების ხელშეწყობა და მათი სრულფასოვანი ინტეგრაცია საზოგადოებაში. ახალგაზრდული საქმიანობის მხარდაჭერა, ახალგაზრდულ პროექტებზე მომუშავე ორგანიზაციების პროექტების ფინანსური მხარდაჭერა, ზუგდიდის მუნიციპალიტეტში არაფორმალური განათლების მხარდაჭერა, ახალგაზრდული თვითმმართველობების გაძლიერება და ახალგაზრდული სივრცეების მოწყობა, ახალგაზრდების ჩართულობის გაზრდა გასართობ-შემეცნებითი-სპორტულ აქტივობებში. ახალგაზრდული პროექტების დაფინანსება/თანადაფინანსება, ქალების ჩართვა სხვადასხვა აქტივობებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობა. მოხალისეობრივი საქმიანობის მხარდაჭერა, ახალგაზრდების ნიჭისა და უნარების განვითარება, მათი მოტივაციის ამაღლება. მოხალისეობრივ საქმიანობაში ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა. ახალგაზრდების გართობა-დასვენების-და კულტურულ-შემოქმედებითი საქმიანობის შესაძლებლობების გაზრდა.		
მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, ნიჭიერი ინტელექტუალი ახალგაზრდების გამოვლენა და წახალისება; ნიჭიერი სპორტსმენი ახალგაზრდების გამოვლენა; არაფორმალური განათლების ხელშეწყობა; სპეციალური საჭიროების მქონე შშმ ახალგაზრდების და უმცირესობათა ჯგუფების წარმომადგენელი ახალგაზრდების მონაწილეობის გაზრდა;		

ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში; ახალგაზრდებზე მომუშავე ორგანიზაციების მხარდაჭერა; ახალგაზრდებისთვის საგანმანათლებლო, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, გარემოს დაცვითი ღონისძიებების და პროექტების მხარდაჭერა.
--

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა:	საშუალო წლიური მონაცემი: სპორტული - 12; საგანმანათლებლო - 10;	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	2	სპორტულ შეჯიბრებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა - 1000-მდე;	წლიურად საშუალოდ 1000-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა
	3	ახალგაზრდულ კონკურსებში და ღონისძიებებში ჩაბმულ ბავშვთა და მოზარდთა რაოდენობა	წლიურად საშუალოდ 6000-მდე ბავშვი და მოზარდი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	მოსწავლეთა მომართვიანობა
ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მინი სპორტული მოედნების მშენებლობა-რეაბილიტაცია			2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 200.0	
	05 01 03					

ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური; ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახური
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ბავშვთა და მოზარდთა სპორტის განვითარებისათვის სპორტული მატერიალური-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, ფიზიკურად ძლიერი და ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობის აღზრდის ხელშეწყობა. ახალი მინი სპორტული მოედნების მოწყობა და არსებულის რეაბილიტაცია. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ყულიშკარის ადმინისტრაციულ ერთეულში მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია
მოსალოდნელი შუალედური შედეგი	უზრუნველყოფილია სკვერებისა და პარკების ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობა და მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შექმნილია ჯანსაღი ეკოლოგიური გარემო მოსახლეობის დასვენებისა და გართობისთვის.

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	რეაბილიტირებული და ახალი შექმნილი მინი სპორტული მოედნების რაოდენობა	2 ობიექტი	3 ობიექტი	5%	არშემდგარი ტენდერი
	2	ობიექტებით მოსარგებლეთა რაოდენობა	საშუალოდ 1500 ადამიანი.	საშუალოდ 2000 ადამიანი	5%	არშემდგარი ტენდერი

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ხელოვნებისა და კულტურის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,900.0
	05 02 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ა.ა.ი.პ. „ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრი“ სტრუქტურა შედგება: მიხეილ (მაცი) ხორავას სახ. სამხატვრო გალერეას, ადგ. მუზეუმებს და ჩხორიის სამოყვარულო თეატრის და კულტურის განვითარების განყოფილებისგან. წლის განმავლობაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტები, რაც ხელს უწყობს ქართული ფოლკლორის აღორძინებას, ენოგრაფიული მემკვიდრეობის შენარჩუნებას, განვითარებას და პოპულარიზაციას. ფოლკლორული ჯგუფების ხელშეწყობას, ქართული ხალხური სიმღერების აღდგენას და შენარჩუნებას. ხალხური ცეკვის სასცენო დამუშავების (დადგმის) მხატვრული კანონების დაცვას და მისი წარმომავლობისა კუთხური თავისებურებების (მოძრაობა, ილეთები, შესრულების მანერა) გათვალისწინებით. ასევე სახელოვნებო ნიჭით დაჯილდოებული პირების გამოვლენას, ღვაწლმოსილი ხელოვანი ადამიანების წარმოჩენას. ლიტერატურულ-თეატრალური წარმოდგენების გამართვას, მუდმივად სხვადასხვა მხატვრების ექსპოზიციების და თემატური გამოფენების გახსნას, რაც ხელ უწყობს სახვითი ხელოვნების განვითარებას. ადგილობრივი მუზეუმების შენარჩუნება და განვითარება, რაც ხელს უწყობს ახალგაზრდებში ინტერესების გაღვივებას ეროვნული ფასეულობებისადმი და ჩვენი კულტურული მემკვიდრეობისადმი		
მოსალოდნელი შედეგი	საზოგადოების სხვადასხვა ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ფართო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; მოსახლეობის ინტელექტუალურ-შემეცნებითი დონის ამაღლება ხელოვნების სხვადასხვა დარგის მიმართულებით; ქართული ხალხური ფოლკლორის ტრადიციების წარმოჩენა, ამ ჟანრის პოტენციური შესაძლებლობების განვითარება და პოპულარიზაცია; თეატრალური ხელოვნებით საზოგადოების დაინტერესება;		

მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმების შენარჩუნება, განახლება და შევსება, სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია; სამხატვრო გალერეის ბაზაზე მხატვართა ნამუშევრების, ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენების, მწერლებთან და სხვა დარგის ხელოვან ადამიანებთან შემოქმედებითი სადამოების მოწყობა.

შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	20 25	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
კულტურული ღონისძიებების რაოდენობა	46	44		
ვიზიტორთა რაოდენობა	7000	11000		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 80.0
	05 02 02		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ძეგლთა დაცვის განყოფილება		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა დაცვის პროგრამა ითვალისწინებს მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების გამოვლენას, მოვლა - შენახვას და სახელმწიფო დაცვის ქვეშ მოქცევას. კულტურული მემკვიდრეობის სფეროში სამეცნიერო-პოპულარული პუბლიკაციების გამოცემას, არქეოლოგიური გათხრების და ექსპედიციების მოწყობის ღონისძიებების ორგანიზებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშების საძიებო ექსპედიციების ჩატარებას, კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ცალკეული ნიმუშების რესტავრაცია-რეაბილიტაციას, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების საადაპტაციო სამუშაოების შესრულებას, ექსპოზიცია-გამოფენების ორგანიზებას, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსია ლაშქრობების მოწყობას, მოსწავლე -ახალგაზრდებში სამეცნიერო კვლევითი კონფერენციების ორგანიზებას და პოპულარიზაციას; საველე-არქეოლოგიური სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების გზით არქეოლოგიური კვლევა-ძიების თანამედროვე მეთოდოლოგიისა და აქტუალური პროცესების გაცნობას, ახალგაზრდებში პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომ ისტორიისა და არქეოლოგიის მიმართულების სტუდენტებმა შეძლონ გამოცდილ არქეოლოგებთან ერთად აწარმოონ გათხრები, მოიპოვონ არქეოლოგიური მასალები და დაამუშაონ ისინი შესაბამისი წესით, რაც ხელს შეუწყობს არქეოლოგთა მომავალი თაობების ჩამოყალიბებას და ა.შ. კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების გადარჩენის მიზნით სხვადასხვა დონორ ორგანიზაციებში საპროექტო წინადადებების წარდგენა და თანადაფინანსების მოპოვება. კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში მოღვაწე საერთაშორისო ორგანიზაციებთან პარტნიორული თანამშრომლობის განვითარება.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 11 - ქალაქებისა და დასახლებების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება		
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვა, შენარჩუნება, გამოვლენა და სახელმწიფო დაცვის ქოლგის ქვეშ მოქცევა. მოსალოდნელია მრავალი ახალი კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე მატერიალური და არამატერიალური ობიექტის თუ არტეფაქტების გამოვლენა, მათი პოპულარიზება და სამეცნიერო მიმოქცევაში შეტანა. ტურისტულად საინტერესო ობიექტების და ნიმუშების გამოვლენა და მიმზიდველი გარემოს შექმნა. შესაბამისად გაიზრდება კულტურული მემკვიდრეობის ნიშნის მქონე ობიექტების დაცვის მექანიზმი. განადგურების პირას მყოფ ძეგლებს ჩაუტარდებათ რეაბილიტაცია. გამოვლინდება ახალი ობიექტები. გაიზრდება მათი ცნობადობა. ძეგლები ჩაერთვებიან სხვადასხვა ტურისტულ მარშრუტებში და ა.შ. მოხდება ძეგლების რევიტალიზება და კომერციალიზაცია.		

შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
	1	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებული ძეგლების, მემორიალების რაოდენობა	წლიურად საშუალოდ 4 ობიექტი	ახალი ობიექტების, აღდგენილი და რესტავრირებუ ლი ძეგლების, მემორიალების რაოდენობის ზრდა	5%	შემსრულებლების მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობა
	2	რეაბილიტირებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ოდენობა	1 ობიექტი საშუალოდ წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	10%	რეაბილიტაციის პროცესში საპროექტო მაჩვენებლების ცდომილებით გამოწვეული სახელშეკ
	3	ჩატარებული არქეოლოგიური ექსპედიციების ოდენობა	წლიურად საშუალოდ 1 ექსპედიცია	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	4	უშუალოდ ძეგლის მდებარეობის ზონაში რეგისტრირებული მოსახლეობის, მოწვეული სპეციალისტების, არქეოლოგიურ-გათხრით სამუშაოებში ჩართული მუშახელის და დაინტერესებული ვიზიტორების რაოდენობა;	საშუალოდ 300- მდე ადამიანი წელიწადში	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	გაუთვალისწინებელი გარემოება, მოქალაქეთა ნაკლები ინტერესი

პროგრამის დასახელება	კოდი	საბიბლიოთეკო დარგის განვითარების პროგრამა	2025წლის დაფინანსება ათას ლარში 1,065.0
	05 02 03		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი		
პროგრამის აღწერა და მიზანი	ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი შედგება ერთი ცენტრალური ბიბლიოთეკისაგან, სამი საქალაქო და ოცდაშვიდი სასოფლო ბიბლიოთეკა-ფილიალისაგან. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ბიბლიოთეკების მართვის ცენტრი 2024-2027 წლებში იზრუნებს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მკითხველთა სწრაფი და სრული დაკმაყოფილებისთვის მათთვის საჭირო ინფორმაციითა და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით (ბეჭდური, ხელნაწერი და ინფორმაციის შემცველი სხვა მასალები); სხვადასხვა პროექტების განხორციელებით აამაღლებს ბიბლიოთეკების როლს საზოგადოების ინფორმირებულობის, მეცნიერების, კულტურის, განათლებისა და ინტელექტუალური ღონის ზრდის საქმეში. ამ მიზნით სხვადასხვა შემეცნებით ღონისძიებებს განახორციელებს: შემოქმედებით საღამოებს, შეხვედრებს თანამედროვეავტორებთან, ჩამოაყალიბებს კლუბებს საზოგადოების, განსაკუთრებითმოსწავლე-ახალგაზრდობის მონაწილეობით, მოეწყობა კინო ჩვენებები, გასვლითი კულტურული ღონისძიებები, რომლებიც უზრუნველყოფს მითხველების/მომხმარებლების დასვენებას წიგნის გარემოში, ჩატარდება ფოტო გამოფენები, ფესტივალები, როგორც ბიბლიოთეკებში, ასევე ღია სივრცეებში, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოების წიგნიერების, შემოქმედებითი პოტენციალის ზრდას. ამით ბიბლიოთეკები მოიზიდავენ მკითხველებს და გაიზრდება მათი რიცხვი. საბიბლიოთეკო სისტემის წიგნადი ფონდის შემადგენლობის გაუმჯობესების მიზნით მოხდება წიგნების შესყიდვა, ცენტრალური ბიბლიოთეკა იმუშავებს მხარეთმცოდნეობითი ციფრული ბიბლიოთეკის ბაზის შექმნაზე, გაგრძელდება ადგილობრივი პერიოდული პრესის ანალიტიკური აღწერა და გამოსაცემად მომზადება თემების მიხედვით; ცენტრალური ბიბლიოთეკა ხელს შეუწყობს მეცნიერებს, მკვლევარებს იმუშაონ ადგილზე იონა მეუნარგიას სახელობის მხარეთმცოდნეობით დარბაზში.		

მოსალოდნელი შედეგი	• ბიბლიოთეკების უწყვეტი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ინტელექტუალური დონის ამაღლება; • საბიბლიოთეკო სფეროს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობა; • საბიბლიოთეკო წიგნადი ფონდის განახლების გზით მოსახლეობის წიგნისადმი დაინტერესება; • მხარეთმცოდნეობითი ლიტერატურის პოპულარიზაცია, ზუგდიდის ისტორიით, კულტურით, განათლებით, ეკონომიკით დაინტერესებული მკითხველების ხელშეწყობა, საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის მხარეთმცოდნეობითი მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; • ბიბლიოთეკის მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობით მოზარდებში წიგნისადმი ინტერესის გაღვივება; • ცენტრიდან დაშორებული სოფლების მოსახლეობის საინფორმაციო და წიგნით მომსახურების გაზრდა.
--------------------	--

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	წიგნითა და ინფორმაციით სარგებლობის რაოდენობა	66000-მდე მოსარგებლე	80000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა
	2	მკითხველთა/მომხმარებელთა რაოდენობა	3000-მდე	4000-მდე	10%	მომხმარებელთა მომართვიანობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	კულტურული ღონისძიებების დაფინანსება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 460.0
	05 02 04		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს: სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი, ჩვენი ქალაქის დამსახურებული ქალბატონების დაფასების მიზნით დედის და ქალთა საერთაშორისო დღე „მარტის თვეა შენი ...“, პირველი ქართული რეფერენდუმისა და ზვიად გამსახურდიას დაბადების დღე, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისა და 9 აპრილის ტრაგედიის დღე, 26 მაისი - საქართველოს დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს უახლესი ისტორიის ყველაზე ტრაგიკული სოხუმის დაცემის დღე, 2008 წლის 8 აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნის დღე, ლიტერატურულ საღამოები, ცნობილი ავსტრიელი მწერლისა და პაციფისტის, ნობელის მშვიდობის პრემიის პირველი ქალი ლაურეატის ბერტა ფონ ზუტნერის მშვიდობის პრემიის დაჯილდოების ცერემონიალი, „აფხაზეთობა“, 1924 წლის აჯანყებაში მონაწილე დახვრეტილ მამულიშვილთა ხსოვნის დღე, ზუგდიდელ მწერალთა და შემოქმედთა ხელშეწყობის და პოპულარიზაციის მიზნით საგამომცემლო(ლიტერატურული) საქმიანობის დაფინანსება, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ვეფხისტყაოსნის საჯარო კითხვის დღე, სახელოვანი ზუგდიდელი ლოტბარის პოლიკარპე ხუბულავას სახელობის ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალი „კოლხი და...“, ზუგდიდობა, საპატიო ზუგდიდელის წოდების მინიჭება, საახალწლო და საშობაო ღონისძიებები..		

მოსალოდნელი შედეგი	სადღესასწაულო კულტურული ღონისძიებების, ადგილობრივი, ქვეყნის შიდა და საერთაშორისო ფესტივალების, ფორუმების, საქველმოქმედო აქციების, შემოქმედებითი საღამოების, კონცერტების დაგეგმვა და ორგანიზება; ნიჭიერი შემოქმედებითი ადამიანებისა და ჯგუფების წარმოჩენა და პოპულარიზაცია, მონაწილეთა მასობრიობა, წელიწადის ყველა ღირსშესანიშნავი დღისა და დღესასწაულის აღნიშვნა ღონისძიებებით. თეატრის, კინოს, კლასიკური, საოპერო და საესტრადო მუსიკის, ქორეოგრაფიის, სახვითი, გამოყენებითი ხელოვნებისა და ხელოვნების ტრადიციული დარგების განვითარებისთვის ხელსაყრელი პირობების შექმნა, საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა, შენარჩუნება, დაცვა და პოპულარიზაცია. ხელოვნების სხვადასხვა დარგების განვითარებისათვის ხელსაყრელი პირობების შექმნა. კულტურულ ცხოვრებაში აქტიურად ჩართულობის მიზნით საზოგადოებაში მოტივაციის ამაღლება. ისტორიულად, რელიგიურად და კულტურულად ჩამოყალიბებული ეროვნული ტრადიციების დაცვა და განმტკიცება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საბიბლიოთეკო სისტემის განვითარება და მისთვის მეთოდური დახმარების გაწევა. ადგილობრივ მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა საიუბილეო თარიღების აღნიშვნა, ხელოვნების საღამოების მოწყობა, შემოსული მცირე პროექტების ხელშეწყობა. მოსალოდნელი შედეგი: დასვენებისა და გართობის კულტურის ჩამოყალიბება, საზოგადოების მოტივირება და კულტურული ფასეულობების დაცვა-პოპულარიზების საქმეში გამოვლენილი საინტერესო იდეების ხელშეწყობა.
---------------------------	---

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	კულტურულ- შემეცნებითი ღონისძიებების რაოდენობა	საშუალოდ 40-მდე ყოველწლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	10%	კორონავირუსის პანდემია
	2	დაფინანსებული პროექტების მაჩვენებელი.	საშუალოდ წლიურად 5 პროექტი	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	15%	მომართვიანობის ნაკლებობა

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 70.0
	05 02 05		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	მერიის ადმინისტრაციული სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	ქვეპროგრამის მიზანია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოსახლეობის ჩართულობის გასაზრდელად საზოგადოების ინფორმირებულობის ამაღლება; საგანმანათლებლო, ისტორიული, მემუარული, საცნობარო და სხვა სახის საგამომცემლო საქმიანობის ხელშეწყობა; წიგნების, ბროშურების, საინფორმაციო ბუკლეტების გამოცემა; საზოგადოების დაინტერესებული ნაწილისათვის თემატურად მნიშვნელოვანი მასალების გაცნობის ხელმისაწვდომობის გაზრდა; მერიის საქმიანობის, დაგეგმილი და განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ინფორმაციისა და ანონსების განთავსება მთავარ და თემატურ გვერდებზე; ფოტო და ვიდეომასალების, ინფომრაციის გავრცელება სოციალურ ქსელში ამ დანიშნულებით შესაბამისი სააგენტოს მომსახურება; ნორმატიული აქტების გამოქვეყნება საკანონმდებლო მაცნეში; გაზეთ „ახალ ზუგდიდში“ მასალებისა და ინფორმაციების განთავსების მომსახურების შესყიდვა; ვებგვერდის მომსახურების შესყიდვა. მუნიციპალიტეტის ნორმატიული სამართლებრივი აქტების და საქართველოს ზოგადადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნათა მიხედვით აღმასრულებელი ორგანოს ანგარიშის გამოქვეყნება; ადგილობრივ ტელე და რადიო ეთერში მუნიციპალიტეტის საინფორმაციო თუ სხვა საჭიროებისათვის საეთერო დროის მომსახურების შესყიდვა.		
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე		
მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის ზრდა მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე, დაგეგმილ და განხორციელებულ პროგრამებსა და პროექტებზე; მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელოვან გამოცემათა უზრუნველყოფა.		

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილები ს ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	მუნიციპალიტეტში განხორციელებული ინ ფრასტრუქტურული პროექტების და სხვა ღონისძიებების გაშუქების დონე	ყოველდღიურად შუქდება ყველა სიახლე და მიეწოდება ინფორმაცია მოქალაქეებს	საბაზისო მაჩვენებელ ის შენარჩუნებ ა	3%	გაუთვალისწინებელი გარემოება
	2	მაცნეზე გამოქვეყნებული საკანონმდებლო აქტების ოდენობა	აბსოლუტურად ყველა საკანონმდებლო აქტი ქვეყნდება მაცნეზე, თუ ამას მოითხოვს კანონმდებლობა	საბაზისო მაჩვენებელ ის შენარჩუნებ ა	2%	გაუთვალისწინებელი გარემოება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 135.0
	05 02 06		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	რელიგიის ხელშეწყობის პროგრამა ემსახურება ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების ფინანსურ ხელშეწყობას. საქართველოს მთავრობის N177 19.02.2014 წ. დადგენილების საფუძველზე, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხების, მათ შორის რელიგიურ-საკულტო დანიშნულების ნაგებობების რესტავრაციის, რეკონსტრუქციისა და სამშენებლო-ზედამხედველობის მიზნით სსიპ საქართველოს რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოსთან შეთანხმებას და მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე შემდგომი ქმედითი რონისძიებების განხორციელებას.პროგრამის მიზანია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მოქმედი რელიგიური ორგანიზაციების მომართვის საფუძველზე კონკრეტული ქმედითი ღონისძიებების განხორციელება. სსიპ რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოდან მიღებული რეკომენდაციების საფუძველზე საკულტო-სარიტუალო შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია, მშენებლობა. სახალხო -რელიგიური დღესასწაულების მოწყობა და პოპულარიზება.		
მოსალოდნელი შედეგი	გაუმჯობესდება საკულტო - სარიტუალო შენობა ნაგებობების მდგომარეობა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურა. ხელი შეეწყობა მრევლისთვის ადაპტირებულ გარემოს. გაიზრდება ტოლერანტული ურთიერთდამოკიდებულება.		

	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა (%/აღწერა)	შესაძლო რისკები
შუალედური შედეგის შეფასების ინდიკატორი	1	ახალაშენებული და რეაბილიტირებული ეკლესია-მონასტრები და სხვა რელიგიური დანიშნულების ექსპლოატაციაში შესული შენობა-ნაგებობების რაოდენობა;	საშუალოდ 1 წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	20%	გაუთვალისწინებელი გარემოება

პროგრამის დასახელება	კოდი	სახელოვნებო სკოლების ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,100.0
	05 02 07		

ა			
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ა(ა)იპ „ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ხელოვნების სხვადასხვა დარგების მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება (საფორტეპიანო და საორგესტრო განყოფილებები, საგუნდო-სამუსიკო სკოლა, სამხატვრო სკოლა, ქართულ ხალხური სიმღერების შემსწავლელი წრე, ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ფოლკლორული ჯგუფები, კლასიკური და საესტრადო ვოკალი) სკოლის გარეშე საადმინისტრაციო-საგანმანათლებლო და ესთეტიკური შემოქმედებითი პოტენციალის გამოვლენა, პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარება, ხელოვნების მიღწევების ათვისებისთვის პრაქტიკული და თეორიული მუშაობის წარმართვა; ხელოვნების სხვადასხვა დარგის მაღალპროფესიულ დონეზე სწავლება და პოპულარიზაცია (საფორტეპიანო და საორგესტრო განყოფილება, საგუნდო-სამუსიკო განათლება, ქართული ფოლკლორი, ხალხურ საკრავთა ანსამბლი, კლასიკური და საესტრადო მუსიკა, ვოკალურ ინსტრუმენტული ანსამბლი, სახვითი ხელოვნება); მოსწავლეებისათვის დაწყებითი სამუსიკო განათლების მიცემა; მოსწავლეებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის; მოსწავლეები აზიაროს მუსიკალური და სამხატვრო ხელოვნების საფუძვლებს; მოსწავლეებს გააცნოს და შეაყვაროს ეროვნული კულტურული მემკვიდრეობა, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშები; კონკურსების, ფესტივალებისა და ღონისძიებების საშუალებით გამოავლინოს და წარმოაჩინოს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოვებული მოსწავლეები; იზრუნოს მოსწავლეთა ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებაზე, აქტიური და ინტელექტუალური მსმენელის აღზრდაზე; სასწავლო შემოქმედებითი კონფერენციების, გამოფენების, შეხვედრების, გამოყენებითი ხელოვნების გამოფენა-კონკურსების, ექსპედიციების, საქველმოქმედო აქციების ჩატარება; გაცვლითი პროგრამების ფარგლებში კონცერტების გამართვა, როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სხვადასხვა ქალაქის მოზარდთა დამეგობრების მიზნით; მოზარდებში ეროვნული კულტურის სიყვარულის, ურთიერთპატივისცემისა და სხვა ერების კულტურისადმი პატივისცემის ჩამოყალიბება; მოზარდთა აქტიური ჩართულობა, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ გამართულ საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებსა და სხვა სახის ღონისძიებებში;	
მოსალოდნელი შედეგი		სკოლის გარეშე სასწავლო პროგრამები გახდება ხელმისაწვდომი ბავშვებისთვის; სასწავლო დაწესებულება აღიჭურვება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. გაუმჯობესდება სასწავლო პროცესი. გაიზრდება სკოლისგარეშე განათლების მიღებით დაინტერესებული მოსწავლეთა რაოდენობა. სკოლისგარეშე განათლება გახდება ხელმისაწვდომი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის და სოციალურად დაუცველ ოჯახთა შვილებისათვის.	

შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
N1 სამუსიკო სკოლა			მოსწავლეების ამაღლებული მოტივაცია	მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა
N2 სამუსიკო სკოლა				
საგუნდო-სამუსიკო სკოლა				
სამხატვრო სკოლა				
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასების მაჩვენებელი
ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა			გაიზარდოს გაერთიანების მიერ ორგანიზებული კულტურული აქტივობების რაოდენობა	ხარისხობრივი
სამუსიკო და სამხატვრო სკოლებში ჩარიცხვის მსურველთა რაოდენობა			მივაღწიოთ ისეთ შედეგებს, რომ მოტივაცია გახდეს კიდევ უფრო მეტი მსურველისთვის კულტურულ ცხოვრებაში ჩართვისა	ხარისხობრივი

პროგრამის დასახელება	კოდი	ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ-არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 20.0
	05 02 08		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური (ძეგლთა დაცვის განყოფილება)	
პროგრამის აღწერა და მიზანი		ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული მუზეუმის ფინანსური მხარდაჭერის პროგრამა მოიცავს სხვადასხვა სახის მხარდაჭერას, რომელიც ხელს უწყობს ზუგდიდის, როგორც ისტორიულ - კულტურული ცენტრის პოზიციონირებას. ტურისტული პოლიტიკის წარმოების შესაძლებლობას. დადიანების მუზეუმის მატერიალურ - ტექნიკური ბაზის განახლებას. შემოქმედებითი ნაშრომების პუბლიკაციას. ზუგდიდის მუზეუმზე საინფორმაციო გზამკვლევი მეგზურისა და მონოგრაფიული გამოცემების მომზადებას.	
მოსალოდნელი შედეგი		პროგრამის მიზანია სსიპ ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურული სამუზეუმო კომპლექსის ფინანსური ხელშეწყობა და პოპულარიზაცია. ზუგდიდის დადიანების სასახლეთა ისტორიულ - არქიტექტურულ მუზეუმში დაცული არტეფაქტების საზოგადოების ფართო ფენისთვის გაცნობა. დადიანების სასახლეთა საგანძურის შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება	

პროგრამის დასახელება	კოდი	საცხენოსნო კლუბ "ხარებას" ფინანსური ხელშეწყობა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 80.0
	05 03		
პროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საცხენოსნო კლუბი „ხარება“		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს სპორტული და ტრადიციული ცხენოსნობის პოპულარიზებას, ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულ ცხენოსნობის ეროვნული სახეობების (ისინდი, ცხენბურთი, დოდი, მარულა) სპორტულ შეჯიბრებებში მონაწილეობა, ახალგაზრდების დაინტერესება სპორტის ამ სახეობით. ასევე, პროგრამა ითვალისწინებს სპორტული ღონისძიებების (შეჯიბრებები ცხენოსნობის სპორტულ და ეროვნულ სახეობებში) ორგანიზებას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე.		
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	სპორტული ცხენოსნობის პოპულარიზაცია, საცხენოსნო სპორტით ახალგაზრდობის დაინტერესების გაზრდა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.		

საბოლოო შედეგის შეფასების ინდიკატორი	№	ინდიკატორის აღწერა	საბაზისო მაჩვენებელი	მიზნობრივი მაჩვენებელი	ცდომილების ალბათობა	შესაძლო რისკები
--------------------------------------	---	--------------------	----------------------	------------------------	---------------------	-----------------

					(%/აღწერა)	
	1	საცხენოსნო კლუბ „ხარება“-ს სერვისით მოსარგებლე ახალგაზრდების, მოზარდებისა და საცხენოსნო სპორტის მოყვარულ ადამიანთა ოდენობა	საშუალოდ 100-მდე პირი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება	5%	ადამიანთა მომართვ იანობა
	2	სხვადასხვა ღონისძიებებში მოპოვებული პრიზების ოდენობა	10-მდე პრიზი წლიურად	საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება ან ზრდა	5%	ცხენებისა და მხედრების მომზადების დონე

პროგრამის დასახელებ ა	კოდი	ქართული ფეხბურთის განვითარების ფონდის ხელშეწყობის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 700.0
	05 04		
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“	

პროგრამის აღწერა

სპორტის დახელოვნების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების, ახალგაზრდებში სპორტული უნარჩვევებისა და სპორტულ-პატრიოტული სულის ჩამოყალიბების მიზნით, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ბავშვთა და მოზარდთა თაობის მაქსიმალური რაოდენობის ჩასაზრდელად საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“-ის პროფილის შესაბამისად, მათი მეთოდური აღზრდისა და დაოსტატებისათვის.

საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ -ის მიზანია ფეხბურთის, როგორც მასობრივი სპორტის განვითარება, ოფიციალურ საფეხბურთო მატჩებში და სხვადასხვა რანგის საფეხბურთო ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა. ამასთანავე ხელშეწყობა ახალგაზრდების უფლებებისა და თავისუფლებების დაცვაში, თვითრეალიზებასა და დამოუკიდებელი აზროვნების ჩამოყალიბებაში. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული ახალგაზრდების გამოვლენა, მათი მხარდაჭერა, ოფიციალურ ტურნირებში მონაწილეობის უზრუნველყოფა, სპორტსმენთათვის მატერიალურ-ტექნიკური და საწვრთნელი ბაზის შექმნა, საწვრთნელი ფორმებით უზრუნველყოფა, სამედიცინო დიაგნოსტიკური მომსახურების უზრუნველყოფა. მწვრთნელთა გადამზადება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით.

საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“-ის მიზანია სწავლების დონემ და ხარისხმა თანამედროვე სტანდარტებს უპასუხოს და სწორად გამოვიყენოთ ყველა რესურსი, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია. ფეხბურთის მშენებლობა სამირკვლიდან, ბავშვთა ფეხბურთის ხელშეწყობიდან დავიწყით. ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარებაში უდიდესი ადგილი უჭირავს ფიზმომზადების როლს, ვარჯიშის სწორად დაგეგმვას. ზედმეტმა დატვირთვამ შესაძლოა მოზარდის შემდგომი განვითარება შეაფერხოს და საბოლოო ჯამში წერტილი დაუსვას მის კარიერას. ამიტომაც საფეხბურთო კლუბი „ოდში 1919“ ანხორციელებს მთელ რიგ ღონისძიებებს მწვრთნელთა გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით. საწვრთნელი ვარჯიშების სწორად დაგეგმვისათვის მნიშვნელოვანია ბავშვების ფსიქოლოგიის ცოდნა და ინდივიდუალური მიგდომა, აუცილებელია მწვრთნელი იყოს დინამიური, საქმისადმი ერთგული და პოზიტიურად კონსტრუქციული პედაგოგი ანუ პიროვნება, რომელიც ყოველთვის დაეხმარება, მხარს დაუჭერს თავის მოთამაშეებს და იზრუნებს მათზე, გააღრმავებს მათ მოტივაციას, ექნება შთაგონების უნარი. კვალიფიციური მწვრთნელი უნდა ფლობდეს საუბრის ხელოვნებას. იყო კარგი მწვრთელი არ ნიშნავს მხოლოდ გესმოდეს ფეხბურთი, ეს არც მხოლოდ ტალანტების განვითარება და მოგებებია - ეს არის იცნობდე მოზარდის ხასიათს.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამაში ჩართულ ყველა ახალგაზრდა ფეხბურთელს ვაძლევთ სტიმულს და საშუალებას მაქსიმალურად იყენენ ჩაბმულები სასკოლო განათლებაში ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ვარჯიშები იგეგმება სკოლისაგან თავისუფალ დროს.

ახალგაზრდული ფეხბურთის განვითარების პროგრამის მიზანია ახალგაზრდა თაობა დაკავდეს სპორტით, განვითარდეს მათი ტექნიკური, ტაქტიკური და ფიზიკური მიმართულებები. მოტივაციისთვის მათ მონაწილეობა უნდა მიიღონ დაძაბულ შეჯიბრებებში, სადაც მათი მთავარი მიზანი უნდა იყოს მოგება. საფეხბურთო კლუბის

	მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, როდესაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“ ინფრასტრუქტურის განვითარება, კვალიფიციური კადრები, ნაყოფიერი სამწვრთნელო გარემო, სწავლების აქტიური მეთოდების დანერგვა განაპირობებს ბენეფიციართა მნიშვნელოვან ზრდას. საფეხბურთო კლუბის მიზანია ასწავლოს სპორტსმენებს დაეყრდნონ წვრთნების შედეგად გამომუშავებულ შესაძლებლობებს და განუვითარდეთ პასუხისმგებლობის გრძნობა და თვითპატივისცემა. ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის გამოსავლენად კლუბი ატარებს ღონისძიებებს, ტურნირებს რაიონის მაშტაბით. ფეხბურთი არის სპორტი, სადაც სპორტსმენებმა დამოუკიდებლად უნდა მიიღონ გადაწყვეტილება. საფეხბურთო კლუბი „ოდიში 1919“-ის მიზანია გამოვძებნოთ და შევარჩიოთ ფეხბურთელები სწორი გენით და შემდეგ ხარისხიანი ვარჯიშების საშუალებით განვავითაროთ, რომ ჩამოყალიბდნენ უმაღლესი დონის ფეხბურთელებად. რაც უფრო ბევრ კარგ ფეხბურთელს შევარჩევთ არსებობს მეტი შანსი ნიჭიერი ფეხბურთელების მოძებნისა. ფართო ბაზის შექმნა პირველი ნაბიჯია უმაღლესი დონის ფეხბურთელის გასაზრდელად.

პროგრამის დასახელება	კოდი	ს.ს.ი.პ. ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის ხელშეწყობის პროგრამა	2025წლის დაფინანსება ათას ლარში 30.0
	05 05		
პროგრამის განმახორციელებელი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახური		

პროგრამის აღწერა და მიზანი	აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ს.ს.ი.პ. „ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო პროფესიული დრამატული თეატრის“ პოპულარიზაციის მიზნით საქართველოს ფარგლებში საგასტროლე ტურნეებისა და ახალი სპექტაკლების სადადგმო ხარჯების დაფინანსებას.
მოსალოდნელი საბოლოო შედეგი	• ქალაქ ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ცნობადობის ამაღლება; • საზოგადოების კულტურულ-თეატრალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება; • თეატრის რეპერტუარის პოპულარიზაცია.

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ–ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით და შეღავათებით უზრუნველყოფას. ასევე განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ქალებისა და ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას, გენდერული თანასწორობის ხელშეწყობი პროგრამების/ღონისძიებების განხორციელებას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ხორციელდება სხვადასხვა ღონისძიებები, რაც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას გადამდები და ინფექციური დაავადებებისგან.

ათასი ლარი

ორგანიზაციული კოდი	დასახელება	2025 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	4,360.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	1,985.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	335.0
06 01 02	ჯანდაცვის სხვა ღონისძიებები	0.0
06 01 03	სამედიცინო დახმარების პროგრამა	1,650.0
06 02	სოციალური დაცვა	2,285.0
06 02 01	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფის პროგრამა	360.0
06 02 02	ომის ვეტერანთა სოციალური დაცვის პროგრამა	40.0

06 02 03	გენდერული თანასწორობის, ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა	80.0
06 02 04	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის პროგრამა	250.0
06 02 05	მარტოხელა მშობლის სოციალური დაცვის პროგრამა	110.0
06 02 06	ხანდაზმულთა, მარტოხელა მოხუცების შინმყოფლისა და სოციალურად დაუცველი გარდაცვლილი ბენეფიციარების ოჯახების მხარდაჭერის პროგრამა	35.0
06 02 07	სადღესასწაულო დღეების დახმარების პროგრამა	90.0
06 02 08	ტრანსპორტით შეღავათიანი მგზავრობის თანადაფინანსების პროგრამა	130.0
06 02 09	სხვადასხვა მიზეზით უსახლკაროდ დარჩენილთა და დაზარალებულთა ხელშეწყობის პროგრამა	350.0
06 02 10	დევენილთა მხარდაჭერის პროგრამა	40.0

06 02 11	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის გათხოვის საშუალებებით მხარდაჭერის და სოციალური საფრთხის წინაშე მყოფი ოჯახების მატერიალური დახმარების პროგრამა	330.0
06 02 12	სოციალურად დაუცველი ოჯახების და მოწყვლადი ჯგუფების მხარდაჭერის მიზნით წარმოდგენილი პროექტების თანადაფინანსება	30.0
06 02 13	პროგრამა "სოციალური საცხოვრისი კეთილმოწყობილ გარემოში"	40.0
06 02 14	უსახლკაროდ და მძიმე საცხოვრებელი პირობების მქონე პირთა საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის პროგრამა	400.0
06 03	ბავშვის უფლებებისა და მხარდაჭერის პროგრამა	90.0
06 03 01	უკიდურეს სიდარიბეში მყოფი სოციალურად დაუცველი ბავშვების მატერიალური დახმარების პროგრამა	38.0
06 03 03	ბავშვთა სადღესასწაულო და სოლიდარობის დღეების აღნიშვნის პროგრამა	3.0

06 03 04	სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის სპორტულ-გამაჯანსაღებელი და საგანმანათლებლო წრეების დაფინანსების პროგრამა	49.0
----------	--	------

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 335.0
	06 01 01		
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა)იპ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	1. გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლის ღონისძიებები: 1.1 პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება; 1.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დაგეგმვა; 1.3 დაავადების კონტროლის პირველადი ღონისძიებები; 1.4 ლაბორატორიული სინჯის აღება;		
	2. იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა, განხორციელების ხელშეწყობა, საინფორმაციო სისტემის უზრუნველყოფა; 2.1 იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; 2.2 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშგება დადგენილი წესის მიხედვით; 2.3 მუნიციპალიტეტის იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული დამუშავება ელექტრონულ პროგრამაში; 2.4 იმუნოპროფილაქტიკის მონაცემთა რუტინული ანალიზი, შეფასება, დაზუსტება; 2.5 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა მუნიციპალიტეტისათვის დადგენილი წესის მიხედვით;		

3. იმუნოპროფილაქტიკის ლოჯისტიკის უზრუნველყოფა:

3.1 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის 1 თვის მარაგის შექმნა მუნიციპალიტეტში (ეპიდემიოლოგის ზედამხედველობის ქვეშ დაგეგმვა,

მოთხოვნა, კოორდინაცია რეგიონულ დონესთან);

3.2 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის მიღება, რეგისტრაცია, გაცემა მუნიციპალიტეტის პირველადი ჯანდაცვის რგოლზე დაწესებულებებისათვის დადგენილი წესის მიხედვით.

3.4 „ცივ ჯაჭვის“ ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

3.5 იმუნოპროფილაქტიკაზე რუტინული სტატისტიკური ანგარიშის მომზადება.

3.6 ვაქცინათა, სხვა ასაცრელი მასალის და ცივი ჯაჭვის ინვენტარის საჭიროების განსაზღვრა.

4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების ფაუნის გავრცელების შესწავლა / დადგენა:

4.1 წყალსატევების პასპორტიზაცია დადგენილი წესით.

4.2 გადამტანების არსებობის დადგენა სეზონის განმავლობაში.

5. პრევენციული და კონტროლის ღონისძიებები

5.1 წყალსატევებში გამბუზიის გავრცელება.

5.2 ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება, მათ შორის გადამტანების წინააღმდეგ ბრძოლა.

6. პარაზიტული დაავადებების პირველადი ეპიდკვლევა:

6.1 სხვა პარაზიტული და პელმინთური დაავადებების სკრინინგული კვლევა.

7. სანიტარული ღონისძიებები

7.1 საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო საადმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა

7.2 საგანმანათლებლო, საადმზრდელო და საგანმანათლებლო საადმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა

	7.3 მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა 1. ადგილობრივი თვითმმართველობის ხელმძღვანელობის ინფორმირება; 2. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმირება; 3. შესაბამისი სამსახურების ინფორმირება; 4. სახელმწიფო (ცენტრალური) პროგრამების ორგანიზაციის და განხორციელების ხელშეწყობა
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის მიზანი 16 - მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისთვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუტების მშენებლობა ყველა დონეზე
მოსალოდნელი შედეგი	პროგრამის მიზანია გადამდები და არაგადამდები დაავადებების არსებული ეპიდემიური სიტუაციის კონტროლი, გადამდებ დაავადებათა გამოვლენის, ადეკვატური რეაგირებისა და პრევენციის უზრუნველყოფა- ეპიდზედამხედველობა; ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების გაუმჯობესება; მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება, ინფექციური და არაინფექციური დაავადებების შემცირება პრევენციის გზით; საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული-ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესება და სტანდარტებთან შესაბამისობის მიღწევა; სამედიცინო სტატისტიკური სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადამტანების გავრცელების წინააღმდეგ პრევენციული სამუშაოების ჩატარება;

შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
იმუნიზაციის მოცვის გაზრდილი მაჩვენებელი	80 %	83 %	იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება	ვაქცინირებულ პირთა პროცენტული რაოდენობა
ანტირაბიული მომსახურების შედეგად დაკბენილ- დადორბლილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა ნულოვანი მაჩვენებელი	100 %	100 %	დაკბენილ პაციენტთა შორის ჰიდროფობიის შემთხვევათა გამორიცხვა	ანტირაბიული მომსახურებით მოსარგებლე პირთა პროცენტული რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი

იმუნიზაციის მოცვის გაზრდილი მაჩვენებელი	75 %	80 %	იმუნიზაციის მოცვის მაჩვენებლის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა პროცენტული რაოდენობა.
გრიპის, გრიპის მაგვარი და მწვავე რესპირაციული დაავადებების გავრცელების შემცირება.			ვირუსის გავრცელების პრევენცია	
გადამდები დაავადებების ძირითადი ეპიდემიოლოგიური მაჩვენებლების შესახებ სანდო ინფორმაციის არსებობა.			ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 01 03	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ (ადგილობრივი და დევნილი) პირთა ჯანმრთელობის დაცვის პროგრამა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 1,650.0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სამედიცინო მომსახურებების დაფინანსება/ თანადაფინანსება : 1. ძვირადღირებული გამოკვლევები: ა) კომპიუტერული ტომოგრაფია, მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფია - არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა, დაფინანსება წელიწადში ერთხელ; მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები, პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები, პირები რომელთა ზემოხსენებული მომსახურების ღირებულება 500 ლარი და მეტია. წელიწადში ერთხელ; ბ) კორონაროგრაფია - მოწყვლადი ჯგუფებისთვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზაში დარეგისტრირებული პირები (სარეიტინგო ქულა 100 001-ზე ნაკლები), შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, სიმსივნით დაავადებულები, პედაგოგები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები/ტექნიკური პერსონალი, პენსიონერები, ომისა და შრომის ვეტერანები, სტუდენტები, მარტოხელა დედები) არაუმეტეს 1 000 ლარისა. სხვა დანარჩენი მოსარგებლეებისთვის - არაუმეტეს 500 ლარისა. წელიწადში ერთხელ; გ) გაფანტული სკლეროზის დიაგნოზის მქონე და მასზე საექმო პირებისთვის მაგნიტურ-რეზონანსული კვლევის დაფინანსება სრულად, წელიწადში ერთხელ;		

დ) PET/კტ კვლევის თანადაფინანსება-მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

2. სტაციონარული სამედიცინო მომსახურება:

ა) ქირურგიული ოპერაციების თანადაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები: სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები), შშმ პირები, სიმსივნით დაავადებული პირები, პენსიონრები, 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

ბ) ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებიდან ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის მიერ ქირურგიული ოპერაციის (შემდგომში ოპერაცია) ღირებულების ნაწილის დაფინანსების შემთხვევაში, თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვროს შემდეგნაირად: ოპერაცია, რომლის თანაგადახდა პაციენტის მხრიდან არ აღემატება 500 ლარს, არ ფინანსდება (გარდა 0-18 წლამდე შშმ ბავშვებისა, რომლებსაც სარეაბილიტაციო ოპერაციული მკურნალობის თანაგადახდა 500 ლარამდე დაუფინანსდებათ სრულად). 500 (ხუთასი) ლარიდან - 2000 (ორი ათასი) არაუმეტეს 50 %-სა, 2000 (ორი ათასი)-ლარიდან 5000 (ხუთი ათასი) ლარამდე მაქსიმალური ლიმიტი 1000 (ერთი ათასი) ლარი, 5000 (ხუთი ათასი) ლარი და ზევით -მაქსიმალური ლიმიტი 1 500 (ერთი ათას ხუთასი) ლარი. დაფინანსების ოდენობა განისაზღვროს კომისიურად.

გ) მოქალაქეები, რომლებსაც ოპერაციის (გარდა ესთეტიური და რეპროდუქტოლოგიური ქირურგიისა) ღირებულება არ უფინანსდება საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო ან რომელიმე კერძო სადაზღვევო კომპანიის პროგრამების ფარგლებში - დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი 1 000 (ერთი ათასი) ლარი (ჯანდაცვის კომისიის გადაწყვეტილებით);

3 ძვირადღირებული მედიკამენტების თანადაფინანსება, რომელთა ერთეულის ღირებულება 50 (ორმოცდაათი) ლარი და მეტია - მაქსიმალური ლიმიტი - 150 (ას ორმოცდაათი) ლარი, ონკოლოგიური ავადმყოფებისთვის - 400 (ოთხასი) ლარი. დაფინანსება წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები:

ა) სოციალურად დაუცველი პირები (სარეიტინგო ქულა 65 001-ზე ნაკლები);

ბ) 0-18 წლამდე ასაკის ბავშვები;

გ) შშმ პირები;

დ) ონკოლოგიური ავადმყოფები;

ე) ქრონიკული დაავადებების (ბრონქული ასთმა, ფილტვის ქრონიკული ობსტრუქციული დაავადება, დიაბეტი, გლავუკომა, გულის იშემიური დაავადება, ეპილეფსია, პარკინსონის დაავადება) მქონე პირები;

4 . 0-18 წლამდე ბავშვების აბილიტაცია/რეაბილიტაცია:

ა) აუტიზმის სპექტრის (F84.0; F84.9) დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაციის პროგრამის თანადაფინანსება 150 ბავშვისთვის. მომსახურების დაფინანსება ყოველთვიურად არაუმეტეს 18 საათისა. თვეში დაფინანსების მაქსიმალური ლიმიტი - 378 (სამას სამოცდათვრამეტი) ლარი;

ბ) სხვადასხვა სახის ინტელექტუალური შეზღუდვისა და ქცევითი აშლილობის მქონე ბავშვებისთვის სარეაბილიტაციო მკურნალობის დაფინანსება/თანადაფინანსება - შშმ და სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 100 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი- 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

მოსარგებლეები დიაგნოზით:

გ) დაუნის სინდრომი;

დ) ბავშვთა ცერებრული დამბლა (G-80.0 ; G 80.1; G-80.2 ; G-80.3; G- 80.4; G 80.8 ; G -80.9);

ე) სხვა პარალიზური სინდრომები (G-81.9; G-82.0 ; G-83.2);

ვ) განვითარების ეტაპების დაყოვნება (R-62.0) -

5. 18 წლის და მეტი ასაკის შშმ (მკვეთრად გამოხატული) პირების სარეაბილიტაციო მკურნალობის თანადაფინანსება- სოციალურად დაუცველი პირებისთვის (სარეიტინგო ქულა 65 001 -ზე ნაკლები) მაქსიმალური ლიმიტი - 500 (ხუთასი) ლარი, ხოლო დანარჩენი სხვა მოსარგებლეებისთვის - 300 (სამასი) ლარი, წელიწადში ერთხელ.

. იშვიათი დაავადებების (ცელიაკია, ფენილკეტონურია და მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) მქონე 0-18 წლამდე და 18 წელს გადაცილებული შშმ პირების სპეციალიზირებული საკვების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა:

ა) ცელიაკია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარისა.

ბ) ფენილკეტონურია - იმ პირებისთვის რომლებიც არ არიან ჩართული კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების დახმარების სახელმწიფო ქვეპროგრამაში - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა , ხოლო სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე პირებისთვის ყოველთვიურად არაუმეტეს - 300 (სამასი) ლარისა.

გ) 0-18 წლამდე პირებისთვის მუკოვისციდოზი (ცისტური ფიბროზი ნაწლავური გამოვლინებებით) - ყოველთვიურად არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

7. ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენის ქვეპროგრამა:

ფარისებრი ჯირკვლის კიბოს ადრეული გამოვლენა 25- 70 წლის ასაკის მაღალი რისკის მქონე ქალებისთვის;

ა) სამედიცინო მომსახურება მოიცავს:

- ა.ა) ფარისებრი ჯირკვლის ულტრაბგერით გამოკვლევას;
- ა.ბ) პათოლოგიის შემთხვევაში, სისხლის თირეოტროპული ჰორმონის გამოკვლევას;
- ა.გ) საჭიროების შემთხვევაში, ბიოფსიური მასალის აღებას და მორფოლოგიურ კვლევას;
- ა.დ) ფარისებრი ჯირკვლის კიბოს მართვის პროცესის მეთვალყურეობა ენდოკრინოლოგის მიერ;
- ბ) პროგრამით სარგებლობისთვის საჭირო კლინიკური კრიტერიუმები:
- ბ.ა) დატვირთული ოჯახური ანამნეზი;
- ბ.ბ) იონიზირებულ რადიაციასთან კონტაქტი საბავშვო ასაკში;
- ბ.გ) ანამნეზში უკვე არსებული ფარისებრი ჯირკვლის კეთილთვისებიანი დაავადება;
- ბ.დ) E00-E07 – ფარისებრი ჯირკვლის ავადმყოფობები;
- ბ.ე) E65-E68= სიმსუქნე და ჭარბი კვების სხვა სახეები;
- ბ.ვ) E70- E90- მეტაბოლური დარღვევები;
- ბ.ზ) სარძევე ჯირკვლის კიბოსწინარე დარღვევები ან კიბო;
- ბ.თ) კისრის ლიმფადენოპათია;
- ბ.ი) ორალური კონტრაცეპტივების მოხმარება;
- ბ. კ) უნაყოფობა.

8. განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირთა სპეციფიკური მოვლის საშუალებების (ექსკრემენტის მიმღები კონტეინერი) დაფინანსება მაქსიმალური ლიმიტი 200 (ორასი) ლარი წელიწადში ერთხელ.

9. ბინაზე მყოფი პალიატიური ზრუნვის საჭიროების მქონე პირების სამედიცინო ერთჯერადი სახარჯი მასალის, მოვლის საშუალებებისა და სხვა თანხით უზრუნველყოფა - ყოველთვიურად არაუმეტეს 200 (ორასი) ლარი.

10. კოხლერული იმპლანტის მქონე ან მაღალი ხარისხის (III-IV) სმენადაქვეითებული ნაოპერაციევი 0-18 წლამდე ასაკის ბავშვების სასმენი აპარატის/პროცესორის ღირებულების თანადაფინანსება თითოეულ ბავშვზე მაქსიმალური ლიმიტი 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარი წელიწადში ერთხელ. ქვეპროგრამის სრული ბიუჯეტი 45 000 (ორმოცდახუთი ათასი) ლარი.

11. ძვირადღირებული თერაპიის (ქიმიო, სხივური, რადიო, ტარგენტული ან სხვა) საჭიროების მქონე ონკოლოგიური ავადმყოფების ფინანსური მხარდაჭერის ქვეპროგრამა დაფინანსება 200 (ორასი) ლარით წელიწადში ერთხელ.

	12. 0–18 წლამდე კოხლეარული იმპლანტით მოსარგებლე ბავშვებისთვის, იმპლანტის დამხმარე საშუალებების შესაძენი თანხით უზრუნველყოფა - მაქსიმალური ლიმიტი თითო მოსარგებლეზე არაუმეტეს 600 (ექვსასი) ლარისა.
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა	მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 3 - ჯანსაღი ცხოვრებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ყველა ასაკის ადამიანისათვის
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული (ადგილობრივ და დევნილ) პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება და მძიმე დაავადებების პრევენცია/პროფილაქტიკა

საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზ ისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
მოსახლეობის ჯანმრთელობის გამუჯობესებული ხარისხი	4927	4919	მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარისხის გაუმჯობესება	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზ ისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
დაავადების ადრეულ ეტაპზე	1001	1000	დაავადებების ადრეულ ეტაპზე გამოვლენა და დროული მკურნალობა	მოსარგებლეთა რაოდენობა

დიაგნოსტიკური მოსახლეობა (კომპიუტერული და მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფია, PET/კტ კვლევა)				
სტაციონარული სმედიცინო მომსახურებისთვის ხარჯების გასაწევად ფინანსურად უზრუნველყოფილი მოსახლეობა	279	300	სტაციონარული სმედიცინო მომსახურების საჭიროების მქონე მოსახლეობის ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა	მოსარგებლეთა რაოდენობა

სოციალური დაცვა

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებისა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკური და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას.

კოდი	პროგრამის დასახელება	სოციალური დაცვა	2025 წლის დაფინანსება ათას ლარში 2,285.0	
06 02				
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური		ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის სოციალური დაცვისა და გენდერული თანასწორობის განყოფილება		
პროგრამის აღწერა როგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენისთვის გარკვეული შეღავათების დაწესებასა და სოციალური დახმარებების გაწევას: მზრუნველობამოკლებული პირების უფასო კვებით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა პროგრამების განხორციელებას, რომლებიც უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მარტოხელა მშობლების, ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა ფსიქო- სოციალური მხარდაჭერასა და გენდერული თანასწორობის დაცვას. სოციალურად დაუცველი, კანონთან კონფლიქტში მყოფი და ჯანმრთელობის სერიოზული პრობლემების მქონე ბავშვების ეკონომიკურ და ფსიქო-სოციალური მხარდაჭერას				
გაეროს მდგრადი განვითარების მიზანი (SDG), რომლის მიღწევასაც ემსახურება ქვეპროგრამა		მიზანი 1 - სიღარიბის ყველა ფორმის აღმოფხვრა მიზანი 2 - შიმშილის აღმოფხვრა, სასურსათო უსაფრთხოებისა და გაუმჯობესებული კვების მიღწევა და მდგრადი სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.		
შეფასების ინდიკატორები				
საბოლოო შედეგი (OUTCOME)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი
გაზრდილია მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა. გამჯობესებულია საზოგადოების ცალკეული კატეგორიის სოციალური პირობები.	5071	5200	საზოგადოების ცალკეული კატეგორიების სოციალური პირობების გაუმჯობესება და მუნიციპალურ და კომუნალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა	მოსარგებლეთა რაოდენობა
შუალედური შედეგი (OUTPUT)	2024 საბაზისო	2025	სტრატეგიული მიზანი	შეფასებ ის მაჩვენებელი

